# მ ც ხ ე თ ა

## არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები

## ტომი IX

### I

დიდი მცხეთა. 1980–1981 წწ. არქეოლოგიური
ძიებისა და გათხრების ანგარიში
(ავტორთა კოლექტივი)

### II

პუბლიკაციები და სტატიები

„მეცნიერება"
თბილისი
1989

64.3(2)
ა 97.

„მცხეთა" სერიის მორიგი IX ტომი ეძღვნება მცხეთასა და მის შემოგარენში საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად აღმოჩენილი ძეგლების პუბლიკაციას.

კრებულის პირველ ნაწილში ქვეყნდება 1980—1981 წლებში ჩატარებული საველე სამუშაოებისა და კვლევის ძირითადი შედეგები. კერძოდ, საკუთრივ ქალაქის ტერიტორიაზე, სადაც დადასტურდა ანტიკური ხანის ნამოსახლართა ნაშთები; სამთავროს სამაროვანზე და ღართისკარზე, სადაც გამოვლინდა ანტიკური ხანის მცხეთის ჩრდილოეთის კარიბჭე; მუხათგვერდზე, წეროვანში, ნარეკვავსა და ნაბაღრებში, სადაც აღმოჩნდა ბრინჯაო-რკინის ხანის სხვადასხვა ეტაპის ამსახველი ძეგლები.

კრებულის მეორე ნაწილი ეთმობა წეროვნის გვიანბრინჯაოს პერიოდის ადრეული ეტაპის სამარხეული კომპლექსების პუბლიკაციას. ფართო პარალელური სინქრონული ძეგლების ანალიზის ფონზე განსაზღვრულია სამაროვნის თარიღი — ძვ. წ. XIV—XIII სს.

კრებულის მესამე ნაწილში ქვეყნდება ნაბაღრებში აღმოჩენილი ბრინჯაოს სარიტუალო სარტყელზე გამოსახული სიუჟეტური კომპოზიციის სემანტიკური ანალიზი; კ. მელითაურის სტატია, მიძღვნილი არმაზისხევის გვიანანტიკური ხანის აბანოს რეკონსტრუქციისადმი; გ. ნარიმანიშვილისა და გ. მანჯგალაძის სტატია, რომელშიც მოცემულია მარტაზისხევში აღმოჩენილი ქვევრსამარხის ნივთიერი მასალის ანალიზი და განსაზღვრულია თარიღი (ძვ. წ. I ს.).

რედაქტორი საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი
ანდრია აფაქიძე
რეცენზენტები: ისტ. მეცნ. კანდიდატები მ. ბარამიძე, გ. ფხაკაძე

მ $\frac{0504000000}{607(06)—89}$ 222—89
© გამომცემლობა „მეცნიერება", 1989
I SBN 5—520—00472—2

# წინასიტყვაობა

„მცხეთა" სერიის მორიგ IX ტომში ქვეყნდება მცხეთის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიციის მონაპოვარი ძეგლები, რომლებიც აღმოჩენილია მცხეთასა და მის შემოგარენში.

კრებულის პირველ ნაწილში ქვეყნდება დოკუმენტური ანგარიში, რომელშიც შეჯამებულია 1980 წელს ჩატარებული გათხრებისა და კვლევა-ძიების ძირითადი შედეგები. მოცემულია მათი მოკლე ანალიზი და განსაზღვრულია წინასწარული თარიღი.

მეორე ნაწილი ეთმობა მცხეთის შემოგარენში — წეროვანში აღმოჩენილი სამარხეული კომპლექსების პუბლიკაციას. დეტალურად არის აღწერილი და დახასიათებული წეროვანი II სამაროვნის სამარხები და ინვენტარის ფართო პარალელური სინქრონული ძეგლების ანალიზის ფონზე განსაზღვრულია სამაროვნის თარიღი — ძვ. წ. XIV—XIII სს. აღნიშნულ ძეგლებს დიდი მნიშვნელობა ექნება ცენტრალური ამიერკავკასიის გვიანბრინჯაოს ხანის ძეგლების ქრონოლოგია-პერიოდიზაციის პრობლემების კვლევის საქმეში.

კრებულის მესამე ნაწილი ეთმობა სტატიებს. პირველ სტატიაში (ნ. ურუშაძე) განხილულ-დახასიათებულია ნაბაღრებში ადრერკინის დროის სამარხეულ კომპლექსში აღმოჩენილი ბრინჯაოს სარიტუალო სარტყელი. მოცემულია სარტყელზე გამოსახული სიუჟეტური კომპოზიციის სემანტიკური ანალიზი.

კ. მელითაურის სტატია ეძღვნება არმაზისხევის გვიანანტიკური ხანის აბანოს რეკონსტრუქციას. აბანოს ქვედა ნაწილი აღდგენილია შემორჩენილი ნაწილებისა და დეტალების მიხედვით; ზედა ნაწილის რეკონსტრუქციის ცდა კი ძირითადად ეყრდნობა ნაგებობების გეგმასა და არქეოლოგიური მონაპოვრებიდან გამომდინარე მოსაზრებებს. ავტორის აზრით, შესწავლილი ძეგლი წარმოადგენს რომაული ტიპის საოჯახო აბანოს და იგი ეკუთვნოდა სამეფო რანგის პირს.

მესამე სტატიაში (გ. ნარიმანიშვილი, გ. მანჯგალაძე) შესწავლილია მდ. მარტაზისხევის ნაპირზე აღმოჩენილი ქვევრსამარხი. სამარხეული ინვენტარის დიფერენცირებული ანალიზისა და შესაბამისი პარალელების მოშველიებით სამარხის გამართვის დრო განსაზღვრულია ძვ. წ. I საუკუნით.

ანდრია აფაქიძე, ვახტანგ ნიკოლაიშვილი, ანზორ სიხარულიძე, თემურ ბიბილური,
გელა გიუნაშვილი, შოთა ირემაშვილი, გოგი მანჯგალაძე, ვაჟა სადრაძე,
მერაბ ძნელაძე, ლევან ხეცურიანი

# დიდი მცხეთა, 1980

## არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები

1980 წელს მცხეთის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიცია, ისე როგორც გასულ წლებში, თავის მუშაობას ორი მიმართულებით წარმართავს. პირველი მიმართულება გულისხმობს ანტიკური ხანის განყოფილების წინაშე დასმული პრობლემის — ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების შესწავლას და ამ მიზნით განხორციელებული პრობლემური ძეგლების კვლევას. ეს ის ძეგლებია, რომელთა შესწავლაც არ დასრულებულა და მათი გამოკვლევა დღის წესრიგში დგას. მეორე მიმართულება განისაზღვრება ახალმშენებლობებთან დაკავშირებული მიწის სამუშაოებისას აღმოჩენილი ძეგლების გადარჩენა-შესწავლით.

1980 წელს საველე სამუშაოები ჩატარდა სამთავროს ველზე, ქალაქის ტერიტორიაზე, მცხეთისგორაზე (მის აღმოსავლეთ კალთებზე), სარკინეს ნაქალაქარზე, ღართისკარზე, წეროვან-ნარეკვავზე, მუხათგვერდსა და ნაბაღრებში, სულ — 8 უბანზე.

ა. სამთავროს ველზე და საკუთრივ მცხეთა-ქალაქის ტერიტორიაზე გავლებულ თხრილებში გამოჩნდა სხვადასხვა პერიოდის ნამოსახლართა ნაშთები. ყველაზე მნიშვნელოვანია გვიანანტიკური და ელინისტური ხანის მასალის შემცველი კულტურული ფენები. ამრიგად, ჩნდება ახალი მასალები ანტიკური ხანის მცხეთის ისტორიული ტოპოგრაფიის დადგენისათვის.

ბ. ამ თვალსაზრისითაც განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ღართისკარზე აღმოჩენილი სასიმაგრო სისტემა. იგი მეტად მნიშვნელოვანი საფორტიფიკაციო ნაგებობა უნდა ყოფილიყო მცხეთის დედაქალაქობის პერიოდში, კერძოდ კი — ერთ-ერთი დიდი მცხეთის თავდაცვისა ბაგინეთთან, წიწამურთან და სარკინესთან ერთად.

ღართისკარზე გამოვლენილი მასალები — წითლად ან ყვითლად ანგობირებული პირმოყრილი ქუსლიანი ჯამის ნაწილები, აგრეთვე, გალავნისა და კოშკების წყობის ხასიათი და მშენებლობის ტექნოლოგია საფუძველს გვაძ-

ლევს აღნიშნული სასიმაგრო სისტემა ელინისტური ხანით დავათარიღოთ და არმაზციხე I-ის თანადროულად მივიჩნიოთ.

ღართისკარში მიკვლეული სასიმაგრო სისტემა ადასტურებს ცნობას არაგვის ბოლოზე მიუდგომელი სიმაგრის არსებობის შესახებ, რომელიც სტრაბონის გეოგრაფიაშია ასახული.

შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ღართისკარის ხევში აღმოჩენილი სასიმაგრო სისტემა წარმოადგენს ანტიკური ხანის მცხეთის ჩრდილოეთის კარს და გვაწვდის უაღრესად საგულისხმო მასალებს ამ პერიოდის მცხეთის ისტორიული ტოპოგრაფიის დასადგენად.

გ. სარკინეზე განხორციელდა წინა წელს დასახული გეგმის ნაწილი. იგი გულისხმობდა უბნის გეგმაზომიერ შესწავლას. 1980 წლის მუშაობის შედეგად გაირკვა, რომ სარკინეზედაც ზღუდე შენდებოდა ტერასულად. თავდაპირველად ფერდობზე იქმნებოდა 8—10 მ სიგრძის მოედნები, რომელთა ნაპირები მაგრდებოდა დამუშავებული ქვებით. საფუძვლის მომზადებაში გამოიყენებოდა ქვატეხილებიც. ამნაირად მომზადებულ საძირკველზე აწყობდნენ ალიზის აგურებს და იქმნებოდა სიმაგრის გალავანი. სამშენებლო მასალად დიდი რაოდენობით გამოუყენებიათ ძელებიც.

რელიეფისა და ალიზის კედლების მშენებლობის ტექნიკის გათვალისწინებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ელინისტურ ხანაში სარკინეს ჩრდილო-დასავლეთ მხრიდან იცავდა ძლიერი ზღუდე, აგებული ალიზის აგურებით ქვის საფუძველზე.

დ. მცხეთისგორაზე გამოვლინდა ქვასამარხთა დიდი ჯგუფი, საკმაოდ კომპაქტურად განლაგებული, რომლებიც IV და შემდგომ საუკუნეებს მიეკუთვნება. მათ შორის ყურადღებას იქცევს ქვის დამუშავებული ლოდებით შედგენილი სამარხი (№ 11) IV საუკუნისა, რომელიც სამთავროზე აღმოჩენილ ქვათლილებიან სამარხებთან ერთად წარმოადგენს სრულიად ახალი ტიპის სამარხ-ნაგებობებს მცხეთისათვის. მცხეთისგორის სამაროვანი ახალ მასალებს გვაწვდის როგორც IV საუკუნისა და მომდევნო ხანების ქალაქის ტოპოგრაფიის დასადგენად, ისე მცხეთის პალეოდემოგრაფიული სიტუაციის წარმოდგენა-რეკონსტრუქციისათვისაც.

ე. მუხათგვერდზე 1980 წ. გამოიკვეთა სამი პერიოდის ძეგლები: მ ტ კ ვ ა რ-ა რ ა ქ ს ი ს კ უ ლ ტ უ რ ი ს ანუ ადრებრინჯაოს ნამოსახლართა ნაშთები, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის თითქმის ყველა საფეხურის ამსახველი სამარხები (დადასტურდა ამ პერიოდისათვის დამახასიათებელ ორმოსამარხთა ყველა ნაირსახეობა) და ელინისტური ხანის ქვასამარხები. ამ უბანზე აღმოჩენილი ადრეელინისტური ხანის მასალები საგულისხმოა „არმაზით კერძი ქალაქის“ ტერიტორიის დასახლების სიმჭიდროვის წარმოსადგენად აღნიშნულ პერიოდში.

ვ. წეროვან-ნარეკვავზე ითხრებოდა მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეული ეტაპისათვის დამახასიათებელი სამეურნეო ორმოები და გვიანბრინჯაო-ადრე-

ჰორიზონტალური გავრცელების სურათი, ელინისტურ-რომაული ფენები ვრცელდება ქ. მცხეთის ცენტრალური მოედნის სიღრმეში.

გვიანელინისტური ფენა შეიცავდა აღმოსავლეთ საქართველოს სინქრონული ძეგლებისათვის კარგად ცნობილი თიხის ჭურჭლის ნიმუშებს. იქ გამოვლინდა წითლად შეღებილი დერგი, მოყავისფრო-მოწითალოდ ნაპრიალები თიხის დერგის პირის ნატეხები, პირმოყრილი და დაბალქუსლიანი ჯამები, სხვადასხვა ზომისა და მოხატულობისა (სურ. 5—8).

გვიანანტიკური ხანის თიხის ერთ-ერთ ჭურჭელს ყელზე დამღა აქვს. გამოსახულია მამაკაცის თავი პროფილში მარჯვნივ (სურ. 11). 1979 წელს სამთავროს სამაროვნის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ჰუმუსურ ფენაში აღმოჩნდა თიხის ჭურჭლის ნატეხი, რომელსაც ყელზე მსგავსი, ოვალური ფორმის დამღა ჰქონდა. გამოსახული იყო მამაკაცის ბიუსტი პროფილში მარჯვნივ.

ამ ფენის მასალიდან აღსანიშნავია თიხის ჭურჭლის ყელ-პირი, პირზე დაფარებული აქვს თხელი კერამიკული ფილა და მოგლესილია (დაგოზილია) თიხით, რომელზედაც ამოტვიფრულია 30-მდე ოვალური ფორმის დამღა (1,7×1,0 სმ). გამოსახულებების შინაარსი ჯერჯერობით გაურკვეველია (სურ. 12—13).

ზემონახსენები თხრილის (სტალინის ქუჩა) დანარჩენ მონაკვეთებზე გვიანანტიკურ-ადრეფეოდალური ხანის კულტურული ფენები გვხვდებოდა.

ასეთივე ხასიათის სამუშაოები მიმდინარეობდა სამთავროს სამაროვნის სამხრეთის უბანზე (სურ. 14—48). სატელეფონო კაბელის თხრილმა გაიარა კინოთეატრ „კარიბჭის" წინ, გადაკვეთა მშრალი ხევი, შემდევ მცხეთის რაისაავადმყოფოსაკენ მიმავალი გზა და გადაიარა სამთავროს სამხრეთ უბანზე (სამთავროს ტაძრის წინ), მისგან 50-ოდე მეტრის დაშორებით. თხრილის სიგანე ამ მონაკვეთში 1 მ-ს აღემატებოდა (სურ. 1).

ზემოაღწერილ თხრილში აღმოჩნდა ახ. წ. III—IV სს-ების ნამოსახლარი (სურ. 14—18). კულტურული ფენების სისქე ზოგან 2 მ-ს აღემატებოდა. ზოგ ადგილას თხრილი გავაფართოვეთ. ასე, მაგალითად, სანდრო კანდელაკის ძეგლის უკან გაშიშვლდა 100 $მ^2$ ფართობი (6. სურ. 14; ნაკვ. CCLIV). თხრილში დადასტურდა რიყის ქვით ნაგები კედლის ნაშთები, ქვევრები, თონეები. შეგროვდა დიდი რაოდენობით კერამიკა და კრამიტის ნატეხები. როგორც ჩანს, შენობები ალიზისა იყო, ქვის საფუძველზე (რიყის ქვა ან ქვატეხილი), გადახურული იყო ბრტყელი და ღარისებრი კრამიტით; იატაკი შენობებს თიხატკეპნილი ჰქონდათ. გადანაყარ ფენაში აღმოჩნდა გვიანელინისტური ხანის თიხის ჭურჭლის რამდენიმე ფრაგმენტიც: წითლად შეღებილი, დაბალქუსლიანი და პირმოყრილი ჯამები.

სანდრო კანდელაკის ძეგლის უკან გათხრილ ნაკვეთში ნაწილობრივ გამოიკვეთა გეგმაში კვადრატული 2 შენობის ნაშთები. კედლები ნაგები იყო როგორც რიყის, კლდის ქვით, თიხის ხსნარზე; შემორჩენილი კედლების ზედა ნაწილები „თევზისფხურადაა" ნაგები. ამ ორ შენობას შორის გაიწმინდა რიყის

ქვის ქვაყრილი, მის ქვეშ კი 1.00 მ-ზე მეტი სიმძლავრის კულტურული ფენა აღმოჩნდა, რომელიც დიდი რაოდენობით კერამიკის ნატეხებს შეიცავდა (ახ. წ. III—IV სს; სურ. 14, 19, 20). ორივე შენობა ამ კულტურულ ფენაზე იდგა. შენობების გაწმენდისას ნაპოვნი და ქვაყრილის ქვეშ მოპოვებული კერამიკა დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან და თითქოს მათ შორის არსებულ ძალზე მცირე ქრონოლოგიურ სხვაობაზე უნდა მიუთითებდეს, მით უმეტეს, რომ ერთი კულტურული ფენის ორი სამშენებლო დონე თხრილის სამხრეთ მონაკვეთშიც დადასტურდა (თონის ქვეშ მოქცეული ორი ქვევრი).

ზემოაღწერილ თხრილში დადასტურდა აგრეთვე გვიანანტიკური ხანის სხვადასხვა ტიპის სამარხები (სურ. 21—25).

საანგარიშო წელს კვლავ განახლდა სამუშაოები სამთავროს სამაროვნის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში (სურ. 21—87). ბაიათხევის პირას XCVI და LXXII ნაკვეთებში მცირე რაოდენობით აღმოჩნდა წითლად მოხატული თიხის ჰურჭლისა და წითლად შეღებილი ქუსლიანი ჯამების ნატეხები.

ამ უბანზე 24 სამარხი გაითხარა, მათ შორის 7 სამარხი გვიანანტიკური ხანისა (№№ 547, 586, 591, 585, 590, 589, 485), დანარჩენი კი ადრეშუასაუკუნეებისა (579, 551, 552, 553, 587, 560, 550, 555, 554, 592, 561, 580, 581, 582 583, 584, 595). ინვენტარი 7 სამარხში აღმოჩნდა (№№ 547, 586, 591, 590, 589, 485, 554).

გვიანანტიკური ხანის სამარხთა შორის დადასტურდა სამი ტიპი: თიხის ფილასამარხი, ორმოსამარხი, ოთხკუთხა ქვათლილებით ნაგები სამარხი (სურ. 28—33). მიცვალებულები გულაღმა გაშოტილი დაუსვენებიათ, თავით O ან W-საკენ (სურ. 28). სამარხებში აღმოჩნდა გემიანი ბეჭდები, მრგვალი სარკეები, საყურეები, გრეხილი საკისრე რგოლი, სხვადასხვა მძივები. ჩვენს ხელთ არსებული მასალები საშუალებას გვაძლევს № 547 სამარხი დავათარიღოთ III ს-ით (სურ. 39, 40), ხოლო № 591 და 590 — IV ს. II ნახ. 585, 589, სამარხები — IV ს-ის I ნახევრით (სურ. 34—38, 41—56). ადრეშუასაუკუნეების 20 სამარხიდან თითქმის ყველა გაძარცული იყო, მხოლოდ № 554-ში აღმოჩნდა ინვენტარი (სურ. 57, 58).

საანგარიშო წელს მცხეთა-სამთავროს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ძეგლებიდან ყურადღებას იქცევს ელინისტურ-რომაული ხანის კულტურული ფენების დადასტურება. ადრე, სამთავროს ჩრდილო-დასავლეთ მონაკვეთზე აღმოჩენილი ნამოსახლარის ნაშთებთან ერთად თანდათან იკვეთება აღნიშნული პერიოდის ძეგლთა ისტორიული ტოპოგრაფია.

საანგარიშო წელს სამთავროს რაზმმა გათხარა სხვადასხვა ტიპის 38 სამარხი. მათ შორის სამი (№ 20, 21, 22) — მცხეთა-ქალაქში (სტალინის ქუჩის სხვადასხვა უბანზე), რვა (№ 570, 574, 575, 576, 577, 578, 593, 594) — სამთავროს სამაროვნის სამხრეთის უბანზე, 27 სამარხი — სამთავროს ჩრდილო და ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში: მათ შორის: 24 — ბაიათხევის პირას (№№ 547, 579, 551, 552, 553, 587, 586, 560, 550, 555, 554, 591, 592, 561, 585, 580, 581,

8 (01/1—1632; სურ. 67). ფირფიტა ოქროსი, წაგრძელებული ოთხკუთხა-კვეთში ტალღისებურია. სიგრძე — 3,5, სიგანე — 1,2 სმ; წონა — 1,630 გრ.

9 (01/1—1633; სურ. 68). ქოთანი თიხისა, ცალყურა. ყური მოტეხილი აქვს, შავლეგაა. ცალი მხარე გამომწვარია. ხელით ნაძერწია, ოდნავ ასიმეტრიული. თიხა მსხვილმარცვლოვანია.

სიმაღლე — 10,0; მუცლის დმ — 11,0; პირის დმ — 9,3 სმ.

10 (01/1—1634; სურ. 69). კოჭობი თიხისა. ყურიანი. ყური მხართან აქვს მიძერწილი. თითების დაჭერით შექმნილი კოპების ორი რიგი შემოუყვება მუცელზე. ჩალისფრადაა გამომწვარი.

სიმაღლე — 8,0; მუცლის დმ — 7,5, პირის დმ — 4,0 სმ;

11 (01/1—1635). სანელსაცხებლე, ბაცი მომწვანო (თითქმის თეთრი), გამჭვირვალე მინისა. კედლები საშუალო სისქისა აქვს. შემორჩენილი ფრაგმენტების მიხედვით კოლბისებრი უნდა იყოს. მუცლისა და ყელის შეერთების ადგილას შევიწროებულია.

12 (01/1—1636). სანელსაცხებლე ბაცი მწვანე, გამჭვირვალე მინისა. კედლები საშუალო სისქისაა. შემორჩენილი ფრაგმენტების მიხედვით წელვიწრო, კოლბისებრი უნდა ყოფილიყო.

**სამარხი 576. სურ. 23. (1980. 27. VI). CCXXV, 7; O — W** კრამიტსამარხია. სახურავი ბრტყელი კრამიტებისა ჰქონდა, ბანური. O და W განივიკედლები ნაგები იყო თითო ბრტყელი კრამიტისაგან, N და S კედლები კი ორ-ორი ბრტყელი კრამიტით. კედელზე ორი კრამიტის შეხების ადგილს გარე მხრიდან ერთი ღარისებრი კრამიტიც ჰქონდა მიდგმული (0,88×0,40×0,45 მ). ახალგაზრდა (25 წლამდე) მიცვალებული იწვა გულაღმა, თავქვეშ პატარა რიყის ქვა ედო. მარცხენა ხელი ირიბად ედო მუცელზე, მარჯვენა ასეთივე მდგომარეობაში — მკერდზე, ისე რომ, ხელის მტევანი თავთან ჰქონდა მიტანილი. თავი მობრუნებული ჰქონდა მარჯვნივ. მოხრილი ქვედა კიდურები ეწყო მარჯვენა მხარეს. თავი O-საკენ ჰქონდა მიქცეული. იატაკი ბრტყელი კრამიტისა იყო. სამარხში აღმოჩნდა ვერცხლის ფირფიტა.

13 (01/1—1637; სურ. 70). ფირფიტა ვერცხლისა, ოვალური ფორმისა. სიგრძე — 2,5 სმ, სიგანე — 5 მმ, წონა — 0,250 გრ.

**სამარხი 577. სურ. 26, 27 (1980. 2. VII, CCXXV, 4; O — W)** ქვაყუთია — ბანურსახურავიანი, O და W კედლებზე ნარიბანდებიანი, ქვიშაქვის 2 დიდი ფილა ედო. N გრძივი კედელი დიდი და მცირე ფილისა იყო (1,90×0,95 მ). მიცვალებულთა არეული ძვლები სამარხის SW კუთხეში მიეყარათ. სამარხში აღმოჩნდა: კოჭობი, სანელსაცხებლის ფრაგმენტები, რკინის ღერაკები, რკინის ორი ბეჭედი, მძივები.

**14** (01/1—1684; სურ. 71). კოჭობი მოწითალო-ჩალისფრად გამომწვარი თიხისა. სქელკედლიანია. აქვს მცირედ გადაშლილი პირი, წიბო დაბალ ყელზე, მრგვალი მუცელი. უყუროა. თიხა კარგად განლექილია.

სიმაღლე — 6,0; მუცლის დმ — 5,5 სმ.

**15** (01/1—1685; სურ. 72). სანელსაცხებლე მოთეთრო-რძისფერი გამჭვირვალე მინისა. კედლები საშუალო სისქისაა (1 მმ). შემორჩენილია მხოლოდ ძირი და მუცელი. აქვს მრგვალი მუცელი, კონუსურად შეზნექილი ძირი. კოლბისებურთა ტიპს მიეკუთვნება. მუცლის დმ — 5,0 სმ.

**16** (01/1—1686). გარკვეული მასალისა და დანიშნულების უსწორმასწორო ზედაპირის მქონე მომრგვალო ნივთი (თეთრი ქვისა). დმ — 11,0 სმ.

**17** (01/1—1687; სურ. 73). ღერაკები ბრინჯაოსი. 3 ფრაგმენტია. ორი მათგანი ბრტყელი-ოთხკუთხა, ერთი კი განივკვეთში მრგვალია. თითოეული 1,5 სმ სიგრძისაა.

**18** (01/1—1688; სურ. 74). ღერაკები რკინისა. ორი ცალია. ერთი ოდნავ მოხრილია, მეორე — სწორი.

მოხრილის სიგრძეა 3,4, სწორისა — 3,3 სმ. ერთი საკინძის ორი ნატეხი უნდა იყოს (?).

**19** (01/1—1689; სურ. 75). ბეჭედი რკინისა. რკალი მრგვალია. თვალბუდეში ზის თაფლისფერი სარდიონის გემა-ინტალიო. პირზე სქემატურადაა გამოსახული კურდღელი (?). ინტალიოს ზომებია 8 მმ×4,5 მმ.

**20** (01/1—1690; სურ. 76). ბეჭედი რკინისა. შემორჩენილია რკალის ზედა ნაწილი. ამ ადგილას ბეჭედი უფრო ფართოა. დაჟანგულია. ფორმის დადგენა ჭირს. ბეჭედში ზის თაფლისფერი სარდიონის გემა-ინტალიო. პირზე სქემატურადაა გამოსახული ხელის ჩამორთმევა — თანხმობისა და კავშირის ნიშანი.

ინტალიოს ზომები — 6×4 მმ.

**21** (01/1—1691; სურ. 77). მძივები სხვადასხვა: სარდიონისა, მრგვალბრტყელი, ბიკონუსური; ქარვისა (მოწითალო); საკიდი მსხლისებრი, ბრტყელი, პასტისა, ცისფერი, კასრისებრი, კანელურებიანი, ლურჯი მინისა, მანდარინისებრი — 7 ცალი, ლურჯი მინისა — 14 წახნაგა — 5 ცალი. იგივე ფორმისაა — ბაცი ცისფერი, იისფერი მინისა, კასრისებრი, გამჭვირვალე — 14, წახნაგა მუქი მწვანე მინისა — 3 ცალი, სულ 21 ცალი.

**სამარხი 578. (1980. 2.VII; CCXXVI, 9; W—O)**

ქვის ფილით გადახურული ორმოსამარხია. სამარხის სახურავი ქვიშაქვის მოზრდილი ფილისა იყო (1,28×0,10 მ) ზედა ფენაში, სახურავის ახდის შემდეგ, აღმოჩნდა ზრდასრული მიცვალებულის ნაკლული და არეული ძვლები. მათი ალაგების შემდეგ გამოჩნდა მეორე მიცვალებულის ჩონჩხი, რომელიც იწვა გულაღმა, თავით W-სკენ, ფეხებმოხრილი N-კენ. შემორჩენილი იყო მხოლოდ მენჯი და ქვედა კიდურები. ზედა მიცვალებულის არეულ ძვლებში აღმოჩნდა: შავპრიალა ჯამის ნატეხი (1,20×0,80 მ).

22 (01/1—1664; სურ. 78). ჯამი შავპრიალა თიხისა. აქვს დაბალი სწორი პირი, დაქანებული კალთა. ძირი არ შემორჩა. სქელკედლიანია.

სისქე — 8 მმ, პირის სიმაღლე — 1,5 სმ.

**სამარხი 593. 1980. 28. IV (1980. 26. VIII); CCLV, 6; O — W)** კრამიტსამარხია. სამარხის სახურავი სამი ბრტყელი კრამიტისაა (ერთი აკლდა). ზომები: 0,47×0,36 მ; აკეცილი გვერდებით ქვემოთ. სამარხის იატაკი იმდენივე ბრტყელი კრამიტისა იყო — ზემოთაკეცილი გვერდებით (ზომები: 0,72×0,47). მოზარდი დაუსვენებიათ გულაღმა, თავით W-სკენ (წელსქვედა ნაწილი არეული დაგვიხვდა. სამარხში აღმოჩნდა ბრინჯაოს რგოლი. პასტის მძივი.

23 (01/1—1659; სურ. 79). რგოლი ბრინჯაოსი (სათითეა), განივკვეთში მრგვალია. შემორჩა ორი ფრაგმენტი.

24 (01/1—1660; სურ 80). მძივი პასტისა, კასრისებრი, შავი ფერისა.

**სამარხი 594. (სურ. 24—25. 1980. 8. X. CCLVII, 5; S — N)** კრამიტსამარხია. წარმოადგენს 2 ღარისებრი კრამიტისაგან შეკრულ ყუთს, რომელსაც გარშემო შემოწყობილი ჰქონდა ბრტყელი კრამიტების ნატეხები და საშუალო ზომის რიყის ქვები (0,50×0,35 მ. 0,42×0,20 მ) ახალშობილი ესვენა გულაღმა გაშოტილი, თავით S-კენ. სამარხი უინვენტარო იყო.

**სამთავროს სამაროვნის ჩრდილოეთი უბანი**

**სამარხი 485. (სურ. 46—51 978. 7. VI. 1980. 11. (CXVIII, 2; O — W. XII)** ოთხკუთხა ქვათლილებით ნაგები სამარხია. სახურავი ქვიშაქვის სამი ფილისა ჰქონდა. კედლები ქვათლილების ორი რიგით იყო ნაგები კირხსნარზე. ამავე ხსნარით იყო ქვათაშორისი ღრეჭოები შელესილი შიგა მხრიდან. ქვათლილებზე ოთხკუთხა და „მერცხლისკუდისებრი" ბუდეებია ამოკვეთილი, შვეული და თარაზული გადაბმისათვის (0,40×0,20×0,18 მ; 0,38×0,18×0,19×0,16 მ; 0,42×0,20×0,18 მ; 0,41×0,22×0,15 მ; 1,70×0,60×0,50 მ); ზრდასრული მიცვალებული ესვენა სამარხის N კედელთან, გულაღმა გაშოტილი, თავით O-კენ. მოხრილი მარჯვენა ხელი, მარჯვენა მხართან ჰქონდა მიტანილი, მარცხენა — მუცელზე ედო. სამარხში აღმოჩნდა: სარკე, ბრინჯაოს ღერაკები და ღილები.

25 (01/1—1680; სურ. 49). სარკე ბრინჯაოსი. წარმოადგენს ოდნავ ამოზნექილ მრგვალ ფირფიტას. ამოზნექილი მხარე გაპრიალებულია. გვერდი ჩამოტეხილი აქვს. დმ — 9 სმ, სისქე — 1 მმ.

26 (01/1—1681; სურ. 47). ღერაკები ბრინჯაოსი. განივკვეთში ოთხკუთხა ფორმა აქვს. სიგრძე — 2,7, სიგანე — 2 სმ.

27 (01/1—1682; სურ. 51). ღერაკი ბრინჯაოსი. ზემოაღწერილის ანალოგიური.

28 (01/1—1683; სურ. 46, 48, 50). ღილები (?) ბრინჯაოსი, 3 ცალი. ნახევარსფეროსებური. შიგა მხარეს ყუნწი არა აქვს.

დმ — 12; 12; 9 მმ.

**სამარხი 547.** **(1980. 19. VII) CXVI, 12; O — W** თიხისფილა სამარხია. ქვიშაქვის სამი ფილით გადახურული. სამარხს კედლები დაზიანებული ჰქონდა. სამარხის O და W თავკედლები, თითო მთელი და ნახევარი ფილისა იყო, ხოლო N და S გრძივი კედლები — სამ-სამი კვადრატული ფილისა. 1,80×0,85×0,58 მ. 2 მიცვალებული იწვა გულაღმა გაშოტილი, თავით W-კენ, მხოლოდ ერთის ძვლები N კედლისკენ მიეწიათ და დაუკრძალავთ მეორე, რომელსაც მარჯვენა ხელი მკერდზე ირიბად ჰქონდა გადადებული, მარცხენა — მუცელზე გადადებული. სამარხის იატაკზე 5—7 სმ-ის მდინარის წმინდა ქვიშა ეფინა. სამარხში აღმოჩნდა ვერცხლის გემიანი ბეჭედი და ბრინჯაოს სარკე.

29 (01/1—1675; სურ. 40). ბეჭედი ვერცხლისა, ფარაკიანი რკალი. განივკვეთში სამკუთხაა. ფარაკზე დარჩილულია ოვალური ფორმის თვალბუდე, რომელშიც ზის ღვინისფერი სარდიონის გემა-ინტალიო. პირზე გამოსახულია ღვთაება — მამაკაცი, ტანი სამი მეოთხედით პროფილშია მიბრუნებული. თავი პროფილშია მოცემული. წინ გაწვდილ მარჯვენა ხელში სანათური უპყრავს, ზეაწეული მარჯვენით კვერთხს ეყრდნობა. ზურგზე მოსასხამი მოუჩანს. ნიადაგი სწორი ხაზითაა გადმოცემული.

სიგანე — 2,4; სიმაღლე — 2,3; შიგა დმ — 1,5—1,75 სმ.

30 (01/1—1676; სურ. 39). სარკე ბრინჯაოსი. წარმოადგენს ოდნავ ამობურცულ მრგვალ ფირფიტას. დამტვრეულია. დმ — 9,5 სმ; სისქე — 1 მმ.

**სამარხი 550.** **(1980. 19. VI; CXVI, 4; NO — SW** ორმოსამარხია ქვის ფილებით გადახურული. (0,88×0,45 მ). მცირეწლოვანი მიცვალებული იწვა გულაღმა, თავით NO-კენ, ოდნავ მუხლებში მოხრილი. ხელები ტანის გასწვრივ ელაგა. სამარხში ინვენტარი არ აღმოჩენილა.

**სამარხი 551.** **(1980. 27. VII; XCVI, 4; N — S** ორმოსამარხია, ქვის ფილებით გადახურული. 1.20×0.45 მ. ზრდასრული მიცვალებულის ჩონჩხიდან მხოლოდ ბარძაყის ძვლები შემორჩა. როგორც ჩანს, მიცვალებული გულაღმა გაშოტილი დაუკრძალავთ. სამარხში ინვენტარი არ აღმოჩენილა.

**სამარხი 552.** **(1980. 25. VII; CCCLXXII, 1; S — N)** ორმოსამარხია, ქვის ფილებით გადახურული. 0,90×0,60 მ. სამარხში მხოლოდ თავის ქალა და ნეკნის რამდენიმე ძვალი აღმოჩნდა. უინვენტაროა.

**სამარხი 553.** (1980. 23. VII). CCCLXXII, 1; (O — W) ორმოსამარხია, ქვის ფილებით გადახურული. (0,70× 0,50 მ). მიცვალებულის ძვლებიდან შემორჩა მხოლოდ თავის ქალას, მენჯის ძვლისა და ქვედა კიდურების ფრაგმენტები. უინვენტაროა.

**სამარხი 554.** (1980. 2. IX). XCVI; (NO — SW) ორმოსამარხია, ქვის ფილებით გადახურული. 1,70× 0,45 მ. ზრდასრული მიცვალებული ესვენა გულაღმა გაშოტილი, თავით NO-კენ. მარჯვენა ხელი გადადებული ჰქონდა მუცელზე, მარცხენა — ირიბად ედო მკერდზე. ბარძაყის ძვლებს შუა იწვა ახალშობილი, გულაღმა გაშოტილი, თავით O-კენ. ზრდასრულს აღმოაჩნდა მშვილდსაკინძი, პატარას — მძივები.

**81** (01/1—1657; სურ. 59). მძივები მინისა, მრგვალბრტყელი. 8 ცალი ყვითელია, 24 — ცისფერი.

**82** (01/1—1658; სურ. 58). მშვილდსაკინძი რკინისა. აქვს მთლიანი ბუდე, საშუალო ზომის ჩახრილი მშვილდი, სახსრიანი მუხლი.

სიგრძე — 4,7; სიმაღლე — 2 სმ.

**სამარხი 555.** (1980. 30. VIII; XCVI, 4; O — W) მცირე ზომის ქვაყუთია, დაზიანებული. 1,25×0,28× ×0,20 მ. მცირეწლოვანი მიცვალებულის ჩონჩხის ძვლებიდან მხოლოდ თითო-ოროლა ფრაგმენტი შემორჩა. უინვეტაროა.

**სამარხი 560.** (1980. 31. VII; CCCLXXII; 1; NW — SO) ქვაყუთია ბანურსახურავიანი, მცირე ზომის. 0,76× ×0,30×0,28 მ. 2 მცირეწლოვანის ჩონჩხის ძვლები არეული დაგვხვდა. უინვენტაროა.

**სამარხი 561.** (1980. 5. IX; CCCLXXII; 1; O — W). ორმოსამარხი, ქვიშაქვის ფილებით გადახურული. 1,00×0,40 მ. მოზარდი ესვენა გულაღმა გაშოტილი, თავით O-კენ. ხელები ტანის გასწვრივ ეწყო. სამარხში არქეოლოგიური მასალა არ აღმოჩენილა.

**სამარხი 571.** (1980. II. V; CCCIV, 2; O — W) ქვაყუთია, ბანურსახურავიანი. დაზიანებულია წყალსადენის მილებისა და სატელეფონო კაბელისათვის თხრილის გავლებისას. 1,37×0,80×0,70 მ. სამარხში მიცვალებულის ძვლები და არქეოლოგიური მასალა არ აღმოჩენილა.

**სამარხი 572.** (1980. 22. V; CCCIV, 8; O — W) ქვაყუთია, ბანურსახურავიანი. დაზიანებულია წყალსადენის მილებისა და სატელეფონო კაბელისათვის თხრილის გავლებისას: 1,05×1,00×0,78 მ. სამარხში მიცვალებულის ჩონჩხი და არქეოლოგიური მასალა არ აღმოჩენილა.

| | |
|---|---|
| | ქვაყუთია, ბანურსახურავიანი. დაზიანდა წყალსადენის |
| სამარხი 578. (1980. 22. V; CCCIV, 3; O — W) | მილებისა და სატელეფონო კაბელისათვის თხრილის გაყვანებისას. 0,70×0,71×0,40 მ. სამარხში მიცვალებულის ჩონჩხი და არქეოლოგიური მასალა არ აღმოჩენილა. |
| სამარხი 579. (სურ. 59). (1980. 25. VIII; CCCLXXII, 1; SO — NW) | ორმოსამარხია, ქვიშაქვის ფილებით გადახურული. 1,72×0,55 მ. ზრდასრული მიცვალებული ესვენა გულაღმა გაშოტილი, თავით SO-კენ. მარჯვენა ხელი გულზე ჰქონდა დაკრეფილი, მარცხენა — მოხრილი, მუცელზე გადადებული. სამარხში არქეოლოგიური მასალა არ აღმოჩენილა. |
| სამარხი 580. (1980. 25. VIII; CCCLXX, 6; O — W) | ორმოსამარხია, ქვის ფილებით გადახურული. 1,90××0,73 მ. სამარხში აღმოჩნდა: 2 რგოლი ბრინჯაოსი. |

83 (01/1—1661, სურ. 60) რგოლი ბრინჯაოსი, განივკვეთში მრგვალია, ბოლოები ერთმანეთზე აქვს გადადებული, დმ — 1,8; სისქე — 2 მმ.

84 (01/1—1662; სურ. 61). რგოლი ბრინჯაოსი, განივკვეთში მრგვალია, ბოლოები გახსნილი აქვს და ერთმანეთთანაა შეტყუპებული.
სიგანე — 1,7 სმ; სისქე — 2 მმ.

| | |
|---|---|
| სამარხი 581. (1980. 10. X; CCCLXX, 6; SO — NW) | ორმოსამარხია, ქვის ფილებით გადახურული, მცირე ზომისა. 0,65×0,45 მ. მცირეწლოვანი მიცვალებული ესვენა გულაღმა გაშოტილი, თავით O-კენ. უინვენტაროა. |
| სამარხი 582. (1980. 10. X). CCCLXX, 6; (SO — NW) | ორმოსამარხია, ქვიშაქვის ფილებით გადახურული. 0,60×0,28 მ. მცირეწლოვანი მიცვალებული ესვენა გულაღმა გაშოტილი, თავით SOO-კენ. უინვენტაროა. |
| სამარხი 583. (1980. 18. IX; CCCLXX, 1; SO — NW) | ორმოსამარხია, ქვიშაქვის ფილებით გადახურული, მცირე ზომისა. 1,15×0,40 მ. მოზარდი ესვენა გულაღმა გაშოტილი, თავით SO-კენ. მოხრილი ხელები ნიკაპთან ჰქონდა მიტანილი. უინვენტაროა. |
| სამარხი 584. (1980. 24. IX; CCCLXX, 1; SO — NW) | ორმოსამარხია, ქვიშაქვის ფილებით გადახურული (0,90×0,50 მ). სამარხის ცენტრალურ ნაწილში ახალგაზრდა ინდივიდის მხოლოდ თავის ქალა აღმოჩნდა. უინვენტაროა. |

ორმოსამარხია, ქვიშაქვის ფილებით გადახურული.

**სამარხი 585.** (1980. 15. VI; CCCLXX, 9. 10; SO — NW) სამარხში აღმოჩნდა: 2 ზარაკი, ზარაკის რკინის ენა, სანელსაცხებლე.

33 (01/1—1652, სურ. 43). ზარაკი ბრინჯაოსი. ცილინდრული ფორმისაა. ზედა ნაწილში მრგვალ ყუნწში გადადის, ქვედა ნაწილში გაფართოებულია. აქვს დაზიანებული რკინის ენა.

სიმაღლე — 7; სიგანე ქვედა ნაწილში — 5,1; ზედაში — 3,3 სმ.

34 (01/1—1653; სურ. 45); მძივები (2 ც). პასტისა, ინკრუსტირებული, ბიკონუსური, ვარდისფერი; მინისა, გამჭვირვალე, მწვანე ფერის, მსხლისებრი ფორმისა.

35 (01/1—1654; სურ. 42). ბრინჯაოს ზარაკის რკინის ენა (ნატეხები).

36 (01/1—1655; სურ. 44). სანელსაცხებლე ღიამწვანე-წყლისფერი გამჭვირვალე მინისა, შემორჩენილია მხოლოდ მაღალი და ვიწრო ყელი. კოლბისებურთა ტიპს მიეკუთვნება.

ყელის დმ — 1 სმ; მინა ირიზებულია.

37 (01/1—1656; სურ. 41). ზარაკი ბრინჯაოსი. ნახევარსფეროს ფორმა აქვს. ენა და ყუნწი არ შემორჩა. ზედა ნაწილში ნახვრეტი აქვს.

დმ — 2 სმ.

**სამარხი 586.** (1981. 18. VI) CCCLXXII; 1; (SO — NW) ორმოსამარხია, თიხის ფილით გადახურული სახურავიდან მხოლოდ ერთი ფილა შემორჩა. 1,80×0,60 მ. ზრდასრული მიცვალებული იწვა გულაღმა, გაშოტილი, თავით SO-კენ. მარჯვენა ხელი ბოქვენზე ედო, მარცხენა — მუცელზე. უინვენტაროა.

**სამარხი 587.** (1980. 30. VII). CCCLXXII; 1; (N — S) ორმოსამარხია, ქვიშაქვის ფილებით გადახურული. დაზიანებულია. სამარხში შემორჩა მხოლოდ ზრდასრული მიცვალებულის ქვედა კიდურების ფრაგმენტები. უინვენტარო.

**სამარხი 589.** 1980. 18. V (1980. 10. X). CCCLXXII, 5 (O — W) ორმოსამარხია, ქვიშაქვის ფილებით გადახურული. 1,70×0,45 მ. ზრდასრული მიცვალებული დაუკრძალავთ გულაღმა გაშოტილი, თავით O-კენ. ხელები ბოქვენზე ელაგა. სამარხში აღმოჩნდა: მშვილდსაკინძი, ბეჭედი და ბალთა.

38 (01/1—1677, სურ. 53). ბალთა ბრინჯაოსი. აქვს ოთხკუთხა სათასმე ჩარჩო, სამკუთხა ფარაკი, შუა ნაწილში ნახვრეტით, რომელშიც ბრინჯაოსავე მანჭვალია გაყრილი.

სიგრძე — 2 სმ. ჩარჩოს ზომებია: 1,7×1,1 სმ. სისქე — 1,5 მმ.

39 (01/1—1678; სურ. 52). ბეჭედი რკინისა. ფარაკიანია. რკალი ბრტყელია. გატეხილი. დმ — 2; შიგა დმ — 1,5 სმ.

40 (01/1—1679; სურ. 54). მშვილდსაკინძი რკინისა, ჰვინტიანი. ბუდე მთლიანი აქვს, ენაც რკინისა. მშვილდი მაღალი და ჩახრილი, მშვილდი მუხლისაკენ ფართოვდება. მუხლსახსრიანია.

სიგრძე — 7; სიმაღლე — 2,5; მშვილდის სიგანე მუხლთან — 1,2 სმ.

**სამარხი 590. (1980. 10. IX), CCCLXXII, 5 (O — W)**

ორმოსამარხია, ქვიშაქვის ფილებით გადახურული. (0,90×0,30 მ). მოზარდი გულაღმა გაშოტილი დაუკრძალავთ, თავით O-კენ. იდაყვში მოხრილი ხელები მარჯვენა მხართან ეწყო. სამარხში აღმოჩნდა: ბრინჯაოს სამი რგოლი.

41 (01/1—1672, სურ. 55). რგოლი ბრინჯაოსი, განივკვეთში მრგვალი და თავგახსნილი. დმ — 1,6 სმ, რგოლის სისქე — 2 მმ.

42 (01/1—1673; სურ. 56). რგოლი ბრინჯაოსი. თავგახსნილია. განივკვეთში მრგვალი და წვრილი. ორივე ბოლო რკალზე აქვს გადაგრეხილი. დმ — 1,6 სმ.

43 (01/1—1674; სურ. 57). რგოლი ბრინჯაოსი. ზემოაღწერილის ანალოგიური. მცირე ფრაგმენტია შემორჩენილი.

**სამარხი 591. (1980. 6. VIII). CCCLXXII, I (NO — SW)**

ორმოსამარხია, ქვიშაქვის ფილებით გადახურული. 1,80×0,60 მ. მიცვალებული იწვა გულაღმა გაშოტილი, თავით NO-კენ. ხელები ტანის გასწვრივ ეწყო. სამარხში აღმოჩნდა: საკისრე რგოლი, სამაჯური, ბეჭედი, წყვილი საყურე, მძივები.

44 (01/1—1646, სურ. 34) საკისრე რგოლი, ბრინჯაოსი, გრეხილია, განივკვეთში ოთხკუთხა, თავგახსნილი. ერთ ბოლოზე კაუჭი აქვს, მეორეზე — რგოლი.

დმ — 14,5 სმ, სისქე — 3 მმ.

45 (01/1 — 1648; სურ. 37). ბეჭედი რკინისა, აქვს მაღალი და ოვალური ფორმის ფარაკი, დაკუთხული მხრები, განივკვეთში ოვალურია. რკალის ქვედა ნაწილი არ შემორჩა.

დმ — 2,5 სმ, სისქე — 2 მმ.

46 (01/1—1647; სურ. 36). სამაჯური ბრინჯაოსი, წარმოადგენს მრგვალ მასიურ, თავგახსნილ რგოლს. მთელ სიგრძეზე თანაბარი სისქისაა. ერთი ბოლო შედარებით წვრილია, მეორე — გამსხვილებული.

დმ — 5,8 სმ, რკალის სისქე — 4 მმ.

47 (01/1—1649; სურ. 38). საყურე ბრინჯაოსი, წარმოადგენს შუა ნაწილში გამსხვილებულ თავგახსნილ რგოლს, ბოლოები გაწვრილებული აქვს.

დმ — 1,7 სმ.

48 (01/1—1650; სურ. 38). საყურე რგოლი, ბრინჯაოსი. ზემოაღწერილის ანალოგიური.

49 (01/1—1651; სურ. 35). მძივები: გამჭვირვალე მინისა, მრგვალ-ბრტყელი, 39 ც.; პასტისა, შვინდის კურკის ფორმის — 1 ც.; მინისა, ყვითელი ფერის — 12 ც.: ცისფერი — 4 ც., მუქი ლურჯი — 5 ც., ვარდისფერი — 15 ც.

| | |
|---|---|
| სამარხი 592. (1980. 20. VIII). CCCLXXII, 1; (NO — SW) | ორმოსამარხია, ქვის ფილებით გადახურული, დანგრეული. სამარხში ზრდასრული მიცვალებულის ჩონჩხის მხოლოდ რამდენიმე ფრაგმენტი შემორჩა. |
| სამარხი 594. (1980. 16. XIII). CCCLXX, 9 (NWW — SOO). | ქვაყუთია, ბანურსახურავიანი, გრძივი კედლები მთლიანი ფილაქვისა ჰქონდა (1,75×0,64×0,80 მ). სამარხი გაუძარცვავთ. იატაკზე ზრდასრული მიცვალებულის ძვლების მხოლოდ რამდენიმე ფრაგმენტი აღმოჩნდა. უინვენტაროა. |

ღართისკარი

1980 წ. ღართისკარზე შედარებით უფრო ფართოდ გაიშალა საველე სამუშაოები[1] (სურ. 88—92). როგორც ცნობილია, 1979 წელს ღართისკარის ხევის მარცხენა ფერდზე, IV ნაკვეთზე, გამოვლინდა 20 მ-ის სიგრძის ალიზის კედელი.

მუშაობის ძირითადი მიზანი იყო საფორტიფიკაციო ნაგებობათა კონტურების გამოვლენა-დადგენა. წინა წელსვე კედლის ჩრდილოეთით, დაახლოებით 120 მ-ის დაშორებით, მაღალი ძაბვის ელექტროხაზისათვის საჭირო გზის გაყვანისას გამოვლენილ ჭრილში შენიშნული გვქონდა, ალიზისა და დანახშირებული ხის ძელების კვალი (ნაკვეთი X) პირველ რიგში ამ ადგილას ფერდის აყოლებაზე გაიჭრა 10 მ-ის სიგრძისა და 4 მ-ის სიგანის თხრილი (№ 2). თხრილში გამოიკვეთა კარგად შემორჩენილი ალიზის აგურებისაგან შედგენილი კედელი (სურ. 90), სიგრძე — 10 მ, სიგანე — 2,4 მ. იგი გაუმართავთ მოსწორებულ ტერასაზე, რომელიც საფეხურებად ეშვება ფერდზე. ტერასაზე შექმნილია რიყის ქვითა და ხის ძელებით შექმნილი საფუძველი, რომელზედაც ალიზის კედელია აშენებული. ღართისკარის ქედის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე ალიზის კედლის გაგრძელებაზე გარკვეული ინტერვალებით გავავლეთ 13 სხვადასხვა ზომის საძიებო თხრილი. ყველა თხრილში გამოვლინდა მეტნაკლებად შემორჩენილი კედლის ფრაგმენტები. ყველაზე საყურადღებოა მე-6

---

[1] მონაწილეობდნენ: მ. ძნელაძე — რაზმის ხელმძღვანელი; ნ. ღლონტი, თ. ბასილაშვილი — უფრ. ლაბორანტები; კ. მელითაური, კ. ტაბიძე — არქიტექტორები; ე. მასხარაშვილი, აკ. კუცია — ინჟინერ-გეოდეზისტები; ე. ასტახოვი — ფოტოგრაფი; ღართისკარზე მიმდინარე საველე სამუშაოებს ხელმძღვანელობას უწევდა ე. ნიკოლაიშვილი.

თხრილში აღმოჩენილი ოთხკუთხა კოშკი (4,5×4,5 მ). საფორტიფიკაციო ნაგებობის ჩრდილო გალავანი 120 მ სიგრძეზე გამოვლინდა. იგი ღართისკარის ქედს გასდევს და მდ. არაგვისაკენ ეშვება. აღნიშნული გალავანი ღართისკარის ხევის ჩრდილოეთით მდებარე მცირე ხევის (ბრინჯილელე) პირზეა აღმართული — ჩრდილოეთი გალავნის ხევს თავის დროზე არსებითი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა თავდაცვისათვის.

ალიზის კედლები ყველგან რიყის ქვის საფუძველზეა ნაშენი. იგი კონგლომერატში გაჭრილ ტერასებზეა დაფუძნებული. № 1, № 2 და № 3 თხრილებში გამოვლენილი კედლების ჭრილებში კარგად შეიმჩნეოდა დამწვარი ხის ძელების ნაშთები, რომლებიც კედლების დაცურების საწინააღმდეგო ტერასების შესაქმნელად უნდა გამოეყენებინათ. კედლების ამოსაყვანად იყენებდნენ ალიზის მთლიან (52×52×10 სმ) და ნახევარ (52×22×10 სმ) აგურებს.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ყველა თხრილში გამოვლენილ კედლებში, გარდა VI და VII თხრილისა (კოშკისა და მის შემდეგ აღმოსავლეთით მდებარე თხრილისა), შეიმჩნევა ძლიერი ცეცხლის კვალი. ალიზის აგური მაღალი ტემპერატურის გამო, უმეტესწილად გამომწვარია. ძლიერი ცეცხლის შედეგი უნდა იყოს ხის ძელების დანახშირებაც. აღმოჩენილ კოშკთან (სურ. 89, თხრილი 6) წყდება ცეცხლის კვალი, ხოლო კოშკი და შემდეგ გაყოლებაზე (არაგვის მხარეს) აღმოჩენილი კედლები უკვე გამოუწვავი ე. წ. უმი ალიზის აგურებისაგანაა შედგენილი. ცეცხლისკვალიანი კედლები ძლიერ დაქანებაზეა გამართული. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ განსაკუთრებით დაფერდებულ ადგილებში კედლის ძირში მდებარე ალიზის აგურებს, ცეცხლის საშუალებით გამოწვავდნენ, გამომწვარი აგური უფრო მაგარია და სინესტესაც მეტად იტანს, ვიდრე გამოუწვავი — უმი ალიზი.

მეორე ბორცვზე, საითკენაც მიემართება სამხრეთი და ჩრდილოეთი გალავნის კედლები, გავლებული იქნა 28 მ სიგრძისა და 2 მ სიგანის თხრილი (14). აქ თავიდანვე ჩანდა ცეცხლის ზემოქმედების შედეგად შეწითლებული რიყის ქვები. ზედაპირის მცირე ნაწილის აღების შემდეგ, უმი ალიზის ერთიანი ფენა და 2 ნატეხი წითლად შეღებილი ღარისებრი კრამიტი გამოვლინდა.

საანგარიშო წელს გამოვლენილი კედლების პრეპარაციისას არქეოლოგიური მასალა არ აღმოჩენილა, გარდა 2 ცალი ღარისებრი კრამიტის ნატეხისა. საანგარიშო წელს კოშკის გაწმენდა ვერ მოხერხდა, სამაგიეროდ იგი მთლიანად გადაიხურა და მომზადდა საკონსერვაციოდ.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ შეიძლება გამოითქვას ვარაუდი, რომ ღართისკარის ხევთან აღმოჩენილი ძეგლი მნიშვნელოვანი საფორტიფიკაციო ნაგებობა იყო მცხეთის დედაქალაქობის პერიოდში და კერძოდ კი — ერთ-ერთი რგოლი დიდი მცხეთის თავდაცვისა: ბაგინეთი, წიწამური, ღართისკარი, სარკინე.

ღართისკარზე ადრე გამოვლენილი მასალები: წითლად ანგობირებული ქუს-ლიანი ჯამების ფრაგმენტები, აგრეთვე წყობის ხასიათი და მშენებლობის ტექ-ნოლოგია საფუძველს გვაძლევს აღნიშნული სასიმაგრო სისტემა ელინისტური ხანით დავათარიღოთ.

ღართისკარში მიკვლეული სასიმაგრო სისტემა ადასტურებს ცნობას არაგ-ვის ბოლოზე მიუდგომელი სიმაგრის არსებობის შესახებ, რომელიც სტრაბო-ნის გეოგრაფიაშია ასახული.

ღართისკარის ხევში აღმოჩენილი საფორტიფიკაციო სისტემა წარმოადგენს ანტიკური ხანის მცხეთის ჩრდილოეთის კარს და გვაწვდის მასალებს ამ პერი-ოდის მცხეთის ისტორიული ტოპოგრაფიის დასადგენად.

## სარკინე

მცხეთის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიციის სარკინე — გრძე-ლი მინდვრის რაზმი საანგარიშო წელს მუშაობას აგრძელებდა ნაქალაქარ სარკინეს ტერიტორიაზე. წინა წელს დამთავრდა სარკინეს კარიბჭის გათხრები და ტოპოსამუშაოები. მთლიანად აიგეგმა სავარაუდო ქალაქის ტერიტორია და მისი შემოგარენი (სურ. 93—99).

საანგარიშო წელს რაზმმა დაისახა მიზნად ქალაქის დამცავი კედლების — ზღუდის ძიება. სამხრეთ-აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან ქალაქს მიუვალი ჯოჯოხეთის ხევი და მტკვრის ციცაბოები აკრავს, ამიტომ ზღუდე-გალავანი ჩრდილო-დასავლეთით უნდა ჰქონოდა. გავლებული იქნა 8 საძიებო თხრილი. აქედან მე-3 და მე-4 თხრილებმა, რომელიც სარკინეს მთის ჩრდილოეთით — გადაღმა გავავლეთ, სასურველი შედეგი არ გამოიღო (ზომები — 30×2 და 24×2 მ). მე-3 თხრილი წაგრძელებული მოყვანილობის ბორცვზე, O — W ღერძზეა დამხრობილი. აღმოსავლეთიდან მას ჯოჯოხეთის ხევი საზღვრავს, დასავლეთიდან — ზანგელიებისა; სამხრეთიდან სარკინეს გორა დაჰყურებს, რომელიც მშრალი ხევითაა გამოყოფილი ბორცვისაგან.

მე-3 თხრილთან ახლოს მოიზომა მე-4 თხრილი. იგი N — S ხაზზეა დამ-ხრობილი და ებჯინება მე-3 თხრილს. მე-3 თხრილი კვეთს მშრალ ხევს და მი-უყვება სარკინე მთის შეფენებას ჩრდილოეთის მხრიდან. სვანეთის ქედის ჩრდილო-დასავლეთის ფერდზე გავავლეთ ოთხი თხრილი; მე-5, მე-6 და მე-7 O — W გრძივ ხაზზეა დამხრობილი, ხოლო მე-8 — N — S ხაზზე. მათი ზომე-ბია: 10×2 მ.

როგორც აღინიშნა, მე-3 თხრილი ბორცვს გასდევს 30 მეტრ სიგრძეზე (სიგანე 2 მ). პირველი ორი ბარისპირი ჰუმუსი იყო, შემდგომში კი თხრილის მთელ სიღრმეზე ღია-მოყვითალო ფერის თიხნარი ამოდიოდა. თხრილს ჭრილ-ში მკაფიოდ ეტყობოდა მოყვითალო ფერის ზიგზაგისებრი ზოლები. დედაქანი ჩნდებოდა სხვადასხვა დონეზე; აღმოსავლეთ ნაწილში 1,20, შუაში — 1,50;

დასავლეთ ნაწილში 1,60 მ-ზე. თხრილის ბოლოში დასავლეთ ნაწილში გავჭე-რით შურფი (3,50×1,80×1,10 მ). ნიადაგი აქაც იგივე შემადგენლობისა იყო. არქეოლოგიური მასალა არც აქ ამოსულა.

მე-4 თხრილი მართი კუთხით ებჯინება მე-3-ს (2,4×2 მ). რელიეფის თავი-სებურების გამო დაღრმავება ხდებოდა ტერასებად. პირველი ორი ბარისპირი, ისევე როგორც მე-3 თხრილში, ჰუმუსი იყო. შემდგომში, სამხრეთისაკენ 14 მ-ის სიგრძეზე, თხრილის დამრეც ნაწილში ამოდიოდა ღია-მოყვითალო ფერის თიხნარი. ჭრილში შეიმჩნეოდა მუქი ყავისფერი უსწორმასწორო ზოლები. თხრილის დანარჩენ 10 მეტრზე, მშრალ ხევსა და სავანეთის ქედის შეფენებაზე გამოვლინდა თიხნარი. დედაქანი ჩნდებოდა სხვადასხვა დონეზე, ჩრდილოეთ ნაწილში 1,30, შუაში — 1,50, სამხრეთ ნაწილში — 1,40 მ-ზე. არქეოლოგიური მასალა არც ამ თხრილს არ მოუცია.

მე-5 საძიებო თხრილში ჰუმუსური ფენის მოხსნის შემდეგ, მე-2 ბარის-პირზე გამოვლინდა მოვარდისფრო-მოწითალო ფერის დამწვარი ფენა, ჩნდე-ბოდა ალიზის ნატეხებიც. თხრილის აღმოსავლეთ ნაწილში, სამხრეთ და ჩრდი-ლოეთ მხარეს გაფართოების შემდეგ გაირკვა, რომ მოვარდისფრო-მოწითალო ფენა ვრცელდებოდა როგორც სიღრმეში, ისე სიგანეშიც. ჯერჯერობით აღნიშ-ნული ფენა სიღრმეში გამოვლინდა 0,90 მ-დე; მთელი ალიზის აგურები ჯერ-ჯერობით არ შეგვხვედრია. თხრილში შეწითლებული ფენის ქვეშ, მიწის ზე-დაპირიდან 0,70 მ სიღრმეზე, ღია-მოყვითალო თიხნარ ნიადაგში გამოჩნდა სწორხაზოვნად ჩადგმული უხეშად დამუშავებული 2 ქვიშაქვის კვადრი, O — W გრძივ ხაზზე. ქვების ზომებია: 0,77×0,15×0,13 მ. თხრილის გაფართოებისას დიდი რაოდენობით ჩნდებოდა უსისტემოდ ჩაყრილი ორივე სახის კრამიტის ნატეხები.

მე-6 თხრილში ჰუმუსის აღების შემდეგ მცირე რაოდენობით ამოდიოდა კრამიტის ნატეხები. თხრილის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს 1,50 მ-ის სიღრმე-ზე გამოჩნდა 0,60 მ-ის სისქის დამწვარი შეწითლებული ფენა, ხოლო მის ქვეშ, ჩრდილოეთი ზოლის გაყოლებაზე ჩანს დამწვარი ხის ძელების ნაშთი, რომელიც შედის სიღრმეში. თხრილის სიღრმე აღმოსავლეთ ნაწილში 1,50 მ-ია, დასავლეთში — 0,60 მ.

მე-7 თხრილში მე-2 — მე-3 ბარისპირზე ჩნდებოდა ოთხკუთხედის ფორ-მის სამშენებლო ქვების ერთრიგა წყობა, ქვები დაძრულია ადგილიდან, არ არის დაცული კედლის სწორხაზოვნება, არათანაბარია ქვების ზომებიც. იმ მიზნით, რომ გაგვერკვია კედლის გავრცელება და მისი ხასიათი, გავაფართო-ვეთ თხრილი (20×7 მ). გაირკვა, რომ კედელი დასავლეთით არ გრძელდება; აღმოსავლეთით კედლის გარშემო ჩნდებოდა გამომწვარი და გამოუწვავი ალი-ზის ნატეხები. კედელი 8,20 მ-დეა გამოვლენილი. ქვების ზომები: უდიდესის — 0,50×0,22×0,15 მ, დამახასიათებლის — 0,35×0,12×0,10 მ.

მე-8 თხრილში მოვხსენით ორი ბარისპირი. ნიადაგი თიხნარია. თხრილის ცენტრალურ ნაწილში გამოჩნდა მოვარდისფრო-მოწითალო ფენა, რომელიც შედგება დამწვარი ალიზისა და კრამიტის ნატეხებისაგან.

მე-7 საძიებო თხრილში გამოვლენილი კედლის ნაწილი (8×2 მ), კონსტრუქციის მიხედვით, ანალოგიურია ადრე სარკინეში და მცხეთაში გათხრილი კედლებისა. თხრილის მთელ სიგრძეზე ჩნდებოდა მოწითალო-მოვარდისფრო ფენა და გამომწვარი ალიზის ნატეხები, აგრეთვე ორივე ტიპის კრამიტის ფრაგმენტები.

საანგარიშო წელს საძიებო გათხრებმა დაგვანახა, რომ სარკინეში კედლები შენდებოდა ტერასულად. თავდაპირველად ფერდობზე იქმნებოდა 8—10 მ სიგრძის მოედნები, რომელთა ნაპირები მაგრდებოდა დამუშავებული ქვებით. საფუძვლის მომზადებაში გამოიყენებოდა ქვატეხილებიც. ასეთ მომზადებულ საძირკველზე აწყობდნენ ალიზის აგურებს, რომელიც ქმნიდა ქალაქის თავდასაცავ კედელს. სამშენებლო მასალად დიდი რაოდენობით გამოუყენებიათ ხის ძელები.

რელიეფისა და ალიზის კედლების მშენებლობის ტექნიკის გათვალისწინებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ელინისტურ ხანაში ქალაქ სარკინეს ჩრდილო-დასავლეთ მხრიდან იცავდა სასიმაგრო ზღუდე, რომელიც აგებული იყო ალიზის აგურებით, ქვის საფუძველზე.

## მუხათგვერდი II

1980-81 წწ. მცხეთის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიციის მუხათგვერდის რაზმი[1] აგრძელებდა საველე არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას მრავალფენიან ძეგლზე — მუხათგვერდი II სამაროვანზე (სურ. 100—185).

მუხათგვერდი II მდებარეობს მცხეთის შემოგარენში, სოფ. მუხათგვერდთან, მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, საქართველოს სამხედრო გზის მე-19 კმ-ზე.

საანგარიშო წელს გაითხარა 1200 კვ. მ მიწის ფართობი[2]. გამოვლინდა სამი ქრონოლოგიური ფენა: ადრებრინჯაო, გვიანბრინჯაო-ადრერკინა და ადრეანტიკური.

სტრატიგრაფიულად ფენებს შემდეგი განლაგება ჰქონდა: ადრებრინჯაოს ხანის ძეგლები გვიანბრინჯაოს ხანის სამარხების ქვეშ იყო მოქცეული, რის

---

[1] რაზმის უფროსი — ლ. ხეცურიანი. წევრები: თ. ჰანიშვილი, მ. ფეოდოროვა, ზ. ლეკაშვილი, თ. ნოზაძე. მხატვრები: ე. გომარელი, მ. ლოლიშვილი; ფოტოგრაფები: ი. მაღრაძე, ს. რუნიხინი, ვ. ასტახოვი; ინჟინერ-გეოდეზისტები: ვ. მახარაშვილი, აკ. კუცია; ანთროპოლოგები: მ. რჩეულიშვილი, ნ. კილაძე.

[2] გათხრები დააფინანსა საქ. სსრ გზათა მშენებლობის სამინისტრომ.

გამოც ისინი ძლიერ იყო დაზიანებული. გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამარხებს ეკავათ სამაროვნის ჩრდილო და ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი, ადრეანტიკური ხანის ქვაყუთებს — სამხრეთი. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პერიოდის სამარხები განცალკევებული იყვნენ ერთმანეთისაგან და სამაროვნის განსაზღვრული ნაწილი ეკავათ, ადრეანტიკური ხანის რამდენიმე სამარხი ჰქონდა დაზიანებული.

ადრებრინჯაოს ხანა წარმოდგენილი იყო ოთხი სამეურნეო ორმოთი, სამი კერით და ნასახლარის ნაშთებით (სურ. 100—104).

**ორმო № 1.** მრგვალი ფორმისაა (დმ — 1,60 მ), ქვაყრილიანი, აღმოჩნდა მიწის ზედაპირიდან 0,70 მ-ის სიღრმეზე. ქვაყრილის მოხსნის შემდეგ ორმოს ძირამდე ინტენსიურად ჩნდებოდა შავპრიალა და ვარდისფერსარჩულიანი თიხის ჭურჭლის ნატეხები (სხვადასხვა ზომის ქილები, ცილინდრული ჭურჭელი, ნახევარსფერული, ზურგწიბოიანი ყურებით), ობსიდიანის ანატკეცები, წვრილფეხა საქონლის ძვლის ფრაგმენტები. შეიმჩნეოდა ცეცხლის კვალი.

**ორმო № 2.** მრგვალი ფორმისაა (დმ — 1,05 მ), ქვაყრილიანი. აღმოჩნდა მიწის ზედაპირიდან 0,30 მ-ის სიღრმეზე. ჭრილში მსხლისებური მოყვანილობა ჰქონდა (ძირის დმ — 1,55; სიღრმე — 1,60 მ). ორმო შევსებული იყო ქვაყრილით (1,40 მ-დე). ძირზე აღმოჩნდა თიხის ჭურჭლის ნატეხები, წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონლის ძვლები (ნაწილი დამწვარი) და ნაცროვანი ფენა.

**ორმო № 3.** მრგვალი ფორმისაა (დმ — 1,40 მ). დაზიანებული, აღმოჩნდა მიწის ზედაპირიდან 0,95 მ-ის სიღრმეზე. ორმოს ზედაპირი მუქი ფერის ლაქებით იყო დაფარული და კარგად გამოირჩეოდა თიხნარ ნიადაგში. ორმოს ზედაპირიდან 0,10 მ-ის სიღრმეზე აღმოჩნდა თიხის ჭურჭლის ნატეხები (შავად ნაპრიალები, ვარდისფერსარჩულიანი), წვრილფეხა საქონლის ძვლები, რიყის ქვები და ქვიშაქვის ნატეხები.

**ორმო № 4.** მრგვალი ფორმისაა, აღმოჩნდა მიწის ზედაპირიდან 0,40 მ-ის სიღრმეზე. ორმო ამოვსებული იყო ნაცროვანი ფენით. ფენა (0,60 მ). შეიცავდა თიხის ჭურჭლისა და ცხოველის ძვლის ფრაგმენტებს.

სამაროვანზე აღმოჩნდა ორი კერა: № 1 კერა აღმოჩნდა № 29 სამარხის ქვაყრილის ქვეშ, მიწის ზედაპირიდან 0,65 მ-ის სიღრმეზე. ოვალური ფორმის, სამშვერილიან (შვერილები ნაწილობრივ იყო შემორჩენილი). კერას (0,70×0,60 მ) ძირი არ ჰქონდა. იგი ამოვსებული იყო ნაცრით, ნახშირით და მიწით. კერის ირგვლივ, განსაკუთრებით კი მის სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს დადასტურდა მოწითალო-მოვარდისფრო ფენა, რომელიც გვიანბრინჯაოს ხანის სამარხებს (№ 29, 65, 66) დაუზიანებიათ.

№ 2 კერა აღმოჩნდა № 53 ქვაწრიანი სამარხის ცენტრში, ქვაყრილის ქვეშ. იგი სამარხეულ ორმოს დაუზიანებია. შემორჩენილი იყო მხოლოდ ნაწილობრივ. კერის ირგვლივ დადასტურდა შავად ნაპრიალები და ვარდისფერსარჩულიანი თიხის ჭურჭლის ნატეხები.

მუხათგვერდი II ადრებრინჯაოს ხანის ძეგლი მსგავსია აღმოსავლეთ საქართველოს თანადროული ძეგლებისა (ქვაცხელები, იმირის გორა, გუდაბერტყა, ილტო და სხვ.) და წინასწარულად ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრით თარიღდება.

მუხათგვერდი II სამაროვანზე გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის 21 სამარხი წარმოდგენილი იყო შემდეგი ძირითადი სახეობით: ქვაყრილიანი (№№ 29, 45, 46, 48, 53, 55, 56, 57, 62), ქვაწრიანი (№№ 28, 30, 42, 43, 52, 58), ძელსამარხით (№ 59) და ოთხი ორმოსამარხით (№№ 32, 54, 65, 66)[3].

აღნიშნული სამარხები რიგი თავისებურებებით გამოირჩეოდა:

ქვაწრიან ორმოსამარხებში გადახურვის ორი სახესხვაობა შეინიშნება: ა) ორმოსამარხები, რომელთა სახურავად ქვის ფილებია გამოყენებული (№№ 28, 30, 42, 43, 52) და ბ) ორმოსამარხი, რომლის თავზე ქვაყრილი იყო გამართული (58).

ქვაყრილიან ორმოსამარხებშიც ორი სახესხვაობა გვხვდება: ა) სამარხები, რომელთა წრის შიდა სივრცე მთლიანად იყო შევსებული ქვაყრილით (№№ 29, 55, 56) და ბ) სამარხები, რომლებშიც დასაკრძალავ ორმოსა და ქვაწრეს შორის დარჩენილი სივრცე მიწითა და აქა-იქ მიმოფანტული რიყის ქვებით იყო შევსებული.

ორმოს გადახურვაში გამოიყოფოდა: ა) სამარხები, რომელთა ქვაყრილის ალაგების შემდეგ ორმოში 0,25—0,60 მ-ის სიღრმეზე ქვის მასიური ლოდები ეწყო (№ 48) და ბ) სამარხები, რომელთა ქვაყრილის ქვეშ დასაკრძალავი ორმოს თავზე მცირე ქვაყრილები დადასტურდა (№ 29, 55, 56).

ცალკე უნდა გამოიყოს სამარხის საინტერესო სახეობა — ძელსამარხი — № 59, თიხნარ ნიადაგში საგანგებოდ გაჭრილ დასაკრძალავ ორმოში ჩადგმული ხის ძელებით შეკრული სამარხი-ნაგებობა, რომელიც ქვიშაქვის ფილის ნატეხებითა და რიყის ქვებით იყო გამაგრებული და ქვიშაქვის ორი ფილით გადახურული.

მუხათგვერდი II სამაროვანზე გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამარხებში ძირითადად დაკრძალვის ერთგვაროვანი წესი დადასტურდა. თითქმის ყველა სამარხი ინჰუმაციური და ინდივიდუალურია. მიცვალებულები დაუკრძალავთ ხელ-ფეხმოკეცილი, მარჯვენა (მამაკაცები), ან მარცხენა (დედაკაცები) გვერდზე, ძირითადად ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისკენ დამხრობილნი.

ზოგიერთ სამარხში (№№ 30, 32, 48, 52, 53) დადასტურდა სარეცელისა და საფენის ნიშნები. მხოლოდ ორ სამარხში (№ 65, 66) აღმოჩნდა სასთუმლად გამოყენებული რიყის ქვები.

---

[3] სამარხები დაზიანებული იყო, მათი სახეობა ვერ დადგინდა და პირობითად ვუწოდებთ ორმოსამარხებს.

სამაროვანზე დადასტურდა სამარხი — კენოტაფები (№ 28, 29, 55), რომლებიც წარმოდგენილი იყო სამარხთა ორი ტიპით: ქვაწრიანი და ქვაყრილიანი.

მუხათგვერდი II სამაროვანზე გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამარხებში მოპოვებული მასალა მრავალფეროვანია.

გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამარხები აღნაგობით, დაკრძალვის წესითა და ინვენტარით პარალელებს პოულობს აღმოსავლეთ საქართველოს თანადროულ ძეგლებზე (სამთავრო, თრელი, ნარეკვავი, კასპი, მადნისჭალა და სხვა) და ძვ. წ. VIII—VII სს. თარიღდება [1, 2, 3, 5, 6, 7, 8].

მუხათგვერდი II სამაროვანზე საანგარიშო წელს გაითხარა ადრეანტიკური ხანის 14 სამარხი.

მცირე ზომის (1,10×0,70 მ) სწორკუთხედის ფორმის ბანურსახურავიანი ქვაყუთები ქვიშაქვის ფილებით იყო შეკრული. სამარხები მიწის ზედაპირიდან 0,35—1,20 მ-ის სიღრმეზე იყო ჩადგმული, სილანარევ-თიხნარ ნიადაგში.

ყველა სამარხი ინდივიდუალური იყო. მიცვალებული დაუკრძალავთ ძლიერ ხელ-ფეხ მოკეცილი, მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთისაკენ დამხრობილი. გამონაკლისი იყო სამარხი № 37, სადაც მიცვალებული დაუკრძალავთ ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ.

ყველა სამარხში მიცვალებულს თავი სასთუმალზე (რიყის ქვა ან ქვიშაქვის ნატეხი) ედო.

შვიდ სამარხში (№№ 33, 35, 36, 38, 51, 61) დადასტურდა ალაპის (წვრილფეხა საქონლის) ნაშთი.

სამარხეული კომპლექსები წარმოდგენილია თიხის ჭურჭლით (შავად ან მოჩალისფროდ გამომწვარი და წითლად შეღებილი ხელადები; ქოთნები, ჯამები, კოჭბები, ლანგრები), სამკაულით (ზედაპირდაბურთული რკინის სამაჯურები, ბრინჯაოსა და რკინის საკინძები, სხვადასხვა მასალისა და ფორმის მძივები) და იარაღით (რკინის შუბისპირები და მოხრილი დანები).

აღნიშნული სამარხები აღნაგობით, დაკრძალვის წესითა და ინვენტარით უახლოეს ანალოგებს პოულობს აღმოსავლეთ საქართველოს თანადროულ ძეგლებზე (კამარახევი, ღრმახევისთავი, გომარეთი და სხვ.) და ძვ. წ. IV—III სს. თარიღდება) [10, 11, 12, 13].

საილუსტრაციოდ აღვწერთ გვიანბრინჯაო-ადრერკინისა და ადრეანტიკური ხანის რამდენიმე სამარხს.

სამარხი 30.
სურ. 112, 113;
21. 11. 80; XII,
11, 12; 0. 57;
NO — SW;
2×1,80 მ.

ქვიშაქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხია, რომელსაც ჩრდილო-აღმოსავლეთიდან რიყის ქვებისაგან შედგენილი ნახევარწრე ერტყა. სამარხის ორმო თიხნარნიადაგში იყო გაჭრილი, მას კუთხეებმომრგვალებული ოთხკუთხედის ფორმა ჰქონდა და გადახურული იყო სამი მოზრდილი და ორი მცირე ზომის ქვიშაქვის ფილით.

სამარხი ინდივიდუალური იყო. მასში აღმოჩნდა მიცვალებულის ძლიერ დაშლილი და ფრაგმენტირებული ქვედა კიდურები. მათი განლაგების მიხედვით მიცვალებული დაკრძალული ყოფილა ხელ-ფეხმოკეცილ მდგომარეობაში, მარცხენა გვერდზე; ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისაკენ. მიცვალებული დასვენებული ყოფილა სარეცელზე, რომელიც ერთმანეთის მიმართ პარალელურად განლაგებულ ქვიშაქვის ორ ლოდზე ყოფილა გამართული სურ. 113.

სამარხში აღმოჩნდა:

1 (01/11—II—304; სურ. 120). ლანგარი თიხისა, ლეგა-მონაცრისფრო, გვერდჩაღარული, კალთადაქანებული, ბრტყელძირიანი. სიმაღლე — 8,3; დმ. პირის — 28,3; ძირის — 12 სმ.

2 (01/11—II—305; სურ. 117). კოჭობი თიხისა, მოშავო, პირი ოდნავ გადაშლილი აქვს, ყელი — დაბალი, ტანი — ბიკონუსური, ძირი — ვიწრო და ბრტყელი. სიმაღლე — 9, დმ. პირის — 6; მუცლის — 12; ძირის — 5 სმ.

3. (10/11—II—306; სურ. 119). ქოთანი თიხისა, შავი ფერის, პირი ოდნავ გადაშლილი აქვს, ბაკო-შესქელებული, მუცელი — გამობერილი, ძირი — ვიწრო და ბრტყელი. მხარზე სამი ფართო ჩაღარული სარტყელი დაუყვება, მუცელზე — ორი ვიწრო, მათ შორის კი ნაპრიალები ბადური ორნამენტია დატანილი. სიმაღლე — 23,5, დმ. პირის — 16,5, მუცლის — 28, ძირის — 9,5 სმ.

4. (01/11—II—307; სურ. 116). ტოლჩა თიხისა, ლეგა ფერის, წელში ოდნავ გამოყვანილი, ძირდაქანებული, ზოომორფულყურიანი, ტანი გოფრირებული აქვს. სიმაღლე — 13,5, დმ. პირის — 12, ძირის — 6,3 სმ.

5. (01/11—II—308). ტოლჩა თიხისა, ანალოგიური № 307-ს.

6. (10/11—309; სურ. 118), ქოთანი თიხისა, ლეგა ფერის, შემორჩენილია ძირისა და კალთის ნაწილი.

7. (01/11—II—310). ხელადა თიხისა, მოყავისფრო, დაშლილია. აღდგენა ვერ მოხერხდა.

8. (01/11—311; სურ. 115). სასმისი თიხისა, ლეგა ფერის, კასრისებრი ფორმის, პირისა და ძირისაკენ ოდნავ შევიწროებული. პირს ქვემოთ ორი ამოღარული ზოლი შემოუყვება. სიმაღლე — 11,0; დმ. პირის — 4,8; მუცლის — 7,5; ძირის — 3 სმ.

თიხის ყველა ჭურჭელი აღმოჩნდა სამარხის ჩრდილო კედელთან, მიცვალებულის ტანის გასწვრივ.

9. (01/11—II—312; სურ. 114). სატევარი ბრინჯაოსი, ფოთლისებური, ვიწროქედიანი. სიგრძე — 19 სმ. ქვიშაქვის ფილის სადგარზე იდო.

10. (01/11—II—313; სურ. 121). საკინძი ბრინჯაოსი, თავხვია, ღეროზე წიწვოვანი ორნამენტია დატანილი. სიგრძე — 9,0 სმ. სამარხის ცენტრალურ ნაწილში.

11. (01/11—II—314; სურ. 122). მახათი ბრინჯაოსი, თავჩაბრუნებული, სიგრძე — 13 სმ. ქვიშაქვის ფილის სადგარზე იდო, სატევრის გვერდით.

12. (01/11—II—315). მძივები, სარდიონის (1 ც) სფერული; პასტის (1 ც) ბიკონუსური, ბრინჯაოსი (1 ც) კასრისებრი. მიმოფანტული იყო ტოლჩასთან (№ 308).

13. (01/11—II—316). ხვია ბრინჯაოსი, იმავე ტოლჩის ქვეშ იდო.

**სამარხი 48. 19. 11. 80; XII, 10—11; 0.50**

ქვაყრილიანი ორმოსამარხია (დმ — 4 მ), ქვაყრილის ალაგების შემდეგ მის ცენტრალურ ნაწილში 0,25 მ-ის სიღრმეზე გამოჩნდა ქვიშაქვის ლოდები, რომლითაც გადახურული ყოფილა სამარხეული ორმო. სახურავი შედგებოდა ქვიშაქვის მასიური, უხეშად დამუშავებული სამი დიდი ლოდისაგან (2,40×2,10 მ), რომელთა შორის სიცარიელე შევსებული იყო ქვიშაქვის ფილის ნატეხებით. ფილებს ირგვლივ, წრიულად შემოუყვებოდა რიყის ქვები.

სამარხეული ორმო თიხნარი მიწით იყო ამოვსებული. მასში დაკრძალული იყო 35—40 წლის დედაკაცი. ხელ-ფეხმოკეცილ მდგომარეობაში, მარცხენა გვერდზე, თავით ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ (სურ. 123—125).

სამარხში აღმოჩნდა:

1. (01/11—II—437; სურ. 128). კოჭობი თიხისა, ლეგა-მოყავისფრო, პირი გადაშლილი აქვს, მუცელი ბიკონუსური, ძირი ვიწრო და ბრტყელი. მხრები გოფრირებულია. სიმაღლე — 7,8; დმ. პირის — 10,8; მუცლის — 11,7; ძირის — 6 სმ.

2. (01/11—II—438; სურ. 130). ქოთანი თიხისა, მოშავო-მონაცრისფრო, პირი ფართო და გადაშლილი აქვს, ყელი — დაბალი, მუცელი — გამობერილი, ძირი — ვიწრო და ბრტყელი. მხარზე და ძირის პირზე შემოუყვება ფრჩხილისებური ორნამენტი. მუცელზე ნაჭდევი ხაზების ორნამენტი დაუყვება. სიმაღლე — 15,3; დმ. პირის — 13,4; მუცლის — 17,7; ძირის — 7 სმ.

3. (01/11—II—439; სურ. 126) დოქი თიხისა, შავად ნაპრიალები, ლილვაკისებრი პირი გადაშლილი აქვს, ყელი მაღალი, ძაბრისებრი, მხრები — დაქანებული, მუცელი — ცილინდრული, ძირი — ფართო და ბრტყელი. განივკვეთში მრგვალი ყური მიძერწილი უნდა ყოფილიყო მხარზე და ყელზე. პირს ქვევით ყელზე შემოუყვება ფართოდ ჩაღარული ოთხი სარტყელი. მხრებზე ყელს ქვემოთ და მუცლის პირზე შემოუყვება ორ-ორი ჩაღარული სარტყელი. სიმაღლე — 23,2; დმ. პირის — 10,6; ყელის — 7; მუცლის — 17,6; ძირის — 15,3 სმ.

4. (01/11—II—440; სურ. 131). ლანგარი თიხისა, მოყავისფრო-მოშავო, ბაკო მომრგვალებული აქვს, გვერდი — შვეული, კალთა — დაქანებული, ძირი — ბრტყელი და ვიწრო, ოდნავ გამოყვანილი, სიმაღლე — 8,4; დმ. პირის— 27,2; ძირის — 8,5 სმ.

5. (01/11—II—441; სურ. 127). ქილა თიხისა, შავი ფერის, ბაკომომრგვალებული, პირი გადაშლილი აქვს, ყელი — გამოყვანილი, მუცელი — კვერცხისებრი. ძირი — ვიწრო და ბრტყელი. მრგვალნახვრეტიანი, ნახევარწრიული ფორმის პატარა ზომის ყურები მუცელზე აქვს ღაძერწილი. მხარზე შემოუყვება ნაკაწრი, ტეხილხაზოვანი და ამოღარული სარტყლები, ორი ნაკაწრი სარტყელი შემოუყვება მუცელზეც. მათ შორის მოთავსებულია ბადისებრი და წიწვოვანი ორნამენტით შემკული ნაპრიალები სახეები. სიმაღლე — 22,0; დმ. პირის — 8,5; ყელის — 7,5; მუცლის — 17,5; ძირის — 8 სმ.

6. (01/11—II—442; სურ. 132). კოჭობი თიხისა, მოშავო-მოყავისფრო, ბაკომომრგვალებული პირი ოდნავ გადაშლილი აქვს, ყელი — დაბალი, მუცელი — ბიკონუსური, ძირი — ბრტყელი, გამოყვანილი. სიმაღლე — 7,1; დმ. პირის — 5,3; მუცლის — 8,1; ძირის — 4,7 სმ.

7. (01/11—II—443; სურ. 129). ტოლჩა თიხისა, ლეგა-მონაცრისფრო, წელში გამოყვანილი, ძირდაქანებული, ბრტყელძირიანი, განივკვეთში მრგვალი, ზოომორფული ყური აქვს. სიმაღლე — 12,2 სმ.

8. (01/11—II—444). ქვაბქოთანა თიხისა, ლეგა ფერის, გოფრირებულტანიანი, აღდგენა ვერ მოხერხდა.

9. (01/11—II—445). ქოთანი თიხისა, მონაცრისფრო, აღდგენა ვერ მოხერხდა.

თიხის ყველა ჭურჭელი, მიცვალებულის ზურგსუკან და ქვედა კიდურების გასწვრივ ეწყო. მხოლოდ № 442 კოჭობი იდო სახის წინ.

10. (01/11—446; სურ. 133). მახათი ბრინჯაოსი, თავჩაბრუნებული, ღერო განივკვეთში მრგვალი აქვს. სიგრძე — 12 სმ. სამარხის S კუთხეში აღმოჩნდა.

11. (01/11—II—447; სურ. 135). საკინძი ბრინჯაოსი, სფერულთავიანი, განივკვეთში მრგვალღეროიანი, თავს ქვემოთ ორი სარტყელი და ოვალური ნახვრეტი აქვს. სიგრძე — 10,8 სმ. თავის ქალას უკან იდო.

12. (01/11—II—448; სურ. 134). საკინძი ბრინჯაოსი, ლურსმისებრთავიანი, განივკვეთში მრგვალღეროიანი, თავს ქვემოთ ორი სარტყელი და ოვალური ნახვრეტი აქვს. სიგრძე — 10,3 სმ. თავის ქალას ქვეშ აღმოჩნდა.

13. (01/11—II—449). კვირისტავი ძვლის, დმ — 3,7 სმ. ტერფის ძვალზე იდო.

14. (01/—II—450; სურ. 136). მძივები სარდიონისა (51 ც.) შვინდისნაყოფისებრი, მრგვალბრტყელი. კისრისა და გულმკერდის არეში იყო მიმობნეული.

სამარხი 50.
ნ. 12. 80. XV—11,
0. 92; NO — SW;
2×1,70 მ.

თიხნარ ნიადაგში საგანგებოდ გაჭრილ დასაკრძალავ ორმოში ჩადგმული ხის ძელებით შეკრული სამარხი-ნაგებობაა. იგი ქვიშაქვის ნატეხებითა და რიყის ქვებით იყო გამაგრებული და ქვიშაქვის ორი ფილით გადახურული (სურ. 159—161).

სამარხში დაკრძალული იყო 45—50 წლის მამაკაცი, კიდურებმოხრილ მდგომარეობაში, მარჯვენა გვერდზე, თავით ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ.

სამარხში აღმოჩნდა:

1. (01/11—II—526; სურ. 166). ლანგარი თიხისა, ლეგა-მოშავო ფერის, ბაკო — დაბრტყელებული, გვერდებჩაღარული, კალთა დაქანებული აქვს. ძირი ბრტყელი. სიმაღლე — 10,5 სმ, დმ პირის — 32,5 სმ, ძირის — 12,3 სმ, სამარხის SW კუთხეში.

2. (01/11—II—527; სურ. 162). ღერგი თიხისა, მოშავო-ნაცრისფერი, პირი გადაშლილი აქვს, ყელი — დაბალი, ცილინდრული, მუცელი — მსხლისებრი მოყვანილობის, ძირი ფართო და ბრტყელი, განივკვეთში ოთხკუთხა ყურები, მუცელზეა დაძერწილი. სიმაღლე — 27 სმ, დმ. პირის — 18,5 სმ, მუცლის — 28,5 სმ, ძირის — 11.5 სმ. სამარხის SW კუთხეში.

3. (01/11—II—528; სურ. 163) დოქი თიხისა, მონაცრისფრო, პირი გადაშლილი აქვს, ყელი — მაღალი, ძაბრისებრი, მუცელი — გამობერილი, ძირი — ბრტყელი, განივკვეთში ოვალური, ყური ყელზე და მუცელზეა დაძერწილი. სიმაღლე — 26,5 სმ, დმ. პირის — 11,5 სმ, მუცლის — 26 სმ, ძირის — 12,6 სმ. სამარხის W კედელთან.

4. (01/11—II—529; სურ. 164). ჯამი თიხისა, მონაცრისფრო, გვერდჩაღარული, ფართო და ბრტყელი ძირი აქვს. სიმაღლე — 4,3 სმ, დმ. პირის — 15 სმ, ძირის — 7,2 სმ, სამარხის NW კუთხეში.

5. (01/11—II—530; სურ. 165). ქოთანი თიხისა, ლეგა ფერის, პირი გადაშლილი აქვს, ყელი — დაბალი, მუცელი — გამობერილი, ძირი — ბრტყელი, განივკვეთში ოვალური ყური მუცელზეა დაძერწილი. სიმაღლე — 12,9 სმ, დმ. პირის — 12,2 სმ, მუცლის 14,8 სმ, ძირის — 7 სმ. სამარხის N კედელთან.

6. (01/11—II—531; სურ. 167). კოჭობი თიხისა, მონაცრისფრო, პირი გადაშლილი აქვს, ყელი — დაბალი, მუცელი — გამობერილი, ძირი — ბრტყელი, სიმაღლე — 7,6 სმ, დმ. პირის — 5 სმ, მუცლის — 10,1 სმ, ძირის — 4,5 სმ. მიცვალებულის სახის წინ.

7. (01/11—II—532; სურ. 178). სარტყელი ბრინჯაოსი, სიგრძე — 97 სმ, მიცვალებულის მენჯის ძვლის უკან.

8. (01/11—II—533; სურ. 172). სატევარი რკინისა, ბრინჯაოსტარიანი, სიგრძე — 30,4 სმ, ტარის სიგრძე — 11,7 სმ. სარტყლის ქვეშ იყო.

9. (01/11—II—534; სურ. 173). მახვილი რკინისა; ბრინჯაოსტარიანი, სიგრძე — 66,8 სმ, ტარის სიგრძე — 10,9 სმ. მიცვალებულის წინ, ტანის გასწვრივ იდო.

10. (01/11—II—535; სურ. 174). დანა რკინისა, მოხრილი, ძლიერ დაჟანგული. სიგრძე — 10 სმ. მიცვალებულის ტერფის ძვლებთან.

11. (01/11—II—536; სურ. 177). ღილები ბრინჯაოსი (7 ც.) ბრტყელი, ორი ნახვრეტი აქვს. მიცვალებულის ნეკნებს შორის იყო მიმოფანტული.

12. (01/11—II—537—540; სურ. 168—171). სამაჯურები ბრინჯაოსი (4 ც.) ღერო განივკვეთში მრგვალი. ზურგდაკეჴნილი. ორი — მიცვალებულს ეკეთა მარცხენა მაჯაზე, ორი კი სამარხის N კუთხეში იდო.

13. (01/11—541). შუბისპირი რკინისა, მასრაგახსნილი, დაშლილი და ძლიერ დაჟანგული. მიცვალებულის მარჯვენა ბარძაყის ძვლის გასწვრივ იდო.

14. (01/11—II—542; სურ. 176). კილიტები ბრინჯაოსი (3 ც.), ნახევარსფერული, შუაში ღეროთი. მიცვალებულის მარჯვენა მუხლთან აღმოჩნდა.

15. (01/11—II—543). ისრისპირები რკინისა (5 ც.) ორფრთიანი მიცვალებულის გულმკერდის არეში ეწყო.

16. (01/11—II—544). რკინის ღარისებრი ნივთი გაურკვეველი დანიშნულების, ქვედა კიდურებთან ეწყო.

17. (01/11—II—545). შუბისპირი რკინისა, მასრაგახსნილი, ძლიერ დაჟანგული და დაშლილი. სარტყელთან იდო.

18. (01/11—II—546). რკინის ღარისებრი ნივთი, გაურკვეველი დანიშნულების. მარჯვენა ბარძაყის ძვალთან იდო.

19. (01/11—II—547—548; სურ. 175). მძივები მინისა (2 ც.) და პასტის (3 ც.) მიცვალებულის ზედა კიდურებს შორის იყო მიმობნეული.

სამარხი № 39. 16. 09. 80; XIV. 8; 0,81; SO — NW; 1,15×0,63×0,51. პატარა ზომის ქვაყუთია, გეგმაში წაგრძელებული ოთხკუთხედის მოყვანილობის. სამარხი შეკრული იყო ქვიშაქვის ხუთი ფილით (სურ. 179—180).

მიცვალებული (50—55 წლის მამაკაცი) დაუკრძალავთ ძლიერ ხელ-ფეხმოკეცილ მდგომარეობაში მარცხენა გვერდზე, თავით სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ.

სამარხში აღმოჩნდა:

1. (01/11—II—368: სურ. 181). ხელადა თიხისა, მოჩალისფრო, პირი გადაშლილი აქვს, ყელი ფართო, მუცელი გამობერილი, ძირი ფართო და ბრტყელი, განივკვეთში მრგვალი ყური დაძერწილი აქვს პირზე და მხარზე. ყურის მოპირდაპირე მხრიდან ვერტიკალურად არის აღმართული მილი. სიმაღლე — 17,0 სმ. დმ. პირის — 8.7 სმ, მუცლის — 16,5 სმ, ძირის — 8,7 სმ. სამარხის W კუთხეში იდო მიცვალებულის ტერფებთან.

2. (01/11—II—369: სურ. 182). ჯამი თიხისა, მოყავისფრო-მოშავო, ღრმა, კალთა დაქანებული აქვს, ძირი ფართო და ბრტყელი, სიმაღლე — 8,6 სმ, დმ. პირის — 21.6 სმ. ძირის — 12.5 სმ. სამარხის N კუთხეში.

3. (01/11—II—370). დანა რკინისა, ძლიერ დაჟანგული და ფრაგმენტირებული. მიცვალებულის მარჯვენა მაჯასთან.

4. (01/11—II—468). შუბისპირი რკინისა, ძლიერ დაჟანგული და ფრაგმენტირებული. N გრძივი კედლის გასწვრივ იდო მიცვალებულის თავის ქალას უკან.

5. (01/11—II—371; სურ. 183). სამაჯური რკინის, დაჟანგული, ორი ნატეხი. მიცვალებულის გულ-მკერდის არეში.

6. (01/11—II—372; სურ. 184). სამაჯური რკინის, დაჟანგული, სამი ნატეხი. მიცვალებულის გულმკერდის არეში.

7. (01/11—II—373; სურ. 185). მძივები, სარდიონის (3 ც.), პასტის (1 ც.) ინკრუსტირებული. გულმკერდის არეში იყო მიმოფანტული.

А. АПАКИДЗЕ, В. НИКОЛАИШВИЛИ, А. СИХАРУЛИДЗЕ, Т. БИБИЛУРИ, Г. ГИУНАШВИЛИ, М. ДЗНЕЛАДЗЕ, Ш. ИРЕМАШВИЛИ, Г. МАНДЖГАЛАДЗЕ, В. САДРАДЗЕ, Л. ХЕЦУРИАНИ

## ВЕЛИКАЯ МЦХЕТА — 80

**Резюме**

Мцхетская постояннодействующая археологическая экспедиция вела свои работы в основном на новостройках, развернувшихся на территории исторической Великой Мцхета.

В пределах современного города, вдоль Военно-Грузинской дороги были обнаружены мощные культурные слои эллинистической и позднеантичной эпох, а также остатки сооружений раннефеодального периода. В культурных слоях оказались впускные погребения III—IV вв.

Вышеперечисленные памятники, частично зафиксированные на протяжении 1 километра, имеют большое значение для выяснения исторической топографии стольного города. Можно лишь сожалеть, что нет возможности расширить траншеи в пределах густозаселенной части города.

У северной окраины города Мцхета, на правом берегу р. Арагви, в ущелье Гартискари, на горе и его склонах продолжались раскопки фортификационных сооружений (рис. 88—92). На склонах Гартискарской горы были выявлены контуры сырцовой стены и башни. Технология строительства такова: на склоне ступенями вырыт фундамент — созданы террасообразно выравненные горизонтальные площадки, на которых устроены основания из булыжника, укрепленного брусьями. На выравненных таким образом площадках (2,80×1,40—3,00 м) возведены сырцовые стены шириной до 3 м.

В отчетном году выявлена четырехугольная башня (размеры внутреннего пространства 4,50×4,50 м), укрепленная контрфорсами, также выложенными из сырцовых кирпичей.

Выявленные в Гартискари материалы — обломки красноангобированных чаш с вогнутым венчиком и поддоном, а также характер кладки, размеры сырца-кирпича (0,62×0,52—0,12 м), технология строительства и т. д. дают основание датировать Гартискарский комплекс эллинистическим периодом.

Фортификационные сооружения, открытые на северной окраине Мцхета, идентифицируются с неприступным укреплением на конечном участке дороги, следовавшей, по Страбону, из северных областей кочевников вдоль р. Арагви (Strabo., II, III, 5) до престольного города Иберии.

Таким образом, постепенно вырисовываются черты «Мцхета Великой», ее фортификационных сооружений и градообразовавшихся поселений, ее округи, исследованием которых в отчетном году успешно занимались самостоятельные отряды на Самтаврском могильнике, Мухатгверди, Саркинэ, Церовани, Набагреби и на Мухранской долине.

В отчетном году самтаврский отряд работал на трех участках г. Мцхета: на улице Сталина и на южном и северном участках Самтаврского могильника (рис. 1—41).

Самый ранний слой, мощностью до 1 метра, — позднеэллинистического времени (II—I вв. до н. э.), сохранился в районе «Карибче». Он представлен керамикой, широко распространенной в позднеэллинистических поселениях в Восточной Грузии. Среди них пифос (квеври), окрашенный красной краской, фрагмент венчика лощеного сосуда красно-коричневого цвета, миски с низким поддоном и вогнутым венчиком разных размеров и окраски и др. (рис. 3—7). В траншее зафиксированы 3 погребения III—IV вв. н. э. Этого же периода были остатки жилых и хозяйственных сооружений, стены которых были выложены как из рваного камня, так и булыжника на глиняном растворе. Для перекрытия были использованы черепицы двух типов — солены и калиптеры. У здания почтового отделения были зафиксированы остатки жилых и хозяйственных помещений начала раннего средневековья.

На южной окраине Самтаврского поля также велись спасательные работы. Было расчищено 7 погребений: два грунтовых, три черепичных, один плинфовый и один каменный ящик. Инвентарь в погребениях малочисленный. Пять из них датируются III—IV вв. н. э., два грунтовых погребения датировались позднеэллинистической и позднебронзовой эпохами.

На этом же участке были выявлены культурные слои — остатки поселения III—IV вв. н. э. Мощность культурного слоя местами достигала более 2-х метров.

Позднеэллинистический слой был представлен всего лишь несколькими фрагментами краснокрашенных мисок с низким поддоном и вогнутым венчиком.

Раскопки велись и в северо-западной части Самтаврского могильника. Исследовались раскопы XCVI и XXII. В гумусном слое было найдено несколько фрагментов керамики с красной росписью и краснокрашенных мисок позднеэллинистического времени.

На глубине от 0,30 до 1.50 м было раскрыто 20 погребений 5 каменных ящиков, 14 грунтовых погребений и одна гробница, составленная из керамических плит.

Из вскрытых погребений к позднеантичной эпохе (III—IV вв.) относятся 4 погребения, остальные были безынвентарными, но, учитывая стратиграфию, на этом участке их пришлось датировать IV—VIII вв.

В позднеантичных погребениях поза погребенных вытянутая, ориентация с востока на запад. Инвентарь малочисленный: перстни с геммами, зеркальца, серьги, бусины, фибулы, браслеты и т. д.

Если топография памятников позднеантичной и раннефеодальной эпох была хорошо известна на территории Мцхета-Самтавро, также вполне закономерным можно считать проявление в нескольких местах ранее неизвестных позднеэллинистических культурных слоев первых веков до н. э.

Отряд Мцхетской постояннодействующей археологической экспедиции продолжал свои работы на территории городища Саркинэ (рис. 47—53).

В отчетном году были завершены топографические съемки и заложено 9 разведочных раскопов.

Значительный интерес представляют раскопы №№ 5, 6, 7, находящиеся северо-западнее от городища.

В раскопе № 7 выявлена часть стены длиною 8 м и шириною 2 м. Стена по своей конструкции аналогична раскопанным ранее на Саркине и на территории Великой Мцхета. В этом же раскопе по всей длине прослеживаются: красновато-розоватый слой, обожженные обломки сырца, а также фрагменты черепиц обоих типов.

Ввиду большой наклонности рельефа стены строились террасообразно: сначала на склоне горы создавались площадки протяженностью 8—10 м, края которых, видимо, закреплялись обработанными камнями. В подготовке основания использован и рваный камень. На подготовленном таким способом фундаменте покоилась выложенная сырцовыми кирпичами стена городища. В качестве строительного материала использовалась и древесина — найдено большое количество обгоревших бревен.

Учитывая рельеф и технику строительства сырцовых стен, нетрудно убедиться в том, что северо-западная сторона городища Саркине в эллинистическую эпоху была ограждена оборонительной стеной, выложенной сырцовыми кирпичами на террасообразных площадках.

В 1980 году Мухатгвердским отрядом была раскопана значительная часть могильника (около 1000 м² площади).

На могильнике Мухатгверди II были раскопаны две хозяйственные ямы и остатки поселения раннебронзового века, ямные

погребения позднебронзово-раннежелезной эпох и каменные гробницы эллинистического времени (рис. 100—185).

В округлых ямах, на глубине 0,70—0,80 м от нынешней поверхности, обнаружены: глиняная посуда, отщепы обсидиана, фрагменты костей мелкорогатого скота. Заметны следы огня. Обнаруженная в этих ямах посуда (большие горшки, горшочки, посуда цилиндрической формы, миски с чернолощенной поверхностью, с розовой подкладкой, грушевидным туловищем, полусферическими, рельефными ушками и др.) по технике изготовления и своей форме приближается к материалам поздней ступени Куроаракской культуры Хизанаант-гора, Грмахевистави, Шулавери, Квацхелеби и т. д. и датируется второй половиной III тысячелетия до н. э.

Среди грунтовых погребений, раскопанных в отчетном сезоне, своим устройством выделяется захоронение, перекрытое каменными плитами и окаймленное каменной насыпью в виде полукруга (полумесяца). Это, по всей вероятности, кенотаф, судя по могильному инвентарю (горшки, горшочки и т. д.), и датируется XIII—XII вв. до н. э.

Продолжалось выявление и изучение гробниц эллинистической эпохи. Было раскопано 10 гробниц этой эпохи, представляющих собой каменные ящики с плоским перекрытием из песчаниковых плит. Захоронения оказались индивидуальными, и покойники, как правило, лежали в скорченном положении с сильно согнутыми конечностями на левом или правом боку. Они были ориентированы с юго-востока на северо-запад.

Выявленные на Мухатгверди II раннеэллинистические погребения по конструкции погребальных сооружений, типологии, обряду захоронения, а также по инвентарю (кувшины черного и палевого обжига, миски, горшки, маленькие горшочки, несколько экземпляров краснокрашенной посуды, браслеты с рубчатой поверхностью, серьги с просверленными концами, бусы различной формы и материала) имеют аналогии с синхронными памятниками Восточной Грузии (Грмахевистави, Гомарети, Камарахеви и т. д.) и датируются IV—III вв. до н. э.

Церовани-Нареквавский отряд вел работы на могильниках Церовани I, II, III, IV.

1. На могильнике Церовани II было изучено 3 грунтовых погребения и 2 хозяйственные ямы, поврежденных строителями. Погребения предварительно датируются позднебронзовым-раннежелезным веком. Керамический материал, добытый из хозяйственных ям, находит параллели с группой памятников Дидубе-Кикети раннебронзовой эпохи.

На могильнике Церовани I выявлены индивидуальные захоронения в грунтовых ямах. Отдельные экземпляры глиняной посуды, засвидетельствованной на могильнике Церовани I, проявляют некоторую близость с керамикой Западной Грузии эпохи поздней бронзы-раннего железа. Могильник датируется XIII—XII вв. до н. э.

2. На могильнике Церовани IV в отчетном году было раскопано 2 погребения. В одном из них покойник, видимо, был уложен на деревянном ложе, которое, можно предположить, опиралось на булыжные камни. Погребальный инвентарь датируется XII—X вв. до н. э.

3. Работы возобновились и на поселении эпохи поздней бронзы Каландадзесгора I, где за отчетный сезон был выявлен интерьер помещения №2. Помещение однокомнатное. Фундаменты стен выложены из булыжных камней на глиняном растворе, на котором, по-видимому, была возведена сырцовая стена.

В левом углу помещения, как обычно, находилась печка для выпекания хлеба.

На утрамбованном глинобитном полу были обнаружены обломки сырпового кирпича и большая корчага.

4. Наряду с вышеуказанным, отряд проводил и разведочные работы, в результате которых в селе Чардахи были выявлены памятники раннебронзовой эпохи.

В отчетном году в Набагреби была раскопана значительная часть могильника (около 700 $м^2$) с целью установления его границ и статиграфии близлежащего холмообразного поселения (Абулетисгора), где было заложено 7 контрольных раскопов (№№ 10—16).

На основном могильнике выявлены 4 грунтовые погребения с каменной насыпью, устроенные в щебнистом слое. Захоронение ингумационное — покойники уложены с согнутыми конечностями на правом боку, головой к западу. Железный меч с бронзовой рукояткой, бронзовые булавки с конусообразной головкой и другой могильный инвентарь дают основание датировать погребения VIII—VII вв. до н. э.

На территории могильника VIII—VII вв. до н. э. выявлены фрагменты стен, видимо, жилых сооружений, выложенных из разного камня на глиняном растворе, характерных для раннефеодальной эпохи.

В контрольных раскопках были засвидетельствованы обломки глиняной посуды эпохи широкого освоения железа (IX—VII вв. до н. э.) и феодального периода. На холмообразном поселении, кроме обломков глиняной посуды, были засвидетельствованы строительные материалы (кирпич, черепица), фрагменты стен феодального периода и каменные ящики той же эпохи.

К западу от села Набагреби в ущелье «Берват-хеви» обнаружены 3 поселения раннефеодальной эпохи и 2 церкви. С поверхности земли были подобраны обломки глиняной посуды эпохи широкого освоения железа и среднефеодального периода.

В отчетном году удалось установить границы распространения могильника эпохи широкого освоения железа.

Раскопанные Набагребским отрядом археологические памятники отчетливо выявили значение торгово-экономической дороги, проходившей по ущелью Хекордзула и связывающей соседние регионы Шида (Внутренней) и Квемо (Нижней) Картли.

ა. აფაქიძე, ვ. ნიკოლაიშვილი, ა. სიხარულიძე, თ. ბიბილური, გ. ზიუნაშვილი, შ. ირემაშვილი, გ. მანჯგალაძე, ვ. სადრაძე, ლ. ხეცურიანი

# დიდი მცხეთა, 1981. საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები

1981 წელს გრძელდებოდა გათხრები და კვლევა-ძიება დიდი მცხეთის ტერიტორიაზე ადრე გამოვლენილ ძეგლებზე. საველე სამუშაოები ჩატარდა ქალაქ მცხეთის ტერიტორიაზე, სადაც კანალიზაციის ქსელისათვის საჭირო თხრილებში ჩნდებოდა სხვადასხვა პერიოდის ნამოსახლართა და სამაროვნის ნაშთები. სამთავროს ცნობილ სამაროვანზე ორი რაზმი მუშაობდა: ერთი სწავლობდა სამაროვანს, მეორე კი — უკანასკნელ წლებში აღმოჩენილ სხვადასხვა პერიოდის ნამოსახლარებს. ნარეკვავზე და წეროვანში გრძელდებოდა ბრინჯაოს ხანის სხვადასხვა ეტაპის ამსახველი ძეგლების შესწავლა. სათოვლე-ნაბაღრებში ექსპედიციის რაზმმა კვლავ მიაკვლია აბულეთის ქვეყნის მატერიალური კულტურის ისტორიის ამსახველ ახალ ძეგლებს. მუხათგვერდთან დასრულდა მრავალფენიანი ძეგლის შესწავლა.

საანგარიშო წელს განახლდა სამუშაოები გრძელ მინდორზე, სადაც 50-იან წლებში მცირე მასშტაბის გათხრები ჩატარდა [14], ხოლო 1976 წელს იქვე სადაზვერვო თხრილები იქნა გავლებული [24]. გრძელ მინდორზე კვლევა-ძიების განახლება გამოიწვია საბაღბოსტნე სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებმა. ასევე ახალმშენებლობასთან იყო დაკავშირებული ნატახტართან აღმოჩენილი შუა ბრინჯაოს ხანის კატაკომბური სამარხების შესწავლა. იქვე დადასტურდა გვიანბრინჯაო-ადრერკინისა და რომაული ხანის ძეგლები.

ამრიგად, 1981 წელს მცხეთის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიცია გათხრებსა და კვლევა-ძიებას ატარებდა 9 დამოუკიდებელ უბანზე.

1980 წლის მიწურულს მცხეთაში, მამულაშვილის ქუჩაზე (ყოფ. არაგვის ქუჩა) კანალიზაციის ქსელისათვის გავლებულ თხრილში (სიგრძე — 15 მ, სიგანე — 0,70 მ) ადრეფეოდალური ხანის ნამოსახლარის ნაშთებთან ერთად აღმოჩნდა გვიანანტიკური ხანის სამაროვნის ნაწილი.

მამულაშვილის ქუჩაზე (01/6—IV; სურ. 186). დადასტურდა შემდეგი სტრატიგრაფია[1]: 1. რიყის ქვის კედლების შემცველი კულტურული ფენა, რომელიც

[1] კულტურული ფენების ნუმერაცია და აღწერა ხდებოდა ზემოდან ქვევით, როგორც ჩვეულებრივ, ხდება მათი გათხრისას.

0,30—0,40 მ-ის სიმაღლეზეა შემორჩენილი და უშუალოდ ასფალტის საფარს ქვეშ — 0,40 მ სიღრმეზე ჩნდება. კედლები ქვატალახზეა ნაგები, წყობა კი პოლიგონალურია (თხრილის სივიწროვის გამო გაძნელებულია ცალკეული შენობების გამოცალკევება-გამოყოფა, მათი გეგმისა და ფუნქციის განსაზღვრა და მით უმეტეს, შეუძლებელია დასახლების ტიპისა და მისი გეგმარების დადგენა). აღნიშნული ფენა წარმოდგენილია მცირე ზომის ცილინდრული მოყვანილობის თონეებით, კრამიტებითა და ადრეფეოდალური ხანისათვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭლის მრავალრიცხოვანი ნატეხებით; 2. მეორე სამშენებლო ჰორიზონტი 0,5 მ უფრო დაბლა მდებარეობს და ფაქტიურად იმეორებს პირველ სამშენებლო დონეზე დადასტურებულ სურათს. იქ ყურადღება მიიქცია დიდი ზომის მოწითალოდ გამომწვარმა თიხის ჭურჭელმა. მას ფართო, ამოღარული პირი ჰქონდა ხუფისათვის. იგი პირჩაქცევით იყო ჩადგმული და თონის მოვალეობას ასრულებდა.

ამავე წელს სატელეფონო კაბელისათვის გავლებულ თხრილში სტალინის ქუჩაზე, მონასტრის ხევსა და რაიკომის შენობას შორის, დადასტურდა სხვადასხვა პერიოდის ნამოსახლართა ნაშთები. აღსანიშნავია გვიანელინისტური ხანის კულტურული ფენის აღმოჩენა, რომელიც გვიანანტიკური პერიოდის ნამოსახლარის ნაშთებს ქვეშ გამოვლინდა, თანამედროვე მიწის ზედაპირიდან 2,00—2,50 მ სიმაღლეზე. ზემოაღნიშნული პერიოდის კულტურული ფენები ადრე დადასტურდა სამთავროს ველის სამხრეთ და ჩრდილო-დასავლეთ მონაკვეთში, აგრეთვე ღართისკარში. ამრიგად, ჩნდება რეალური საფუძველი გვიანელინისტური ხანის მცხეთის ისტორიული ტოპოგრაფიის აღდგენისათვის.

ელინისტური ხანის კულტურულ ფენებში ძირითადად გვხვდება მოწითალო-მოყავისფროდ ანგობირებული თიხის ჭურჭელი: პირმოყრილი ქუსლიანი და ძირბრტყელი ჯამები, პროფილირებული თეფშები, გრეხილყურიანი დოქის ნატეხები, აგრეთვე წითლად შეღებილი ქვევრის ნაწილები. ზემოაღნიშნული მასალები მსგავსია და სინქრონული შიდა ქართლის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ანალოგიური მასალებისა (უფლისციხე [15] ციხეაგორა [16], საყარაულო სერი [17], სამადლო, ნასტაკისი [18; 19]). აღსანიშნავია, რომ მსგავსი თიხის ჭურჭელი მცხეთა-სამთავროს ქვევრსამარხებში დადასტურებული ინვენტარის აუცილებელ ნაწილს წარმოადგენს (33).

ქალაქის ტერიტორიაზე (სვეტიცხოვლის უბანზე) ნამოსახლარის ნაშთებთან ერთად აღმოჩნდა სამარხები, ძირითადად გვიანანტიკური ხანისა. აქედან 11 ქვასამარხია (№ 25, 26, 29, 31, 32, 34, 35, 36, 39, 40, 43), ხუთი თიხის ფილასამარხი (№ 23, 24, 27, 37, 38), სამი კრამიტსამარხი (28, 30, 42) და ორი ორმოსამარხი, ქვის ფილებით გადახურული (№ 1, 42).

მათ შორის ინვენტარის სიუხვითა და მრავალფეროვნებით გამოირჩევა ქვიშაქვის დიდრონი ნათალ-ნაკოდი ფილებით ნაგები ორფერდასახურავიანი სამარხი (№ 25), რომელშიც 18—20 წლის ახალგაზრდა ქალი დაუკრძალავთ. აკლდამა მცხეთა-ქალაქის წარჩინებული ფენის წარმომადგენელი ქალბატონის

განსასვენებელი უნდა იყოს. ამაზე მეტყველებს სამარხში დადასტურებული მინის, ბრინჯაოს, ვერცხლისა და ოქროს ინვენტარი, რომელთა შორის უმეტესია მძივ-სამკაული და ტანისამოსთან დაკავშირებული ნივთები: ყელსაბამის ნაწილები, საკიდები, მძივები, ბეჭდები, ღილაკები და სხვ. სამარხში აღმოჩნდა აგრეთვე ბრინჯაოს მრგვალი მოანთიმონირებული სარკე და ოქროს მონეტა სასანიანი მბრძანებლის არდაშირ I (226—242 წწ.)[2].

აკლდამაში აღმოჩენილ ნივთებს შორის გამოირჩევა მაღალი ხელოვნებით შესრულებული გიშრის მასიური სამაჯური. მას ოქროს ფურცლისაგან დამზადებული ხუთი დატიხრული სარტყელი ამკობს. სარტყლებში 42 პიროპის თვალი ზის. სამაჯური უნიკალურია საქართველოში აქამდე აღმოჩენილ მსგავს სამკაულთა შორის. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მცხეთა-სამთავროს ანტიკური ხანის სამარხებში დიდი რაოდენობით გვხვდება გიშრის სამკაული მძივები, რომელიც ადგილობრივი ნახელავია, რასაც დიდი მცხეთის შემოგარენში თეძმის ხეობაში გიშრის გამოსავლების აღმოჩენაც ადასტურებს[3].

ახლადაღმოჩენილ აკლდამაში დადასტურებული ოქრომჭედლობის ნიმუშების დამზადების ტექნოლოგია ამჟღავნებს გენეტიკურ კავშირს დიდი მცხეთის ტერიტორიაზე გამოვლენილ ანალოგიურ ძეგლებთან (განსაკუთრებით კი არმაზისხევში ერისთავთა განსასვენებელში აღმოჩენილ ნიმუშებთან) და საფუძველს გვაძლევს გამოვთქვათ ვარაუდი, რომ ისინი ქართლის ძველ დედაქალაქში არსებული სახელოსნოს ნაწარმია.

სანიმუშოდ ვაქვეყნებთ 25-ე სამარხის აღწერას.

სამარხი 25. 1980. 11. 21; — 1,60. W — O. ქვაყუთია, ორფერდა სახურავიანი. ზომები: 2,45×1,10 მ; 1,02×0,90×1,35 მ; კარგად ნათალ-ნაკოდი დიდრონი ქვიშაქვის ფილებით არის შედგენილი. სამარხის ქვედა ნაწილი (ყუთი) შედგენილია ოთხი ერთიანი ქვის ფილისაგან. განივ კედლებზე, რომელიც ხუთკუთხედის მოყვანილობისაა და ნარიბანდები აქვს ამოკვეთილი, ეყრდნობა სახურავი. სამხრეთ ფერდზე ერთი მთლიანი ფილა აფარია, ხოლო ჩრდილოეთისაზე — ორი. სამარხს თიხატკეპნილი იატაკი ჰქონდა. ერთი მიცვალებული იყო დაკრძალული, გულაღმა გაშოტილი, თავით W-კენ. მარჯვენა ხელი მკერდზე, ხოლო მარცხენა — წელის მალებზე ჰქონდა დადებული. სამარხში ნივთები ძირითადად ყელ-კისრისა და წინამხრის ძვლებთან აღმოჩნდა (სურ. 187).

1 (01/6—IV—460; სურ 188—190). სამაჯური გიშრისა, ორნაწილიანი — სახსრებიანი. ოქროს ფურცლისაგან დამზადებული ხუთი სარტყელი ამკობს. სარტყელზე ოქროსავე თვალბუდეებია დარჩენილი, რომელშიაც ოთხკუთხა მოყვანილობის პიროპის თვლებია ჩასმული. სამაჯურის ზურგზე სარტყლებს შორის მსგავსი თვალია ჩასმული. სახსრები დაკავშირებულია ოქროს ყუნწე-

---

[2] მონეტა განსაზღვრა ნუმიზმატმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა — ირ. ჯალაღანიამ.

[3] გიშრის გამოსავლები თეძმის ხეობაში დაადასტურა მმაე-ს მიერ მოწვეულმა გეოლოგიის ინსტიტუტის მეცნ. თანამშრომელმა თ. მგელიაშვილმა.

ბითა და თავბურთულებიანი სამსჭვალებით. სამაჯურს სულ 42 თვალი ამკობს. დმ — 6,2×7,1 სმ, წონა — 66,770 გრ.

2 (01/6—IV—461; სურ. 191). ბეჭედი ოქროსი. თვლიანი რკალი განივკვეთში მრგვალია. რკალი უერთდება ფუძეახსნილ თვალბუდეს, რომელშიც ამობურცულზურგიანი ამეთვისტოა ჩასმული. თვალბუდის ორივე მხარეს რკალზე დამაგრებულია (შემოსალტულია) ორი მავთულოვანი შვერილი. ბეჭდის სიმაღლე — 2,6 სმ, რკალის დმ — 2,5 სმ, წონა — 8,7 გრ.

3 (01/6—IV—462; სურ. 192, 193). მონეტა ოქროსი. არდაშირ I (226—442 წწ.) სუბერატი. ვერცხლის გული დაფარულია ოქროს მასით. დმ — 1,2—1,3 სმ; წონა — 0,490 გრ.

4 (01/6—IV—462; სურ. 195). ბეჭედი ვერცხლისა. წარმოადგენს წვრილი მავთულის რგოლს, რომელიც ოთხ მხარეს დაბრტყელებულია. დმ — 2,1 სმ, წონა — 0,320 გრ.

5 (01/6—IV—464; სურ. 196). საკიდი ოქროსი. კონუსური ფორმის, ყუნწიანი, ორ ფრიზად ამოკვეთილი აქვს სათვალბუდეები, რომლებშიც ზურმუხტის და პიროპის თვლებია ჩასმული. ძირთან სამი წერტილოვანი სარტყელი ამჩნევია. წონა — 1,720 გრ.

6 (01/6—IV—465; სურ. 197—202). საკიდები ოქროსი. შედგება ოთხი ერთმანეთთან მორჩილული ბურთულისაგან, რომელზედაც ყუნწებით ჩამოკიდებულია სამკუთხა საკიდები. ბურთულებს შორის გულის მოყვანილობის პიროპისთვლებიანი ოქროს სამი თვალბუდეა დარჩილული. სამ მათგანს აკლია თითო სამკუთხოვანი საკიდი, ერთს კი — თვალბუდე. საშუალო სიმაღლე — 2,5 სმ. წონა — 15,0 გრ.

7 (01/6—IV—466). საკიდი ოქროსი. წარმოადგენს ოქროს თხელი ფურცლისაგან დამზადებულ ნახევარკლიფსურ კოლოფს, რომელსაც ზევიდან დარჩილული აქვს ყუნწი. სიგანე — 0,7 სმ; სიმაღლე ყუნწიანად — 0,7 სმ. წონა — 0,190 გრ.

8 (01/6—IV—467; სურ. 203). სარკე ბრინჯაოსი, მოანთიმონებული, მრგვალი. ზედაპირზე ორ ადგილას შვიდ-შვიდი კონცენტრული ხაზია ამოღარული, ცენტრში კი — ორი. იქვეა სარკის მომძვრალი სახელური და ორი ვოლუტისებური ნახევარრგოლი. დმ — 18,6 სმ.

9 (01/6—IV—468; სურ. 204). საკიდი ოქროსი. წარმოადგენს ყუნწიან ფუძეგახსნილ თვალბუდეს, რომელშიც წაკვეთილი კონუსის ფორმის აქათის ინტალიოა ჩიტის გამოსახულებით. სიმაღლე ყუნწიდან — 1,1 სმ, სიგანე — 1,1 სმ; წონა — 0,800 გრ.

10 (01/6—IV—469; სურ. 205). საკიდი ოქროსი (34 ც.). წარმოადგენს ოქროს ცილინდრულყუნწიან მილაკებს, რომელზედაც ჩამოკიდებულია წვრილი თავგადახვეული ღერო — დაბოლოებული ბურთულით. მილაკის სიგრძე — 0,4 სმ; საშუალო სიგრძე — 1,3 სმ. წონა — 9,060 გრ.

11 (01/6—IV—470; სურ. 206). მძივსაკიდი გიშრისა. წარმოადგენს ჩაცუცქული კურდღლის გამოსახულებას. სიგრძეზე გახვრეტილია.

12 (01/6—IV—471; სურ. 207). საკიდი ოქროსი. წარმოადგენს ოქროს ცისფერი და მწვანე მინის თვლებია ჩასმული. ერთში პიროპის თვალი ზის. წონა — 0,720 გრ.

13 (01/6—IV—472; სურ. 208—216). საკიდები ოქროსი, ყუნწიანი (9 ც). დანარჩენი მრგვალი და ელიფსური მოყვანილობის რგოლებია, რომლებშიც ცისფერი და მწვანე მინის თვლებია ჩასმული. ერთში პიროპის თვალი ზის. ერთი საკიდი რომბისებური მოყვანილობისაა. წონა — 4,420 გრ.

14 (01/6—IV—473; სურ. 217—220). მძივები ოქროსი (4 ც.). წარმოადგენს ცილინდრულ მილაკებს, რომლებიც წელშეზნექილია და ბოლოები კი ბორბლისებურად ამობურცული და დაღარული აქვს. სიგრძე — 1,00 სმ, წონა — 0,940 გრ.

15 (01/IV—474; სურ. 221—224). საკიდები ოქროსი (3 ც.). წარმოადგენს მომწვანო ფერის ცილინდრულ, დაწახნაგებულ მძივებს, რომელსაც ბოლოებზე წამოცმული აქვს ყუნწიანი თვალბუდეები. იქვეა ოქროს ცალკე თვალბუდე. სიგრძე — 1,00 სმ, წონა — 2,195 გრ.

16 (01/6—475; სურ. 225). საკიდები (თუ შესაკრავები) ოქროსი (2 ც.). წარმოადგენს ოქროს ფურცლისაგან დამზადებულ ღერძს, რომელსაც ბოლოებზე ბორბლისებრი თვალბუდეები აქვს დამაგრებული. თვალბუდეში შერჩენილია მარგალიტის თუ პასტის ნაშთი. სიმაღლე — 1,7 სმ და 1,9 სმ. წონა — 2,730 გრ.

17 (01/—IV—476; სურ. 226). საკიდები ოქროსი (3 ც.). ოქროს მავთულისაგან დამზადებული სხვადასხვა მოყვანილობის თავგადახვეული რგოლებია. წონა — 1,300 გრ.

18 (01/6—IV—477) კილიტები ოქროსი, ყუნწიანი (18 ც). ერთი მათგანი ბრტყელია. წონა — 0,320 გრ.

19 (01/6—IV—478) ოქრომჭედის ნაშთები.

20 (01/6—IV—479) მძივი ალმანდინისა. დმ — 0,7 სმ.

21 (01/6—IV—480). მძივი მინისა, მცირე ზომის. დამაგრებულია ოქროს ღერძზე.

ზემოაღწერილ სამარხში აღმოჩენილი ინვენტარი, განსაკუთრებით ოქრომჭედლობის ნიმუშები, როგორც აღვნიშნეთ, უახლოეს მსგავსებას ამჟღავნებს არმაზისხევში, ერისთავთა განსასვენებელში დადასტურებულ ძეგლებთან [21] აგრეთვე არაგვისპირის ერისთავთა № 13 სამარხში აღმოჩენილ ოქროს ნივთებთან [25]. 25-ე სამარხის აღნაგობა, დაკრძალვის წესი და ინვენტარი კიდევ ერთხელ ადასტურებს ადრე გამოთქმულ მოსაზრებას, რომ დიდი მცხეთის ტერიტორიაზე ორფერდასახურავიანი ქვის სამარხები ყოველთვის მდიდრული იყო და ქალის ინვენტარს შეიცავდა [14; 21].

25-ე სამარხის დასათარიღებლად კარგ საყრდენს იძლევა არდაშირ I ოქროთფერილი მონეტა[4], რომელიც საშუალებას გვაძლევს აღნიშნული სამარხეული კომპლექსი III საუკუნის მეორე ნახევრით ან III საუკუნის ბოლოთი დავათარიღოთ.

. აღსანიშნავია ქრისტიანული იდეოლოგიის გავლენის ზრდა ქართლის ძველი დედაქალაქის მოსახლეობაში. როგორც ჩანს, იგი საზოგადოების სხვადასხვა ფენაში გავრცელდა. ამის საილუსტრაციოდ გამოდგება გვიანანტიკური ხანის სამარხებში აღმოჩენილი ქრისტიანული სიმბოლოები მცხეთა-სამთავროში (2; 36), აგრეთვე ერწოს ველზე — „ქუშანაათგორის“ სამაროვანზე (37). ამაზე მეტყველებს დაკრძალვის ქრისტიანული წესი, რომელიც დაადასტურა 25-ე სამარხში. იქ დაკრძალულის სოციალური კუთვნილება ეჭვს არ იწვევს. როგორც ირკვევა, ქრისტიანულ იდეოლოგიას, მის ოფიციალურ სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამდე, ქართლის სამეფოს მაღალ ფენებშიც გასჩენია დასაყრდენი.

1981 წელს გაგრძელდა საკანალიზაციო კოლექტორის გაყვანასთან დაკავშირებული მიწის სამუშაოები (სვეტიცხოველი V. სურ. 232—243) იგი ძირითადად ჩატარდა კალინინის ქუჩაზე. სადაც იგივე სურათი დადასტურდა, რაც მამულაშვილის ქუჩის ზემოაღწერილ მონაკვეთზე (სვეტიცხოველი IV). მსგავსი სურათი დაფიქსირდა აგრეთვე ლენინისა და არსენას ქუჩებზე. აღმოჩენილი მასალა ძირითადად წითლად გამომწვარი თიხის ჰურჭლისაგან შედგება, შემდეგ ყველაზე დიდი რაოდენობით გვხვდება კრამიტები. აღნიშნული მასალა ზოგადად დამახასიათებელია ადრეული შუა საუკუნეებისათვის (სურ. 244—256).

სვეტიცხოვლის V უბანზე 1981 წელს აღმოჩნდა გვიანანტიკური ხანის 16 სამარხი, აღნიშნული სამარხები ადრეშუასაუკუნეების ნამოსახლარის ქვეშ გამოვლინდა. ვაქვეყნებთ საანგარიშო წელს აღმოჩენილი სამარხეული კომპლექსების ნაწილს.

**სამარხი 29. (სურ. 257). 1981, 15. VI. 11, 1, 2, 36, 8 W — O**

ქვაყუთია, ოთხკუთხა, ბანურსახურავიანი 3,00×1,40 მ; 2,15×0,87×0,95 მ, ტლანქად გათლილ გაჩორკნილი ლოდებით შედგენილი. სამარხის გრძივი და განივი კედლები შედგება თითო-თითო მასიური ლოდისაგან, ხოლო სახურავად ოთხი ფილაა გამოყენებული. სამარხის სახურავის W ფილის გარდა, ყველა ფილა დაზიანებული იყო. დანგრეულია აგრეთვე O განივი კედელი. სამარხი ქვაღორღიანი მიწით იყო შევსებული. იატაკზე წმინდა სილა მიუყრიათ, ორი მიცვალებულია დაკრძალული, ორივე გულაღმა გაშოტილი, თავით W-კენ.

[4] ეს არდაშირის პირველი პასპორტიზირებული მონეტაა საქართველოში აღმოჩენილი. ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. წოწელია, მ., ახალი ნუმიზმატიკური აღმოჩენა მცხეთაში, სმამ, № 3, 1980.

სამარხში აღმოჩნდა:

(01/6—V—486, სურ. 258) — საყურე ოქროსი, ძოწის თვლებიანი;

(01/6—V—487, სურ. 261) — საყურე ოქროსი, ძოწის თვლებიანი;

(01/6—V—488, სურ. 259) — ბეჭედი ოქროსი, ძოწის თვლიანი;

(01/6—V—489, სურ. 260) — ბეჭედი ვერცხლისა, სარდიონის თვლიანი;

(01/6—V—490, სურ. 263) — რგოლი ოქროსი;

(01/6—V—491, სურ. 262) — მძივები ძოწის (62 ც);

(01/6—V—492, სურ. 267) — მძივები გიშრის (73 ც);

(01/6—V—493, სურ. 264) — მშვილდსაკინძი რკინისა;

(01/6—V—494, სურ. 265, 266) — საკინძი რკინისა (2 ც).

**სამარხი 32.**
**(სურ. 268),**
**1981, 16. VI. 11,**
**1, — 1, 96, 8**
**W — O**

ქვაყუთია, ოთხკუთხა, ბანურსახურავიანი (2,90×1,50 მ; 2,0×0,98×0,91 მ) — ქვის მასიური ფილებით იყო შედგენილი. სამარხის გრძივი და განივი კედლები შედგება თითო-თითო მასიური ლოდისაგან, ხოლო სახურავად სამი ფილაა გამოყენებული. ერთ კედელს ნარიბანდი აქვს ამოჭრილი. ქვაღორღიანი მიწით იყო შევსებული. იატაკზე წმინდა სილა მოუყრიათ. სამარხის კედლების შეერთება კირით არის შელესილი.

სამარხში დაკრძალული იყო ორი მიცვალებული. სამარხის N მხარეს დაკრძალული ჩონჩხი გულაღმა, ქვედაკიდურებმოხრილი ესვენა. ხელები ტანის გასწვრივ ჰქონდა დაწყობილი, S მხარეს დაკრძალული ჩონჩხი გულაღმა გაშოტილი ესვენა. ხელები წელის მალებზე ეწყო. ორივე ჩონჩხი დაკრძალული იყო თავით W-კენ.

სამარხში აღმოჩნდა:

**10** (01/6—V—495, სურ. 269) — სანელსაცხებლე მინისა.

**სამარხი 34.**
**1981, 18. VI. 11,**
**2,—2,61 მ**
**W — O**

ქვაყუთია, ოთხკუთხა ბანურსახურავიანი (2,50×1,35 მ, 2,00×1,00×0,90 მ) — ქვის მასიური ფილებით იყო შედგენილი. სამარხის გრძივი და განივი კედლები შედგება თითო-თითო მასიური ლოდისაგან, ხოლო სახურავად სამი ფილაა გამოყენებული. ორ კედელს (W — O) ნარიბანდი აქვს ამოჭრილი, ქვაღორღიანი მიწით იყო შევსებული, იატაკზე წმინდა სილა მიუყრიათ. სამარხს დაზიანებული ჰქონდა სახურავის ფილები.

სამარხში დაკრძალული იყო სამი მიცვალებული გულაღმა, გაშოტილ მდგომარეობაში W-კენ.

სამარხში აღმოჩნდა:

**11** (01/6—V—496, სურ. 271) — საკიდები ოქროსი, ძოწისთვლიანი (25 ც.).

**12** (01/6—V—497, სურ. 270) — მძივები გრანატის (19 ც.).

**სამარხი 35.**
**1981, 18. VI.**
**11,3—2,44 მ**
**W — O**

ქვაყუთია, ოთხკუთხა; ბანურსახურავიანი (2,50×1,35 მ; 2,15×1,00×9,97 მ). ქვის მასიური ფილებით იყო შედგენილი. სამარხის გრძივი და განივი კედლები შედგება თითო-თითო მასიური ლოდისაგან, ხოლო სახურავად სამი ფილაა გამოყენებული. ერთ კედელს ნარიბანდი აქვს ამოჭრილი. ქვაღორღიანი მიწით იყო შევსებული. იატაკზე წმინდა სილა მოუყრიათ. დაზიანებული ჰქონდა სახურავი და კედლი. ოთხი მიცვალებულია დაკრძალული, გულაღმა გაშოტილი, ხელებგამართული ესვენა, თავით W-კენ.

სამარხში აღმოჩნდა:

(01/6—V—498, სურ. 275) — საყურე ოქროსი, გრანატისთვლიანი;
(01/6—V—499, სურ. 276) — საყურე ოქროსი, გრანატისთვლიანი;
(01/6—V—500, სურ. 277) — ბეჭედი ვერცხლისა, გემიანი;
(01/6—V—501, სურ. 278) — ბეჭედი ვერცხლისა, გემიანი;
(01/6—V—502, სურ. 279) — ბეჭედი ბრინჯაოსი, გრანატისთვლიანი;
(01/6—V—503, სურ. 280) — ილარი ვერცხლისა;
(01/6—V—504) — საკინძი რკინისა. ნატეხი;
(01/6—V—505, სურ. 281) — საკინძი რკინისა;
(01/6—V—506, სურ. 282) — საკინძი რკინისა;
(01/6—V—507) — საკინძი რკინისა. ნატეხი;
(01/6—V—508, სურ. 283) — მძივები გიშრისა (125 ც.);
(01/6—V—509, სურ 284, 285) — მძივები სხვადასხვა (139 ც.);
(01/6—V—510, სურ. 286) — მძივები გიშრისა (17 ც.);
(01/6—V—511, სურ. 287) — ბეჭედი ვერცხლისა, გრანატისთვლიანი;
(01/6—V—513, სურ. 288) — ნივთი ძვლისა.

**სამარხი 36.**
**(სურ. 272, 273)**
**1981, 19. VI.**
**11,3,—2,64 მ.**
**W — O**

ქვიშაქვის თხელი ფილებით კირხსნარზე ნაშენი, ოთხკუთხა; ბანურსახურავიანი (2,55×1,50 მ; 2,05×0,90××0,80 მ). სამარხის გრძივი და განივი კედლები შედგება 7—8 რიგისაგან. გამოუყენებიათ რიყის ქვებიც. სამარხის კედლების კუთხეები ერთმანეთზეა გადაბმული. კედლების სისქე 0,20—0,37 მ. კედლების შიდაპირი შელესილია კირით. სახურავად სამი ფილაა გამოყენებული. იატაკზე წმინდა სილა მოუყრიათ. ოთხი მიცვალებულია დაკრძალული გულაღმა გაშოტილ მდგომარეობაში, თავით W-კენ. სამარხის N მხარეს დასვენებული მიცვალებული (სურ. 47) სავარაუდოა. რომ ყველაზე გვიან დაუკრძალავთ. დანარჩენი ჩონჩხები მიხვეტილია სამარხის S მხარეს. მიცვალებულთა ძვლები არეულია, რაც გვაფიქრებინებს. რომ სამარხი გაძარცულია.

სამარხში აღმოჩნდა:

01/6—V—512, (სურ. 274) — სანელსაცხებლე მინისა.

სამარხი 37.
1981, 21. VII.
II, 4,—3,50 მ.
W — O

თიხის ფილა, ოთხკუთხა, ბანურსახურავიანი (2,07×
×1,00 მ; 1,94×0,90×0,59). შედგენილია 12 ფილისა-
გან. გრძივ კედლებად ჩადგმული იყო ოთხ-ოთხი ფილა
(3 მთელი და ერთი ნახევარფილა), ხოლო განივ კედლე-
ბად ორ-ორი ფილა (მთლიანი და ნახევარფილა). სახუ-
რავი ძლიერ დაზიანებული იყო. იატაკი ქვაღორღიანი.
სამი მიცვალებულია დაკრძალული, სამივე გულაღმა გაშოტილი, თავით W-კენ,
N მხარეს დასვენებული მიცვალებული ყველაზე გვიან ჩანს დაკრძალული, და-
ნარჩენი მიცვალებულის ძვლები მიხვეტილია N მხარეს. სამივე მიცვალებულს
თავქვეშ ქვა ჰქონდა ამოდებული.

სამარხში აღმოჩნდა:

(01/6—V—514; სურ. 291) — საყურე ოქროსი;

01/6—V—515; სურ. 292) — საყურე ოქროსი;

(01/6—V—516; სურ. 293, 296) — სანელსაცხებლე მინისა;

(01/6—V—517; სურ. 294, 297) — სანელსაცხებლე მინისა;

(01/6—V—518; სურ. 295) — აბზინდი ბრინჯაოსი;

(01/6—V—519) — საკინძი რკინისა. ნატეხი.

სამარხი 38.
(სურ. 289, 290)
1981, 25. VII.
III, 1, 3,0—3,84 მ
W — O

თიხის ფილა; ოთხკუთხა, ბანურსახურავიანი (2,85×
×1,15 მ; 2,00×0,87×0,60 მ). შედგენილია 12 თიხის
ფილისაგან. გრძივ კედლებად ჩადგმული იყო ოთხ-ოთხი
ფილა (3 მთელი და ერთი ნახევარფილა), ხოლო განივ
კედლებად — ორ-ორი ფილა (მთლიანი და ნახევარფი-
ლა). სახურავად სამი ფილა იყო გამოყენებული. ერთი
მიცვალებულია დაკრძალული, გულაღმა გაშოტილი;
თავით W-კენ.

სამარხში აღმოჩნდა:

01/6—V—520 — საკინძი რკინისა;

01/6—V—521 — სამაჯური რკინისა.

სამარხი 39.
(სურ. 938, 1981,
31. VII. III, 1, —
3,89 მ. W — O)

ქვაყუთია, ოთხკუთხა, ბანურსახურავიანი (2,35×1,15 მ;
2,00×0,90×0,80 მ) — ტლანქად გათლილ-გაჩორკნილი
ლოდებით შედგენილი. სამარხის გრძივი და განივი კედ-
ლები შედგება თითო-თითო მასიური ლოდისაგან, ხო-
ლო სახურავად სამი ფილაა გამოყენებული. ქვაღორ-
ღიანი მიწით იყო შევსებული, იატაკზე წმინდა სილა
მოუყრიათ. დაზიანებული აქვს სახურავი და კედლები. ერთი მიცვალებულია
დაკრძალული, გულაღმა გაშოტილი, თავით W-კენ.

სამარხი უინვენტაროა.

**სამარხი 40. (1981, 12. VIII. 111, 1, სურ. 297) —3,91 მ; W—O**

ქვაყუთია, ბანურსახურავიანი (2,00×1,20 მ; 1,97×1,00×0,90 მ). სამარხის გრძივი და განივი კედლები შედგება თითო-თითო მასიური ლოდისაგან, ხოლო სახურავად სამი ფილაა გამოყენებული, ქვაღორღიანი მიწით იყო შევსებული; იატაკზე წმინდა სილა მოუყრიათ. დაზიანებული აქვს სახურავის ფილები. სამი მიცვალებულია დაკრძალული, გულაღმა გაშოტილი, თვით W-კენ.

სამარხში აღმოჩნდა:

(01/6—V—523; სურ. 299) — საყურე ოქროსი;
(01/6—V—524; სურ. 299) — საყურე ოქროსი;
(01/6—V—525; სურ. 300) — სანელსაცხებლე მინისა;
(01/6—V—526; სურ. 301) — ბეჭედი ვერცხლისა, გრანატისთვლიანი;
(01/6—V—527; სურ. 302) — მძივები გიშრისა (19 ც.);
(01/6—V—528; სურ. 303) — მძივები სხვადასხვა (23 ც.);
(01/6—V—529; სურ. 304) — ფირფიტა აქატის;
(01/6—V—530) — ჯაჭვი რკინისა.

**სამარხი 45. 1981, 23. IX. (სურ. 305—30 ) 7 — 8 — 9;—[illegible],24; W — O**

ქვაყუთია, ოთხკუთხა, ორფერდასახურავიანი (2,55×1,22 მ; 1,89×0,90×1,30 მ). მასიური ლოდებით შედგენილი. სამარხის გრძივი და განივი კედლები შედგება თითო-თითო მასიური ლოდისაგან, სახურავად N მხარეს მთლიანი ფილაა, S მხარეს კი — ორი ფილა. ორ კედელს (W — O) ნარიბანდი აქვს ამოჭრილი. იატაკი მოგებული იყო თიხის ფილებით; O ნაწილში იატაკს აკლია ორი ფილა. ფილების ერთმანეთთან და კედლებთან შეერთების ადგილი ამოლესილია კირხსნარით.

მიცვალებულთა ძვლები მიხვეტილი იყო სამარხის W ნაწილში. დაკრძალვის წესი ვერ დადგინდა.

სამარხში აღმოჩნდა:

(01/6—V—536; სურ. 308) — ქოირი ოქროსი;
(01/6—V—537; სურ. 309) — ჭურჭელი მინისა;
(01/6—V—538; სურ. 310) — ჭურჭელი მინისა;
(01/6—V—539) — მინის ჭურჭლის ნატეხები;
(01/6—V—540; სურ. 311) — ძვლის ფირფიტები;
(01/6—V—541) — მინის ჭურჭლის ნატეხები.

საანგარიშო წელს მცხეთა-ქალაქის ტერიტორიაზე ინდივიდუალური სახლისათვის ამოღებულ ქვაბულში (სტალინის, 108) აღმოჩნდა შუა ფეოდალური ხანის საცხოვრებელი კომპლექსი. იგი 100 მ² ფართობზე გამოვლინდა და შედგება საცხოვრებელი სახლის, მასთან მისასვლელი დერეფნისა და მარნისაგან. აღნიშნული კომპლექსი უფრო ადრეულ კულტურულ ფენაზე (სამშენებლო ჰორიზონტზე) ჩანს გამართული. პირველ ფენასთან დაკავშირებული კომპლექსი

ნაწილობრივ შედის თანამედროვე შენობებს ქვეშ, ამიტომ ვერ მოხერხდა მისი სრულად გამოვლენა (სურ. 312—318).

საცხოვრებელ ნაგებობაში (01/6—IV; LXXXVIII, 2, 3, 56; NO — SW) გათხრილი ნაწილის ფართობი 30 $м^2$ აღწევს. დადასტურდა ორი სამშენებლო დონე. ადრეულ სამშენებლო დონეს ეკუთვნის უზარმაზარი ქვათლილების ერთი რიგი (საშუალო ზომები — 0,40×0,45×0,47 მ), რომელიც შემორჩენილია N და W კედლებში. ქვათლილები კარგად მიდგმულ-მისადაგებულია ერთმანეთთან და ნაგებია მშრალი წყობით. № 1 სახლის კედლები თითქმის უსაძირკვლოდ არის ნაგები. ისინი 1,00 მ სიმაღლეზეა შემორჩენილი და ნაგებია ქვატეხილით, რომელშიც რიყის ქვებიც ურევია. კედლის საშუალო სისქე 0,90 მ. იატაკი თიხატკეპნილია. იატაკზე აკრეფილი ბრტყელი, გვერდებაკეცილი კრამიტის ნატეხები გვავარაუდებინებს, რომ № 1 სახლს სახურავი კრამიტისა ჰქონდა. იატაკზე დიდი რაოდენობით აღმოჩნდა აგრეთვე ბრტყელი აგური, რომელიც, შესაძლოა, პირველ სამშენებლო დონესთან დაკავშირებული კედლების ასაგებად იყო გამოყენებული. აღნიშნული კედლების მშენებლობისას უცდიათ წყობის ჰორიზონტალობის დაცვა. საკარე ღიობი დასავლეთ კედელში იყო გაჭრილი (სიგანე — 0,90 მ), მას უერთდება საკმაოდ გრძელი დერეფანი (ჰოლი), რომლის კედლები შედარებით გვიან ჩანს ნაგები. № 1 სახლის იატაკს უკავშირდება მსხლისებური მოყვანილობის ორმო-ხარო. იგი პირველ სამშენებლო დონეს ეკუთვნის.

№ 1 სახლის დასავლეთ ნაწილში 0,20 მ სიღრმეზე იატაკში ჩაუდგამთ ოთხკუთხა ქვათლილი (0,36×0,44 მ) — როგორც ჩანს, ერთ-ერთი საყრდენი სვეტის ბაზა. პირველ სამშენებლო დონესთან დაკავშირებული ნაგებობა ხანძრისგან ჩანს განადგურებული. II სამშენებლო დონის კუთვნილი ნაწილი შენობისა, შედარებით, დაუდევრად არის ნაგები. კედლების აღდგენილი ნაწილი ქვატალახზეა აშენებული, ხოლო შუა ნაწილი შევსებულია ხურდით. დაცულია წყობის ჰორიზონტალობა. მეორე სამშენებლო დონესთან დაკავშირებულ ნაგებობას ბანური სახურავი უნდა ჰქონოდა. ამაზე, შესაძლოა, მეტყველებს შუა ბოძის საყრდენი ბალიშის აღმოჩენა. ამ შემთხვევაში ბანური სახურავი უნდა დაყრდნობოდა უშუალოდ შენობის კედლებსა და შუაში გამართულ სვეტნარს.

აღნიშნულ პერიოდში ფუნქციონირებდა დერეფანი (სიგრძე — 4,00 მ, სიგანე — 1,15 მ), რომლის სამხრეთი კედელი ცალპირა თევზისფხური წყობით არის ნაგები, ხოლო N კედლის მაგივრობას მარნის კედელი ასრულებდა. სამხრეთ კედელში ოთხი ბოძი (სვეტი) ყოფილა ჩაშენებული, რაც თავისთავად დერეფნის გადახურვის არსებობაზე მიუთითებს.

№ 1 სახლის იატაკზე აღმოჩნდა ქვევრისა და თიხის ჭურჭლის (უმთავრესად ჯამების) ნატეხები. სანიმუშოდ აღვწერთ ერთ-ერთ მათგანს.

22 (01/6—IV—588) ჯამის პირ-გვერდის ნაწილი, ღია აგურისფრად გამომწვარი, ნაცრისფერი ლაქები ემჩნევა. აქვს ოდნავ მოყრილი პირი, შვეული გვერდი, რომელსაც ამოღარული სარტყელი ამკობს. წიბო — მომრგვალებუ-

ლი, კალთა — ზომიერად დაქანებული. ზომიერად გამოყვანილი ქუსლი უნდა ჰქონოდა. დამზადებულია მორგვზე, წვრილმინარევიანი თიხისაგან. დმ. პირის — 14,5 სმ, კეცის სისქე — 0,5 სმ.

№ 1 სახლის ჩრდილო-დასავლეთიდან ეკვრის — მიშენებულია მარანი. იგი საკარე ღიობით უკავშირდება ამ უკანასკნელს. ღიობი მოგვიანებით ამოუქოლიათ. კედლები ნაგებია ქვატეხილითა და რიყის ქვით, თიხაზე. წყობა პოლიგონალურია, მაგრამ მშენებელს უცდია დაეცვა რიგების ჰორიზონტალობა. მარანს ტრაპეციისებური ფორმა აქვს (ზომები: 470×0,60 — 2,40×1,00 მ) ზოგ შემთხვევაში კედლების წყობაში ურევია ბრტყელი აგური (ზომები: 0,25×0,25×0,05 მ). ჩრდილოეთ კედელში კი, რომელიც ფაქტიურად დედაქანში ჩაჭრილი კედლის მოპირკეთებას წარმოადგენდა, აღნიშნული აგურებისაგან თახჩაა (ნიში) მოწყობილი.

მარნის მშენებლობაშიც ჩანს ორი სამშენებლო დონე — პერიოდი. ამასთან, I დონის შესატყვისი უმნიშვნელო ფრაგმენტებია შემორჩენილი.

მარნის NW და SW კუთხეებში ხის სვეტები ყოფილა ჩაშენებული. სასვეტიეები აღმოჩნდა აგრეთვე N და S კედლებში, სადაც ერთმანეთის პირისპირ ორ-ორი სვეტი ჩაუშენებიათ. მარანს ზემოაღნიშნულ სვეტებზე დაყრდნობილი ბანური გადახურვა უნდა ქონოდა.

მარნის იატაკი თიხატკეპნილია და საგანგებოდ მოსწორებულ-მოშანდაკებული. იგი კულტურულ ფენაზეა გამართული. იატაკში ორი მოზრდილი ქვევრი იყო ჩადგმული, ისინი ქვის ფილებით იყო დახუფული. ამათგან ერთ-ერთი კირხსნარით იყო გამაგრებულ-შემოსალტული.

როგორც აღვნიშნეთ, მარნის ჩრდილოეთ კედელში, იატაკიდან 0,60 მ სიმაღლეზე ხუთი კვადრატული, ბრტყელი აგურით ნიშა (თახჩა) ჩაუშენებიათ (მისი ზომები თითქმის ემთხვევა აგურისას).

ნიშის ქვევით ქვაზე შეინიშნებოდა ცეცხლის (სანთლის) ხანგრძლივად ნათების კვალი. ზემოაღნიშნული ნიშა მარნის მარჯვენა კუთხეში იყო გამართული, რაც თითქოს საფუძველს გვაძლევს ეს მომენტი დავუკავშიროთ ეთნოგრაფიულ ყოფაში დამოწმებულ ფაქტს, რომლის მიხედვით მარნის მარჯვენა კუთხე ანგელოზის კუთხედ ითვლებოდა, სადაც ტარდებოდა სხვადასხვა რელიგიური რიტუალი. ამრიგად, გაჩნდა საფუძველი ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში დადასტურებული ფაქტის არქეოლოგიური დასაბუთებისა. როგორც ჩანს, აქ საქმე გვაქვს ტრადიციასთან, რომლის ჩასახვა შეიძლება გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში ვიგულისხმოთ. შიდა ქართლში გათხრილი ამ პერიოდის სახლებში საკურთხევლები, როგორც წესი, სწორედ მარჯვენა მხარეს არის მოწყობილი. მარნის იატაკზე აღმოჩნდა თიხის ჭურჭელი.

**28** (01/6—IV—568; სურ. 322) ხელადაა სილანარევი თიხისა; ჩალისფრად გამომწვარი; სამტუჩა; მაღალი და შეუღლი ყელი, ვიწრო მუცელი და ბრტყელი ძირი აქვს. ლენტისებრი ყური მიძერწილია პირსა და მუცელზე. მხარზე ორი ნაკაწრი სარტყელი ამჩნევია.

სიმაღლე — 19,5, დმ. პირის — 6,2; ყელის — 6,0; მუცლის — 13,2; ძირის — 9,0; კეცის სისქე — 0,4 სმ.

24 (01/6—IV—569; სურ. 321) ჯამი აგურისფრად გამომწვარი წვრილმინარევიანი თიხისა, ფართოპირიანი. აქვს ოდნავ გამობერილი გვერდი, მომრგვალებული მხარი, მკვეთრად დაქანებული კალთა. მაღალი და გამოყვანილი ქუსლი, ღრუგულიანი ძირი. გვერდზე ორი ამოღარული სარტყელი აშჩნევია.

სიმაღლე — 6,9; დმ. პირის — 13,4; მხრის — 14,0; ძირის — 6,8 სმ.

25 (01/6—IV—570; სურ. 320) ჯამი მოვარდისფრო-მოჩალისფროდ გამომწვარი.

სიმაღლე — 7,3; დმ პირის — 12,4; მხრის — 13,5; ძირის — 6,5 სმ; ზემოაღწერილის ანალოგიურია.

26 (01/6—IV—573; სურ. 323) მილი ჩალისფრად გამომწვარი წვრილმინარევიანი თიხისა. მორგვზეა დამზადებული. თავისკენ თანაბრად შევიწროებულია, თავიდან 7 სმ-ის დაცილებით ემჩნევა რელიეფური სარტყელი.

სიგრძე — 0,4; დმ — 10,1—14,0; კეცის სისქე — 0,6—1,6 სმ.

ზემოაღწერილის ზედმიწევნით მსგავსი მასალა დადასტურებულია ჟინვალის ნაქალაქარზე, XII—XIII სს. დათარიღებულ ნაგებობებში (39).

სამთავროს ველზე, როგორც აღვნიშნეთ, გრძელდებოდა ნამოსახლარებისა და სამაროვნის შესწავლა.

სამთავროს ველზე საანგარიშო წელს ძირითადად მიმდინარეობდა მე-9 და მე-10 სახლების გამოვლენა-გაწმენდა (სურ. 328).

მეცხრე სახლი. CXVIII ნაკვეთის 5, 6, 7, 9, 10, 11 კვადრატებში მდებარეობს. მას პირიმხარე აღმოსავლეთისკენ აქვს მიქცეული. გეგმაში წაგრძელებულ ოთხკუთხა ფორმისაა, სახლი სამთავროს გორანამოსახლარის (სამთავრო — I) ძირასაა გამართული, ამიტომ ზურგი-მხარე, შესაძლოა, მიწაში იყო ჩადგმული. სახლის შემორჩენილი ნაწილის ფართობი 90 $м^2$-მდე აღწევს. კედლები ნაგებია ქვატეხილით თიხაზე, ზოგან რიყის ქვაც ურევია. კედლების შიგაპირი შელესილი ყოფილა ბათქაშის სქელი (10 სმ) ფენით. კედლების სისქე — 0,70—0,80 მ-ია). ისინი 0,50 მ შემორჩენილი და თითქმის უსაძირკვლოდ ჩანს ნაგები — მიწაში მხოლოდ 0,15 მ სიღრმეზე ზის. იატაკი თიხატკეპნილია, იგი 1,00 მ სისქის კულტურული ფენით იყო დაფარული, რომლის ძირითადი ნაწილი სახურავის ჩაქცეული კრამიტებისაგან შედგებოდა.

კრამიტის ზომები: ბრტყელი, გვერდებაკეცილი, სიგრძე — 51—52; სიგანე თავთან — 41—43; ბოლოში — 37; მხრების სიმაღლე — 4,5; კეცის სისქე — 2 სმ.

ღარიანის სიგრძე — 49—50; სიგანე — 23; ბოლოში — 20; კეცის სისქე — 1,5 სმ.

აღნიშნულ ფენაში ჩაქცეული კედლის ნაშთები არ დადასტურებულა. როგორც ჩანს, აქ საქმე გვაქვს ქვის საფუძველზე ამოყვანილ ხე-ლასტის კედლებთან, რომლებიც შელესილი იყო ალიზის სქელი ფენით; კედლებზე 1,65 მ ინ-

ტერვალით აღმოჩნდა ოთხკუთხა ნახევარსვეტის — პილიასტრის ნაშთები (პილიასტრის ზომები: 0,25×0,07 მ). ზურგის მხარეს სახლს მომრგვალებული კუთხეები აქვს. როგორც გაირკვა, მე-9 სახლი თითქმის მთლიანად ადრერკინის ხანის კულტურულ ფენაზეა გამართული.

მე-9 სახლის სახურავი ბრტყელი, გვერდებაკეცილი და ღარიანი შეღებილი კრამიტებით ყოფილა გაწყობილი. კრამიტყრილის მდებარეობით გაირკვა, რომ სახლს ორფერდა სახურავი ჰქონია. კრამიტყრილის ალაგებისას მათ შორის ჩნდებოდა მონაცრისფრო კაოლინიანი თიხა, რომელიც თერმოიზოლაციისთვის ჩანს ნახმარი და რომელსაც სახურავის ხის კონსტრუქციასა და კრამიტს შორის ყრიდნენ. როგორც ცნობილია, ეს წესი ანტიკურ სამყაროში იყო გავრცელებული კრამიტით გადახურული სახლების მშენებლობისას.

მეცხრე სახლი ხანძრის შედეგად ჩანს განადგურებული, ამაზე მეტყველებს ძლიერი ცეცხლის კვალი და სიმხურვალისაგან დახეთქილი რიყის ქვები.

მე-9 სახლის პრეპარაციისას აღმოჩნდა წითლად შეღებილი (ანგობირებული) თიხის ჭურჭელი: პირმოყრილი ქუსლიანი და უქუსლო ჯამები, გრეხილყურიანი ხელადები და სხვ. როგორც აღვნიშნეთ, იქ მოპოვებული მასალა უახლოეს ანალოგებს პოულობს იქვე, ქვევრსამარხებში დადასტურებულ ინვენტართან და გვიანელინისტური ხანით თარიღდება. უფრო ზუსტი თარიღი გაირკვევა მე-9 სახლის პრეპარაციის დასრულების შემდეგ.

მეათე სახლი CXVIII ნაკვეთის 2, 3, 6, 7 კვ-ში მდებარეობს. იგი უშუალოდ ეკვრის მე-9 სახლის ზურგის კედელს და შესაძლოა მასთან დაკავშირებული მცირე სათავსი იყოს. მშენებლობის ტექნოლოგია და იატაკი მე-9 სახლის მსგავსია და როგორც ჩანს, სინქრონულიც. მისი ფართობია 12,40 $მ^2$. საანგარიშო წელს მე-10 სახლის გათხრა-პრეპარაცია არ დამთავრებულა.

სამთავროს სამაროვანზე გაგრძელდა მუშაობა სამთავროს ველის NW მხარეს, ბაიათხევის პირას, სადაც ძირითადად ადრეფეოდალური ხანის ორმოსამარხები გვხვდებოდა, მათ შორის ქვის ფილებით გადახურულებიც. ფილაქვით ნაგები სამარხები (ქვაყუთები) უფრო ხშირად სამხრეთ ნაწილში, ველზე იყო განლაგებული. სამთავროს ველის ამ მონაკვეთზე დადასტურდა გვიანანტიკური ხანის თითქმის ყველა ტიპის სამარხი: ქვაყუთი, კრამიტსამარხი, თიხის ფილასამარხი და ორმოსამარხი.

სამარხები გაიხსნა აგრეთვე CXVIII ნაკვეთში, გვიანელინისტური ხანის ნამოსახლარზე. იქ გაითხარა 19 სამარხი. მათ შორის 17 ქვაყუთი, 1 ორმოსამარხი, 1 კომბინირებული (სურ. 329, 330);

ბაიათხევის პირას, CXX ნაკვეთში 4 სამარხი გამოვლინდა: 2 თიხის ფილასამარხი და 2 ორმოსამარხი. სულ ორივე მონაკვეთში 23 სამარხი გაითხარა.

საანგარიშო წელს შესწავლილ სამარხებიდან გვიანანტიკური ხანით დათარიღდა: 5 ქვაყუთი (№ 400, 422, 588, 596, 599), 2 თიხის ფილასამარხი (№ 602, 605) და 1 კომბინირებული (486) სამარხი, რომლის O და W კედლები ქვიშაქვის, ხოლო S და N კედლები კი თიხის ფილებით არის ნაგები.

ვაქვეყნებთ ზოგიერთი სამარხის აღწერილობას:

**სამარხი 400.**
**(1981, 24. 06;**
**XVIII, 5; O — W**

(1,70×1,55×0,40 მ) ქვაყუთია, ბანურსახურავიანი, ქვიშაქვის 4 ფილით გადახურული. სამარხის გრძივი კედლები შედგენილია ორ-ორი დიდი და მცირე ქვებისაგან. სამარხი ნამოსახლარ ფენაში გაუმართავთ. 2 მოზარდის (7-დან 14 წ-დე) ჩონჩხის ძვლები არეული იყო. იგი გაუძარცვავთ.

სამარხში აღმოჩნდა:

27 (01/1—1707) საკინძი ოქროსი (5 ც.), ცილინდრული მილაკის შუა წელზე მირჩილულია ყუნწი, რომელშიც გაყრილია თავგადაგრეხილი და ბოლოდამსხვილებული მავთული.

28 (01/1—1708) რგოლი ბრინჯაოსი (ნატეხები). ღერო განივკვეთში მრგვალია.

29 (01/1—1708) მძივები (69 ც.). აქედან 21 ც. ცრემლისებრი მოყვანილობის, ხოლო 27 —მრგვალ-ბრტყელი გიშრის მძივია, 9 — სარდიონის მოგრძობიკონუსური, 12 კი — მინის, მილაკისებრი (სამი ბურთულა მძივი ერთმანეთთან არის შეერთებული).

**სამარხი 605.**
**(სურ. 350).**
**81. 20. 10; XX;**
**W — O**

1,90×0,86×0,50 მ. თიხის ფილასამარხია, სამი ფილაქვით გადახურული. გრძივი კედლები სამ-სამი მთელი და თითო-თითო ნახევარფილისა იყო, ხოლო განივი კედლები — თითო მთელი და თითო ნახევარფილისაგან შედგებოდა. სამარხი მიწით იყო ამოვსებული. იგი ქვაღორღიან ფენაში გაუმართავთ, მიწის ზედაპირიდან 0,80—1,00 მ-ის სიღრმეზე.

სამარხში ორი მიცვალებული დაუკრძალავთ სხვადასხვა დროს. უფრო ადრე დაკრძალული მიცვალებულის ჩონჩხი N კედელთან იყო მიხვეტილი, მეორედ დაკრძალულის ჩონჩხი გულაღმა გაშოტილი დაუკრძალავთ, თავით W-კენ. ინვენტარი მთლიანად, სამარხის NO ნაწილში, პირველად დაკრძალულ მიცვალებულს აღმოაჩნდა.

სამარხში აღმოჩნდა:

30 (01/1—1837; სურ. 351) საყურე ოქროსი. წარმოადგენს ოვალური მოყვანილობის რგოლს. ყურსაკიდი ნაწილი ნაკლულია და სამწახნაგოვანი, ქვემოთ კი საყურეები საგრძნობლად მსხვილდება და ბოლოში ქმნის ორწახნაგოვანი პირამიდის მოყვანილობის წვეტს.

31 (01/1—1838; სურ. 352) საყურე ოქროსი, ზემოაღწერილის ანალოგიური.

32 (01/1—1839; სურ. 353) ბალთა ოქროსი, წარმოადგენს სწორკუთხა ფირფიტას, რომლის ცენტრში გრანატის ნუშისებრი მოყვანილობის თვალია ჩასმული. მას გარშემოუყვება გავარსის არშია. კუთხეებში ზედაპირი თვალისებურად ამობურცულია, რომლის უკანა ფუყე ნაწილში ყუნწებია დამაგრებული.

სიგრძე — 1,71; სიგანე — 1,4; სისქე — 0,1 სმ; წონა — 1,340 გრ.

33 (01/1—1840; სურ. 354) ბალთა ოქროსი, ზემოაღწერილის მსგავსია. შუაში კონუსური მოყვანილობის თვალი ზის.

სიგრძე — 1,55; სიგანე — 1,3 სმ; წონა — 0,940 გრ.

34 (01/1—1841; სურ. 355) ბალთა ოქროსი, ზემოაღწერილის ანალოგიური. წონა — 1,110 გრ.

35 (01/1—1842; სურ. 356) ბალთა ოქროსი, ზემოაღწერილის ანალოგიურია.

სიგრძე — 1,55; სიგანე — 1,48; სისქე — 0,3 სმ; წონა — 0,920 გრ.

36 (01/1—1843; სურ. 357) ბალთა ოქროსი. ზემოაღწერილის ანალოგიური. სიგრძე — 1,51, სიგანე — 1,3, სისქე — 0,5 სმ, წონა — 1,040 გრ.

37 (01/1—1844; სურ. 358) ბალთა ოქროსი. ზემოაღწერილის ანალოგიური. თვალბუდეში ოვალური ფორმის გრანატის თვალი ზის.

სიგრძე — 1,7; სიგანე — 1,41; სისქე — 0,06 სმ; წონა 1,260 გრ.

38 (01/1—1845; სურ. 359) ბალთა ოქროსი. ზემოაღწერილის ანალოგიური. წონა — 0,98 გრ.

39 (01/1—1846; სურ. 360) ბალთა ოქროსი. ზემოაღწერილის ანალოგიური. წონა — 1,320 გრ.

40 (01/1—1847; სურ. 361) ბალთა ოქროსი. ზემოაღწერილის ანალოგიური. წონა — 1,280 გრ.

41 (01/1—1848; სურ. 362) ბალთა ოქროსი. ზემოაღწერილის ანალოგიური. წონა — 1,440 გრ.

42 (01/1—1849; სურ. 363) ბალთა ოქროსი. ზემოაღწერილის ანალოგიური. წონა — 1,360 გრ.

43 (01/1—1850; სურ. 364) ბალთა ოქროსი. ზემოაღწერილის ანალოგიური. სიგრძე — 1,7; სიგანე — 1,41 სმ; წონა — 1,300 გრ.

44 (01/1—1851; სურ. 365) ბალთა ოქროსი. ზემოაღწერილის ანალოგიური. თვალი მრგვალი აქვს.

სიგრძე — 1,69; სიგანე — 1,41; სისქე — 0,06; წონა — 1,310 გრ.

45 ((01/1—1852; სურ. 366) ბალთა ოქროსი. ზემოაღწერილის ანალოგიური. სიგრძე — 1,65; სიგანე — 1,4; სისქე — 0,06 სმ; წონა — 1,300 გრ.

46 (01/1—1853; სურ. 367) ბალთა ოქროსი. ზემოაღწერილის ანალოგიური. სიგრძე — 1,45; სიგანე — 1,25 სმ; წონა — 1,180 გრ.

47 (01/1—1854; სურ. 368) ბეჭედი ოქროსი. წარმოადგენს მავთულოვან რგოლს, რომელსაც თავები გადაგრეხილი აქვს და მათ შორის გრანატის ცილინდრული მძივია მოთავსებული.

სიმაღლე — 2,12; რკალის უდიდესი სისქე — 1,8 სმ. წონა — 1,950 გრ.

48 (01/1—1855; სურ. 369) ღილები (65 ც.) ნახევარსფერული, დამზადებული ოქროს თხელი ფურცლისაგან. შიგამხრიდან ყუნწი აქვს დარჩილული. საერთო წონა — 5,920 გრ.

49 (01/1—1857; სურ. 370) ბეჭედი ვერცხლისა. ოვალური მოყვანილობის რკალი განივკვეთში სამკუთხაა. იგი მხრებთან ფართოვდება და გადადის ოვალურ ბრტყელ ფარაკში. ფარაკზე დარჩილულია სათვალბუდე, რომელშიც მუქი ყავისფერი სარდიონის გემა-ინტალიო ზის. გემაზე ამოკვეთილი მშვილდოსანი მონადირე (ღვთაება — არტემიდე), ფეხებთან ძაღლია გამოხატული.

ბეჭდის სიმაღლე — 2,5 სმ; დმ — 1,6 სმ; რკალის სისქე — 0,8 სმ.

50 (01/1—1856; სურ. 371) ბეჭედი ვერცხლისა, ოვალისებურრკალიანი, განივკვეთში სამკუთხაა. მხრებთან ფართოვდება და გადადის ბრტყელ ფარაკში. ფარაკზე სათვალბუდე ყოფილა დარჩილული (დამტვრეულია). ბუდეში სარდიონის თვალისებური გემა-ინტალიო მჯდარა. გემაზე ზეზე მდგარი ტიხე-ფორტუნაა გამოსახული — სიუხვის ყანწით ხელში.

ბეჭდის სიმაღლე — 2 სმ, სიგანე — 1,9 სმ; დმ — 1,6 სმ.

51 (01/1—1858; სურ. 372) ბეჭედი ვერცხლისა. რკალი განივკვეთში სამკუთხაა. მხრებთან ფართოვდება და უერთდება ოვალისებურ ფარაკს, რომელზედაც მაღალი სათვალბუდეა დარჩილული. სათვალბუდეში ოვალისებური გემა-ინტალიო ზის. გემაზე გამოსახულია არწივი, რომელსაც ნისკარტით დაფნის გვირგვინი უჭირავს.

ბეჭდის სიმაღლე — 1,8; სიგანე — 2,2; დმ — 1,7 სმ.

52 (01/1—1859; სურ. 373) ბეჭედი ვერცხლისა, მხრებწიბოიანი. განივკვეთში სამკუთხა რკალი მხრებთან ფართოვდება და გადადის ოვალისებურ ფარაკში, რომელზედაც რელიეფურსარტყლიანი სათვალბუდეა დარჩილული. სათვალბუდეში კონუსისებური მინის თვალი ზის.

ბეჭდის სიმაღლე — 2,0 სმ; სიგანე—1,9 სმ.

53 (01/1—1860; სურ. 374) ბეჭედი ვერცხლისა. წარმოადგენს მავთულოვან რგოლს, რომელსაც თავები გადაგრეხილი აქვს და მათ შორის პასტის ცილინდრული მძივია დამაგრებული.

ბეჭდის სიმაღლე — 2,2; სიგანე — 2,2; დმ — 1,6 სმ.

54 (01/1—1861; სურ. 375) მძივები: ლურჯი მინისა, სფერული, სხვადასხვა ზომის (66 ც.); კვირისტავის მოყვანილობისა (4 ც.), თოთხმეტწახნაგა (1 ც.); ალმანდინის მძივები (3 ც.), ამათგან ერთი სფერულია, მეორე ბიკონუსური, მესამე კი შვინდის კურკის ფორმისაა, აქვეა სარდიონის 14-წახნაგა 2 მძივი; აქატის კასრისებრი ცისფერი პასტის, თეთრი პასტის შვინდისებრი (4 ც.), სწორკუთხა; ლურჯი პასტის კასრისებრი და ტალკის მოზრდილი მძივი.

55 (01/1—1862; სურ. 376) რგოლი ვერცხლისა. ოვალისებური მოყვანილობისა, ბოლოებგახსნილი. განივკვეთში მრგვალია. დმ — 1,3 სმ.

56 (01/1—1863; სურ. 377) საკინძი ვერცხლისა. განივკვეთში წახნაგოვანია. თავთან დამსხვილებულია თოთხმეტწახნაგაა.

სიგრძე — 10 სმ; წონა — 2,820 გრ.

**57** (01/1—1865; სურ. 378) სარკე ბრინჯაოსი, მოვერცხლილი. მრგვალი, შეზნექილი. სამადაა გატეხილი.

დმ — 7,7 სმ; სისქე — 1,1 სმ.

**58** (01/1—1865; სურ. 379) სანელსაცხებლე ღია-მომწვანო ფერის მინისა: ირიზებულია. მრგვალპირიანია. ცილინდრული ყელი მხრებისაკენ თანაბრად ვიწროვდება. ყელისა და მხრის შეერთების ადგილზე ორი ამოღარული ხაზი ამჩნევია. სფერულმუცლიანია, ძირი ოდნავ შეზნექილი აქვს.

სიმაღლე — 5,2 სმ, დმ — ყელისა — 1,8 სმ, მუცლისა — 3,7 სმ.

სამარხში აღმოჩნდა აგრეთვე თეთრი მინის სანელსაცხებლის ნატეხები და რკინის ნივთის (საკინძის?) ფრაგმენტი (27).

ზემოაღწერილ კომპლექსში დადასტურებული ნივთები უახლოეს ანალოგებს პოულობს აქვე, სამთავროს ველის სამხრეთ ნაწილში გათხრილ სამარხეულ ინვენტართან (46), არმაზისხევში, ერისთავთა სამაროვანზე გამოვლენილ მასალებთან (9). 605-ე სამარხში აღმოჩენილი ვერცხლის ბეჭდის ზუსტი ასლები აღმოჩენილია ერწოს ველზე, ქუშანაანთგორას სამაროვანზე (37) მე-3 საუკუნის ბოლოთი დათარიღებულ კომპლექსებში, აგრეთვე ზღუდერში (41) და ახალ ჟინვალში (42). ზემოაღნიშნულის გამო, სამთავროს 605 სამარხი შეიძლება მესამე საუკუნის მეორე ნახევრით, ან მისი დასასრულით დათარიღდეს (55).

სამთავროს ველზე საანგარიშო წელს გათხრილი ადრეშუასაუკუნეების სამარხთაგან ვაქვეყნებთ 441-ე სამარხს.

**სამარხი 441.** **(სურ. 380);** **1981, 09. 07;** **XVIII, 3; W — O**

ქვაყუთია, ბანურსახურავიანი (შიდა ზომები: 2,17×1,10×1,45 მ). ტლანქად ნათალი ფილაქვებით შედგენილი სამარხი მიწით იყო შევსებული. დაკრძალულია 3 მიცვალებული. მათ შორის 2 მამაკაცი 25—30 და 40—45 წლისა და ჩვილი ბავშვი. ჩონჩხის ძვლები არეულია და სამარხის W ნაწილში არის გროვად შემორჩენილი. ამის გამო დაკრძალვის პოზაზე მსჯელობა ჭირს.

სამარხში აღმოჩნდა: სანელსაცხებლები (6 ც.), ბრინჯაოსა და რკინის მშვილდსაკინძები, ბრინჯაოსა და რკინის ბეჭდები და რკინის სამაჯური.

**59** (01/1—1869) სანელსაცხებლე მინისა: წყლისფერი, გამჭვირვალე, თხელკედლიანი. პირი გადაშლილი აქვს, ბაკო — ჩაკეცილი, ყელი — დაბალი, მუცელი — მრგვალი, ძირი — ბრტყელი, შეზნექილი, ირიზებული. აღდგენილია.

სიმაღლე — 5 სმ; დმ პირისა — 2,5; ყელისა — 1,5; მუცლისა — 3,5; ძირისა — 3 სმ.

**60** (01/1—1870; სურ. 382); სანელსაცხებლე მინისა: მოთეთრო-მომწვანო, თხელკედლიანი. შემორჩენილია ყელისა და მუცლის ნაწილი. ყელი დაბალი აქვს, მუცელი — მრგვალ-ბრტყელი, ძირი — კონუსურად შეზნექილი. ირიზებულია.

შემორჩენილი სიმაღლე — 3,7; ყელის დმ — 1,8; მუცლის — 3,4; ძირის — 2,8 სმ.

61 ((01/1—1871; სურ. 383) სანელსაცხებლე მინისა, ზემოაღწერილის მსგავსია. ძირზე შერჩენილი აქვს საბერი მილის კვალი ყელ-პირისა და მუცლის ფრაგმენტები.

პირის დმ — 2,1; ძირისა — 3,1 სმ.

62 (01/1—1872; სურ. 384) სანელსაცხებლე მინისა. ზემოაღწერილის ანალოგიური. შემორჩენილია ძირის ნაწილი.

63 (01/1—1873; სურ. 385) სანელსაცხებლე მინისა. ზემოაღწერილის ანალოგიურია. შემორჩენილია ძირის ნაწილი.

64 (01/1—1874; სურ. 386) სანელსაცხებლე მინისა: მოთეთრო-მომწვანო, გამჭვირვალე. სქელკედლიანია და ტანშეხორკლილი. შემორჩენილია ძირ-გვერდის ნატეხები.

65 (01/1—1875: სურ. 390) მშვილდსაკინძი ბრინჯაოსი, რკინის ენიანი. ბუდე ჩამოტეხილი აქვს. მშვილდი მაღალია — სამკუთხა. ჩაღრეკილია, მუხლსახსრიანი (ბუდეაბმული „ჯვრისებრი" მშვილდ-საკინძის ტიპისაა). შემორჩენილი სიმაღლე — 1,5 სმ.

65ა (01/1—1876; სურ. 391) მშვილდსაკინძი რკინისა. ბუდეაბმულია და მუხლსახსრიანი მშვილდი ბრტყელია, ჩახრილი, ცხვირი — დაბრტყელებული. ღერძაკი ორბურთულა.

სიგრძე — 2,5; სიმაღლე — 1,0; სიგანე მუხლთან — 1,0 სმ.

66 (01/1—1877) ბეჭედი ბრინჯაოსი, თვალისებური რკალი განივკვეთში მრგვალია, რომელსაც დარჩილული აქვს წაკვეთილი კონუსის ფორმის სათვალბუდე. სათვალბუდეში ზის მოთეთრო-მომწვანო მინის ბრტყელი თვალი. თვალბუდესთან რკალზე ბრინჯაოს მეჭეჭი აქვს დარჩილული.

ბეჭდის სიმაღლე — 2,2; დმ — 1,7 სმ.

67 (01/1—1878; სურ. 388) ბეჭედი რკინისა. რკალი ბრტყელია და გადადის ოვალურ ფარაკში. რკალის სიგანე — 2,0 სმ.

68 (01/1—1879; სურ. 389) სამაჯური რკინისა. ძლიერ დაჟანგულია, რკალი განივკვეთში მრგვალია.

ზემოაღწერილ კომპლექსში დადასტურებული ნივთების მსგავსი ინვენტარი IV საუკუნეში და IV—V სს-ით დათარიღებულ კომპლექსებში გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (43—44).

ამრიგად, სამთავროს სამაროვანზე საანგარიშო წელს გაითხარა 4 ტიპის სამარხი: 1. ქვაყუთი, 2. ორმოსამარხი, 3. თიხის ფილასამარხი და 4. კომბინირებული სამარხი. აქედან გვიანანტიკურ ხანაში დადასტურდა: ქვაყუთი, თიხის ფილასამარხი და კომბინირებული სამარხი. ადრეშუასაუკუნეებში კი ქვაყუთი და ორმოსამარხი.

გვიანანტიკური ხანის ქვაყუთი უფრო დაბალია, სწორკუთხა. კედლები შეუღლად აქვს ჩადგმული, განივ კედლებზე, თითქმის ყოველთვის, ნარიბანდებია

ამოჭრილი. გრძივი კედლები თითო-თითო ფილისგან შედგება. ამასთან, ფილაქვები უფრო საგულდაგულოდ არის დამუშავებული.

ადრეშუასაუკუნეების ქვაყუთები უმეტესწილად ტლანქად გათლილ-გაჩორკნილი ლოდებისაგანაა ნაგები დაუდევრად და ზომითაც საგრძნობლად განსხვავდება გვიანანტიკურისაგან: უფრო მაღალია და სამარხის ასაგებად მეტი რაოდენობის ფილაქვებია გამოყენებული. ქრება ნარიბანდები და ფარდიატების ამოსავსებად იყენებენ ფილაქვის ნატეხებს.

სამარხთა დიდი ნაწილი გაძარცული, ხოლო მიცვალებულთა ძვლები არეული იყო. მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ სამარხთა უმრავლესობაში მიცვალებულები გულაღმა გაშოტილი, თავით დასავლეთისაკენ დაუკრძალავთ. თუმცა ადრეშუასაუკუნეების 4 სამარხში მიცვალებულები დაუსვენებიათ თავით აღმოსავლეთით.

გვიანანტიკურ ხანაში სამარხები ძირითადად ინდივიდუალურია. წყვილადი დაკრძალვა დადასტურდა 5 სამარხში. ადრეშუასაუკუნეებში მხოლოდ სამ შემთხვევაში დადასტურდა ინდივიდუალური სამარხის არსებობა, დანარჩენი სამარხები საოჯახო ან სამრავალკაცო იყო.

წეროვან-ნარეკვავის რაზმი საანგარიშო წელს ძირითადად სამ უბანზე მუშაობდა. „წეროვანი - IV" — სამაროვანზე გაგრძელდა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ქვაწრიანი სამარხების შესწავლა (ნაკვ. CXLV—CXLVII). ამ მონაკვეთზე სულ გაითხარა 12 სამარხი. დასაკრძალავი კამერა წაგრძელებული ოთხკუთხა მოყვანილობისაა, რომელიც მიწის აწინდელი ზედაპირიდან 0,80—1,00 მ-ზეა სიღრმეზე გაუმართავთ მოყვითალო ფერის თიხნარში. კამერის ზომებია: სიგრძე — 1,20—1,30 მ; სიგანე — 0,90—1,10 მ. სამარხს გარშემოუყვება რამდენიმე რიგად დაწყობილი ქვის სარტყელი — წრე, რომლის დიამეტრი 4—5,5 მ შეადგენს. ცენტრალურ ნაწილში, კამერის თავზე მცირე ქვაყრილია კრატერისებურად ჩაქცეული (სურ. 392, 393).

ყველა სამარხი ინდივიდუალური იყო და მიცვალებული, როგორც წესი, სარეცელზე დაუსვენებიათ, ხელფეხმოკეცილი, მარჯვენა (№ 29—33, 35—37, 40) ან მარცხენა გვერდზე (№ 31, 32, 34, 39), თავით ჩრდილოეთით (სურ. 394, 395, 396, 397).

ინვენტარის სიუხვითა და მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა წარჩინებული მეომრის სამარხები (№ 29, 35—37). აღნიშნულ კომპლექსებში აღმოჩნდა: ბრინჯაოს მთლიანადსხმული სატევარი, ბოლოებმომრგვალებული და პირბასრი მახვილები, ვიწრო და ფართო სარტყელი, ბრინჯაოსა და რკინის შუბისპირი, ნესტრისებური ისრისწვერები, ირმის ქანდაკებები, სხვადასხვა ფორმისა და შემკულობის თიხის ჭურჭელი და სხვ. ზემოჩამოთვლილი მასალის შემცველი კომპლექსები ანალოგების მიხედვით ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლო საუკუნეებითა და პირველი ათასწლეულის დასაწყისით თარიღდება (I; II).

საილუსტრაციოდ ვაქვეყნებთ ერთ-ერთი სამარხის აღწერილობას.

**სამარხი 29.**
**(სურ. 398, 399;**
**1981. 18.05; ნაკ.**
**CXLVI, 5—6;**
**N — S)**

ქვაწრიანი ორმოსამარხია, რომელსაც რამდენიმე რიგად დაწყობილი რიყის ქვებისგან შედგენილი წრე შემოუყვება (დმ — 5 მ). ცენტრში — თიხნარ დედაქანში გამართულია მოგრძო, ოდნავ კუთხეებმომრგვალებული ორმო (1,30×1,10×0,80 მ). მიცვალებული დაუკრძალავთ სარეცელზე, რომელიც, როგორც ჩანს, შვეულად ჩადგმულ ოთხ მოგრძო რიყის ქვაზე მდგარა. მიცვალებულის ჩონჩხი ძლიერ ხელფეხმოკეცილი ასვენია, მარჯვენა გვერდზე, დასაკრძალავი კამერის O კედელთან. ფეხებთან წვრილფეხა ცხოველის ძვლები აღმოჩნდა.

სამარხში აღმოჩნდა თიხის 11 ჭურჭელი, ბრინჯაოს ბოლომომრგვალებული მახვილი, სარტყელი, ისრისწვერები, რკინის შუბისწვერი, ბრინჯაოს ჩქიფი და საკინძი.

**69** (01/21—162; სურ. 406) ქილა ღია ნაცრისფრად გამომწვარი თიხისა. პირი ფართო აქვს, ბაკო — ჩაკეცილი, ყელი — დაბალი. ყელს ქვემოთ სამი ამოღარული სარტყელი ამჩნევია. მუცელი განიერი, (ბიკონუსური ფორმის) აქვს, ძირი — ბრტყელი.

სიმაღლე — 12,5; დმ. პირის — 14,7; მუცლის — 19; ძირის — 6 სმ. აღმოჩნდა სამარხის SO კუთხეში.

**70** (01/21—162; სურ. 410) ხელადა ლეგანაცრისფრად გამომწვარი თიხისა, პირი გადაშლილი აქვს. ბაკო — ჩაკეცილი, ყელი — ცილინდრული, განიერი, მუცელი — სფეროსებური, ძირი — გამოყოფილი (ქუსლიანი). ყურისთავი უშუალოდ ბაკოზეა დაძერწილი, ყურისძირი — მხარზე. ყელს ქვემოთ ორი ამოღარული ზოლი ამჩნევია, ხოლო ძირის კიდეზე — ირიბი ნაჭდევები.

**71** (01/21—163; სურ. 407) ქილა მოყავისფრო-მოვარდისფროდ გამომწვარი თიხისა, ალაგ შავი ლაქები ამჩნევია. პირფართო, მუცელი გამობერილი აქვს, ძირისკენ შევიწროებული, ძირი — ბრტყელი (ხელით ნაძერწი).

სიმაღლე — 9,5; დმ. პირის — 7,5; მუცლის — 10; ძირის — 4 სმ.

აღმოჩნდა სამარხის ცენტრალურ ნაწილში.

**72** (01/21—164; სურ. 409) კოჭობი ღია ყავისფრად გამომწვარი თიხისა, პირი ოდნავ გადაშლილი აქვს, მუცელი — ბიკონუსური, ძირი — ბრტყელი, ყელს ქვემოთ ორი კონცენტრული ამოღარული სარტყელი ამჩნევია.

სიმაღლე — 5, დმ. პირის — 4, მუცლის — 7, ძირის — 3,5 სმ.

აღმოჩნდა მიცვალებულის ზედა და ქვედა კიდურებს შორის.

**73** (01/21—165; სურ. 414) საკინძი ბრინჯაოსი, მთლიანადსხმული. განივკვეთში მრგვალია, წვეროსკენ თანაბრად შევიწროებულია. თავი სფერული, რომელსაც 5 კოპი ამკობს. თავს ქვემოთ და ღეროზე ამოღარული სარტყლები ემჩნევა. ღერო გახვრეტილია.

სიგრძე — 15 სმ. აღმოჩნდა მიცვალებულის გულმკერდის არეში.

74 (01/21—166) ღილი ბრინჯაოსი, ნახევარსფერული, ზურგზე ამოღარული სარტყლები აშჩნევია. დმ — 0,8 სმ.

აღმოჩნდა მიცვალებულის გულმკერდის არეში.

75 (01/21—167; სურ. 415) მახვილი ბრინჯაოსი, მთლიანადსხმული, პირბასრი. ქუქუდო დაბალი აქვს ნახევარლინზის ფორმისა. იგი დაფანჯრულია, მოგრძო ტარი შუაში შევიწროებულია..ვადა განიერი, პირზე ფართოდ გადმოფარებული; პირი ტოლფერდა სამკუთხედის მოყვანილობისაა, ორივე მხრიდან დაუყვება დაბალი ქედი. პირი შემკულია კამარებით გადახურული სამ-სამი პარალელური ამოღარული ხაზებით.

სიგრძე — 50,2; ტარის სიგრძე — 11,5; პირისა — 33,2; ქუქუდოს სიმაღლე — 2; დმ — 1,5; სიგანე ვადასთან — 5,7 სმ.

აღმოჩნდა მიცვალებულის ზედა და ქვედა კიდურებზე.

76 (01/21—154; სურ. 401) ქოთანი ნაცრისფრად გამომწვარი თიხისა. პირი გადაშლილი აქვს, ბაკო — მრგვალი, ყელი — დაბალი, მუცელი — სფერული, ძირისკენ თანაბრად შევიწროებული, ძირი — ბრტყელი. ყელს ორი კონცენტრული ღარი აშჩნევია.

სიმაღლე — 27; დმ. პირის — 13; მუცლის — 21; ძირის — 10 სმ.

აღმოჩნდა სამარხის N კედელთან.

77 (01/21—155; სურ. 403) დერგი ნაცრისფრად გამომწვარი თიხისა, პირგადაშლილი; ბაკო მრგვალი აქვს, ყელი — ცილინდრული, მუცელი — ოვალისებური, ძირისაკენ მკვეთრად შევიწროებული, ძირი — ბრტყელი. ყელზე და მხარზე 4-4 ამოღარული კონცენტრული სარტყელი აშჩნევია.

სიმაღლე — 40; დმ. პირის — 14,5; მუცლის — 34; ძირისა — 11 სმ.

აღმოჩნდა სამარხის NO კედელთან.

78 (01/21—156; სურ. 402) დერგი ღია ნაცრისფრად გამომწვარი თიხისა. ბაკო მრგვალი აქვს, ყელი — ცილინდრული, მუცელი — კვერცხისებური, ძირი — ბრტყელი, მუცელზე ორი ბრტყელი ყური აქვს შებმული, მხარზე ორი ნაკაწრი სარტყელი აშჩნევია. სიმაღლე — 34; პირის დმ — 11; მუცლის — 27,5; ძირის 8,5 სმ.

აღმოჩნდა სამარხის N კედელთან.

79 (01/21—157. სურ. 408) კათხა მოშავო-მოვარდისფროდ გამომწვარი თიხისა, პირი ფართო აქვს, მუცელი — ოვალისებური, ყური მუცელზეა შებმული.

სიმაღლე — 16,5; მუცლის დმ — 14; ძირისა — 8 სმ.

აღმოჩნდა სამარხის NO ნაწილში.

80 (01/21—159; სურ. 404), ქოთანი ნაცრისფრად გამომწვარი თიხისა, ბაკო მრგვალი აქვს, ყელი — დაბალი, ცილინდრული, მუცელი — თვალისებური, ძირისკენ შევიწროებული. ყელს ქვემოთ ორი ღარი აშჩნევია. ბაკოს ქვეშ მოპირდაპირე მხარეს ორი ნახვრეტი აქვს.

სიმაღლე — 13; დმ. პირის — 9,5; მუცლის — 11; ძირისა — 6,3 სმ.
აღმოჩნდა სამარხის NO ნაწილში.

81 (01/21—160; სურ. 405) ლანგარი შავად გამომწვარი თიხისა. პირგადაშლილი, ბაკო მრგვალი აქვს, მხარი — გამოყვანილი (ამოღარული), კალთა — დამრეცი, ძირი ბრტყელი, გამოყოფილი აქვს. ძირის კიდეს ირიბი ჭდეები ამკობს. აღმოჩნდა მიცვალებულის ხელების ქვეშ.

82 (01/21—168; სურ. 411) შუბის წვერი რკინისა. მასრაგახსნილი პირი ფოთლისებრი და ქედიანი აქვს. მასრას სამანჭვალე ნახვრეტები ეტყობა. ძლიერ დაჟანგული და დაზიანებულია.

სიგრძე — 29; პირის — 14; სიგანე — 4; მასრის სიგანე — 2,5 სმ.
აღმოჩნდა ლანგარზე.

83 (01/21—169; სურ. 412) ჩქიფი ბრინჯაოსი. პატინირებულია, ნაწილობრივ დაზიანებული.

სიგრძე — 11,8; სიგანე — 1,2 სმ. აღმოჩნდა სამარხის ცენტრალურ ნაწილში.

84 (01/21—170; სურ. 416) სარტყელი ბრინჯაოსი, ძლიერ პატინირებული, დამზადებულია ბრინჯაოს თხელი ფურცლისაგან. მომრგვალებულ ბოლოებში სათასმე ნახვრეტი აქვს. სარტყლის ზედაპირი შემკული ყოფილა ცხოველთა გამოსახულებებით, რომბებით, რომელიც შევსებულია წიწვოვანი და წერტილოვანი ორნამენტით (გასაწმენდია).

85 (01/21—171; სურ. 413) ისრის წვერები (15 ც.). 14 ბრინჯაოს სამკუთხა ფირფიტოვანი ნესტრისებური ისრისპირია, 1 კი — ძვლისა, წვერს ქვემოთ ყველას ნახვრეტი ემჩნევა. აღმოჩნდა სამარხის კედელთან.

ნარეკვავის სამაროვანზე ძირითადად გადარჩენითი სამუშაოები ჩატარდა (სურ. 417) გზის გაფართოებისას დაზიანდა რამდენიმე სამარხი. აღნიშნულ სამარხებში დადასტურებული მასალა: ბიკონუსურტანიანი თიხის სასმისი, ბრინჯაოს სამაჯური, ფრინველსახოვანი ბრინჯაოს საკიდები, ბიკონუსური და სფერული საკიდები, სხვადასხვა მასალისა და ფორმის მძივები შეიძლება ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლო საუკუნეებით დათარიღდეს (1, II).

ვაქვეყნებთ ნარეკვავზე აღმოჩენილი ერთ-ერთი სამარხის აღწერილობას.

**სამარხი 26. (სურ. 418) 1981. 28. 04;** ქვაყრილიანი ორმოსამარხია. სამარხი დაზიანებულია, ამიტომ ზომები მიახლოებითია (სიგრძე — 1,55, სიგანე — 1,25 მ). სამარხში ორი მიცვალებული დაუკრძალავთ: ერთი — მარჯვენა, ხოლო მეორე — მის პირდაპირ მარცხენა გვერდზე.

სამარხში აღმოჩნდა:

86 (01/20—802; სურ. 419) დორა ლეგამონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა, პირგადაშლილი, ბაკომომრგვალებული; ყელი მაღალი აქვს, ცილინდრული. მუცელი — სფერული, ძირი — ბრტყელი. მხარზე ოთხი კონცენტრული ამოღარული სარტყელი ამჩნევია.

სიმაღლე — 0,60 მ; დმ პირის — 14; მუცლის — 31,5; ძირის — 10,5 სმ.
აღმოჩნდა სამარხის NW კედელთან.

87 ((01/20—803; სურ. 420) ქოთანი ლეგა-მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა. ზედაპირი ნაპრიალები აქვს. პირი ფართო, ბაკო — მრგვალი, მუცელი — გამობერილი, ძირისაკენ შევიწროებული, ძირი — ბრტყელი. მხარზე ორ ამოღარულ სარტყელს შორის ირიბად დაშტრიხული სამკუთხედების ორნამენტი ამჩნევია.

სიმაღლე — 23; დმ. პირის — 21, მუცლის — 36; ძირის — 10 სმ.
აღმოჩნდა სამარხის NW კედლის გასწვრივ.

88 (01/10—804; სურ. 421) ქოთანი ლეგა-ნაცრისფრად გამომწვარი თიხისა. პირი ფართო აქვს, ბაკო — მომრგვალებული, მუცელი — სფერული, ძირისაკენ შევიწროებული. ძირი — ბრტყელი, ყელს ქვევით ამოღარული კლაკნილი ზოლი ამჩნევია. მხარზე ირიბად დაშტრიხული სამკუთხედებია გამოსახული, რომლებიც ფუძით ამოღარულ სარტყელს ეყრდნობა.

სიმაღლე — 23,5; დმ. პირის — 25; მუცლის — 25; ძირისა — 11 სმ.
აღმოჩნდა მარცხენა გვერდზე დაკრძალული მიცვალებულის მენჯთან.

89 ((01/10—805; სურ. 422) ქოთანი ლეგა-ნაცრისფრად გამომწვარი თიხისა. პირი მრგვალი აქვს, ოდნავ გადაშლილი, ბაკო — მომრგვალებული. მუცელგამობერილი, ძირისაკენ შევიწროებული, ძირი — ბრტყელი. მხარზე განივკვეთში ოვალური, ზოომორფული ყური აქვს შებმული. მუცელზე ორი ამოღარული სარტყელი ამჩნევია. აღმოჩნდა მარცხენა გვერდზე დაკრძალულის თავის ქალასთან.

სიმაღლე — 19; დმ. პირის — 12,5; მუცლის — 27,5; ძირისა — 8 სმ.

90 (01/10—806; სურ. 423) კოჭობი მოყავისფროდ გამომწვარი თიხისა, ბიკონუსური ფორმის, ზედაპირი ნაპრიალები აქვს. პირი ოდნავ გადაშლილი, ყელი — მაღალი, შეზნექილი, ძირი — ბრტყელი. ტანზე წნევით დატანილი შვეული ზოლები ემჩნევა.

სიმაღლე — 9; პირის დმ. — 9; მუცლის — 15; ძირისა — 4,5 სმ.
იდო ზემოაღწერილ ქოთანზე.

91 (01/10—807; სურ. 424—428) საკიდები ბრინჯაოსი (5 ც.), 2 წარმოადგენს ფრინველის გამოსახულებას, რომელსაც თავთან ყუნწი აქვს დამაგრებული. 2 — ბიკონუსური ფორმის დაფანჯრული საკიდია, ერთი კი სფერული.
აღმოჩნდა მიცვალებულთა თავის ქალებთან.
სიმაღლე — 2,5—3 სმ.

92 (01/10—808; სურ. 431, 432) რგოლები ბრინჯაოსი (2 ც.) ოვალისებრი მოყვანილობისა, განივკვეთში მრგვალია. დმ — 1,5—2 სმ.
აღმოჩნდა მარჯვნივ დაკრძალული მიცვალებულის თავის ქალასთან.

93 (01/10—809; სურ. 429, 430) მძივები (147 ც.), 74 მოვარდისფრო-მოთეთრო, მრგვალ-ბრტყელი სარდიონის მძივია, 52 თეთრი და მოყვითალო პასტისა, 21 — ანთიმონის. მათ შორის 3 ბრტყელია — სწორკუთხა, პარკეტული

სახეებით შემკული. სამს განივი ნახვრეტები აქვს, ორს — ოთხკუთხა აბზინდის მოყვანილობა, მ — წელში შეზნექილია, დანარჩენი კი ბლაგვკუთხაა.

აღმოჩნდა ორივე მიცვალებულის გულ-მკერდის არეში.

ნატახტარის მიდამოებში (01/24—1), როგორც აღვნიშნეთ, მუშაობა დაიწყო ახალმშენებლობასთან დაკავშირებით. იქ გამოვლინდა შუა და გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამი სამაროვანი და გვიანანტიკურ-ადრეფეოდალური პერიოდის სამაროვნისა და ნამოსახლარის ნაშთები (სურ. 433, 434).

მცხეთური ნაკვეთი მოიზომა ნატახტარის საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე. თბილისი — დუშეთის გზატკეცილის 31 კმ-ზე, გზის მარცხენა მხარეს (01/24—1) გამოვლინდა სამი ქრონოლოგიური პერიოდის ძეგლი.

I ფენა, რომელიც 0,40 მ სიღრმეზე ჩნდებოდა, თითქმის მთლიანად დაზიანებულია სასოფლო-სამეურნეო მიწის სამუშაოებისას. შემორჩენილია მოვარდისფროდ გამომწვარი თხელკედლიანი ქვევრის ძირებითა და ქვაფენილიანი იატაკის (?) ნაშთებით. აიკრიფა თიხის ჭურჭლის ნატეხები ადრეშუასაუკუნეების პერიოდისა.

II ფენა წარმოდგენილია გვიანანტიკური ხანის სამი სამარხით. სამარხებში დადასტურდა თითო-ოროლა ნივთი, მათ შორის ოქტავიან-ავგუსტუსის ვერცხლის ორი მონეტა. სამივე ორმოსამარხი ინდივიდუალური აღმოჩნდა. მიცვალებულები გულაღმა გაშოტილი დაუკრძალავთ, თავით W-კენ.

III ფენაში აღმოჩნდა შუა ბრინჯაოს ხანის 5 სამარხი, მცხეთის სინამდვილეში საინტერესო სიახლეა — პირველად დადასტურდა კატაკომბური ტიპის სამარხი ნაგებობები.

ამ პერიოდის ხუთი სამარხიდან მხოლოდ ორში აღმოჩნდა მიცვალებულის ჩონჩხი, დანარჩენი კენოტაფებია.

სამარხებში აღმოჩენილი ინვენტარი: ბრინჯაოს ყუნწიანი სატევრისპირი, საკინძი და თიხის ჭურჭელი მსგავსია ქართლში და მესხეთ-ჯავახეთში გამოვლენილი სინქრონული ძეგლებისა და ძვ. წ. ა. XVII—XVI საუკუნეებით შეიძლება დათარიღდეს [45; 46; 47].

ვაქვეყნებთ ერთ-ერთი კატაკომბური სამარხის აღწერილობას.

**სამარხი 1.**
**(01/24—1; 1981, 8. 04; ნაკვ. 1,4—1,88; სურ. 435, 436**

კატაკომბური თარო-სამარხია. იგი მოყვითალო ფერის სილანარევ თიხნარშია გამართული. სამარხში ჩასასვლელი — დრომოსი წარმოადგენს კუთხეებმომრგვალებულ ორმოს (1,5×1,1 მ), რომელიც რამდენიმე წყებად ჩაყრილი დიდრონი რიყის ქვებით იყო ამოვსებული. დრომოსის სამხრეთით, მისგან 0,15 მ დაბლა გაუმართავთ ოვალისებრი მოყვანილობის დასაკრძალავი კამერა (1,8×0,90 მ).

სამარხში მიცვალებულის ჩონჩხი არ დადასტურებულა. იგი კენოტაფია. მიცვალებულისათვის ცხვარი შეუწირავთ. მისი ჩონჩხი მარჯვენა გვერდზე იდო, თავით O-კენ. ყელთან აღმოჩნდა ობსიდიანის დანა — ზვარაკის დასაკლავი.

სამარხში აღმოჩნდა:

**94** (01/24—1—1; სურ. 439) ქილა ლეგა-ნაცრისფრად გამომწვარი თიხისა, ორმაგი პურპელია — ერთმანეთზე გადაძერწილი ჯამისა და ქილის შთაბეჭდილებას ტოვებს. ბაკო მრგვალი აქვს, ყელი — კონუსური, მუცელი ვიწრო — გამობერილი, ძირი — ბრტყელი, მხარზე წერტილებით შევსებული სამკუთხედების ორნამენტი ამკობს. მუცელზე გამობერილი კოპების სარტყელი ემჩნევა.

სიმაღლე — 29; დმ. მუცლის — 17; ძირის დმ — 8,3 სმ. აღმოჩნდა სამარხის NW კუთხეში.

**95** (01/24—1—2; სურ. 437) ქილა მოყავისფრო-მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა. პირი ოდნავ გადაშლილი აქვს, ბაკო — მრგვალი, ყელი მაღალი, მხრებისკენ გაფართოებული. ნაჭდევი ირიბი ზოლებით შედგენილი სარტყლებითა და კოპებით არის შემკული.

სიმაღლე — 22; დმ. პირის — 11,2; მუცლის — 19,5; ძირის — 9,6 სმ.

აღმოჩნდა სამარხის S ნაწილში.

**96** (01/24—1—4; სურ. 445) ქოთანი მოყავისფრო-მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა. პირგადაშლილი, ყელი გამოყვანილი აქვს, მუცელი — სფერული. ძირი — ბრტყელი. მხარი შემკულია ორ ამოღარულ სარტყლებს შორის ჩაწერილი ირიბი ჭდეებითა და წერტილებით.

სიმაღლე — 13 სმ; დმ. პირის — 10,3; მუცლის — 11 სმ.

აღმოჩნდა სამარხის S ნაწილში.

**97** (01/24—1—5; სურ. 448) ჯამი აგურისფრად გამომწვარი თიხისა. პირფართო, ღრმა, ბაკო ბრტყელი აქვს, ამოღარული სარტყლით გამოყოფილი. ძირისაკენ შევიწროებულია. ძირი ბრტყელი აქვს.

სიმაღლე — 11; დმ. პირის — 16, მუცლის დმ — 18; ძირის — 10,8 სმ.

აღმოჩნდა სამარხის NW ნაწილში.

**98** (01/24—1—6; სურ. 443) ჯამი თიხისა, მოყავისფრო-მონაცრისფროდ გამომწვარი. ბაკო მრგვალი აქვს, პირი — მოყრილი, მუცელი — განიერი, სფერული, ძირი — ბრტყელი. პირის ქვემოთ ნაკაწრი და ბადისებრი სახეებით შევსებული. ორი ამოღარული სარტყელი ამკობს. მხარზე განივკვეთში ოთხკუთხა ყური აქვს შებმული.

სიმაღლე — 10,5; დმ. პირის — 16; მუცლის — 17,5; ძირის — 9,5 სმ.

აღმოჩნდა სამარხის NW ნაწილში.

**99** (01/24—1—7; სურ. 447) ჯამი მოყავისფრო-ნაცრისფრად გამომწვარი თიხისა. ზემოაღწერილის ანალოგიური.

სიმაღლე — 10,5; დმ. პირის — 14; მუცლის — 16; ძირის — 8 სმ.

აღმოჩნდა სამარხის NW ნაწილში.

**100** (01/24—1—8; სურ. 446) დერგი შავად გამომწვარი თიხისა, შავ-პრიალა. ბაკო მრგვალი აქვს, პირი — ოდნავ გადაშლილი, ყელი ცილინდრული, ტანი — ოვალური, ძირი — ბრტყელი. მხარზე შეუღლად ემჩნევა რელიეფური კოპების ორნამენტი.

სიმაღლე — 30; დმ. მუცლის — 26; ძირის — 12 სმ.

აღმოჩნდა სამარხის ცენტრალურ ნაწილში.

**101** (01/24—1—9; სურ. 440) ქილა ლეგა-მონაცრისფრო, კეცი გადანატეხში ყავისფერია. პირი გადაშლილი აქვს, ყელი — მაღალი, კონუსისებური, მუცელი — დაბალი, მომრგვალებული. ძირი — ბრტყელი. მხარზე ირიბი ჭდეებით შემკულ სარტყლებს შორის ჩაწერილია წვერით ძირისკენ მიმართული სამკუთხედები.

სიმაღლე — 21; დმ. — პირის — 10; მუცლის დმ — 16,5; ძირის — 9.5 სმ.

**102** (01/21—1—10; სურ. 442) ქილა შავად გამომწვარი თიხისა (აღმოჩნდა ცენტრალურ ნაწილში), პირი ოდნავ გადაშლილი აქვს, ყელი — მაღალი, მუცელი — ვიწრო, თვალისებური, ძირი — ბრტყელი. მხარზე ირიბი ჭდეებით შემკულ სარტყელზე დაფუძნებულია წვერით ძირისკენ მიმართული სამკუთხედები, რომლებიც წერტილოვანი ორნამენტით არის შევსებული.

სიმაღლე — 26; მუცლის დმ — 20; ძირის — 9 სმ.

აღმოჩნდა სამარხის ცენტრალურ ნაწილში.

**103** (01/21—1—11; სურ. 438) ქილა შავად გამომწვარი თიხისა. ზემოაღწერილის ანალოგიურია.

სიმაღლე — 22; პირის დმ — 11; მუცლის — 18,5 სმ.

**104** (01/21—1—13; სურ. 444) ჯამი ლეგა-ყავისფრად გამომწვარი თიხისა. პირმოყრილი, ღრმა, ძირბრტყელი. პირი ქვემოთ, ორ ამოღარულ სარტყელს შორის ჩაწერილია ირიბი ნაჭდევი ზოლები. სიმაღლე — 8,5 სმ.

**105** (01/21—1—14; სურ. 449) სასმისი მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი თიხისა. ნაპრიალები. პირი მრგვალი აქვს — გადაშლილი. ტანი — შეზნექილი, ძირთან ბიკონუსური. ძირი ბრტყელი აქვს.

სიმაღლე — 7 სმ; პირის დმ — 7,7; ძირის — 3,8 სმ.

აღმოჩნდა სამარხის ცენტრალურ ნაწილში.

**106** (01/21—1—15; სურ. 450) ობსიდიანის ანატკეცი, შავი ფერის. ბასრი პირი აქვს. სიგრძე — 4 სმ. აღმოჩნდა ცხვრის ყელთან.

**გრძელ მინდორზე** სამუშაოების განახლება, როგორც ზევით აღვნიშნეთ, მიწის სამუშაოების დაწყებასთან იყო დაკავშირებული.

როგორც ცნობილია, „გრძელი მინდორი" მცხეთის დედაქალაქობის პერიოდის ერთ-ერთი ცნობილი ძეგლია. ის მცხეთის დასავლეთით, მისგან 11 კმ დაცილებით მდებარეობს. აღნიშნულ ნაქალაქარზე მიკვლეულია საფორტიფიკაციო ნაგებობათა (კოშკი, ზღუდის ნაწილები) და სახელოსნოთა ნაშთები. იქ 1954—1956 წწ. მცხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ნაწილობრივ შეისწავლა ლითონის გამოსადნობი სახელოსნო, რომელსაც რამდენიმე განყოფილება ჰქონდა [14] აგრეთვე ალიზით ნაგები კოშკი (სურ. 451). სწორედ ამ ძეგლთან დაკავშირებით მოხდა სამწუხარო გაუგებრობა. იგი გასცეს საბაღ-ბოსტნე ნაკვეთებისათვის და მთლიანად გადახნეს. ამას მოჰყვა სხვადასხვა ტიპის ნაგებობა-

თა დანგრევა — განადგურება. მთელ ფართობზე იყო მიმობნეული ქვათლილები, კრამიტები და თიხის ჰურჰლის ნატეხები.

სარკინე — გრძელი მინდვრის რაზმმა განაახლა გათხრები სახელოსნო უბანზე (II ტერასა), რომელიც მთლიანად მიწით იყო დაფარული (სურ. 452).

საანგარიშო წელს მოხერხდა გრძელი მინდვრისა და მისი გამომყოფი მშრალი ხევების გეოდეზიური აგეგმვა და მცხეთურ ნაკვეთებად დაყოფა. გრძელი მინდვრის ფართობი 10,5 ჰა-ს აღწევს (სურ. 451).

II ტერასაზე მუშაობისას დიდი რაოდენობით ჩნდებოდა მცხეთაში კარგად ცნობილი ალიზის აგურები და წითლად შეღებილი ბრტყელი, გვერდებაკეცილი, ღარისებრი კრამიტების მრავალრიცხოვანი ნატეხები (სურ. 455). იქვე აიკრიფა კირქვისგან დამზადებული ქვათლილები. ერთ-ერთ მათგანზე ცხენის გამოსახულებაა ამოკაწრული. ქვათლილის სამი გვერდი შესანიშნავადაა დამუშავებული. ქვათლილის ოთხივე კუთხეში ამოკვეთილია 2 შვეული და 2 მერცხლისკუდა უწყვეტები (პირონები). ქვათლილის განაზომებია: 30×24×15 სმ; ბუდეების ზომები: სისქე — 5 სმ, სიგანე განიერ ნაწილში — 4 სმ, ვიწრო ნაწილში — 3 სმ, სიღრმე — 1,8 სმ, შვეული უწყვეტების ზომები: 4,5×2,2×5 სმ (სურ. 456—458).

გრძელ მინდორზე მოპოვებული კრამიტის ნატეხები საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ ორი ჯგუფი ღარისებრი კრამიტებისა: 1. ხელით ნაძერწი თუ კალაპოტში ამოყვანილი კრამიტები და 2. მორგვზე ამოყვანილი მელის ნახევრები, ე. ი. ჩარხზე ნაკეთები ღარისებრი კრამიტები. II ტერასაზე მოზომილ ნაკვეთებში მუშაობა არ დასრულებულა.

მუხათგვერდზე დასრულდა სამხედრო გზის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებული ძეგლის გათხრა. საანგარიშო წელს 200 მ² ფართობზე გამოვლინდა მტკვარ-არაქსის პერიოდის ნამოსახლარის ნაშთი (სახლი 3), გვიანბრინჯაოადრერკინის 3 და ადრეანტიკური პერიოდის 1 სამარხი (სურ. 460—478).

მტკვარ-არაქსის პერიოდის ნამოსახლარზე, რომელიც დაზიანებული აქვს გვიანდელ სამაროვნებს, გამოვლინდა სახლის საძირკველი. იგი შედგება ერთ რიგად ჩადგმულ საშუალო და დიდი ზომის ქვიშაქვის ქვატეხილებისაგან, რომელსაც წრიული ფორმა აქვს (დმ — 5,8 მ). ცენტრალურ ნაწილში აღმოჩნდა ოვალური ფორმის თიხის სამშვერილიანი კერა, რომელიც ამოვსებული იყო ნაცრითა და დამწვარი ნახშირით.

№ 3 სახლის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში საძირკვლის ძირთან დადასტურდა იატაკის ნაშთი, რომელზედაც აღმოჩნდა თიხის ხუფი და შავად ნაპრიალები, ვარდისფერსარჩულიანი ქილა (სურ. 462, 463).

უშუალოდ კერის ირგვლივ შემოწყობილი იყო თიხის ჰურჰლის ნატეხები და ქვიშაქვის სამკუთხა ფილა. შენობის N ნაწილში, საძირკვლის ძირთან ჩადგმული იყო დიდი ზომის დერგი. სახლის იატაკი ცენტრისაკენ ძაბრისებურად დაქანებულია.

მე-3 სახლის საძირკვლის აღნაგობა, კერის მოყვანილობა და იქ დადასტურებული მასალა პარალელური მასალის გათვალისწინებით (ხიზანაანთგორა [48], თეთრი წყარო [49] და სხვ.) საშუალებას გვაძლევს ნამოსახლარი III ათასწლეულის მეორე ნახევრით დავათარიღოთ.

საანგარიშო წელს გაითხარა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის 3 სამარხი (№ 47, 62, 51).

**სამარხი 47. (სურ. 464, 465; XII ნაკვ. 7, 1. 0,40 გ.**

წრიულქვაყრილიანი ორმოსამარხია (დმ — 4,80 მ) ქვაყრილის ქვეშ, 0,50 მ სიღრმეზე, უშუალოდ დასაკრძალავი ორმოს თავზე (1,75×1,35 მ). აღმოჩნდა ქვიშაქვის ორი მასიური ლოდი და რიყის ქვები, ე. ი. დასაკრძალავი ორმოს სახურავი, მიცვალებული დაუკრძალავთ მარჯვენა გვერდზე, ხელფეხმოკეცილი, თავით ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ.

სამარხში აღმოჩნდა 9 თიხის ჭურჭელი, ბრინჯაოს მთლიანადსხმული სატევარი, მთლიანადსხმული შუბისპირი, სარდიონის 4 მძივი და წვრილფეხა საქონლის ძვლები (სურ. 466—471).

ინვენტარის განხილვისა და პარალელური მასალის გათვალისწინებით — სამთავრო (50), თბილისი (5), ნარეკვავი (51), თრელი (6). სამარხი წინასწარულად ძვ. წ. II ათასწლეულის II ნახევრით თარიღდება.

**სამარხი 62. (XV, XII, XI, ნაკვ., 0,61 მ.).**

ქვაწრიანი ორმოსამარხია. წრე შეკრული იყო ორ რიგად დაწყობილი დამუშავებული ლოდებით, რომელსაც გარედან ერთ რიგად დაწყობილი მცირე ზომის რიყის ქვების არშია შემოსდევდა. წრის შიდა ნაწილი შესაძლოა შევსებული იყო რიყის ქვითა და ქვატეხილით (მხოლოდ ნაშთებია შემორჩენილი). ცენტრში, 0,30 მ სიღრმეზე აღმოჩნდა დასაკრძალავი ორმო, რომელიც ქვიშაქვის სამი ლოდით იყო გადახურული.

სახურავი ჩაქცეული იყო. იგი გაძარცული აღმოჩნდა.

**სამარხი 51. (სურ. 472, 473) $XV_{10}$, 0,82 მ;**

მცირე ზომის ქვაყუთია (1,11×0,71×0,55 მ). მიცვალებული ძლიერ ხელფეხმოკეცილი დაუკრძალავთ მარცხენა გვერდზე.

სამარხში აღმოჩნდა 4 თიხის ჭურჭელი, რკინის 2 სამაჯური, რკინის 2 საკინძი, ვერცხლის 4 მძივი, პასტის მძივები და ბრინჯაოს ძეწკვი (სურ. 474—478).

ზემოაღწერილ კომპლექსში აღმოჩენილი ნივთების ანალოგები დადასტურებულია ქართლის ადრეანტიკური და ადრეელინისტური ხანის სამაროვნებზე (გომარეთი [43], ღრმახევისთავი [44], კუშჩი [45], ბეშთაშენი [52], კამარახევი (28 და სხვ.) და ძვ. წ. IV—III სს. თარიღდება.

სათოელე-ნაბაღრებში საანგარიშო წელს გათხრები ძირითადად აბულეთის გორანამოსახლარზე მიმდინარეობდა; ნამოსახლარის თხემზე და მის სამხრეთ-აღმოსავლეთ ფერდობზე გამოვლინდა ადრეფეოდალური ხანის ორი სახლი.

გარდა ამისა, დადგინდა ადრერკინის ხანის სამაროვნის საზღვრები. დაზვერვებისას აბულეთის შემოგარენში აღმოჩნდა რკინის ფართო ათვისების პერიოდისა და ადრეშუასაუკუნეების ნამოსახლარის ნაშთები (სურ. 479—481).

აბულეთის გორაზე გათხრილი სახლები ნაგებია ქვატეხილით ტალახზე (ზომები: 3,50×2,35 მ). კედლის სისქე 0,8 მ აღწევს. სახლს პირიმხარე N მხარეს აქვს. შენობის S კედელთან, კედლიდან 1 მ-ის დაცილებით მიწაში გამართულია თონე, რომელიც თიხის სქელი მასით არის ამოყვანილი (ზომები: სიღრმე — 0,30 მ, დმ — 0,75 მ) ზემოაღწერილი სახლის (№ 1) S კედელთან დადასტურდა აგრეთვე წრიული კერის (?) ნაშთი (სურ. 482, 483).

ერთ-ერთ ნაგებობაში (№ 2) დადასტურდა საწნახელი, რომელიც სათავსის კუთხეში იყო ჩაშენებული. საწნახელს ნავისებრი მოყვანილობა აქვს (3,00×0,80 მ) და ღარით უკავშირდება თაღარს (3×0,80 მ). იგი შელესილია კირხსნარის სქელი ფენით (სურ. 484).

აბულეთის გორაზე გამოვლენილი ნაგებობის იატაკზე აიკრიფა წითლად გამომწვარი თიხის ჭურჭელი (ჯამების) მოუჭიქავი და მოჭიქული ნატეხები, რომლებიც ადრეული შუასაუკუნეებით თარიღდება [15].

აბულეთის გორაზე გამოვლენილ სამარხებს ნაწილობრივ დაუზიანებია ნამოსახლარი. სამარხები ნაგებია ფილაქანებითა და ქვატეხილით, მიცვალებულები ქრისტიანული წესით დაუკრძალავთ — გულაღმა გაშოტილი, გულხელდაკრეფილი, თავით დასავლეთით (სურ. 482, 483; 485—487).

სამარხში აღმოჩენილი თითო-ოროლა ნივთების მიხედვით (მინის მძივები), სამაროვანი შეიძლება განვითარებული შუასაუკუნეებით დათარიღდეს [53]. სურ. 488.

კულტურულ ფენაში მოპოვებულ მასალიდან ყურადღებას იქცევს წმინდა გიორგის სახელობის პატარა ეკლესიის მიდამოებში მიკვლეული ღარიანი კრამიტი, რომელზედაც ამოღარვის წესით ნედლ თიხაზე ნუსხახუცურით შესრულებულია დაქარაგმებული წარწერა. ქარაგმების გახსნის შემდეგ იკითხება: „**ქრისტე შეიწყალე მიქელ ამინ ძმანნი მისნი**". წარწერა შესრულებული უნდა იყოს სამონასტრო-სატაძრო სახელოსნოში ხელოსნის, ვინმე მიქაელის მიერ. იგი XI საუკუნისაა და წმინდა გიორგის ეკლესიის აშენების თარიღს ემთხვევა (სურ. 489, 490).

ამრიგად, საანგარიშო წელს აბულეთის გორა-ნამოსახლარზე დადასტურებული მასალები საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ გორანამოსახლარის სამხრეთ-დასავლეთ ფერდზე და მის შემოგარენში ძვ. წ. VIII—VII სს. შემდეგ დასახლების განახლება ხდება IV—V სს. და გრძელდება გვიანფეოდალურ ხანამდე.

А. АПАКИДЗЕ, В. НИКОЛАИШВИЛИ, А. СИХАРУЛИДЗЕ, Т. БИБИЛУРИ, Г. ГИУНАШВИЛИ, Ш. ИРЕМАШВИЛИ, Г. МАНДЖГАЛАДЗЕ, В. САДРАДЗЕ, Л. ХЕЦУРИАНИ

# МЦХЕТА—81

## КРАТКИЕ ИТОГИ РЕЗУЛЬТАТОВ ПОЛЕВЫХ ИЗЫСКАНИЙ 1981 ГОДА

Резюме

Мцхетская постояннодействующая археологическая экспедиция (МПАЭ) продолжала изыскания на обширной территории исторической Мцхета Великой — в г. Мцхета и его округе. В отчетном году, как и в предыдущие годы, экспедиция в основном вела раскопки на новостройках.

В пределах города, во время прокладки телефонной и канализационной сети, а также индивидуального жилищного строительства обнаружены культурные слои разных эпох:

1. Культурный слой эллинистического периода представлен в основном краснокрашенной керамикой (чаши с вогнутым венчиком и кольцевидным поддоном, кувшинчики с витой ручкой и т. д.), характерной для кувшинных погребений Мцхета.

2. Культурный слой позднеантичной эпохи представлен керамикой красно-розового и палевого обжига, характерной для поселений и могильников Картли первых веков н. э.

3. Культурный слой раннефеодальной эпохи представлен остатками сооружений из булыжной, преимущественно или рваного камня, кладки на глиняном растворе; глиняными цилиндрическими торнями; остатками очагов, глиняного пола и керамического трубопровода; глиняными кувшинами для хранения вина («квеври»); столовой и кухонной посудой и т. д.

4. Культурный слой развитого средневековья (эпоха Руставели) представлен комплексом зданий (жилое помещение и винный погреб — «марани»), выявленных на площади 100 м². Первый ряд кладки жилого помещения (№ 1) выстроен из огромных тесаных глыб на сухой кладке (средние размеры: 0,40×0,45×0,47 м), а остальные 7 представлены из булыжников на глине. Толщина стен — 0,90 м. Первый ряд, видимо, относится к более раннему строительному периоду. На глинобитном полу помещения обнаружены глиняная посуда и плоские черепицы. С восточной стороны стены помещения заходят под фундамент современных зданий (площадь выявленной части 30 м²). С западной стороны жилое помещение через дверной проем связано с винным погребом — марани. В марани в глинобитном полу вставлены 3 больших квеври, перекрытых каменными плитами. Один из них имеет кожух из известкового раствора. В северной стене марани на высоте 0,60 м устроена ниша

из плоских кирпичей (0,25×0,25×0,05 м). Под нишей видны следы длительного воздействия огня (свечки). Этот факт как будто указывает на традицию, засвидетельствованную в этнографической среде: первый угол марани служил местом отправления культовых обрядов — традиция, по своему происхождению уходящая в глубь веков; следует вспомнить, что во всех холмообразных поселениях Картли эпохи бронзы-раннего железа в жилых помещениях жертвенники сооружены на правой стороне от входа.

На полу помещения (I I) и марани собраны материалы (неполивные светлоглиняные чаши с поддоном, керамические трубопроводы и т. д.), позволяющие предварительно датировать этот комплекс XIII в. нашей эры.

В пределах города, к северу от храма Светицховели, на ул. Мамулашвили, вместе с остатками поселения открыты погребения разных типов: каменные гробницы, черепичные ящики, гробницы, составленные из керамических плит, и грунтовые могилы.

Всего в отчетном году открыты 25 погребений. Среди них богатством и многочисленнотью инвентаря выделяется каменноящичное погребение с двухскатной крышей, составленное из обработанных песчаниковых плит. В гробнице была захоронена молодая 18—20-летняя представительница высшего слоя городской знати (рис. 187). Об этом свидетельствует многообразный инвентарь из стекла, бронзы, серебра и золота. Большинство из них украшения и предметы одежды: части ожерелья, подвески, бусы, перстни, пуговки и т. д. Обряд захоронения христианский покойница лежала в вытянутой позе, головой на запад. В гробнице обнаружены также круглое антимонированное бронзовое зеркало и суберативная золотая монета Ардашира I (226—242 гг.*).

Из обнаруженных в гробнице вещей особо выделяется массивный гагатовый браслет, украшенный золотыми перегородчатыми поясами, в которые вставлены 42 полудрагоценных камня — пиропы. Этот браслет является уникальным памятником среди обнаруженных до сих пор в Грузии подобных украшений (рис. 188—226). Обращает внимание многочисленность украшений (особенно бус), сделанных из гишера (гагата) в комплексах Мцхета-Самтавро, что является, нужно полагать, немаловажительным основанием, свидетельствующим о местном производстве изделий из этого минерала. Это предположение подтверждается открытием богатых залежей гагата близ с. Сагурамо.

Технология производства образцов златокузнечества, обнаруженных в гробнице, проявляет генетическую связь с аналогичными памятниками, открытыми на территории престольного города и его округи.

Вышеперечисленный инвентарь находит близкие аналоги среди памятников усыпальниц питиахшей в Армазисхеви, Арагвиспири и

* Монету определила доктор исторических наук И. Л. Джалагания.

дает основание датировать этот комплекс второй половиной или концом III в. нашей эры.

Обращает внимание христианский обряд захоронения, совершенный в гробнице №25. Костяк лежал в вытянутой позе, головой на запад. Этот факт, наряду с христианскими символами, обнаруженными в позднеантичных погребениях Мцхета и Ерцо-Тианети, свидетельствует о проникновении христианской идеоологии задолго до объявления христианства официальной религией Картли.

На Самтаврском поле были продолжены исследования поселений и могильников разных эпох. На CLXVIII участке открыты погребения III—IV вв., врезанные в культурные слои поздне-эллинистической эпохи. Частично отрепарированы выявленные ранее помещения №9 и №10. Стены этих помещений на высоте 0,50 м возведены из рваных камней на глиняном растворе, которые, видимо, служили основой для плетенки с толстой обмазкой-штукатурки (толщина стен — 0,80 м, обмазки — 0,10 м). Пол помещении №9 был глинобитным, а перекрытие — двускатное — с черепичной кровлей. Площадь пемещения №9 — 90 м². Вдоль стен на расстоянии 1,65 м выявлены четырехугольные пилястры (0,25×0,07 м). Внутри помещения был обнаружен культурный слой толщиной в 1 м, со следами сильного огня. Помещение №9, нужно полагать, погибло в результате пожара.

Помещение №10 в плане прямоугольное и примыкает к вышеописанному помещению с западной стороны. Оно связано с последним и, видимо, является подсобным (площадь — 12,40 м²).

На полу помещения была обнаружена в основном красноангобированная керамика, характерная для памятников Картли поздне-эллинистического периода (рис. 975—988).

Из обнаруженных на Самтаврском поле погребений выделяется погребение 605 (рис. 350). Оно составлено из целых (0,56×0,56 м) и половинчатых (0,56×0,26 м) керамических плинф и перекрыто каменными плитами (внутренние размеры: 1,90×0,86×0,50 м). В нем было захоронено два покойника. Один лежал в вытянутой позе, головой на запад; кости второго были сдвинуты и собраны в кучу у северо-восточной стены гробницы.

В погребении был обнаружен довольно богатый и разнообразный инвентарь, а именно:

1. Серьги маленькие, но массивные (2 шт.). Приушная часть тонкая, трехграннозаостренная, несомкнутая, а основная часть представляет собой овальное колечко, сильно утолщенное книзу и заканчивающееся четырехгранной пирамидкой; высота серег — 1,5 см.

2. Бляхи золотые (15 шт.), четырехугольные. Представляют собой тонкий золотой лист, выпуклый по углам. В центре вставки из граната овальной и миндалевидной формы, которые помещаются в окаймленных зернью гнездах; на обратной стороне в углублениях (по углам) припаяны четыре петли:

(средн. длина — 1,7 см, ширина — 1,4 см; вес — 1,3 г).

Вышеописанные бляхи (золотой набор), по-видимому, украшали пояс, сделанный из кожи или ткани.

3. Перстень серебряный. Дужка массивная, несколько овальная, в сечении треугольная. Плечики расширены и переходят в овальный щиток, на котором напаяна высокая оправа — жуковина. В оправу вставлена гемма-интальо из коричневого сердолика с изображением Арфемиды с луком и стрелой.

Высота перстня — 2,5 см, дм — 1,6 см.

4. Перстень серебряный. Дужка овальная, в сечении треугольная. Плечики расширены и переходят в овальный щиток, на котором, видимо, была напаяна жуковина (разбита). В оправу была вставлена сердоликовая гемма-интальо с изображением стоящей во весь рост Тихе-Фортуны.

Высота перстня — 2 см, ширина — 1,9 см, дм — 1,6 см.

5. Перстень серебряный. Дужка овальная, в сечении треугольная. В высокую оправу, которая припаяна к овальному шинку, вставлена гемма-интальо с изображением орла, державшего в клюве лавровый венок — символ силы и победы.

Высота перстня — 1,8 см, шияина — 2,2 см, дм — 1,7 см.

Кроме перечисленных вещей, в погребении 605 обнаружены: два серебряных перстня, серебряная булавка, серебряное круглое зеркальце (разбитое на три), стеклянный бальзамарий, полусферические золотые пуговки и в большом количестве бусы из стекла, пиропа, агата, гагата (гишера), пасты, талька разной формы: 14-гранные, сферические, биконические, цилиндрические, бочковидные и т. д.

Вышеперечисленный инвентарь находит самые близкие аналоги в погребальных комплексах питиахшей в Армазисхеви, а также в позднеантичных погребениях Картли и комплексах Мцхета-Самтавро. Учитывая параллельный материал, погребение 605 можно датировать концом III в. нашей эры.

На Мухранской долине продолжались исследования могильников в основном бронзовой эпохи (рис. 392—450).

Близ с. Натахтари во время строительства оросительной системы были обнаружены остатки поселения и могильника позднеантичной эпохи. Под античным слоем выявлены и раскопаны 5 катакомбных погребений среднебронзового периода. Среди них три оказались кенотафами. Инвентарь в них представлен чернолощенной керамикой (корчаги, горшки, кубки, миски с рельефным и выемчатым орнаментом), оружием черешковый бронзовый кинжал) и украшением (сердоликовые сферические бусы, бронзовые булавки). В каждом кенотафе обнаружен скелет барана и обсидиановый отщеп у шейки — орудие заклания жертвенного животного. Два погребения оказались ингумационными. В одном из них покойник лежал в скорченной позе на правом боку, а в другом — на левом. В них засвидетельствован инвентарь, характерный для памятников Картли XVII—XVI в. до н. э. (рис. 435—450).

На могильнике Церовани — IV доследовались грунтовые погребения с каменными кругами эпохи поздней бронзы — раннего железа. В четырех из них покойник, видимо, лежал на специальном погребальном ложе. В погребениях обнаружены вставленные вертикально по четыре продолговатых камня. Из инвентаря следует отметить гравированные бронзовые пояса, бронзовый меч кахетинского типа, плоские бронзовые наконечники стрел и т. д. Обнаруженный в погребениях инвентарь предварительно можно датировать последними веками II тысячелетия до н. э. или началом I тысячелетия н. э. (рис. 392—415).

Возобновление работ на «Грдзели миндори» было связано с сельскохозяйственными земляными работами, незаконно проведенными членами садоводческого кооператива. Во время этих работ были разрушены остатки здания. На перепаханной территории в большом количестве обнаружены: сырцовые кирпичи, прекрасно отесанные известковые квадры с пиронами, обломки краснокрашенной черепицы двух типов и т. д. (рис. 451—459).

Экспедиция приступила к планомерному изучению памятника. Для этой цели в отчетном году произведена геодезическая съемка всей территории городища (10,5 га) (рис. 451). «Грдзели миндори» разбит на стандартные мцхетские раскопы (площадь каждого из них 432 м²).

У села Мухатгверди (Мухатгверди-II), на правом берегу Куры, закончились раскопки погребений эпохи поздней бронзы-раннего железа, античной эпохи и остатков поселения Куро-аракского периода (рис. 460—478).

Поселение Куро-аракского периода представлено тремя глиняными очагами и двумя ямами хозяйственного назначения.

Очаги находились на глубине 0,65 м от современной поверхности земли. Два из них вставлены в центр каменного круга (остатки фундамента жилого помещения), а третий — под круговой каменной насыпью. Очаги имеют три выступа и овальны по своей форме. Они были заполнены зольным слоем и черепками глиняной посуды. Можно предположить, что очаги имели культовое значение, так как проследить следы интенсивного обживания этой территории (вокруг очагов) не удалось — встречались лишь черепки глиняной посуды в незначительном количестве и остатки глиняной обмазки — штукатурки.

Следует сказать, что остатки поселения сильно повреждены погребениями последующих эпох, поэтому судить об архитектуре жилищ крайне затруднено.

Хозяйственные ямы (до выявления) имели каменную насыпь конусообразной формы и были заполнены черепками глиняной посуды, отщепами обсидиана и костями животных мелкого и крупного рогатого скота. В ямах прослеживались следы огня и зольного слоя.

Глиняная посуда, обнаруженная на поселении и в хозяйственных ямах (чернолощенная глиняная посуда с розовой подкладкой),

რკინის ხანის სხვადასხვა ტიპის სამარხები; ნაწილობრივ ნარეკვავის ნამოსახლარი (კალანდაძის გორა — I). აღსანიშნავია, რომ მე-2 სახლის კედლები ნაგებია ალიზით, რომელიც რიყის ქვის საფუძველზეა ამოყვანილი. სავარაუდოა ამგვარი ქვის საძირკველზე ლასტის კედლის ამოყვანა, რომელიც შემდეგ უმი ალიზით უნდა ყოფილიყო შელესილი. აქ ყურადღებას იქცევს სამშენებლო ხერხების ტრადიციულობა (მსგავსი ტექნოლოგია დასტურდება სამთავროს ველზე აღმოჩენილი ელინისტური პერიოდის სახლების კედლების ამოყვანისას).

ზ. სათოვლე-ნაბაღრებში გაითხარა ადრერკინის ხანის რამდენიმე სამარხი. გარდა ამისა, ჩატარდა დაზვერვები აბულეთის ქვეყნის ტერიტორიაზე. აღმოჩნდა ადრეფეოდალური ხანის ნასოფლარი და ორი ეკლესიის ნანგრევი. გამოვლინდა, აგრეთვე, ადრერკინის ხანის ნამოსახლართა ნაშთები. აბულეთის გორანამოსახლარს შეეძლო ხეკორძულას ხეობის უმოკლესი გზით ერთმანეთთან დაეკავშირებინა შიდა და ქვემო ქართლი. ამ ხეობაზე, უნდა ვივარაუდოთ, გადიოდა ცხვრის გზა თრიალეთის საზაფხულო საძოვრებისაკენ.

„აბულეთის" ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრებთა ეკონომიკური სიძლიერე, სხვა ფაქტორებთან ერთად, სწორედ ამ გზას უნდა განეპირობებინა.

ზემოჩამოთვლილ უბნებში გამოვლენილი ძეგლები მნიშვნელოვან საიმედო საფუძველს წარმოადგენს მცხეთის ქვეყნის კულტურის ისტორიის შესასწავლად ადრებრინჯაოს ხანიდან მოკიდებული შუა ფეოდალური ხანის ჩათვლით.

ცალკეულ უბნებზე განხორციელებული ძიებისა და თხრის უმთავრესი შედეგების შესახებ წინასწარული შთაბეჭდილებები ასეთია:

### მცხეთა-სამთავრო[1]

მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის სამთავროს რაზმი 1980 წელს ველზე მუშაობდა 10 თვის განმავლობაში (მარტი — დეკემბერი). ამ ხნის მანძილზე სამუშაოები ჩატარდა სამ უბანზე: მცხეთა-ქალაქში და სამთავროს სამაროვნის სამხრეთისა და ჩრდილოეთის უბნებზე (სურ. 1).

აპრილის შუა რიცხვებში სატელეფონო კაბელისათვის გადაიკვეთა სამთავროს ველის სამხრეთი ნაწილი, მონასტრის ხევი, სტალინის ქუჩა და გავიდა კავშირგაბმულობის სახლამდე[2].

---

[1] სამთავროს რაზმის შემადგენლობაში საველე სამუშაოებში მონაწილეობდნენ: გ. მანჯგალაძე — სამთავროს რაზმის უფროსი, ი. მანჯგალაძე — უფროსი ლაბორანტი; დ. წიკლაური, ი. ვაჩეიშვილი, ო. ბენაშვილი — ლაბორანტები; ს. ზურაბიშვილი — მხატვარი; კ. მელითაური — არქიტექტორი; საველე ფოტოებს იღებდნენ: ე. ასტახოვი, ს. რუნიხინი, ბ. მაღრაძე, გ. მანჯგალაძე; ინჟინერ-გეოდეზისტები — ვ. მასხარაშვილი, ა. კუცია; ანთროპოლოგები — ნ. კილაძე, მ. რჩეულიშვილი.

[2] მშენებლობას აწარმოებდა საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს სპეციალიზებული ტრესტის მე-2 მექანიზებული კოლონა.

სტალინის ქუჩის უბანზე ხორციელდებოდა არქეოლოგიური მეთვალყურეობა — გროვდებოდა თხრილიდან ამოყრილი მასალა. ვლინდებოდა და ფიქსირდებოდა თხრილში აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლები — სამარხები, კულტურული ფენები, შენობათა ნიშნები და სხვ. ამ ნაკვეთში, 590 მ-ის მანძილზე, არქეოლოგიური მასალა ჩნდებოდა უშუალოდ ასფალტის ქვეშ, ზოგან კი — 1,00 მ-ზე და უფრო ღრმადაც.

ამ ქუჩის მშენებლობისას (ამ ადგილზე რელიეფი ფერდს წარმოადგენს, რომელიც მდ. მტკვრისაკენ ეშვება), ადრინდელი და განვითარებული შუა საუკუნეებისდროინდელი ძეგლები განადგურებულა. მხოლოდ რამდენიმე ადგილას ჩანს ქვევრის ძირები.

აღმოჩენილ ძეგლთა ნაწილი გვიანანტიკური ხანისაა (III—IV სს.), მათ შორის სამი სამარხია (№ 20 კრამიტსამარხი, № 21 ქვაყუთი და კრამიტგადაფარებული ორმოსამარხი № 22); მოჩანს საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა რიყის ქვითა და ქვატეხილით ნაგები კედლების ნაშთები. შენობები გადახურული იყო ბრტყელი, გვერდებაკეცილი და ღარისებრი კრამიტით. აღნიშნული თხრილის ბოლოს, კავშირგაბმულობის შენობასთან დადასტურდა კარგად შემორჩენილი ადრეშუასაუკუნეების შენობათა ნაშთები. მათი კედლები, როგორც ჩანს, ნაგები იყო ალიზით ქვატეხილების საძირკველზე და გადახურული იყო მხოლოდ ბრტყელი, გვერდებაკეცილი კრამიტით (სურ. 3).

მოპოვებული მასალა შედგებოდა თიხის ჭურჭლისა და დიდი რაოდენობით კრამიტის ნატეხებისაგან.

მცხეთიდან შიომღვიმისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს აღმოჩნდა სვეტიცხოვლის წყალსადენის კიდევ ერთი ტოტი. როგორც ცნობილია, წყალი თვითდინებით, სხალტბის მიდამოებიდან მოედინებოდა. მილები კირხსნარში იყო ჩასმული (სურ. 2). შესაძლოა, საქმე გვაქვს ერთი მილსადენის ორ მონაკვეთთან (1975 წელს სვეტიცხოვლის დასავლეთით დადასტურდა ანალოგიური სურათი. მილსადენს გაჭრილი ჰქონდა ადრეშუასაუკუნეთა დროის კულტურული ფენა).

სტალინის ქუჩის დასაწყისში, პარტიის მცხეთის რაიონული კომიტეტის შენობასა და კინოთეატრ „კარიბჭეს“ შორის, თანამედროვე მიწის ზედაპირიდან 0,5 მ-ის სიღრმეზე გამოვლინდა 1,5 მ სისქის კულტურული ფენები: რომაული ხანის (I—IV სს.) და გვიანელინისტური (ძვ. წ. II—I სს.) ხანისაა.

კულტურულ ფენათა სტრატიგრაფიამ შემდეგი სურათი მოგვცა: გვიანელინისტური ხანის ფენა უშუალოდ მოსდევდა რომაულს (სტერილური შრის გარეშე), ხოლო ადრე და შუა საუკუნეთა ნამოსახლარი ფენებიდან მხოლოდ ქვევრის ძირები იყო შემორჩენილი უშუალოდ ასფალტის ფენის ქვეშ. ანტიკური და ფეოდალური ხანის ფენებს შორის კი მდებარეობდა 0,5 მ-ის სისქის სტერილური შრე, რომელიც თიხანარევ ქვაღორღს შეიცავდა.

ზემოაღნიშნული თხრილის ამ მონაკვეთის შესწავლამ საშუალება მოგვცა ნათლად წარმოგვედგინა კულტურულ ფენათა როგორც ვერტიკალური, ისე

характерны для Куро-аракской культуры и датируется второй половиной третьего тысячелетия до н. э.

На могильнике эпохи поздней бронзы-раннего железа в основном засвидетельствованы погребения двух типов: грунтовые погребения с круговой каменно насыпью.

Все погребения вышеуказанного периода индивидуальны. Покойники захоронены в скорченном положении на правом или левом боку, в основном, с ориентировкой северо-восток на юго-запад. Погребальный инвентарь представлен чернолощенной и сероглиняной посудой, бронзовым и железным оружием и украшениями.

По своей типологии, обряду захоронения и инвентарю эти погребения находят параллели на памятниках Восточной Грузии и датируются XIV—VII вв. до н. э.

На могильнике также было раскопано 4 погребения античной эпохи. Все погребения составлены из песчаниковых плит и представляют собой каменные ящики малых размеров с плоским перекрытием (рис. 472—473).

Погребения были индивидуальными. Покойники в них захоронены в сильноскорченном положении на правом или левом боку и ориентияованы с юго-востока на северо-запад.

По своему сооружению, обряду захоронения и погребальному инвентарю (кувшины палевого и черного обжига, миски, горшки, горшочки, несколько экземпляров краснокрашенной посуды, согнутые ножи («сасхлави») эти погребения находят множество аналогов с синхронными памятниками Картли и предварительно датируются V—III вв. до н. э. (рис. 474—478).

В Сатовлэ-Набагреби в отчетном году раскопки велись на «Абулетисгора». Исследовалась вершина этой горы и юго-восточный склон (рис. 479, 480).

Выявлено два помещения раннесредневековой эпохи. Они выстроены из рваных камней — на глиняном растворе (размеры: 3,50×2,35 м; толщина стены — 0,8 м). В помещении 1 засвидетельствованы торня и глиняный очаг (рис. 482—484).

В другом помещении 2 на склоне горы выявлена винодельня ладьевидной формы, которая встроена в жилой комплекс. Она оштукатурена толстым слоем извести. На остатках поселения врезаны каменные ящики. У некоторых из них продольные стены выстроены из рваного камня. Погребения колективные. Обряд захоронения христианский. Скудный инвентарь, обнаруженный в этих погребениях (в основном бусы) позволяет датировать их эпохой развитого средневековья (рис. 482—488).

Вокруг церкви св. Георгия (XI в.) обнаружена желобчатая черепица с надписью. Черепица, как видно, свалилась с крыши. На

сырой глине рукой мастера сделана надпись с грузинским письмом «хуцури» следующего содержания: *Христос, помилуй Микаэл, амен братья его* (рис. 489, 490).

Материалы, обнаруженные на «Абулетисгора», позволяют сделать вывод, что на холмообразном поселении и в его окрестностях после VIII—VII вв. до н. э. жизнь возобновляется с IV—V вв. и продолжается вплоть до позднего средневековья.

ვ. სადრაძე

# წეროვანი II. ბრინჯაო-რკინის ხანის სამაროვანი, კატალოგი

წეროვნის II სამაროვანი მდებარეობს სხალტბის ქედის ჩრდილოეთი კალთის ქვედა ტერასაზე, თბილისი — გორის სამხედრო გზის 31-ე კილომეტრთან, კალანდაძის გორების თავზე (სურ. 491—493).

სამაროვანს აღმოსავლეთ-დასავლეთიდან უსახელო მშრალი ხევები საზღვრავს: სამხრეთით — წეროვნის ზეგანი, ხოლო ჩრდილოეთიდან — მუხრანის ველი.

წეროვნის II სამაროვნის ტერიტორია წარმოადგენს ჩრდილო-აღმოსავლეთით დახრილ ზეგანს, რომელზედაც ადრე ხეხილის ბაღი იყო გაშენებული. ამჟამად აქ მიწათმოქმედების ინსტიტუტის საცხოვრებელი სახლებია აშენებული (სურ. 494, 495). სწორედ ამ ნაგებობებისათვის განკუთვნილი ქვაბულების ამოღებისას დაზიანდა სამაროვნის ცენტრალური ნაწილი (სურ. 495, 496). მცხეთის მუდმივმოქმედმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1977-79 წლებში სამაროვანზე შრომატევადი სამუშაოები ჩაატარა (10. გვ. 138—141; 14. გვ. 130—146; 8. გვ. 415—416). შევისწავლეთ 2000 მ² ფართობი. მოვხსენით ჰუმუსური ფენა, რომლის სისქე 30—40 სმ-ს შეადგენდა. ავგეგმეთ ტერიტორია და რამდენიმე ნაკვეთში ერთდროულად დავღრმავდით. დაღრმავების შემდეგ გამოჩნდა ყვითელი ფერის თიხა-მიწა, რომელიც დასერილი იყო სამი-ოთხი სმ-ის სიგანის პარალელური შავი ზოლებით. აღნიშნული ზოლები მიწის დამუშავებისა და პლანტაჟის კვალს წარმოადგენდა (სურ. 496).

სამაროვნის ტერიტორია რამდენჯერმე გადასწორებულია.

სამარხის მიწაყრილები, თუ მცირე ზომის ქვაყრილები ამის შედეგად უნდა იყოს განადგურებული.

სამაროვანი ადრებრინჯაოს ხანიდან ჩანს ათვისებული. აქ დადასტურდა ნამოსახლარი, რომელიც სამეურნეო ორმოებით იყო წარმოდგენილი (სურ. 497, 498) და ამავე პერიოდის რამდენიმე სამარხი (№ 70, 81, 86, 16—29) ამ ფენიდან მომდინარე კერამიკული მასალა (სურ. 499—504) ზუსტ პარალელებს პოუ-

---

ექსპედიციის ხელმძღვანელი აკად. ა. აფაქიძე; რაზმის უფროსი — ვ. სადრაძე, მეცნ. თანამშრომელი — რ. დავლიანიძე, ლაბორანტები: თ. ნახუცრიშვილი, ნ. ხუბულური, ნ. ბლიაძე, ნ. მოლაშვილი, მხატვარი — ი. ლოლიშვილი, ტოპოგრაფები: ვ. მასხარაშვილი, ა. კუცია, ფოტოგრაფი — გ. სიმონიანი.

ლობს ბედენ-კიკეთის ჯგუფის ძეგლებთან (5. ტაბ. I—IV; 15). ნამოსახლარი ფენა და მათ შორის ერთ-ერთი სამარხიც (№ 70) შემდგომში გამართულ გვიანბრინჯაოს ხანის სამაროვანს დაუზიანებია.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ სამაროვნის ცენტრალური და სამხრეთი მონაკვეთი ძირითადად გვიანბრინჯაოს ადრეული საფეხურის, ხოლო განაპირა — ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი — ადრერკინისა და რკინის ფართო ათვისების ხანის სამარხებით იყო დაყურსული. ასე რომ, გვიანბრინჯაოს ადრეული საფეხურისა და რკინის ხანის სამარხების შეხების არც ერთი შემთხვევა არ დადასტურდა. როგორც ჩანს, მოგვიანო, რკინის ხანის სამაროვანის გამართვის დროს ცნობილი უნდა ყოფილიყო არა მარტო ძველი სამარხების არსებობის ფაქტი, არამედ მათი გავრცელების მიახლოებითი საზღვრებიც.

წეროვნის II სამაროვანზე ამჟამად შესწავლილია 75 ორმოსამარხი. მათ შორის სამი მტკვარ-არაქსულ-ადრებრინჯაოს ხანას განეკუთვნება. 64 საკუთრივ გვიანბრინჯაოს, ხოლო რვა — ადრერკინისა და რკინის ფართო ათვისების ხანას.

## სამარხთა აღნაგობა და დაკრძალვის წესი

სამაროვანზე წარმოდგენილი იყო მიწაყრილიანი და ქვაყრილიანი ორმოსამარხები; მიცვალებულები ძირითადად კუთხეებმომრგვალებულ შვეულკედლება ორმოში დაუკრძალავთ. აქ გვხვდება როგორც ინდივიდუალური, ასევე წყვილადი და კოლექტიური დაკრძალვის შემთხვევები. მიცვალებული მარცხენა ან მარჯვენა გვერდზე, ხელფეხმოკეცილი, თავით N-საკენ (ოდნავი გადახრებით).

## წეროვანის მეორე სამაროვნის მტკვარ-არაქსის კულტურის სამარხები

**სამარხი 70.**
**(სურ. 505, 506),**
**1978, 16. V, ნაკვ. I,**
**კვ. 3 და ნაკვ. 20,**
**კვ. 12**

ქვაყრილი ოთხკუთხა ფორმისა იყო. სიგრძე — 210, სიგანე — 198. ორმო მოგრძო ოთხკუთხედს წარმოადგენდა: სიგრძე — 120, სიგანე — 115, შემორჩენილი სიღრმე — 130, იატაკის დონე O ხაზიდან — 48,77 სმ. მიცვალებული დაკრძალული იყო მარჯვენა გვერდზე, ხელფეხმოკეცილი, თავით W-საკენ. სამარხში თიხის ბადია და კვირისტავი აღმოჩნდა.

1 (01/15—II—333. სურ. 507). ბადია თიხისა, მოვარდისფრო-წაბლისფერი, ანგობირებული, პირი — გადაშლილი, მხარი — მაღალი, მომრგვალებულ კალათასთან რბილ წიბოს ქმნის. განივკვეთში მრგვალი ორი შვერილი ერთმა-

ნეთის საპირისპირო მხარეზეა დაძერწილი. სიმაღლე — 13,5 დმ, პირის — 28; ძირის — 10,5 სმ (მიცვალებულის თავის ქალას წინ).

2 (01/15—II—334, სურ. 508) კვირისტავი ძვლის, ნაკლული, ნახევრად-სფერული, თავი წაკვეთილი აქვს, შუაში გახვრეტილია. დმ — 4, სიმაღლე 1,4 (სახის წინ, ზედა კიდურებთან).

**სამარხი 81.** **(სურ. 508, 509, 1978, 22, VI. ნაკვ. XXI, კვ. 6)**

გრძელ კუთხეებმომრგვალებულ ორმოს წარმოადგენდა, სიგრძე — 170, სიგანე — 130; შემორჩენილი სიღრმე — 35 სმ. დაზიანებულია.

დაკრძალული იყო ორი მიცვალებული. პირველი მარცხენა გვერდზე, ხელფეხმოკეცილი, თავით NO-საკენ. მეორე ზურგზე, თავით W-საკენ. სამარხში ერთი თიხის ჭურჭელი დადასტურდა.

1 (01/15—II—400, სურ. 510). ბადია თიხისა, ნაკლული, კეცი ლეგა-ნაცრისფერი, ზედაპირი მოვარდისფრო-ყავისფერი, ალაგ ლეგა-ნაცრისფერი ლაქებით, ანგობირებული. ბაკო მრგვალი, მხარი ოდნავ გამოყვანილი, კალთა მომრგვალებული, ძირი ბრტყელი, მხარზე კონუსური ფორმის შვერილია დაძერწილი; სიმაღლე 12,7; დმ. პირის — 27; ძირის — 8,5 სმ (NO ნაწილში).

**სამარხი 86.** **(სურ. 511, 1978. 8. VII; ნაკვ. III, კვ. 7 და 10)**

ოვალური ფორმის სამეურნეო ორმოში გაუმართავთ. დმ — 145, სიღრმე — 45 სმ. დაკრძალული იყო ორი მიცვალებული, ხელფეხმოკეცილი, თავით S-საკენ. პირველი შედარებით ღრმად იყო დაკრძალული, მეორე ზევიდან დაუსვენებიათ, მარჯვენა გვერდზე; მას ზემოდან დიდი ზომის (პითოსის) ძირ-გვერდის ნაწილი ეფარა; მიცვალებულების დონეზე და მათ სიახლოვეს რამდენიმე თიხის ჭურჭელი და ერთი შვერილიანი სადგარი დადასტურდა.

1 (01/15—II—671) პითოსის ძირგვერდის ნაწილი, დამზადებულია ცუდად განლექილი თიხისაგან. კეცი ღია-ვარდისფერი; ზედაპირი შავი, კარგად ნაპრიალები, ძირი ვიწრო და ბრტყელია. კეცის სისქე — 2,1 სმ.

2 (01/15—II—672, სურ. 512). ქოთანი თიხისა, ორყურა, ნაკლული. სარჩული ვარდისფერი, ზედაპირი ღია-ყავისფერი, ნაპრიალები. ყელი მაღალი, გამოყვანილი; მუცელი მრგვალი; განივკვეთში ოვალური, ყური ყელზე და მხარზეა დაძერწილი; დმ პირის — 18,5; მუცლის — 21,2: კეცის სისქე — 0,8 (სამარხის ზედაპირზე).

3 (01/15—II—673) ქოთანი თიხისა, ორყურა, ნაკლული, სარჩული ვარდისფერი, ზედაპირი ღია-ყავისფერი, ანგობირებული. ანალოგიურია № 672, კეცის სისქე — 0,9 სმ.

4 (01/15—II—674), სადგარი თიხისა, აქვს შვერილი, დაზიანებულია, ვარდისფრად გამომწვარი, ერთი მხარე მომრგვალებული და გახვრეტილია, მეორე მხარისაკენ ფართოვდება და შვერილების სახეს ღებულობს. ერთი შვერილი

ჩამოტეხილი აქვს. სიგრძე 22, სისქე 5 სმ (მეორე მიცვალებულის ქვედა კიდურებთან).

5 (01/15—II—675, სურ. 513) ქილა თიხისა, პატარა, ნაკლული, კეცი შავი, ზედაპირი მოშავო-მოყავისფრო; პირი ოდნავ გადაშლილი, ყელი გამოყვანილი, მუცელი სფერული, ძირი ბრტყელი, სიმაღლე — 11,5; დმ. პირის — 10,6; მუცლის — 12.6 სმ (მეორე მიცვალებულის ქვედა კიდურებთან).

6 (01/15—II—476, სურ. 514) თიხის ჭურჭელი, ცილინდრული, ნაკლული. კეცი ჩალისფერი, ვარდისფრად გამომწვარი, ანკობირებული, ბაკო ბრტყელი, პირი ოდნავ გადაშლილი, ყელი გამოყვანილი, მუცელი ცილინდრული, ბრტყელი ძირისაკენ ოდნავ შევიწროებული. დმ პირის — 35, სიმაღლე — 18, ძირის — 26 სმ (პირველი მიცვალებულის თავზე იყო დამხობილი).

7 (01/15—II—477) პითოსის ძირ-გვერდის ნატეხი, სარჩული ნაცრისფერი, ზედაპირი ჩალისფერი, ალაგ მოზრდილი ყავისფერი ლაქებით, ნაპრიალები, ძირი ბრტყელი: კეცის სისქე 1,3 სმ (სამარხის ზედაპირზე).

8 (01/15—II—678) თიხის ჭურჭლის ძირ-გვერდის ნატეხი. სიმაღლე — 8, კეცის სისქე — 1 სმ.

9 (01/15—II—679, სურ. 515) თიხის ჭურჭელი, ტაფისებური, ნაკლული, ჩალისფრად გამომწვარი, პირი მრგვალი, მხარი ოდნავ გადაშლილი, პირის ერთი ნაწილი ჩაკეცილია, ძირი ბრტყელი, სიმაღლე — 4,8, დმ პირის — 22, ძირის — 18 სმ (სამარხის ცენტრალურ ნაწილში).

გვიანბრინჯაოს ხანის სამარხები (გვიანბრინჯაო)

**სამარხი 1.** (სურ. 516, 1979, 11. III. ნაკვ. XIII, კვ. 9) გრძელ კუთხეებმომრგვალებულ ორმოს წარმოადგენდა. სიგრძე — 145, სიგანე — 100, შემორჩენილი სიღრმე — 32 სმ (იატაკის დონე O ხაზიდან 50—63 სმ). მიცვალებული დაკრძალული იყო მარცხენა გვერდზე ხელფეხმოკეცილი, თავით N-საკენ. სამარხში სამი თიხის ჭურჭელი, ბრინჯაოს სამაჯური, სარდიონისა და ბრინჯაოს მძივები აღმოჩნდა.

1 (01/15—II—478, სურ. 517) დერგი თიხისა, ნაკლული, შავად გამომწვარი, ალაგ ყავისფერი ლაქებით; ყელი კონუსური აქვს, მუცელი მრგვალი, ძირი ვიწრო და ბრტყელი, მხარი შემკულია ნაჭდევი წიწვოვანი სახეებით შევსებული სამკუთხედებით, ქვემოთ მუცელზე შემოუყვება რამდენიმე კონცენტრული და ტალღისებური ზოლი. სიმაღლე — 30, დმ მუცლის — 30, ძირის — 9 სმ (NW კუთხეში).

2 (01/15—II—479, სურ. 518) ქილა თიხისა, პატარა, შავად გამომწვარი, ბაკო მრგვალი, პირი გადაშლილი, ყელი მაღალი, ოდნავ კონუსური; მუცელი დაბალი, გამობერილი, ძირი ბრტყელი; მხარზე და მუცელზე რამდენიმე ღარი

შემოუყვება. სიმაღლე — 18,2; მუცლის — 14,2, ძირის — 6,8 სმ (NO კუთხეში).

3 (01/15—II—480, სურ. 519) ჯამი თიხისა, პატარა, დაზიანებული, შავად გამომწვარი, ზედაპირი ხაოიანი, ტანი წიბოიანი, ძირი ვიწრო და ბრტყელი; მხარს რამდენიმე კონცენტრული ზოლი შემოუყვება. სიმაღლე — 4,2; დმ პირის — 8, ძირის — 2,4 სმ (O კუთხეში).

4 (01/15—II—481, სურ. 520) სამაჯური ბრინჯაოსი, ღერო განივკვეთში ოვალური, გადახსნილი თავებისაკენ შევიწროებული; დმ რგოლის — 6,5; ღეროს სისქე — 1,2 სმ (მიცვალებულის მარცხენა ზედა კიდურის მაჯაზე).

5 (01/15—II—482, სურ. 521) მძივი, ოთხი ცალი, სამი სარდიონის, მოწითალო-მოყავისფრო, მრგვალ-ბრტყელი. ერთი ბრინჯაოსი, მოზრდილი. დმ — 0,9; ორი საშუალო, დმ — 0,6; ერთი პატარა, დმ — 0,4 სმ (მიცვალებულის გულმკერდის არეში).

**სამარხი 4 (სურ. 522, 1979, 15. IV. ნაკვ. XII, კვ. 4—5)** გრძელ კუთხეებმომრგვალებულ ორმოს წარმოადგენდა. სიგრძე — 118, სიგანე — 80, შემორჩენილი სიღრმე — 25 სმ; იატაკის დონე O ხაზიდან 50,51 სმ. მიცვალებული დაკრძალული იყო მარცხენა გვერდზე, ხელფეხმოკეცილი, თავით N-საკენ. მიცვალებულის ჩონჩხი ცუდად იყო დაცული. სამარხში აღმოჩნდა: თიხის 5 ჭურჭელი, ბრინჯაოს სამაჯურები, რგოლი, რამდენიმე საკიდი, ღილი, ბრინჯაოს ჯაჭვი და მძივები.

1 (01/15—II—508, სურ. 523) დერგი თიხისა, შავი, ალაგ ლეგა-ნაცრისფერი, ნაკლული, ბაკო — მრგვალი, პირი — გადაშლილი, მუცელი — სფერული, ძირი — ბრტყელი; მხარს რამდენიმე კონცენტრული ღარი და სოლებით შედგენილი პირამიდები შემოუყვება. დმ მუცლის — 27,0; ძირის — 7,6 სმ (სამარხის ზედაპირზე NW კუთხეში № 509 დერგზე იდგა).

2 (01/15—II—509, სურ. 524) დერგი თიხისა, შავი, ალაგ ლეგა-ნაცრისფრად გამომწვარი, ნაკლული, ბაკო — მრგვალი, ჩაღარული, პირი — ფართო, გადაშლილი, მუცელი სფერული, ძირი ბრტყელი, მხარს ირიბი ჭდეებით შემკული რელიეფური სარტყელი შემოუყვება. ტანი ნაკაწრი კონცენტრული ზოლებითაა დასერილი; სიმაღლე — 24; დმ მუცლის — 27,5; ძირის — 9,4 სმ (სამარხის NW კუთხეში).

3 (01/15—II—510, სურ. 525) ჯამი თიხისა, შავად გამომწვარი, ნაპრიალები, ბაკო მრგვალი, მხარი დაბალი, გამოყვანილი, კალთასთან ქმნის წიბოს; ძირი — ბრტყელი; ტანს ერთი ფართო ღარი შემოუყვება, სიმაღლე — 7,7; დმ პირის — 12,6; ძირის — 5,9 სმ (სამარხის NO კუთხეში).

4 (01/15—II—511, სურ. 526) ქილა თიხისა, შავი, ალაგ ლეგა-ნაცრისფრად გამომწვარი, ბაკო მრგვალი, პირი გადაშლილი, ყელი მაღალი, კონუსური, მუცელი გამობერილი, მხარსა და მუცელს რამდენიმე ღარი შემოუყვება. სიმაღლე — 17, დმ პირის — 9,5; მუცლის — 17,6 სმ (სამარხის ცენტრალურ ნაწილში).

5 (01/15—II—512, სურ. 527) ჯამი თიხისა, პატარა, შავად გამომწვარი, ტანი წიბოიანი, წიბოზე რამდენიმე ღარი შემოუყვება. სიმაღლე — 5; დმ პირის — 10,1; მუცლის — 10; ძირის — 4,3 სმ (№ 509 თიხის ჭურჭელში იდო).

6 (01/15—II—513, სურ. 528) ხატისუღელი ბრინჯაოსი, დაზიანებული, ღერო განივკვეთში მრგვალი, თავებისაკენ დაბრტყელებულია და ჩახვეული. დმ რგოლის — 14, ღეროს სისქე — 0,3 სმ (მიცვალებულის ყელის არეში).

7 ((01/15—II—514, სურ. 529) სამაჯური ბრინჯაოსი, პატინირებული, ღერო განივკვეთში მრგვალი, თავებისაკენ შევიწროებულია, თავები გადაჭდობილი, ასიმეტრიული, დმ — 4,2 სმ (№ 511-სა და მიცვალებულის თავის ქალას შორის).

8 (01/15—II—515, სურ. 530) სამაჯური ბრინჯაოსი, ანალოგიურია № 514-სა, დმ რგოლის — 4,3 სმ (№ 511-სა და მიცვალებულის თავის ქალას შორის).

9 (01/15—II—516, სურ. 531) სამაჯური ბრინჯაოსი, ანალოგიურია № 514-სა. დმ — 4,5 სმ (№ 511-ის გვერდით).

10 (01/15—II—517, სურ. 532) რგოლი ბრინჯაოსი, პატინირებული, ფორმით ასიმეტრიული, თავები გადაჭდობილი. დამზადებულია განივკვეთში მრგვალი მავთულისაგან. დმ — 2,3 სმ (სამარხის NO კუთხეში, მიცვალებულის თავის ქალას წინ).

11 (01/15—II—518, სურ. 533) რგოლი ბრინჯაოსი, პატინირებული, დაზიანებული. დამზადებულია ბრტყელი ფირფიტისაგან, თავებგადადებული, დმ — 1,8 სმ (სამარხის NO კუთხეში; მიცვალებულის თავის ქალას წინ).

12 (01/15—II—519, სურ. 534) საკიდი ბრინჯაოსი, პატინირებული, სფერული. სიგრძე — 2,2 სმ (სამარხის NO კუთხეში, მიცვალებულის თავის ქალას წინ).

13 (01/15—II—520) საკიდი ბრინჯაოსი, პატინირებული, დამზადებულია განივკვეთში მრგვალი მავთულისაგან. თავთან დაბრტყელებული. ტანზე რამდენიმე რიგად დაუყვება მეჭეჭისებური კოპები. სიგრძე — 3,9 სმ (სამარხის NO კუთხეში, მიცვალებულის თავის ქალას წინ).

14 (01/15—II—521, სურ. 535) საკიდი ბრინჯაოსი, პატინირებული, ფორმით ენისებური, ყუნწთან დაბრტყელებულია. სიგრძე — 1,6; სიგანე — 1 სმ (სამარხის NO კუთხეში, მიცვალებულის თავის ქალას წინ).

15 ((01/15—II—522, სურ. 536) საკიდი ბრინჯაოსი, წარმოადგენს ფრინველის სტილიზებურ გამოსახულებას. სიმაღლე — 1,6 სმ (სამარხის NO კუთხეში, მიცვალებულის თავის ქალას წინ).

16 (01/15—II—523, სურ. 537) საკიდი ბრინჯაოსი, პატინირებული, ფორმით ენისებური, დამზადებულია თხელი ფირფიტისაგან, თავებჩახვეული. სიგრძე — 1,5, სიგანე — 0,8 სმ (სამარხის NO კუთხეში, მიცვალებულის თავის ქალას წინ).

17 (01/15—II—524, სურ. 538) ღილი ბრინჯაოსი, ორი ცალი, მოზრდილი, ნახევრადსფერული; დმ — 2,9 სმ (სამარხის NO კუთხეში, მიცვალებულის თავის ქალას წინ).

18 (01/15—II—525, სურ. 539) ღილი ბრინჯაოსი, პატინირებული, კონუსური, დმ — 2,5; სიმაღლე — 1 სმ (სამარხის NO კუთხეში, მიცვალებულის თავის ქალას წინ).

19 (01/15—II—526, სურ. 540) მძივები ბრინჯაოსი, ცილინდრული, დამზადებულია თხელი ფირფიტის ჩაკეცვის შედეგად. სიგრძე — 3,1; დმ — 0,3 სმ (სამარხის NO კუთხეში, მიცვალებულის თავის ქალას წინ).

20 (01/15—II—527, სურ. 541) ჯაჭვი ბრინჯაოსი, განივკვეთში მრგვალ მავთულზეა დამზადებული, შედგება ოვალური ფორმის რგოლებისაგან. სიგრძე — 1 სმ (სამარხის NO კუთხეში, მიცვალებულის თავის ქალას წინ).

21 (01/15—II—528, სურ. 542) ჯაჭვი ბრინჯაოსი, დამზადებულია განივკვეთში მრგვალი მავთულისაგან. შედგება ოვალური რგოლებისაგან. ღეროს სისქე — 0,1 სმ (სამარხის NO კუთხეში, მიცვალებულის თავის ქალას წინ).

22 (01/15—II—529, სურ. 543) მძივი 16 ცალი, ერთი ძვლის, ცილინდრული, სიგრძე — 0,8 სმ. II პასტის, მრგვალ-ბრტყელი, სარდიონის, ერთი ცალი, ყავისფერი; ბრინჯაოსი, სამი ცალი, ცილნდრული, სიგრძე — 0,7 სმ (სამარხის NO კუთხეში, მიცვალებულის თავის ქალას წინ).

23 (01/15—II—530, სურ. 544) ღილი ბრინჯაოსი, 23 ცალი, ნახევრადსფერული, დმ — 1—0,9 სმ (სამარხის NO კუთხეში, მიცვალებულის თავის ქალას წინ).

**სამარხი 5. (1979, 15. IV; ნაკვ. XIII, კვ. 4)** გრძელ, კუთხეებმომრგვალებულ ორმოს წარმოადგენდა, სიგრძე — 110, სიგანე — 74, იატაკის დონე O ხაზიდან 50,45 სმ. მიცვალებული დაუკრძალავთ მარცხენა გვერდზე, ხელფეხმოკეცილი. სამარხში აღმოჩნდა სამაჯურები, რგოლები, საკიდი და რამდენიმე მძივი.

24 (01/15—II—531, სურ. 545) სამაჯური ბრინჯაოსი, დამზადებულია მსხვილ ღეროზე, თავებისაკენ შევიწროებულია. ზურგი ნაკაწრი გეომეტრიული სახეებითაა შემკული. დმ რგოლის — 7,8; ღეროს სისქე — 1,2 სმ (სამარხის W კედელთან, წინამხრის ძვალზე).

25 (01/15—II—532, სურ. 546) სამაჯური, დამზადებულია განივკვეთში მრგვალ ღეროზე, თავებისაკენ თანდათან შევიწროებული და მკვეთრად შესქელებულია. ზედაპირი შემკულია ნაკაწრი გეომეტრიული სახეებით. დმ — 7,4; ღეროს სისქე — 1,5 (რგოლების W მხარეს).

26 (01/15—II—533, სურ. 547) საკიდი ბრინჯაოსი, ფორმით მსხლისებური, სიგრძე — 3,9 სმ (გულმკერდის არეში).

27 (01/15—II—534, სურ. 548) რგოლი ორი ცალი, ბრინჯაოსი, ერთი განივკვეთში ბრტყელ მავთულზეა დამზადებული, დმ რგოლის 1,3; მეორის — 2,2 სმ (მიცვალებულის კისრის მალებთან).

28 (01/15—II—535, სურ. 549) მძივი ბრინჯაოსი, კასრისებრი, სიგრძე — 1—1,2 სმ (მიცვალებულის კისრის მალებთან).

29 (01/15—II—536, სურ. 550) მძივი (სულ — 8 ცალი) სარდიონის — 7 ცალი, მრგვალ-ბრტყელი, 1 — პასტის, ფორმით წერაქვისებური; სიგრძე — 1,4 სმ (გულმკერდის არეში).

**სამარხი 6. (1979, 15, IV, ნაკვ. XIII, კვ. 5)** გრძელ-კუთხეებმომრგვალებულ ორმოს წარმოადგენდა. სიგრძე — 150, სიგანე — 100. შემორჩენილი სიღრმე — 82; იატაკის დონე O ხაზიდან — 50,48 სმ. მიცვალებული დაკრძალული იყო მარჯვენა გვერდზე, ხელფეხმოკეცილი, სამარხში ორი თიხის ჭურჭელი და ძვლის საკიდი აღმოჩნდა.

30 (01/15—II—263, სურ. 551) კოჭობი თიხისა, შავად გამომწვარი, ბაკო — მრგვალი, მუცელი — ბიკონუსური, ძირი — ბრტყელი, ტანზე რამდენიმე ღარი შემოუყვება. სიმაღლე — 8, დმ პირის — 7, მუცლის — 11, ძირის 4 სმ (სამარხის NO კუთხეში).

31 (01/15—II—538, სურ. 552) კოჭობი თიხისა, ნაკლული, ზედაპირი შავი, პირი მოყრილი, მუცელი მაღალი, მრგვალი, ძირი ბრტყელი; მუცელზე კლაკნილი ღარი შემოუყვება; სიმაღლე — 8, დმ პირის — 8, მუცლის — 13,5, ძირის — 4,3 სმ (მიცვალებულის თავთან).

32 (01/15—II—265, სურ. 553) ეშვი ტახის (?) დამუშავებული, შუაში გახვრეტილია, სიგრძე — 6,2 სმ (სამარხის N ნაწილში, მიცვალებულის თავის ქალასთან).

**სამარხი 7. (1979, II. V. ნაკვ. XI, კვ. 9)** სამარხი ძლიერ იყო დაზიანებული, ზომების დადგენა არ მოხერხდა. მიცვალებული დაკრძალული იყო მარჯვენა გვერდზე, ძლიერად ხელფეხმოკეცილი, თავით NNO-საკენ. სამარხში ორი ნაკლული თიხის ჭურჭელი აღმოჩნდა.

33 (01/15—II—540, სურ. 554) დერგი თიხისა, ნაკლული, ლეგა-ნაცრისფრად გამომწვარი, ბაკო — მრგვალი, პირი — გადაშლილი, ყელი — მაღალი, კონუსური, მუცელი ბიკონუსური, ძირი ვიწრო და ბრტყელი. მხარს ორი რელიეფური სარტყელი შემოუყვება. სიმაღლე — 32, დმ პირის — 30, ძირის — 8,3 სმ (მიცვალებულის თავის ქალას უკან).

34 (01/15—II—541, სურ. 555) დერგი თიხისა, ნაკლული, ლეგა-ნაცრისფერი, ალაგ ყავისფერი ლაქებით. ბაკო — მრგვალი, პირი გადმოკეცილი, ყელი დაბალი, მუცელი სფერული, ძირი ბრტყელი, მუცელი კონცენტრული და ტალღისებური სახეებითაა შემკული. სიმაღლე — 24,5, დმ — პირის — 15,0; მუცლის — 30,0; ძირის — 8 სმ (მიცვალებულის უკან).

**სამარხი 9.** (სურ. 556, 1970, 18. VI. ნაკვ. XXI, კვ. 8) გრძელ, კუთხეებმომრგვალებულ ორმოს წარმოადგენდა. სიგრძე — 180, სიგანე — 130. შემორჩენილი სიღრმე — 50 სმ. იატაკის დონე O ხაზიდან — 50,34 სმ. მიცვალებული დაკრძალული იყო მარცხენა გვერდზე, თავით N-საკენ. სამარხში აღმოჩნდა თიხის ექვსი ჭური, სამაჯური, რგოლი, რამდენიმე ღილი, ბრინჯაოსა და სარდიონის მძივები, ობსიდიანის ანატკეცი.

35 (01/15—II—551, სურ. 557) ქილა თიხისა, ორყურა, ნაკლული, არათანაბრად გამომწვარი, ლეგა-ნაცრისფერი, ალაგ შავი ლაქებით, პირი გადაშლილი აქვს, ყელი — დაბალი, მუცელი — მაღალი, კვერცხისებრი; ძირი — ვიწრო და ბრტყელი, მხარზე განივკვეთში ოთხკუთხა ყურია დაძერწილი. მხარი შემკულია კონცენტრული ნაკაწრი სახეებით. სიმაღლე — 24; დმ პირის — 11, მუცლის — 21,5; ძირის — 7 (სამარხის NW კუთხეში).

36 (01/15—II—552, სურ. 558) ქილა თიხისა, შავად გამომწვარი, ბაკო — მრგვალი, პირი — გადაშლილი, მუცელი — სფერული, ძირი — ბრტყელი; მხარი შემკულია კონცენტრული და კლაკნილი ნაღარი სახეებით. სიმაღლე — 21; დმ მუცლის — 22,4; ძირის — 8,4 სმ (სამარხის N ნაწილში მიცვალებულის თავთან, ხელის მტევანზე).

37 (01/15—II—553, სურ. 559) სადღვებელი თიხისა, ნაცრისფრად გამომწვარი, პირი გადაშლილი. ბაკო — მრგვალი, ყელი — დაბალი, მუცელი — კვერცხისებრი, ძირი — ბრტყელი, შუაში ოდნავ ამობურცული: მხარს რამდენიმე ფართო ღარი შემოუყვება. მხარზე მეჭეჭისებური სადინარი აქვს დაძერწილი. სიმაღლე — 46, დმ პირის — 18, მუცლის — 38, ძირის — 12, კეცის სისქე — 1,8 სმ (სამარხის NO კუთხეში).

38 (01/15—II—554, სურ. 560) დერგი თიხისა, ნაკლული, მოყავისფროლეგა-ნაცრისფრად გამომწვარი, ბაკო — მრგვალი, პირი — ფართო, მუცელი — სფერული, ძირი — ბრტყელი: მუცლის ტეხილი ხაზები და ზონარისებური რელიეფური ზოლები შემოუყვება. კეცის სისქე — 1,7 სმ (სამარხის O კედელთან).

39 (01/15—II—555, სურ. 561) დერგი თიხისა, ნაკლული, ლეგა-ნაცრისფრად გამომწვარი, პირი გადმოკეცილი აქვს, ყელი დაბალი, მუცელი სფერული, ძირი ვიწრო ბრტყელი, მხარს რამდენიმე ღარი და ნაჭდევი სოლებით შედგენილი პირამიდები შემოუყვება, ქვემოთ ემჩნევა ძირისაკენ დაშვებული ნაპრიალები ზოლები. სიმაღლე — 27, დმ მუცლის — 30, ძირის — 9 სმ (სამარხის O ნაწილში).

40 (01/15—II—456, სურ. 562) სასმისი თიხისა, შავად გამომწვარი. მხარი გამოყვანილი, ტანი წიბოიანი, ძირი ბრტყელი, ტანს ირიბი ჭდეები შემოუყვება. სიმაღლე — 5,8; დმ პირის — 6, ძირის — 3,6 სმ (№№ 554 და 555 ჭურჭლებს შორის).

41 (01/15—II—557, სურ. 563) სამაჯური ბრინჯაოსი, პატინირებული, ღერო განივკვეთში მრგვალი, თავებისაკენ შევიწროებული, თავებგადახსნილი, დმ — 6,5 სმ (№№ 552, 553 ჭურჭლებს შორის).

42 (01/15—II—558, სურ. 564) რგოლი ბრინჯაოსი, პატინირებული, განივკვეთში მრგვალი, თავებგადადებული, დმ — 2 სმ (მიცვალებულს ეკეთა).

43 (01/15—II—560) კილიტი, ორი ცალი, დაზიანებული, დმ — 0,8 სმ (მიცვალებულის თავსა და ყელის არეში).

44 (01/15—II—561, სურ. 565) მძივი ბრინჯაოსი, ოთხი ცალი, დამზადებულია თხელი ფირფიტების გადაკეცვის შედეგად, სიგრძე — 0,6 სმ (მიცვალებულის ყელის არეში).

45 (01/15—II—562, სურ. 566) მძივი პასტის, 14 ცალი, მოყავისფრო-მოწითალო, მცირე და საშუალო ზომის, მრგვალ-ბრტყელი, სიგრძე — 0,2—0,5 სმ (მიცვალებულის ყელის არეში).

46 (01/15—II—563, სურ. 567) ანატკეცი ობსიდიანის, სიგრძე — 2,8 სმ (მიცვალებულის ყელის არეში).

47 (01/15—II—564, სურ. 568) მძივი ბრინჯაოსი, 11 ცალი; ოთხი კასრისებრი, დანარჩენი წვრილი მავთულის დახვევის შედეგადაა მიღებული. სიგრძე — 0,4—0,7 სმ (მიცვალებულის ყელის არეში).

48 (01/15—II—565, სურ. 569) რგოლი ბრინჯაოსი, ორი ცალი, ღერო განივკვეთში მრგვალი, პირველის დმ — 0,6, მეორის — 2,3 სმ (მიცვალებულის ყელის არეში).

49 (01/15—II—566, სურ. 570) თიხის ჭურჭლის ნატეხი, შავად გამომწვარი, მეორადი დამუშავების კვალით, პატარა, დისკოსებური, დმ — 1,6; კეცის სისქე — 0,9 სმ (მიცვალებულის ყელის არეში).

**სამარხი 12. (1980. 22. I)** დააზიანეს მშენებლებმა სამარხის კონტური და დაკრძალვის წესი ვერ დავადგინეთ. სამარხის სიახლოვეს ნაყარ მიწაში სამი თიხის ჭურჭლის ნატეხი აღმოჩნდა.

50 (01/15—II—1107, სურ. 572) თიხის ჭურჭლის ძირგვერდის ნატეხი. შავად გამომწვარი, ზედაპირი ნაპრიალები აქვს, დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან. ქუსლი ოდნავ გამოყვანილი, ძირზე ემჩნევა კონცენტრული ზოლები. კეცის სისქე — 0,6, ძირის დმ — 5 სმ.

51 (01/15—II—1108, სურ. 571) თიხის ჭურჭლის მუცლის ნაწილი, ლეგა-ნაცრისფრად გამომწვარი, დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან. მხარს რამდენიმე ღარი და ნატვიფრი სოლებით შედგენილი პირამიდები ამკობს. კეცის სისქე — 0,8 სმ.

52 (01/15—II—1109, სურ. 573) ჯამის ძირგვერდის ნატეხი, შავად გამომწვარი, დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან. ძირზე ეტყობა ქუსლის გადაბმის კვალი. კეცის სისქე — 0,8, ძირის შემორჩენილი ნაწილის დმ — 5 სმ.

**სამარხი 13.**
**(1980. 22. I)**

სამარხის კონტური და დაკრძალვის წესი ვერ დავადგინეთ. ნაყარ მიწაში მიცვალებულის ძვლები და თიხის ჭურჭელი აღმოჩნდა.

53 (01/15—II—1110, სურ. 574) ჯამი, ყურიანი, ღრმა, შავად გამოწვარი, ბაკო — მრგვალი, პირი ოდნავ გადაშლილი, ბიკონუსური, ძირი ბრტყელი, ქუსლი გამოყვანილი; მხარს რამდენიმე ფართო ღარი შემოუყვება, რომელთა შორის დაშტრიხული, ტეხილი და ვერტიკალური გეომეტრიული სახეებია დატანილი. დმ პირის — 16,5; მუცლის — 24, კეცის სისქე — 0,5—0,9 სმ.

**სამარხი 14.**
**(1980, 22. I)**

სამარხის კონტური და დაკრძალვის წესი ვერ დავადგინეთ. მშენებლების მიერ ამოყრილ მიწაში თიხის ჭურჭლის ნატეხები დადასტურდა.

54 (01/15—II—1111). ბადიის პირ-გვერდის ნატეხები, ლეგა-ნაცრისფრად გამომწვარი, პირი — მოყრილი, მუცელი — სფერული, მხარს რამდენიმე კლაკნილი, ხოლო მუცელს — ერთი ფართო ზოლი შემოუყვება. კეცის სისქე — 0,7 სმ.

55 (01/15—II—1112) თიხის ჭურჭლის ნატეხი, შავად გამომწვარი, პირი ოდნავ გადაშლილი, ბაკო — ჩაღარული, ყელი — დაბალი, მხარი შემკულია რამდენიმე კონცენტრული ღარითა და მარცვლისებური ჭდეებით. კეცის სისქე — 0,8 სმ.

**სამარხი 21.**
**(სურ. 575, 1977.**
**5. VI. ნაკვ. I.კვ.12)**

გრძელ, კუთხეებმომრგვალებულ ორმოს წარმოადგენდა. სიგრძე — 165, სიმაღლე — 113, სიღრმე — 37. იატაკის დონე O ხაზიდან 150 სმ. მშენებლების მიერ იქნა დაზიანებული. მიცვალებული დაუკრძალავთ ხელ-ფეხმოკეცილი, მარჯვენა გვერდზე, თავით NNO-საკენ. მისთვის ჩაუყოლებიათ: მსხვილფეხა რქოსანი საქონელი, 6 თიხის ჭურჭელი, ბრინჯაოს სამაჯურები და ხატისუღელი.

56 (01/15—II—53, სურ. 576) ჯამი თიხისა, ალაგ ნაცრისფრად გამომწვარი, ზედაპირი პრიალა, ბაკო — მრგვალი, პირი — გადაშლილი, მხარი — წიბოიანი, კალთა დაქანებული, ძირი — ბრტყელი, მხარს ორ ფართო ღარს შორის მოთავსებული ტალღისებრი სახეები შემოუყვება, სიმაღლე — 10, დმ პირის — 18; ძირის — 7,5 სმ (სამარხის W კედელთან).

57 (01/15—II—54, სურ. 577) ჯამი თიხისა, პატარა, შავად გამომწვარი, პრიალა; მხარი წიბოიანი, ძირი ბრტყელი, მხარს ასიმეტრიული ზოლები შემოუყვება. ძირს ჯვრისებური ნაღარი სახე ამკობს. სიმაღლე — 5; მუცლის დმ — 11; ძირისა — 4 სმ (W კედელთან).

58 (01/15—II—55, სურ. 578) კოჭობი თიხისა, მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი, პირი — გადაშლილი, ყელი — დაბალი, მუცელი — ბიკონუსური, ძირი — ვიწრო და ბრტყელი, მხარს და მუცელს რამდენიმე ღარი შემოუყვება. სიმაღლე — 12,5; დმ მუცლის — 14,5; ძირის — 5,4 სმ (W კედელთან).

59 (01/15—II—56, სურ. 579) ქილა თიხისა, პატარა, მოშავო-ნაცრისფრად გამომწვარი, პრიალა, პირი — გადაშლილი, ყელი — ცილინდრული, მუცელი — გამობერილი, ძირი — ბრტყელი, მხარს რამდენიმე ტალღისებრი, კონცენტრული ზოლი და ნაჭდევი სოლებით შედგენილი პირამიდები ამკობს. სიმაღლე — 21, დმ პირის — 5, მუცლის — 19, ძირისა — 7,5 სმ (მენჯის ძვლის O მხარეს).

60 (01/15—II—57, სურ. 580) ქილა თიხისა, ნაკლული, პატარა, ყელგვერდის ნაწილი, კეცი — ყავისფერი, ზედაპირი მოყავისფრო-მოშავო, ნაპრიალები. ყელი კონუსური, მუცელი გამობერილი, მხარს რამდენიმე ღარი შემოუყვება. კეცის სისქე — 0,3 სმ (სამარხის NO ნაწილში).

61 (01/15—II—58, სურ. 581) ქილა თიხისა, მონაცრისფრო-მოშავოდ გამომწვარი, პრიალა, პირი — გადაშლილი, ყელი — მაღალი, კონუსური, მუცელი — სფერული, ძირი — ვიწრო და ბრტყელი. მხარს წნევის ტექნიკით დატანილი თევზისფხისებური და რომბისებური სახეები ამკობს; მუცელს სამი ფართო ღარი შემოუყვება. სიმაღლე — 21. დმ პირის — 10,5; მუცლის — 20; ძირის — 7 სმ (სამარხის N ნაწილში).

62 (01/15—II—59, სურ. 582) ქოთანი თიხისა, ორყურა, ყავისფრად გამომწვარი, ალაგ შავი ლაქებით, პრიალა, ყელი — კონუსური, მუცელი — გამობერილი, ძირი — ბრტყელი, განივკვეთში — ოთხკუთხა, აცქვეტილი ყური მხარზე და მუცელზეა დაძერწილი, მხარი შემკულია ნაკაწრი კონცენტრული და ტეხილი ღარებით. მუცელს ვერტიკალური ნაპრიალები ზოლები დაუყვება. სიმაღლე — 18; დმ პირის — 10,8, მუცლის — 21; ძირის — 8 სმ (სამარხის NO ნაწილში).

63 (01/15—II—69, სურ. 583) დერგი — თიხისა, სარჩული — წაბლისფერი, ზედაპირი ნაცრისფერი, ალაგ მოზრდილი შავი ლაქებით, პრიალა, პირი — გადაშლილი, ყელი — კონუსური, მუცელი — კვერცხისებური, ძირი — ბრტყელი. მხარი შემკულია ნატვიფრი სოლებით შედგენილი პირამიდებითა და ორი ნაკაწრი ღარით. მუცელზე დაუყვება ნაპრიალები ვერტიკალური ზოლები. სიმაღლე — 35, დმ მუცლის 31,5, ძირის — 9 სმ (სამარხის NO ნაწილში).

64 (01/15—II—1161, სურ. 584) ჯამი თიხისა, ნაკლული, კეცი რუხი-ყავისფერი, ზედაპირი ნაპრიალები, ბაკო — მრგვალი, მხარი — წიბოიანი, კალთა — დახრილი, ძირი — ბრტყელი, ქუსლი — დაბალი, სიმაღლე — 8 სმ (სამარხის NO ნაწილში).

65 (01/15—II—62, სურ. 585) კოჭობი თიხისა, ნაკლული, კეცი რუხი-ნაცრისფერი, ზედაპირი — შავი, პრიალა, პირი — ოდნავ გადაშლილი, ყელი — დაბალი, მუცელი — ბიკონუსური, ძირი — ბრტყელი, მხარს რამდენიმე ღარი შემოუყვება. სიმაღლე — 7, დმ მუცლის — 10,5, ძირის — 9,5 სმ (სამარხის NO ნაწილში).

66 (01/15—II—63, სურ. 586) სამაჯური ბრინჯაოსი, პატინირებული, მავთული — განივკვეთში მრგვალი, თავებისაკენ შევიწროებული, რგოლი — ასი-

მეტრიული. დმ რგოლის — 5,5, ღეროს სისქე — 2,1 სმ (მიცვალებულის მარცხენა ქვედა კიდურთან, ტერფის სიახლოვეს.

67 (01/15—II—64, სურ. 587) სამაჯური ბრინჯაოსი, განივკვეთში — მრგვალი, თავებისაკენ — შევიწროებული, რკალი — ასიმეტრიული, დმ — 5,5, ღეროს სისქე — 0,9 სმ (მიცვალებულის მარცხენა ქვედა კიდურთან, ტერფის სიახლოვეს).

68 (01/15—II—65, სურ. 588) ხატისუღელი ბრინჯაოსი, ნაკლული, ღერო— განივკვეთში მრგვალი, თავი დაბრტყელებული აქვს. ღეროს სისქე — 1 სმ (ნაყარ მიწაში).

**სამარხი 22. (სურ. 589, 1977. 20. VI. ნაკვ. I. კვ. 12)** კუთხეებმომრგვალებულ ორმოს წარმოადგენდა, შევსებული იყო რიყის ქვებით, სიგრძე — 200, სიგანე — 170, სიღრმე — 54 სმ. იატაკის დონე O ხაზიდან 17 სმ. დაკრძალული იყო ორი მიცვალებული; ორივე მარჯვენა გვერდზე, ხელ-ფეხმოკეცილი თავით NNO-საკენ, პირველი NW, ხოლო მეორე NO ნაწილში. მათთვის ჩაუყოლებიათ მსხვილფეხა რქოსანი საქონელი. სამარხში აღმოჩნდა თიხის შვიდი ჭურჭელი, ბრინჯაოს სატევარი, თავხვია საკინძი.

69 (01/15—II—66, სურ. 590) დერგი თიხისა, შავად გამომწვარი, ალაგ ნაცრისფერი ლაქებით, ზედაპირი — ნაპრიალები, პირი — გადაშლილი, ყელი — კონუსური, ტანი — კვერცხისებური, ძირი — ვიწრო და ბრტყელი, მხარი შემკულია სოლებით შედგენილი პირამიდებითა და ერთი ღრმა ღარით. მუცელზე დაუყვება ნაპრიალები ზოლები. სიმაღლე — 31; პირის დმ — 11,5; მუცლის — 28; ძირის — 8 სმ (სამარხის NO კედლის გასწვრივ).

70 (01/15—II—67, სურ. 591) ქილა თიხისა, პატარა, ყურიანი, მოშავომონაცრისფროდ გამომწვარი, ნაპრიალები, პირი — გადაშლილი, ყელი — მაღალი, კონუსური; მუცელი ბიკონუსური, ძირი — ბრტყელი, განივკვეთში ოთხკუთხა ყურისთავი ბაკოზე, ხოლო განივკვეთში მრგვალი ყურისძირი მხარზეა დაძერწილი, ყელზე ვერტიკალური, ნაპრიალები ზოლები ემჩნევა. მუცელზე ორი ასიმეტრიული ღარი შემოუყვება. სიმაღლე — 16, დმ პირის — 9, მუცლის — 10, ძირის — 6 სმ (პირველი მიცვალებულის მუხლებს შორის, სამარხის N მხარეს).

71 ((01/15—II—68, სურ. 592) დერგი თიხისა, კეცი ყავისფერი, ზედაპირი ნაცრისფერი, ალაგ შავი ლაქებით. ნაპრიალები, პირი — გადმოკეცილი, ყელი — კონუსური, მუცელი — დიდი, სფერული, ძირი — ვიწრო და ბრტყელი. მხარს ამკობს ასიმეტრიული ნაკაწრი ზოლები. სიმაღლე — 30, პირის დმ — 12, მუცლის — 31,5, ძირის — 8 სმ (სამარხის NO კედლის გასწვრივ).

72 (01X15—II—69, სურ. 593) დერგი თიხისა, კეცი ცუდად გალექილი, მოყავისფრო-მოწითალო, ზედაპირი მოყავისფრო-ჩალისფერი, ბაკო — ჩაღარული, ყელი — დაბალი, მუცელი — სფერული, ძირი — ბრტყელი, მხარი შემკულია ნაკაწრი კონცენტრული ზოლებით, მარცვლისებური ჭდეებითა და

გრეხილზონარისებური რელიეფური სახეებით. ძირს, კიდეზე, მარცვლისებური ღრმა ჭდეები შემოუყვება. სიმაღლე — 31, დმ პირის — 19, მუცლის — 33, ძირის — 10,5 სმ (სამარხის NO კედლის გასწვრივ).

73 (01/15—II—70, სურ. 594) დერგი თიხისა, ლეგა-ნაცრისფრად გამომწვარი, ალაგ მოზრდილი, შავი ლაქებით, ოდნავ ასიმეტრიული, პირი — გადმოკეცილი, ყელი — მაღალი, კონუსური, მუცელი — გამობერილი, ძირი — ბრტყელი, განივკვეთში ოთხკუთხა, პატარა, აცქვეტილი ყური მხარზეა დაძერწილი. ყელი შემკულია ტეხილი და ნაკაწრი სახეებით, მუცელზე რამდენიმე ფართო ღარი შემოუყვება. სიმაღლე — 31,5, დმ პირის — 13,5, მუცლის — 20,5, ძირის — 8 სმ (სამარხის NO კედლის გასწვრივ).

74 (01/15—II—71, სურ. 595) ქილა თიხისა, კეცი შავი, ზედაპირი მონაცრისფრო-მოშავო, ნაპრიალები, პირი — გადაშლილი, ყელი — მაღალი, გამოყვანილი, მუცელი — დაბალი, გამობერილი, ძირი — ვიწრო და ბრტყელი, მხარს ხუთი სიმეტრიული ღარი შემოუყვება. სიმაღლე — 23,5, დმ პირის — 11, მუცლის — 21, ძირის — 7,5 სმ (მეორე მიცვალებულის თავის ქალას ქვეშ).

75 (01/15—II—72, სურ. 596) დერგი თიხისა, კეცი — ნაცრისფერი, ზედაპირი — მონაცრისფრო-მოშავო, ნაპრიალები, პირი — გადმოკეცილი, ყელი — კონუსური, მუცელი — სფერული, ძირი — ბრტყელი, მხარი შემკულია ნაჭდევი ტალღისებური სახეებით. მუცელზე ორი რელიეფური სარტყელი და ნატვიფრი სოლებით შედგენილი პირამიდული სახეები შემოუყვება. სიმაღლე — 36, დმ პირის — 14, მუცლის — 35, ძირის — 9 სმ (საქონლის კისრის მალებზე ჩაუდგამთ).

76 (01/15—II—73, სურ. 597) სატევარი ბრინჯაოსი, ტარი შედგენილი, ქუქუდო — დაბალი, დაფანჯრული, ტარი — გამოყვანილი, პირი — გრძელი, სამკუთხა, ქედი — დაბალი, შემკულია სამი კამარისებური ნაღარი სახეებით. სატევრის სიგრძე — 31, პირის — 25, ტარის — 10,5; ტარის სისქე ქუქუდოსთან — 2,5, შუაწელში — 2, ვადასთან — 2,5 სმ. ქუქუდო ტიხარზე ხის სოლებით მაგრდებოდა (პირველი მიცვალებულის წინ, სამარხის NW კუთხეში).

77 (01/15—II—74, სურ. 598) საკინძი ბრინჯაოსი, თავხვია, ღერო განივკვეთში მრგვალი; სიგრძე — 9,5, სისქე — 0,5 სმ (პირველი მიცვალებულის წინ, სამარხის NW მხარეს).

**სამარხი 23.**
**(1977. 27. VI. ნაკვ. XIX. კვ. 9)**

ორმოს კონტური ვერ დავადგინეთ. ინვენტარის მიხედვით სიგრძე — 72, სიგანე — 92 სმ. დაზიანდა თხრილის გაჭრის დროს (იატაკის დონე O ხაზიდან 179 სმ); მიცვალებული დაკრძალული იყო მარჯვენა გვერდზე, ხელფეხმოკეცილი, თავით NNW-საკენ. სამარხში აღმოჩნდა თიხის ხუთი ჭურჭელი და ბრინჯაოს ხატისუღელი.

78 (01/15—II—75, სურ. 599) კოჭობი თიხისა, ასიმეტრიული, ყავისფრად გამომწვარი, ალაგ შავი ლაქებით, პირი — გადაშლილი, მუცელი — მაღალი,

ბიკონუსური, ძირი — ბრტყელი, მხარს ღრმა ღარი შემოუყვება, სიმაღლე — 9, დმ პირის — 5,5, მუცლის — 8, ძირის — 4 სმ (სამარხის W მხარეს).

79 (01/15—II—76, სურ. 600) ქილა თიხისა, პატარა, კეცი რუხი-ნაცრისფერი, ზედაპირი — ნაცრისფერი, ემჩნევა მოზრდილი შავი ლაქები, პირი — გადაშლილი, ყელი — კონუსური, მუცელი — დიდი, გამობერილი, ძირი — ვიწრო და ბრტყელი, ყელსა და მხარს რამდენიმე ღარი შემოუყვება. სიმაღლე — 24, დმ პირის — 10,5, მუცლის — 23, ძირის — 7,5 სმ (მენჯის ძვალზე და მისგან NO მხარეს).

80 (01/15—II—77, სურ. 601) ჯამი თიხისა, კეცი რუხი, ნაცრისფერი ლაქებით, ზედაპირი — ნაპრიალები, ბაკო — მრგვალი, პირი — გადმოკეცილი, მხარი — სფერული, ძირი — ბრტყელი, მხარს რამდენიმე ღარი შემოუყვება. სიმაღლე — 17,5, ძირის დმ — 8 სმ (№ 121 ჯამზე დაუდგამთ).

81 (01/15—II—78, სურ. 602) ჯამი თიხისა, კეცი რუხი ნაცრისფერი; ზედაპირი — შავი, ნაპრიალები, ბაკო — მრგვალი, მხარი — გამოყვანილი, წიბოიანი, ძირი — ვიწრო და ბრტყელი, მხარს რამდენიმე ტალღისებური და ერთი ფართო ღარი შემოუყვება. სიმაღლე — 10, დმ პირის — 16 სმ, ძირის — 6 სმ, მუცლის — 16 სმ (მენჯის ძვლის NO მხარეს).

82 (01/15—II—79, სურ. 603) ქილა თიხისა, ნაცრისფრად გამომწვარი, პირი — ოდნავ გადაშლილი, ყელი — მაღალი, ცილინდრული, მუცელი — კვერცხისებური, ძირი — ბრტყელი, შუაში ოდნავ ამობურცული, მხარს შემოუყვება მარცვლისებური ჰდეებით შევსებული სამკუთხედები, ტალღისებური და წრიული ღარები. სიმაღლე — 28, დმ პირის — 10,5, მუცლის — 24, ძირის — 12 სმ (მიცვალებულის ქვედა კიდურებს ეხებოდა).

83 ((01/15—II—80, სურ. 604) ხატისულელი ბრინჯაოსი, ნაკლული, დეფორმირებული, ღერო — გრეხილი, თავი — დაბრტყელებული და ჩახვეული აქვს, სისქე — 1,2 სმ.

**სამარხი 24.**
**(სურ. 605, 606,**
**(1977. 25. VI.**
**ნაკვ. XIX. კვ. 6)**

გრძელ, კუთხეებმომრგვალებულ ორმოს წარმოადგენდა. დაზიანდა თხრილის ამოღების დროს. სიგრძე — 155, სიგანე — 105, სიღრმე — 26 (იატაკის დონე O ხაზიდან — 181 სმ). დაკრძალული იყო ერთი მიცვალებული ხელფეხმოკეცილი, მარცხენა გვერდზე, თავით NNO-საკენ. მისთვის ჩაუყოლებიათ მსხვილფეხა რქოსანი საქონელი, დერგი, სასაფეთქლე რგოლები, სამაჯური; სარდიონის, პასტისა და ბრინჯაოს მძივები.

84 (01/15—II—81, სურ. 607) ქილა თიხისა, ნაკლული, კეცი რუხი ნაცრისფერი, ზედაპირი — ნაცრისფერი, ყავისფერი ლაქებით, ბაკო — მრგვალი, პირი — ოდნავ გადაშლილი, ყელი — მაღალი, ცილინდრული, მუცელი — კვერცხისებური, ძირი — ბრტყელი, მხარი შემკულია ტალღისებური და წრიული ღარებით. სიმაღლე — 26,5, დმ პირის — 10,3, მუცლის 22 სმ (მიცვალებულის ქვედა კიდურებთან, ოდნავ ქვემოთ, N მხარეს).

85 (01/15—II—82, სურ. 608) რგოლი ბრინჯაოსი, დამზადებულია ბრტყელი ფირფიტისაგან, თავები — გახსნილი, დმ რგოლის — 2,5, სისქე — 0,8 სმ (სამარხის NW ნაწილში, იატაკზე).

86 (01/15—II—83, სურ. 609) რგოლი ბრინჯაოსი, ბრტყელფირფიტოვანი, დმ — 1, სიგანე — 0,8 სმ (სამარხის NW კუთხეში, იატაკზე).

87 (01/15—II—84, სურ. 610) რგოლი ბრინჯაოსი, ფირფიტოვანი, დეფორმირებული, ზედაპირი წიწვოვანი ნაკაწრი სახეებითაა შემკული. ფირფიტის სიგანე — 1 სმ (სამარხის NW კუთხეში, იატაკზე).

88 (01/15—II—85, სურ. 611) რგოლი სასაფეთქლე, ბრინჯაოსი, ღერო განივკვეთში მრგვალი; დმ რგოლის — 2 სმ (სამარხის NW კუთხეში, იატაკზე).

89 (01/15—II—86, სურ. 612) რგოლი სასაფეთქლე, ბრინჯაოსი, ნაკლული, ღერო განივკვეთში მრგვალი, ოდნავ ასიმეტრიული. დმ რგოლის — 2,2, ღეროს სისქე — 0,2 სმ (სამარხის NW კუთხეში, იატაკის დონეზე).

90 (01/15—II—87, სურ. 613) სამაჯური ბრინჯაოსი, ღერო განივკვეთში მრგვალი, თავებისაკენ შევიწროებულია და გადახსნილი. დმ რგოლის — 6, ღეროს სისქე — 0,7 სმ (მიცვალებულის მარცხენა ზედა კიდურის წინამხრის ძვალზე).

91 (01/15—II—88) მძივი სარდიონის 23 ცალი, მოწითალო-ვარდისფერი, ბრტყელ-მრგვალი, 8 პატარა; დმ — 0,4—0,7 სმ (მიცვალებულის თავის ქალასა და გულმკერდის არეში).

92 (01/15—II—89, სურ. 614) მძივი პასტის, ოთხი ცალი, თეთრი, მცირე ზომის, ბრტყელ-მრგვალი, დმ — 0,3—0,4 სმ (გულმკერდის არეში).

93 (01/15—II—90, სურ. 615) მძივი ბრინჯაოსი, ორი ცალი, კასრისებური, დამზადებულია ფირფიტის გადაკეცვის შედეგად. სიგრძე — 0,5—0,6 სმ (გულმკერდის არეში).

**სამარხი 26.**
**(სურ. 616, 1977, 1. 07. ნაკვ. 1. კვ. 9)**

გრძელ, კუთხეებმომრგვალებულ ორმოს წარმოადგენდა; სიგრძე — 145, სიგანე — 100, სიღრმე — 34 სმ. სამარხში დაკრძალული იყო ერთი მიცვალებული, ხელფეხმოკეცილი, მარცხენა გვერდზე, თავით NNO-საკენ. მიცვალებულისათვის ჩაუყოლებიათ თიხის ქილა, ბრინჯაოს სამაჯური, სარდიონის მძივები.

94 (01/15—II—100, სურ. 617) ქილა თიხისაა, პატარა, ოდნავ ასიმეტრიული, კეცი ნაცრისფერი, ზედაპირი მონაცრისფრო, ალაგ შავი ლაქებით, ბაკო — მრგვალი, პირი — გადაშლილი, ყელი — მაღალი, ცილინდრული, მუცელი — გამობერილი, ძირი — ვიწრო და ბრტყელი. მხარზე წერტილებით გადმოცემულია რქოსან ცხოველთა სტილიზებული გამოსახულებები. მუცელზე რამდენიმე ფართო რელიეფური ზოლი შემოუყვება, სიმაღლე — 25, დმ პირის — 11,3, მუცლის — 25, ძირის — 8,2 სმ (სამარხის NO კუთხეში).

95 (01/15—II—101, სურ. 618) სამაჯური ბრინჯაოსი, ღერო განივკვეთში ოვალური, გადახსნილი თავებისაკენ შევიწროებულია და დაბრტყელებული.

დმ რგოლის — 6,8, ღეროს სისქე — 0,6—1 სმ (მიცვალებულის მარცხენა კიდურზე).

96 (01/15—II—102) მძივი, 22 ცალი, სარდიონის, 18 ვარდისფერი, ფორმით ცილინდრული და კასრისებური. პასტის, ორი ცალი, წერაქვისებური, ჯმუხი, სიგრძე — 1,4 სმ; ბრინჯაოს მძივი ორი ცალი, დამზადებულია წვრილი მავთულის დახვევის შედეგად. სიგრძე — 0,3—0,4 სმ (სამარხის იატაკზე, ალაგების დროს აიკრიფა).

**სამარხი 27. სურ. 619 (1977. 2. VII. ნაკვ. I. კვ. 6)** მართკუთხა, კუთხეებმომრგვალებულ ორმოს წარმოადგენდა. იგი თიხამიწაში იყო ჩაჭრილი, გააჩნდა ქვაყრილი; მისი ზომებია: სიგრძე — 192, სიგანე — 172, სიმაღლე — 40 სმ. სამარხში ორი მიცვალებული დაუკრძალავთ, ორივე ხელ-ფეხმოკეცილი; პირველი მარჯვენა, ხოლო მეორე მარცხენა გვერდზე. სამარხში გამოვლინდა: 3 ხატისუღელი, სასაფეთქლე რგოლი, ოთხი სამაჯური, ხვია, ორი უმბონი, ბრინჯაოს გილიტები; კონუსური მოყვანილობის ბრინჯაოს ნივთი, საკიდი, თიხის საბეჭდავი, მძივები — პასტის, ნიჟარის, სარდიონისა და მთის ბროლის, ობსიდიანის ანატკეცი.

97 (01/15—II—103, სურ. 620) ხატისუღელი ბრინჯაოსი, ღერო — გრეხილი, ძირითადად განივკვეთში მრგვალი, თავებთან ოთხკუთხა, თანდათან დაბრტყელებული და თავებჩახვეულია, სისქე — 0,2 სმ (პირველი მიცვალებულის კისერზე).

98 (01/15—II—104, სურ. 623) სასაფეთქლე რგოლი ბრინჯაოსი, ძლიერ პატინირებული: ღერო — მრგვალი, თავები — გადაჭდობილი. დმ — 2, სისქე — 0,2 სმ (აღმოჩნდა პირველი მიცვალებულის თავის ქალასთან).

99 (01/15—II—105, სურ. 624) სამაჯური ბრინჯაოსი, პატინირებული, ღერო განივკვეთში მრგვალი, თავებისაკენ თანდათან შევიწროებული; რგოლი ოვალური ფორმისაა. ზედაპირზე ეტყობა ნაჭდევი სახეები, დმ უდიდესი — 7,5, უმცირესი — 5,7, ღეროს სისქე — 0,7—0,5 სმ (პირველი მიცვალებულის მარცხენა წინა მხარის ძვალზე).

100 (01/15—II—106, სურ. 621) ხატისუღელი, ბრინჯაოსი, ძლიერ პატინირებული, მავთული გრეხილი, თავებისაკენ დაბრტყელებული და აკეცილი. დმ ღეროს — 0,2, დმ რგოლის — 12,7 სმ (მეორე მიცვალებულთან).

101 (01/15—II—107, სურ. 622) ხატისუღელი ბრინჯაოსი (ანალოგიურია № 106), მავთული — გრეხილი; დმ — 13,2 სმ, მავთულის სისქე — 0.3 სმ (მეორე მიცვალებულის კისერზე).

102 (01/15—II—108, სურ. 626) სასაფეთქლე რგოლი, ბრინჯაოსი, ძლიერ პატინირებული; მავთული — გრეხილი, თავები — გადახსნილი: ერთი თავი დაბრტყელებულია, რგოლი ოვალური მოყვანილობისაა. სისქე — 0.2 სმ (მეორე მიცვალებულის ბეჭის ძვალთან).

103 (01/15—II—109, სურ. 627) სამაჯური ბრინჯაოსი, ბრტყელი, თავებისაკენ თანდათან შევიწროებული, ძლიერ პატინირებულია. თავები გადაკეცილი აქვს. ზედაპირზე ეტყობა ორ-ორი წყვილი ხაზებისაგან შემდგარი ჩარჩო, რომელიც შიგნიდან წიწვოვანი სახეებითაა შევსებული უდიდესი სისქე — 2,1, თავებთან — 0,5 სმ (მეორე მიცვალებულის წინა მხრის ძვალზე).

104 (01/15—II—110, სურ. 625) სამაჯური ბრინჯაოსი; ღერო განივკვეთში ოვალური, სიმეტრიული, გადახსნილი, თავებისაკენ თანდათან შევიწროებული. ემჩნევა ნაკაწრი წიწვოვანი სახეები. დმ — 6,5; სისქე ღეროსი — 0,4; თავებთან — 0,3 სმ (იატაკზე, მეორე მიცვალებულის წინ).

105 (01/15—II—111) ხვია ბრინჯაოსი, ცილინდრული ფორმის, ძლიერ პატინირებული. სიგრძე — 0,7, დმ — 0,2 სმ (მეორე მიცვალებულის მარცხენა, ქვედა კიდურის ფალანგებთან).

106 (01/15—II—112, სურ. 628) უმბონი ბრინჯაოსი, ნახევრადსფერული, ძირზე შემოუყვება 2 ფართო ღარი. ზურგზე გამოსახულია ჯვრისებური რელიეფური სახე. დმ — 4,2, სიმაღლე — 1,2 სმ (მიცვალებულებს შორის, სამარხის N კედელთან).

107 (01/15—II—113, სურ. 629) უმბონი ბრინჯაოსი, ოდნავ ამოზნექილი. სამანჭვლე ღეროები განივკვეთში მრგვალი, შიდა მხარე შევსებულია სამსხმელო მასით. დმ — 4,2 სმ (მიცვალებულებს შორის, სამარხის N კედელთან).

108 (01/—II—114, სურ. 630) მძივი მთის ბროლისა, თეთრი, ცილინდრული, გამჭოლი ნახვრეტით. სიგრძე — 3,3, დმ — 1,8, ნახვრეტის — 0,5 სმ (მიცვალებულებს შორის, სამარხის N კედელთან).

109 (01/15—II—115, სურ. 631) ბრინჯაოს ნივთი, გაურკვეველი დანიშნულების, კონუსური ფორმის, ძირი — ბრტყელი, ვერტიკალური, გამჭოლი ნახვრეტით. ტანი შემკულია ჰვირული სოლისებური ფანჯრებით. სიმაღლე — 2, დმ ძირის — 3,3 სმ (მიცვალებულებს შორის, სამარხის N კედელთან).

110 (01/15—II—116, სურ. 632) რგოლი ბრინჯაოსი, ბრტყელი, თავებგადადებული. ზედაპირი შემკულია ორ ნაკაწრ ხაზს შორის მოთავსებული წიწვოვანი ჭდეებით, ოდნავ ასიმეტრიული. დმ — 2, სიგანე — 0,8 სმ (მიცვალებულებს შორის, სამარხის N კედელთან).

111 (01/15—II—117, სურ. 633) ბრინჯაოს რგოლი, თავები — გადახსნილი, ბოლოები არათანაბარი სისქის (მსგავსია №: 104-სა); დმ — 2,2, სიგანე — 0,7 სმ (მიცვალებულებს შორის, სამარხის N კედელთან).

112 (01/15—II—118, სურ. 634) კილიტი ბრინჯაოსი, მოზრდილი, კონუსური, ზედაპირს ოთხი ფართო ღარი შემოუყვება, ყუნწიანი. დმ — 2,4 სმ (მიცვალებულებს შორის, სამარხის N კედელთან).

113 (01/15—II—119, სურ. 635) კილიტი ბრინჯაოსი, 45 ცალი; ზურგი — ამოზნექილი, სამანჭვლე ღერაკი კილიტის კიდეებზეა დარჩილული, ძლიერ პატინირებული; დმ საშუალო — 0,7—0,8 სმ (მიცვალებულებს შორის, სამარხის N კედელთან).

582, 583, 584, 590, 589, 485, 595), სამი კი — საქართველოს სამხედრო გზის პირას (№№ 571, 572, 573).

ქვემოთ ვიძლევით საანგარიშო წელს აღმოჩენილ სამარხთა აღწერილობას:

მცხეთა 01/6 — IV.

**სამარხი 20. (1980. 13. IV) CCXX, 1; (W — O)**

კრამიტსამარხია, ქვიშაქვის ფილებით გადახურული. კედლები და იატაკი ბრტყელი კრამიტისა ჰქონდა. შემორჩენილი იყო სამარხის მხოლოდ ერთი მესამედი ნაწილი. სამარხის სიმაღლე — 0,6 მ. სამარხში შემორჩენილი რამდენიმე ძვლის საშუალებით გაირკვა, რომ ახალგაზრდა მიცვალებული იწვა გულაღმა გაშოტილი, თავით W-საკენ. სამარხის შემორჩენილ ნაწილში მასალა არ აღმოჩენილა.

**სამარხი 21. (1980, 13. VI. CCXIX, 1; W — O)**

ქვაყუთია, ბანურსახურავიანი. NW კუთხეში ნარიბანდი აქვს ამოკვეთილი. (2,05×0,65×0,05 მ). სამარხში ესვენა ზრდასრული მიცვალებული, გულაღმა გაშოტილი, თავით O-საკენ. ხელები ტანის გასწვრივ ეწყო. მარჯვენა ფეხი ოდნავ მოხრილი ჰქონდა. თავის ქალასთან რკინის ღერაკები აღმოჩნდა.

1 (01/6—IV—631; სურ. 10). ღერაკები რკინისა, ხის პატარა ფრაგმენტებია ზედ შერჩენილი ლურსმანი (?). ერთის სიგრძე 4 სმ-ია, მეორესი — 2,2 სმ.

**სამარხი 22. (1980. 13. VI. CCXIX, 1. N — S)**

ორმოსამარხია, ერთი ღარისებრი კრამიტით გადახურული. აღმოჩნდა 21-ე ქვაყუთის კედელთან (0,43×0,25 მ). სამარხში ესვენა ჩვილი თუ ახალშობილი, პოზა და დამხრობა ვერ დავადგინეთ. ძვლები ცუდად იყო შემორჩენილი. ინვენტარი არ აღმოჩენილა.

**სამთავროს სამაროვნის სამხრეთ უბანი**

**სამარხი 570. (1980. 17. V. CCXXV, 0, W — O)**

ორმოსამარხია, ქვაყრილიანი. ოვალური ფორმა აქვს (1,20×0,70×0,40 მ). მიცვალებული შესაძლებელია მარჯვენა გვერდზე ესვენა, ხელფეხმოკეცილი, თავით W-სკენ. შემორჩენილი იყო მხოლოდ მკერდზედა ნაწილი. დანარჩენი ექსკავატორმა მოანგრია. სამარხში აღმოჩნდა: ბრინჯაოს საკინძი, სხვადასხვა თიხის ჭურჭლის ნატეხები.

2 (01/1—1638. სურ. 62). საკინძი ბრინჯაოსი, თავხეია. მრგვალგანივკვეთიანი ღერო, გაბრტყელებული და ჩახვეული თავი აქვს, პატინირებულია.

სიგრძე — 12, სიგანე თავთან — 1,7 სმ, ღეროს დმ — 0,6 სმ.

3 (10/1—1639. სურ 63). ჯამი თიხისა. ნაკლულია. ზედაპირი შავლეგა ნაპრიალები აქვს, კეცი მოყავისფრო, მსხვილმინარევებიანი, მრგვალი ბაკო, სწორი მხარი, რომელიც დამრეც კალთასთან წიბოს ქმნის, ბრტყელძირა.

სიმაღლე — 5,5, დმ — 2—3 სმ.

4 (01/1—1640. სურ. 64). თიხის ჭურჭელი, აკლია ყელ-პირის ნაწილი. აქვს სფერული, ძირისკენ შევიწროებული მუცელი. მხარზე ორ ჰორიზონტალურ ამოღარულ ხაზს შუა მოქცეულია შტამპით დატანილი ტალღისებრი სახეები.

შემორჩენილი სიმაღლე — 10,5; ძირის დმ — 6,5 სმ.

5 (01/1—1641). თიხის ჭურჭელი. ნატეხებია მხოლოდ. ლეგა-ნაცრისფრადაა გამომწვარი, ნაპრიალები. აქვს გამოყვანილი ყელი, სფერული მუცელი. ყელის ძირზე შემოუყვება ამოღარული ხაზები: ზემოთ — ტალღისებური, ქვემოთ — 4 სწორი, ამოღარული.

6 (01/1—1642. სურ. 65). ქვა ბაზალტის, ლეგა-მოშავო ფერისაა. თითქმის მრგვალი ფორმა აქვს. ცალ მხარეს მოპრიალებულია. მეორე მხარეზე რამდენიმე ადგილი ატკეცილი აქვს.

სისქე — 1,7, დმ — 6,5 სმ.

**სამარხი 574. (სურ. 18. (1980. 26. V). CCXXV, 3; O — W)** ქვის ფილებით გადახურული თიხისფილა სამარხია. გადახურული იყო ქვიშაქვის სამი ფილით. O და W განივი კედლები შედგებოდა თითო ოთხკუთხა და ნახევარი ფილებისაგან (58×0,23×0,03 მ); N და S გრძივი კედლები კი სამ-სამი დიდი და თითო ნახევარი ფილისა იყო. განაზომები: 0,58×0,56×0,3 მ; 0,55×0,55×0,03; 0,57×0,55×0,03; 0,58×0.25×0,03; (1,90×0,76×0,55 მ). მიცვალებულთა ქვედა კიდურების ძვლები ეყარა O კედელთან, W კედელთან — თავის ქალები. შესაძლოა. იწვნენ გულაღმა გაშოტილი, თავით W-საკენ. სამარხიდან ამოყრილ მიწაში აღმოჩნდა: ოქროს რგოლი (საყურე).

7 (01/1—1671; სურ. 66). საყურე ოქროსი. წარმოადგენს განივკვეთში ოთხკუთხა, მცირე ზომის, გრეხილ რგოლს. თავგახსნილია.

დმ — 10, რკალის სისქე — 1 მმ.

**სამარხი 575. (სურ. 21, 22) (1980. 27. VI; CCXXV, 8; O — W)** კრამიტსამარხია, ორფერდასახურავიანი. კეხი შედგება 4 ღარისებრი კრამიტისაგან. სახურავის თითოეული ფერდი 4 ბრტყელი და 3 ღარისებრი კრამიტისა იყო. N და S კედლები სამ-სამი ბრტყელი კრამიტისაგან შედგებოდა. მთლიანად სამარხზე 28 კრამიტი დაუხარჯავთ (10 ღარისებრი, 18 ბრტყელი). სახურავის აღმოსავლეთ კედლის ბრტყელ კრამიტზე დადასტურდა ალაპის ნაშთი (ფრინველის ძვლების გროვა). სამარხის შიდა ზომებია 1,00×0,80×0,40 მ. სამარხში მცირეწლოვანი ინდივიდის ჩონჩხი აღმოჩნდა, იწვა გულაღმა გაშოტილი, თავით N-საკენ, შუა ნაწილში. ძვლები ცუდად შემორჩა. მარცხენა ხელი მუცელზე ჰქონდა გადადებული, მარჯვენა — ოდნავ მოხრილი, ტანის გასწვრივ ედო. სამარხის იატაკი 4 ბრტყელი კრამიტისა იყო. სამარხში აღმოჩნდა: 2 თიხის ჭურჭელი, 2 სანელსაცხებლე (ფრაგმენტები), ოქროს ფირფიტა.

114 (01/15—II—120, სურ. 636) ღერაკი ბრინჯაოსი; განივკვეთში ოთხკუთხა, თავები შევიწროებული, ერთი თავი განივკვეთში მრგვალი, მეორე — დაბრტყელებული, პატინირებული. ღერაკის სისქე — 0,7, სიგრძე — 4,7 სმ (მიცვალებულებს შორის, სამარხის N კედელთან).

115 (01/15—II—121, სურ. 637) საბეჭდავი, თიხა კარგად განლექილი, კეცი ყავისფერი, ზედაპირი ლეგა-ნაცრისფერი, ნაპრიალები, სახელურის თავი დაზიანებული აქვს; საბეჭდავის ბრტყელი პირი კიდეებთან მომრგვალებულია. პირზე გამოსახულია ბორჯღალი (მზის გამოსახულება). ბორჯღალის ოთხივე სპირალისებური მხარი ზემოდან დაბრტყელებულია. სიმაღლე — 5, დმ პირის — 5,3 სმ (მიცვალებულებს შორის, სამარხის N კედელთან).

116 (01/15—II—122, სურ. 638) საკიდი ბრინჯაოსი, ძლიერ პატინირებული, გამოსახულია ფრინველი, ზურგზე განივკვეთში მრგვალი ყუნწი აქვს დარჩილული. სიგრძე — 2,5, სიმაღლე — 1,6 სმ (მიცვალებულებს შორის, სამარხის N კედელთან).

117 (01/15—II—123, სურ. 639) მძივი, 103, ბრინჯაოსი (35 ცალი), ერთი ხვიას წარმოადგენს, 2 ცილინდრულია, შუაში წვეტიანი შვერილებით, დანარჩენი კასრისებური და ცილინდრული ფორმისა: ერთიც ანტიმონის მძივი მრგვალ-ბრტყელი. საყუნწე ხვრელს ზემოდან ორივე მხარეს ქედი გასდევს. უდიდესი დმ — 1, უმცირესი — 0,4 სმ (მიცვალებულებს შორის, სამარხის N კედელთან).

118 (01/15—II—124, სურ. 640) ობსიდიანის ანატკეცი, სიგრძე — 4,5, სიგანე — 3,5 სმ (მიცვალებულებს შორის, სამარხის N კედელთან).

**სამარხი 28. სურ. 641 (1977. 1. VII. ნაკვ. I. კვ. 3—6)** გრძელ, კუთხეებმომრგვალებულ ორმოს წარმოადგენდა; სიგრძე — 137, სიგანე — 91, სიღრმე — 60 სმ. დაკრძალული იყო ერთი ინდივიდი, მარჯვენა გვერდზე, ხელფეხმოკეცილი, თავით NNW-საკენ. მიცვალებულს ძვლის საკიდი აღმოაჩნდა.

119 (01/15—II—125, სურ. 642) საკიდი, დამზადებულია ნეკნის ძვალზე. ემჩნევა გაპრიალების კვალი. ფორმით — ოვალური, ოდნავ ასიმეტრიულია. შუაში ორი ნახვრეტი აქვს დატანილი. სიგრძე — 5,6, სიგანე — 2 სმ (მიცვალებულის წინ, მარჯვენა ბარძაყის ძვლის სიახლოვეს).

**სამარხი 29. (სურ. 643, 1977. 2. VII. ნაკვ. I. კვ. 3—6)** გრძელ, კუთხეებმომრგვალებულ ორმოს წარმოადგენდა, ოდნავ ასიმეტრიული, სიგრძე — 235, სიგანე — 102, სიღრმე — 28 (იატაკის დონე 0 ხაზიდან 48,79 სმ). დაკრძალული იყო ორი მიცვალებული, ხელფეხმოკეცილი, თავით N-საკენ. მეორე პირველზე დაუსვენებიათ. სამარხში რამდენიმე ცალი ბრინჯაოს მძივი აღმოჩნდა.

120 (01/15—II—126, სურ. 644) მძივი ბრინჯაოსი, 6 ცალი, კასრისებური, ოდნავ ასიმეტრიული, სიგრძე — 0,4—0,5 სმ (სამარხის ალაგებისას გამოვლინდა).

**სამარხი 30.**
**(სურ. 645, 1977. 20. VII. ნაკვ. II. კვ. 4—7)**

გრძელ, კუთხეებმომრგვალებულ ორმოს წარმოადგენდა. სიგრძე — 145, სიგანე — 108, სიღრმე — 32 სმ. დაუკრძალავთ ორი მიცვალებული, ხელფეხმოკეცილი, თავით NNO-საკენ. პირველი მარცხენა, ხოლო მეორე მარჯვენა გვერდზე. მათთვის ორი თიხის ჭურჭელი ჩაუყოლებიათ.

**121** (01/15—II—127, სურ. 646) დერგი თიხისა, კეცი მოყავისფრო-მონაცრისფრო; ზედაპირი ნაცრისფერი, ალაგ შავი ლაქებით, ნაპრიალები; ბაკო — მრგვალი, პირი — გადაშლილი, ყელი — კონუსური, მუცელი — გამობერილი, ძირი — ვიწრო და ბრტყელი; მხარი შემკულია რამდენიმე ნაკაწრი ზოლითა და ნატეიფრი სოლებით წარმოდგენილი პირამიდებით. სიმაღლე — 28, დმ პირის — 10.5, ძირის — 7,2 სმ (მიცვალებულის სიახლოვეს).

**122** ((01/15—II—128, სურ. 647) ჯამი თიხისა, პატარა, შავად გამომწვარი, ნაპრიალები, ასიმეტრიული; ბაკო — მრგვალი, მხარი — სწორი, კალთა — დახრილი, ძირი — ბრტყელი, მხარს ფართო ასიმეტრიული ღარი შემოუყვება, სიმაღლე — 4,7, დმ პირის — 11, ძირის — 4 სმ (მიცვალებულის სიახლოვეს).

**სამარხი 31.**
**სურ. 648 (1977. 20. 7. ნაკვ. 2. კვ. 4)**

გრძელ, კუთხეებმომრგვალებულ ორმოს წარმოადგენდა, სიგრძე — 175, სიგანე — 100, სიღრმე — 40 (იატაკის დონე 0 ხაზიდან 246 სმ); დაკრძალული იყო ერთი მიცვალებული, მარჯვენა გვერდზე, თავით NNW-საკენ. მიცვალებულისათვის ჩაუტანებიათ მსხვილფეხა საქონელი, თიხის სადღვებელი, ბრინჯაოს უმბონი და ძვლის საკინძი.

**123** (01/15—II—129, სურ. 649) დერგი თიხისა (სადღვებელი), კეცი ნაცრისფერი, ზედაპირი ლეგა-ნაცრისფერი, ბაკო — მრგვალი, პირი — გადმოკეცილი, ყელი — დაბალი, კონუსური, მუცელი — კვერცხისებური, ძირი — ვიწრო და ბრტყელი, მეჭეჭისებური სადინარი მხარზეა დაძერწილი; მხარი შემკულია ტალღისებური და წრიული სახეებით. სიმაღლე — 33, დმ პირის — 13, მუცლის — 30,5, ძირის — 9,5 სმ (მიცვალებულის წინ, ზედა კიდურებზე).

**124** (01/15—II—130, სურ. 650) უმბონი ბრინჯაოსი, ნაკლული, ზურგი — ამობურცული, შიდა მხარე სამსხმელო თიხითაა შევსებული. ზედაპირს ორი წვრილი ღარი შემოუყვება. დმ — 3,2 სმ (საქონლის ქვედა ყბის ქვეშ).

(01/15—II—131, სურ. 651) საკინძი ძვლისა, მასიური, განივკვეთში ოთხკუთხა თავი წვერისაკენ თანდათან ვიწროვდება და მრგვალ ღეროში გადადის. თავი გახვრეტილია, ეტყობა გაპრიალების კვალი. სიგრძე — 8,2, სისქე — 0,5 სმ (სამარხის ალაგებისას, მიცვალებულის გულმკერდის არეში).

**სამარხი 82.** (სურ. 652, 1977, 28. VII. ნაკვ. I. კვ. 12. 10) კუთხეებმომრგვალებულ ორმოს წარმოადგენდა. ნაწილი მშენებლებმა დააზიანეს. სიგრძე — დაახლოებით 140, სიგანე — 120, სიღრმე — 32 სმ. დაკრძალული იყო ორი მიცვალებული, თავით NNW-საკენ, პირველი NO ნაწილში, მარცხენა გვერდზე, მკვეთრად ხელ-ფეხმოკეცილი. მეორე W მხარეს, პირქვე ჩამხობილი. ზედა კიდურები მენჯის ქვეშ გადაჯვარედინებულად ეწყო (შეკრული). ქვედა კიდურებში ოდნავ ჰქონდა მოხრილი. სამარხში აღმოჩნდა: ორი თიხის ჭურჭელი, ბრინჯაოს სამაჯური, სარდიონისა და ბრინჯაოს მძივები.

(01/15—II—132, სურ. 653) დერგი თიხისა, ნაკლული, კეცი, შავი, სარჩული ყავისფერი, ზედაპირი შავი, ოდნავ ნაპრიალები. ბაკო — მრგვალი, პირი — გადაშლილი, მუცელი — სფერული, ძირი — ბრტყელი. მხარსა და ტანზე ნალარი და ტალღისებური სახეებია დატანილი. კეცის სისქე — 0,7 სმ (სამარხის W ნაწილში).

(01/15—II—133, სურ. 654) ჯამი თიხისა, მონაცრისფრო-მოშავოდ გამომწვარი, ოდნავ ნაპრიალები, ბაკო — მრგვალი, შეზნექილი მხარი დამრეც კალთასთან ქმნის რბილ წიბოს. წიბოსთან ფართო ღარი შემოუყვება. სიმაღლე — 8,4, დმ — 16,5, ძირის — 6 სმ (მეორე მიცვალებულის თავთან, NO კუთხეში).

(01/15—II—134, სურ. 655) სამაჯური ბრინჯაოსი, ღერო განივკვეთში მრგვალი, შიდა მხრიდან ოდნავ დაბრტყელებული, თავები გადაჭდობილი, ზედაპირი ნაჭდევი წიწვოვანი სახეებითაა შემკული, რგოლი ოდნავ ასიმეტრიულია. დმ — 6,8, ღეროს სისქე — 0,5 სმ (პირველი მიცვალებულის წინა მხრის ძვალზე, მაჯასთან).

(01/15—II—135, სურ. 656) სამაჯური ბრინჯაოსი, ღერო განვიკვეთში მრგვალი, თავები გადაჭდობილი, ზედაპირს ეტყობა ირიბი ნაჭდევი სახეები. დმ რგოლის — 6, ღეროს სისქე — 0,4 სმ (პირველი მიცვალებულის წინა მხარის ძვალზე, მაჯასთან).

(01/15—II—136, სურ. 657, 658) მძივი სარდიონის, 10 ცალი, მოყავისფრომოწითალო; ერთი ექვსწახნაგა, სიგრძე — 1,6. ორი არაწესიერი სფერული, ერთი ცილინდრული, ასიმეტრიული, ხუთი მცირე ზომის, მრგვალ-ბრტყელი. სიგრძე — 0,2 სმ (მიცვალებულის თავის ქალას აღებისას აღმოჩნდა).

(01/15—II—137, სურ. 659) მძივი 16 ცალი, ბრინჯაოსი 11, დამზადებულია ბრტყელი ფირფიტის სპირალურად დახვევის შედეგად. ხუთი — კასრისებური, ერთიც — კოპებიანი, ხუთი — პასტის, თეთრი, კასრისებური, სიგრძე— 1 სმ (მიცვალებულის თავის ქალას აღებისას).

**სამარხი 33.** (1977. 75. VII. ნაკვ. XII. კვ. 3) გრძელ, კუთხეებმომრგვალებულ ორმოს წარმოადგენდა. ნაწილი თხრილმა დააზიანა, ადრევე უნდა იყოს გაძარცული. სიგრძე — 140, სიგანე — 150, სიღრმე — 31 სმ. (იატაკის დონე 0 ხაზიდან 0,91 სმ). მიცვალებულის ჩონჩხი სამარხში არ აღმოჩნდა. მასში დადასტურდა ხუთი თიხის ჭურჭელი და მსხვილფეხა საქონლის ნაშთი.

(01/15—II—138, სურ. 660) ქილა თიხისა, დაბალი, ოდნავ ასიმეტრიული, ზედაპირი მონაცრისფრო-მოშავო. ბაკო — მრგვალი, პირი — გადაშლილი, ყელი — კონუსური, მუცელი — ბიკონუსური, ქუსლი — ოდნავ გამოყვანილი, ძირი — ბრტყელი, ყელი და მხარი რამდენიმე ტალღისებური ღარითაა შემკული. სიმაღლე — 18,4, დმ პირის — 11, მუცლის — 21, ძირის — 6,5 სმ (სამარხის N ნაწილში).

(01/15—II—139, სურ. 662) დერგი თიხისა, პატარა, ლეგა-ნაცრისფრად გამომწვარი, პირი — გადაშლილი, ყელი — ცილინდრული, მუცელი — კვერცხისებური, ძირი — ბრტყელი, მხარს რამდენიმე ტალღისებური და ნაკაწრი ზოლი შემოუყვება. სიმაღლე — 23,5, დმ პირის — 10,9, მუცლის — 24, ძირის — 9 სმ (სამარხის ნაწილში).

(01/15—II—140, სურ. 661) თიხის ჭურჭლის ორი ნატეხი, კეცი — ნაცრისფერი, ზედაპირი — მონაცრისფრო-მოშავო, პრიალა, შემკულია ნატვიფარი სოლებით შედგენილი პირამიდების სახეებითა და ერთი ფართო ნაღარი ზოლით. კეცის სისქე — 1 სმ (W კედელთან).

(01/15—II—141, სურ. 663) ლანგარი თიხისა, (პირ-გვერდის ნატეხი), კეცი — რუხი ნაცრისფერი, ზედაპირი — ნაცრისფერი, ალაგ მოზრდილი შავი ლაქებით, ბაკო — ბრტყელი, პირი — გადაშლილი; ზედაპირი შემკულია ნაღარი ტალღისებური ზოლებით, კეცის სისქე — 1,2 სმ (ნაყარ მიწაში).

(01/15—II—142, სურ. 664) ჯამი თიხისა, ნაკლული, მორუხო-მონაცრისფროდ გამომწვარი, ნაპრიალები, ბაკო — მრგვალი, პირი — გადაშლილი, მხარი— მომრგვალებული, შემოუყვება ფართო ნაღარი ზოლი, კეცის სისქე — 0,9 სმ (ნაყარ მიწაში).

**სამარხი 37.** (სურ. 665, ნაკვ. XXXII. კვ. 6) გრძელ, კუთხეებმომრგვალებულ ორმოს წარმოადგენდა. ნაწილი თხრილის ამოღების დროს დაზიანდა. შემორჩენილი სიგრძე — 97, სიგანე — 120, სიმაღლე — 25 სმ. დაკრძალული იყო ორი მიცვალებული, მარჯვენა გვერდზე, ხელ-ფეხმოკეცილი; პირველი სამარხის O ნაწილში, თავით N-საკენ, მეორე ძლიერ იყო დაზიანებული (თავის ქალა NO კუთხეში დადასტურდა). მიცვალებულისათვის თიხის ოთხი ჭურჭელი და ბრინჯაოს ბეჭედი ჩაუყოლებიათ.

(01/15—II—155, სურ. 667) დერგი თიხისა, ნაკლული, ლეგა-ნაცრისფრად გამომწვარი, ნაპრიალები. მუცელი — სფერული. მხარსა და მუცელს რამდე-

ნიმე კლაკნილი ღარი და ერთი რელიეფური ზოლი შემოუყვება. დმ ძირის — 10, კეცის სისქე — 0,1 სმ, შემორჩენილი სიმაღლე — 21 სმ.

(01/15—II—156, სურ. 666) ქოთანი თიხისა, ნაწილობრივ აღდგენილი, კეცი ლეგა-ნაცრისფერი. ზედაპირი — ნაცრისფერი, ბაკო — ჩაღარული, პირი — გადმოკეცილი, მუცელი — სფერული, ძირი — ბრტყელი, მხარი და ძირი შემკულია კონცენტრული ზოლებითა და მარცვლისებური ჭდეებით. დმ ძირის — 6,5, კეცის სისქე — 1 სმ.

(01/15—II—157, სურ. 668) ქილა ცალყურა, თიხისა, ნაკლული, ყელი — კონუსური, მუცელი — ბიკონუსური, განივკვეთში — ოვალური, ყურისძირი მუცელზეა დაძერწილი. კეცის სისქე — 0,8 სმ (№ 155-ის W მხარეს).

(01/15—II—158, სურ. 669) დერგი თიხისა, ნაწილობრივაა აღდგენილი, კეცი მოშავო-მოყავისფრო, ზედაპირი — შავი, ნაპრიალები; ყელი — გამოყვანილი, მუცელი — სფერული, მხარი შემკულია რამდენიმე ნაღარი ზოლითა და ნატვიფრი ჭდეებით შედგენილი პირამიდებით. კეცის სისქე — 1 სმ სამარხის W კედელთან).

(01/15—II—159, სურ. 670) რგოლი ბრინჯაოსი, დაზიანებული, ბრტყელი ზედაპირი ნაკაწრი პარალელური ზოლებითა და მათ შორის არსებული წიწვოვანი სახეებითაა წარმოდგენილი. დმ პირის — 2, ფირფიტის სიგანე — 0,6—0,8 სმ (მიცვალებულის მარჯვენა ხელის მტევანზე).

**სამარხი 36. სურ. 671, 672 1977, 5. III. ნაკვ. I. კვ.**

ქვაყრილიანი, გრძელ, კუთხეებმომრგვალებულ ორმოს წარმოადგენდა. სიგანე — 95, სიგრძე — 160, სიღრმე — 47, იატაკის დონე 0 ხაზიდან — 157 სმ (დაკრძალული იყო ოთხი მიცვალებული. პირველი იატაკზე, მარჯვენა მხარეს, ხელფეხმოკეცილი, თავით N-საკენ (მარცხენა ?ედა კიდური არაბუნებრივად ჰქონდა მოხრილი); დანარჩენი მიცვალებულები ზევიდან დაუსვენებიათ. მეორე ძლიერ მოკუნტული (შეკრული?) პირქვე იყო ჩამხობილი, თავით N-საკენ, მესამე და მეოთხე მიცვალებულის პოზა ვერ დავადგინეთ. პირველ მიცვალებულთან ერთი თიხის ჭურჭელი დადასტურდა.

(01/15—II—160, სურ. 673) დერგი თიხისა, ბაცი ყავისფერი, ზედაპირი ლეგა-ნაცრისფერი, ნაპრიალები, ბაკო — მრგვალი; პირი — გადაშლილი, ყელი — კონუსური, მხრები — დახრილი, მუცელი — გამობერილი, ძირი — ბრტყელი, მხარი შემკულია ნატვიფრი სოლებით შედგენილი პირამიდებით, წნევით დატანილი ბადური სახეებითა და ფართო ღარით. სიმაღლე — 32, დმ — პირის — 12,5, მუცლის — 31, ძირის — 9 სმ (სამარხის NW კუთხეში).

გრძელ, კუთხეებმომრგვალებულ ორმოს წარმოადგენდა.

**სამარხი 39.** (სურ. 674, 1977. 12, III. ნაკვ. I. კვ. 8 და ნაკვ. II. კვ. 7)

სიგრძე — 150, სიგანე — 115, სიღრმე — 55 სმ. მიცვალებული დაუსვენებიათ მარჯვენა გვერდზე, ხელფეხმოკეცილი, თავი N-საკენ. მისთვის ჩაუყოლებიათ მსხვილფეხა რქოსანი საქონელი, მარჯვენა გვერდზე, თავით S-საკენ, დერგია და ძვლის რგოლი „საკიდი".

(01/15—II—161, სურ. 675) დერგი თიხისა, ლეგა-ნაცრისფრად გამომწვარი, ზედაპირი ნაპრიალები, ოდნავ ასიმეტრიული; ბაკო — მრგვალი, პირი — გადაშლილი, ყელი — კონუსური, მუცელი — კვერცხისებური, ძირი — ვიწრო და ბრტყელი; მხარს რამდენიმე ნაღარი ზოლი და ნატვიფრი სოლებით შედგენილი პირამიდები შემოუყვება. სიმაღლე — 30, დმ ძირის — 9 სმ (მიცვალებულის ქვედა კიდურებთან).

(01/15—II—162, სურ. 676) რგოლი დაზიანებული, დამზადებულია წვრილფეხა საქონლის ძვლისაგან, ნაპრიალები, ოდნავ ასიმეტრიული, ზედაპირი სამრიგად განლაგებული, ღრმა წერტილებითაა შემკული. შუაში ორი ნახვრეტი გააჩნია. დმ რგოლის 2,3, სიგანე — 1,6 სმ (სამარხის იატაკზე, საქონლის თავის ქალასა და მიცვალებულის ტერფის ძვლებს შორის).

**სამარხი 40.** სურ. 677 (1977, 20. VIII. ნაკვ. II. კვ. 5)

გრძელ, კუთხეებმომრგვალებულ ორმოს წარმოადგენდა (ოდნავ ასიმეტრიული); სიგრძე — 140, სიგანე — 85, შემორჩენილი სიღრმე — 43 სმ. დაკრძალული იყო ორი მიცვალებული, მარჯვენა გვერდზე, ხელფეხმოკეცილი, თავით N-საკენ (მეორე მიცვალებული პირველის ქვედა კიდურებზე დაუსვენებიათ). სამარხში აღმოჩნდა: თიხის სამი ჭურჭელი, კვერთხისთავი, რგოლი, ბრინჯაოსა და პასტის მძივები; მიცვალებულისათვის წვრილფეხა საქონელიც ჩაუყოლებიათ.

(01/15—II—163, სურ. 678) დერგი თიხისა, ლეგა-ნაცრისფრად გამომწვარი, ნაპრიალები, პირი — გადაშლილი, ყელი — კონუსური, მუცელი — სფერული, ძირი — ბრტყელი, მხარზე რამდენიმე კონცენტრული და ერთი ტეხილი ზოლი შემოუყვება. სიმაღლე — 30,2, დმ პირისა — 12,7 მუცლის — 28, ძირის — 9 სმ (სამარხის W კუთხეში).

(01/15—II—164, სურ. 679) ქილა, ორყურა, თიხისა, კეცი — მოყავისფრომოშავო, ზედაპირი ლეგა-ნაცრისფერი, არათანაბრადაა გამომწვარი; პირი — გადაშლილი, მუცელი — კვერცხისებური, ძირი — ვიწრო და ბრტყელი, შუაში ოდნავ ამობურცული, განივკვეთში ოთხკუთხა ყური მუცელზეა დაძერწილი. მხარს ტალღისებური და რამდენიმე ღრმა ზოლი შემოუყვება. სიმაღლე — 26, დმ პირის — 21, მუცლის — 22, ძირის — 8 სმ (სამარხის N კუთხეში, № 163 გვერდით).

(01/15—II—165, სურ. 680) ჯამი თიხისაა, ფორმით — ასიმეტრიული, მოშავო-მოვარდისფროდ გამომწვარი, ნაპრიალები, ბაკო — მრგვალი, ოდნავ გამოყვანილი, კალთასთან რბილ წიბოს ქმნის, ძირი — ბრტყელი, მხარს რამ-

დენიმე ნაკაწრი ზოლი შემოუყვება. სიმაღლე — 9, დმ პირის — 16,2, მუცლის — 17, ძირის — 8 სმ (სამარხის № კუთხეში).

(01/15—II—166, სურ. 681) კვერთხისთავი, ძვლისა, დაზიანებული, ფორმით მრგვალ-ბრტყელი, შუაში გახვრეტილია, ზედაპირი რამდენიმე ნაღარი ზოლითაა დაფარული. დმ — 8, სისქე — 4,5, ხვრელის — 2,5 სმ (მიცვალებულის ამობრუნებულ თავის ქალასა და დამრულ ქვედა ყბას შორის).

01/15—II—167, სურ. 682) რგოლი, დამზადებულია წვრილფეხა საქონლის ლულოვანი ძვლისაგან, ნაპრიალები, ასიმეტრიულია. ზედაპირი ნახევრადსფერული ჰდეებით არის შემკული. ოდნავ წაწვეტებულ ნაწილში ორი ნახვრეტი გააჩნია. დმ — 2,1 სმ (მიცვალებულის თავის ქალას სიახლოვეს).

(01/15—II—168, სურ. 683) მძივი ბრინჯაოსი, პატინირებული, კასრისებური; დმ — 0,9 სმ (მიცვალებულის თავის ქალას სიახლოვეს).

(01/15—II—169, სურ. 684) მძივი პასტის, 2 ცალი, თეთრი, დაზიანებული, მრგვალი; დმ — 1,5 სმ (თავის ქალას სიახლოვეს).

**სამარხი 41. სურ. 685 (1977. 17. VIII. ნაკვ. I. კვ. 5)**

ოთხკუთხა ორმოს წარმოადგენდა, სიგრძე — 140. სიგანე — 140, შემორჩენილი სიღრმე — 70 (იატაკის დონე 0 ხაზიდან 226 სმ). დაკრძალული იყო სამი მიცვალებული, ხელფეხმოკეცილი: პირველი მარჯვენა გვერდზე, თავი NNO-საკენ, მეორე W ნაწილში, მარცხენა მხარეს, თავით N-საკენ; მესამე მეორეზე ზემოდან დაუსვენებიათ, მარცხენა გვერდზე, თავით N-საკენ. სამარხში აღმოჩნდა თიხის შვიდი ჭურჭელი, ბრინჯაოს ხატისუღელი, ღილები, უმბონი, ბრინჯაოსა და პასტის მძივები.

(01/15—II—170, სურ. 686) დერგი თიხისა, კეცი მოწითალო-მოყავისფრო, ზედაპირი ლეგა-ნაცრისფრად ნაპრიალები, ბაკო — მრგვალი, პირი — გადაშლილი, ყელი — დაბალი, მუცელი — სფერული, ძირი — ბრტყელი; ყელზე და მხარზე ნაკაწრი ზოლები შემოუყვება. სიმაღლე — 30, დმ პირის — 14,5, მუცლის — 39,5 სმ (სამარხის NO კუთხესა და O კედლის გასწვრივ, პირველი მიცვალებულის თავის ქალას წინ).

(01/15—II—171, სურ. 687) დერგი თიხისა, პატარა, ნაკლული, ლეგა-ნაცრისფრად გამომწვარი, ყელი — კონუსური, მუცელი — სფერული, ძირი — ბრტყელი, ყელი და მხარი შემკულია ტეხილი, ნაკაწრი ზოლებითა და ჰდეებით შევსებული სამკუთხედებით. სიმაღლე — 22, დმ მუცლის — 24,5, ძირის — 9 სმ (სამარხის NO კუთხეში, O კედლის გასწვრივ).

(01/15—II—172, სურ. 688) ჯამი თიხისა, პატარა, შავად გამომწვარი, ასიმეტრიული, ბაკო — მრგვალი, ორტუჩა, პირი — გადაშლილი, ტანი — ბიკონუსური, ძირი — ბრტყელი, სიმაღლე — 7, დმ პირის — 12, ძირის — 5.5 სმ (NO კუთხეში, № 171 ქილაზე).

(01/15—II—173, სურ. 689) ქილა თიხისა, ცალყურა, ლეგა-ნაცრისფრად გამომწვარი, ემჩნევა შავი ლაქები, პირი — გადაშლილი, ყელი — კონუსური,

მუცელი — ბიკონუსური. ძირი — ვიწრო და ბრტყელი. განივკვეთში ოთხკუთხა ყურისთავი ბაკოზე. ხოლო ყურისძირი მხარზეა დაძერწილი; მხარს ნაკაწრი და კლაკნილი ზოლები შემოუყვება. სიმაღლე — 19, დმ პირისა — 9,2, მუცლის — 15. ძირისა — 6 სმ (NO კუთხეში, O კედლის გასწვრივ).

(01/15—II—174, სურ. 690) ქილა თიხისა, ცალყურა, ლეგა-ნაცრისფრად გამომწვარი, ნაპრიალები, პირი — ოდნავ გადაშლილი. ყელი — ცილინდრული, მუცელი — ბიკონუსური, ძირი — ბრტყელი, ქუსლიანი, განივკვეთში ოვალური. ყურს ზემოდან ორი ღრმა ღარი დაუყვება. ყურისთავი ბაკოზე, ხოლო ყურისძირი მხარზეა დაძერწილი. ყელი წნევით დატანილი ზოლებითაა შემკული. მხარს ტეხილი და რამდენიმე ასიმეტრიული ნაკაწრი ზოლი შემოუყვება. სიმაღლე — 18,5, დმ პირის — 9,2, მუცლის — 16, ძირის — 7,5 სმ (NO კუთხეში O კედლის გასწვრივ).

(01/15—II—175, სურ. 691) ჯამი თიხისა, პატარა, კეცი — შავი, ზედაპირი — მოყავისფრო ლეგა-ნაცრისფერი, პირი — გადაშლილი, მხარი — ბიკონუსური, ძირი — ბრტყელი; სიმაღლე — 5, დმ პირის — 10, ძირისა — 4,5 სმ (NO კუთხეში, № 174 ქილაზე).

(01/15—II—176, სურ. 692) ქილა თიხისა, ყურიანი, ასიმეტრიული, ნაცრისფრად გამომწვარი, ნაპრიალები, პირი — გადაშლილი, ტლანქი, განივკვეთში მრგვალი: ყურისძირი მხარზეა დაძერწილი. მხარს რამდენიმე ფართო ზოლი შემოუყვება. სიმაღლე — 19,7, დმ პირის — 9,5, მუცლის — 16,5 (სამარხის W კუთხეში, მეორე მიცვალებულის თავის ქალასთან).

(01/15—II—177, სურ. 693) ხატისუღელი ბრინჯაოსი, ღერო განივკვეთში მრგვალი. თავებისაკენ შევიწროებულია და ახვეული. დმ რგოლის — 9,3, ღეროს სისქე — 1 სმ (პირველი მიცვალებულის ყელზე).

(01/15—II—178, სურ. 694) ღილი ბრინჯაოსი, ორი ცალი; ერთი — მოზრდილი, ნაკლული, ზურგი — ამოზნექილი, დმ — 2,9 სმ; მეორე — პატარა, დმ — 1,5 სმ (პირველი მიცვალებულის ქვედა ყბის ქვეშ).

(01/15—II—179, სურ. 695) უმბონი ბრინჯაოსი, დაზიანებული, კონუსური; სიმაღლე — 2,5, დმ — 5,5 სმ (პირველი მიცვალებულის ზედა კიდურების მტევნებთან).

(01/15—II—180, სურ. 696) მძივი ბრინჯაოსი, 39 ცალი; კასრისებური, ორი მავთულის დახვევის შედეგადაა მიღებული; ცილინდრული, საშუალო სიგრძე — 0,5 სმ (პირველი მიცვალებულის გულმკერდის წინ).

(01/15—II—181, სურ. 697) მძივი პასტისა, ორი ცალი, მოზრდილი, მომწვანო-მოთეთრო; ერთი ძლიერაა დაზიანებული, მეორე ფორმით „ხუთქიმიანი“; სიგრძე — 2,3, დმ — 2,2 სმ (პირველი მიცვალებულის გულმკერდის წინ).

(01/15—II—182, სურ. 698) უმბონი ბრინჯაოსი, პატინირებული, კონუსური; სიმაღლე — 2, დმ — 5 სმ (მეორე მიცვალებულის თავის ქალასთან).

(01/15—II—183, სურ. 699) მძივი, 22 ცალი, სარდიონის — 7, მოწითალო, ფორმით მრგვალ-ბრტყელი, ერთი კასრისებური; სიგრძე — 0,2—0,5 სმ. ბრინ-

ჯაოსი 15 ცალი, პატინირებული, ცილინდრული. დამზადებულია თხელი ფირფიტის ჩახვევის შედეგად. სიგრძე — 0,4—0,9 სმ (მესამე მიცვალებულის გულმკერდის არეში).

(01/15—II—184, სურ. 700) ღმბონი ბრინჯაოსი, ნახევრადსფერული, ზედაპირი შემკულია დუგმისებური სახით, ყუნწი — ბრტყელი; სიმაღლე — 1,7, დმ — 5,5 სმ (მეორე მიცვალებულის თავის ქალასთან).

**სამარხი 42. სურ. 701, 702 (1977. 20. VIII. ნაკვ. I. კვ. 4. 7)** ქვაყრილიანი, კუთხეებმომრგვალებულ ორმოს წარმოადგენდა. სიგრძე — 155, სიგანე — 125,9, შემორჩენილი სიღრმე — 65 (იატაკის დონე 0 ხაზიდან — 215 სმ). მიცვალებული დაკრძალული იყო მარცხენა გვერდზე, ხელ-ფეხმოკეცილი, თავით N-საკენ. სამარხში ორი თიხის ჭურჭელი აღმოჩნდა.

(01/15—II—185, სურ. 703) დერგი თიხისა, შავად გამომწვარი, ნაპრიალები, პირი — გადაშლილი, ყელი — დაბალი, კონუსური, მუცელი — სფერული, ძირი — ბრტყელი, მხარი შემკულია ნაკაწრი ზოლებით, ნაპრიალები ხაზებითა და ნატვიფრი სოლური სახეებით შედგენილი პირამიდებით; სიმაღლე — 33,2, დმ პირის — 15,5, მუცლის — 36,5 სმ, ძირის — 8,5 სმ (NO კუთხეში).

(01/15—II—186, სურ. 704) ქილა თიხისა, ყურიანი, ყავისფრად გამომწვარი, ალაგ შავი ლაქებით, ნაპრიალები, ბაკო — მრგვალი, პირი — ოდნავ გადაშლილი, ყელი — კონუსური, მუცელი — გამობერილი, ძირი — ბრტყელი, ქუსლიანი, განივკვეთში ოვალური, ყურისთავი ბაკოზე, ხოლო ყურისძირი მხარზეა დაძერწილი. მხარს რამდენიმე კონცენტრული ზოლი შემოუყვება. ყელსა და ძირს ნაპრიალები ზოლები ეტყობა, ხოლო ყურს რამდენიმე ღარი დაუყვება. სიმაღლე — 22.5, დმ პირის — 10,3 სმ, ძირისა — 8,5 სმ (მიცვალებულის თავის ქალას N მხარეს).

**სამარხი 43. სურ. 705 (1977. 20. III. ნაკვ. II. კვ. 8)** გრძელ, კუთხეებმომრგვალებულ ორმოს წარმოადგენდა. სიგრძე — 140, სიგანე — 95, შემორჩენილი სიღრმე — 43 (იატაკის დონე 0 ხაზიდან — 192 სმ). მიცვალებული დაუკრძალავთ მარცხენა გვერდზე, ხელფეხმოკეცილი, თავით N-საკენ. სამარხში სამი თიხის ჭურჭელი, ბრინჯაოს ორი სამაჯური და მძივები დადასტურდა.

(01/15—II—187, სურ. 706) დერგი თიხისა, კეცი — ყავისფერი, ზედაპირი — ლეგა-ნაცრისფერი, ქვემოთ შავი, ნაპრიალები, პირი — გადაშლილი, ყელი — დაბალი, მუცელი — სფერული, ძირი — ბრტყელი, ყელზე და მხარზე ნაკაწრი და კლაკნილი ღარები შემოუყვება. მუცელზე ვერტიკალური ნაპრიალები ზოლები ემჩნევა. სიმაღლე — 32, დმ პირის — 16, ძირის — 10 სმ (NO კუთხეში).

(01/15—II—188, სურ. 707) ქოთანი თიხისა, ასიმეტრიული, ლეგა-ნაცრისფრად გამომწვარი. ნაპრიალები. პირი — გადაშლილი, მუცელი — სფერული,

ძირი — ბრტყელი, მხარსა და მუცელს რამდენიმე ღარი შემოუყვება, ტანზე ნაპრიალები ზოლები ამჩნევია; სიმაღლე — 12,5, დმ პირის — 9,8, მუცლის — 15, ძირის — 6 სმ (NW კუთხეში).

(01/15—II—189, სურ. 708) კოჭობი თიხისა, შავად გამომწვარი, ნაპრიალები, ბაკო — მრგვალი, ყელი — დაბალი, ცილინდრული, მუცელი — ბიკონუსური, ძირი — ბრტყელი, მხარი ვერტიკალური ნაპრიალები ზოლებითაა შემკული. სიმაღლე — 7,5, დმ პირის — 6,5, მუცლის — 10,7, ძირის — 4,5 სმ (N კუთხეში).

(01/15—II—190, სურ. 709) სამაჯური ბრინჯაოსი, განივკვეთში ოვალური, თავებისაკენ შევიწროებულია და დაბრტყელებული, თავებგადადებული. დმ რგოლის — 5,5, ღეროს სისქე — 0,5—0,5 სმ (მიცვალებულის წინა მხრის ძვალზე).

(01/15—II—191, სურ. 710) სამაჯური ბრინჯაოსი, დაზიანებული; დამზადებულია თხელი ფურცლისაგან, თავებისაკენ შევიწროებული, ზედაპირი ნაკაწრი, წიწვოვანი სახეებითაა შემკული. ღეროს სიგანე — 1,1 სმ (მიცვალებულის წინა მხრის ძვალზე).

(01/15—II—192, სურ. 711) მძივი, სამი ცალი, ერთი ბრინჯაოსი, ფორმით ცილინდრული. დამზადებულია თხელი ფირფიტის შემოგარსვით. სიგრძე — 1,9. ორი — პასტის, ერთი — თეთრი, კასრისებური; მეორე ყავისფერი, ბრტყელ-მრგვალი, სიგრძე — 0,1—0,7 სმ (მიცვალებულის თავის ქალასთან).

**სამარხი 44. სურ. 712 (1977. 26. VIII. ნაკვ. II. კვ. I)** გრძელ, კუთხეებმომრგვალებულ ორმოს წარმოადგენდა. სიგრძე — 120, სიგანე — 80, შემორჩენილი სიღრმე — 40 (იატაკის დონე — 266 სმ O ხაზიდან). დაკრძალული იყო ორი მიცვალებული, მარჯვენა გვერდზე, ძლიერ ხელფეხმოკეცილი, თავით NNO-საკენ (პირველი NW ნაწილში, მეორე ცენტრში, O მხარეს). სამარხში აღმოჩნდა: დერგი, ბრინჯაოსი და პასტის მძივები.

(01/15—II—193, სურ. 713) დერგი თიხისა, ასიმეტრიული, კეცი — მოყავისფრო, ზედაპირი — ნაცრისფერი, ალაგ შავად გამომწვარი, ნაპრიალები. ბაკო — მრგვალი, პირი — გადაშლილი, ყელი — ცილინდრული, მუცელი — კვერცხისებური, ძირი — ვიწრო და ბრტყელი. მხარს რამდენიმე ნაკაწრი და ტალღისებური ზოლი შემოუყვება. სიმაღლე — 29,4, დმ პირის — 11,5, მუცლის — 26, ძირის — 9 სმ (NO კუთხეში).

(01/15—II—194, სურ. 714) ღილი ბრინჯაოსი, 13 ცალი, პატინირებული, ზურგი — ამოზნექილი, ყუნწი განივკვეთში მრგვალი, დმ — 0,8—1,1 სმ (პირველი მიცვალებულის ზედა კიდურების მტევნებთან).

(01/15—II—195, სურ. 715) მძივი ბრინჯაოსი, სამი ცალი, პატინირებული, ფორმით — კასრისებური, სიგრძე — 0,8—0,9 სმ (პირველი მიცვალებულის ზედა კიდურების მტევნებთან).

სამარხი 45. სურ. 716 (1977. 26. III. ნაკვ. II. კვ. 4)

გრძელ, კუთხეებმომრგვალებულ, ოდნავ ასიმეტრიულ ორმოს წარმოადგენდა. სიგრძე — 133, სიგანე — 75, შემორჩენილი სიღრმე — 31 სმ (მიცვალებული მარცხენა გვერდზე დაუკრძალავთ, ხელფეხმოკეცილი, თავით N-საკენ). სამარხში შვიდი თიხის ჭურჭელი, ნიჟარა, ბრინჯაოს ხატისუღელი, სამაჯური და ღილი დადასტურდა.

(01/15—II—196, სურ. 717) ქოთანი თიხისა, ასიმეტრიული, შავად გამომწვარი, ალაგ რუხი ლაქებით, ბაკო — მრგვალი, პირი — გადაშლილი, მუცელი — სფერული, ძირი — ბრტყელი. მხარი შემკულია ორ ნაკაწრ ღარს შორის მოთავსებული სამკუთხედებით, რომლებიც ნატვიფრი წერტილებითაა შევსებული. სიმაღლე — 15,5, დმ პირის — 11, მუცლის — 21, ძირის — 8,5 სმ (NW კედლის გასწვრივ).

(01/15—II—197, სურ. 718) ქოთანი თიხისა, ორყურა, კეცი — ყავისფერი, ზედაპირი — შავი, ნაპრიალები, ოდნავ ასიმეტრიული, პირი — გადაშლილი, მუცელი — სფერული, ძირი — ბრტყელი, განივკვეთში ოთხკუთხა პატარა ყურები ყელზეა დაძერწილი; მხარი შემკულია კონცენტრული და ტალღისებური ნაკაწრი სახეებით. სიმაღლე — 16, დმ — პირის — 14,5, მუცლის — 18, ძირის — 7,5 სმ (NW კედლის გასწვრივ, № 196 ქოთნის მხარეს).

(01/15—II—198, სურ. 719) ჯამი თიხისა, მოზრდილი, მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი, ნაპრიალები, ბაკო მრგვალი, მხარი წიბოიანი, ძირი ვიწრო და ბრტყელი, მხარს ორი ფართო ღარი და ტალღისებური ზოლები შემოუყვება. სიმაღლე — 7,5, დმ — პირის 7,3; მუცლის — 11, ძირის — 4 სმ (მიცვალებულის უკან, ბეჭის ძვლის სიახლოვეს).

(01/15—II—199, სურ. 720) კოჭობი თიხისა, მოყავისფრო, ალაგ ლეგანაცრისფერი, არათანაბრად გამომწვარი, ბაკო — მრგვალი, პირი — გადაშლილი, მუცელი — წიბოიანი, ძირი — ბრტყელი, მხარს ერთი ფართო ღარი შემოუყვება. სიმაღლე — 7,5, დმ პირის — 7,3, მუცლის — 11, ძირის — 4 სმ.

(01/15—II—200, სურ. 721) ქოთანი თიხისა, მოყავისფრო-მონაცრისფროდ გამომწვარი, ზედაპირი — ხაოიანი, ბაკო — მრგვალი, პირი — გადაშლილი, მუცელი — გამობერილი, ძირი — ბრტყელი, ქუსლიანი, მხარსა და ძირს ირიბი ჭდეები შემოუყვება. სიმაღლე — 12,5, დმ პირის — 9,8, მუცლის — 13,5, ძირის — 7,8 სმ (NW კუთხეში).

(01/15—II—201, სურ. 722) ქოთანი თიხისა, ორყურა, ლეგა-ნაცრისფრად გამომწვარი, ნაპრიალები, პირი — გადაშლილი, ყელი — კონუსური, მუცელი — კვერცხისებური, ძირი — ბრტყელი, განივკვეთში ოთხკუთხა ყური მუცელზეა დაძერწილი. მხარი ტეხილი და ნაკაწრი ზოლებითაა შემკული. სიმაღლე — 27, დმ პირის — 12, მუცლის — 26, ძირის — 6 სმ (NW კუთხეში).

(01/15—II—202, სურ. 723) ჯამი თიხისა, პატარა, ასიმეტრიული, კეცი — ყავისფერი, უსწორმასწორო, ნაპრიალები, პირი — ოდნავ მოყრილი. მხარი კალთასთან ქმნის წიბოს. ძირი — ბრტყელი, მხარს რამდენიმე ნაკაწრი ღარი

ამკობს. სიმაღლე — 4.5. დმ პირის — 10, მუცლის — 11, ძირის — 4 სმ (მიცვალებულის ქვედა ყბის ქვეშ).

(01/15—II—203, სურ. 724) ნიჟარა, სამი ცალი, ერთი — დაზიანებული, სიგრძე — 7—6 სმ (ხერხემლის უკან, № 147 და № 148 თიხის ჭურჭლებს შორის).

(01/15—II—204, სურ. 725) ხატისუღელი, ბრინჯაოსი, ნაკლული. მავთული განივკვეთში მრგვალი, თავებთანაა დაბრტყელებული, ფორმით ასიმეტრიულია. დმ — 12. ღეროს სისქე — 0,4 სმ (მიცვალებულის კისერზე).

(01/15—II—205, სურ. 726) სამაჯური ბრინჯაოსი, ოდნავ ასიმეტრიული, დამზადებულია ბრტყელი ფურცლისაგან, თავებისაკენ შევიწროებული და ახვეულია, წყვილი, ნაკაწრი: წარმოდგენილი ჩარჩოს შიდა სივრცე ტეხილი და ირიბი ნაკაწრ სახეებითაა შევსებული; დმ რგოლის — 5.7, უდიდესი სიგანე— 1,7; სისქე — 0,3 სმ (მარცხენა ზედა კიდურზე).

(01/15—II—206, სურ. 727) სამაჯური ბრინჯაოსი. ღერო განივკვეთში ოვალური, გადაჭდობილი თავებისაკენ ოდნავ შევიწროებული: სისქე — 0,5, დმ — 4,5 სმ (მარცხენა ზედა კიდურზე).

(01/15—II—207, სურ. 728) სამაჯური ბრინჯაოსი, მავთული განივკვეთში ოვალური, ასიმეტრიული, თავებგადაჭდობილი, ერთი თავისაკენ შევიწროებული; სისქე — 0,3. დმ — 4,9 სმ (მარცხენა ზედა კიდურზე).

(01/15—II—208, სურ. 729) ღილი ბრინჯაოსი, ყუნწიანი. კონუსური. თავი დაზიანებული აქვს. სიმაღლე — 0,8, დმ — 2,3 სმ (მიცვალებულის ზედა კიდურების ქვეშ).

(01/15—II—209, სურ. 730) ღილი ბრინჯაოსი, მსგავსია 208-სა. მცირე ზომის. სიმაღლე — 0,6, დმ — 1,8 სმ (მიცვალებულის ზედა კიდურების ქვეშ).

**სამარხი 46. სურ. 731 (1977. 8. IX. ნაკვ. II. კვ. 7)** კუთხეებმომრგვალებულ ორმოს წარმოადგენდა. სიგრძე — 145, სიგანე — 110, შემორჩენილი სიღრმე — 20 (იატაკის დონე 0 ხაზიდან — 151 სმ). დაკრძალული იყო ორი მიცვალებული. ხელფეხმოკეცილი, პირველი — მარცხენა, ხოლო მეორე — მარჯვენა გვერდზე. თავით N-საკენ. სამარხში აღმოჩნდა: ორი თიხის ჭურჭელი, ბრინჯაოს სამაჯურები და პასტის მძივი.

(01/15—II—210, სურ. 732) დერგი თიხისა, ლეგა-ნაცრისფრად გამომწვარი, ალაგ ყავისფერი, ნაპრიალები, პირი — გადაშლილი, ყელი — დაბალი, კონუსური, მუცელი — სფერული, ძირი — ბრტყელი, მხარს რამდენიმე წვრილი და ერთი ფართო ღარი შემოუყვება. სიმაღლე — 33, დმ პირის — 16,5, მუცლის — 31, ძირის — 17,5 სმ (პირველი მიცვალებულის ქვედა კიდურებზე, ცენტრალურ ნაწილში).

(01/15—II—211, სურ. 733) ქილა თიხისა, ორყურა, ნაკლული, ზედაპირი — შავი, ნაპრიალები, ბაკო — მრგვალი, პირი — გადაშლილი, ყელი — შეზნექილი, მუცელი — გამობერილი, ძირი — ვიწრო და ბრტყელი, განივკვეთში

ოთხკუთხა, პატარა ყური მხარზეა დაძერწილი. სიმაღლე — 19,5, დმ ძირის — 8 სმ (N კედელთან, თავის ქალას წინ).

(01/15—II—212, სურ. 734) სამაჯური ბრინჯაოსი, დეფორმირებული, დამზადებულია თხელი ფურცლისაგან, თავებისაკენ შევიწროებული, ერთი თავი ჩახვეულია, მეორე გახვრეტილი; ზედაპირი ნაკაწრი გეომეტრიული სახეებითაა შემკული. ფურცლის სისქე — 0,6 სმ (პირველი მიცვალებულის წინა მხარის ძვალზე, მაჯასთან).

(01/15—II—213, სურ. 735) სამაჯური ბრინჯაოსი, ღერო განივკვეთში მრგვალი; რგოლი ოდნავ ასიმეტრიული, თავები — გადაჭდობილი, ზედაპირი ირიბი ჭდეებითაა შემკული; ღეროს სისქე — 2,3, დმ რგოლის — 4,7 სმ (პირველი მიცვალებულის მაჯასთან).

(01/15—II—214, სურ. 736) სამაჯური ბრინჯაოსი, ღერო განივკვეთში, მრგვალი, თავები — გადახსნილი, ერთი თავისაკენ ოდნავ შევიწროებული, ზედაპირი ირიბი ჭდეებითაა შემკული. ღეროს სისქე — 0,4, დმ რგოლის — 4,4 სმ (პირველი მიცვალებულის მაჯასთან).

(01/15—II—215, სურ. 737) მძივი პასტის, ორი ცალი, ერთი — ყავისფერი, მეორე — თეთრი, მრგვალ-ბრტყელი: დმ — 0,3—0,4 სმ (პირველი მიცვალებულის კისრისა და გულმკერდის არეში).

**სამარხი 48. სურ. 738 (1977. 8. IX. ნაკვ. II. კვ. 10)**

კუთხეებმომრგვალებულ ორმოს წარმოადგენდა. სიგრძე — 140, სიგანე — 115, შემორჩენილი სიღრმე — 56 სმ (იატაკის დონე 0 ხაზიდან — 158 სმ). მიცვალებული დაუკრძალავთ მკვეთრად ხელფეხმოკეცილი, მარჯვენა გვერდზე, თავით N-საკენ (სამარხი უინვენტარო იყო).

**სამარხი 49. სურ. 739 (1977. 8. IX. ნაკვ. II. კვ. 8)**

გრძელ, კუთხეებმომრგვალებულ ორმოს წარმოადგენდა. სიგრძე — 140, სიგანე — 90, შემორჩენილი სიღრმე — 30 სმ (იატაკის დონე 0 ხაზიდან — 128 სმ). მიცვალებული დაკრძალული იყო მარჯვენა გვერდზე, ხელფეხმოკეცილი, თავით NNW-საკენ. მიცვალებულთან აღმოჩნდა დანისპირი და სადგისი.

(01/15—II—216, სურ. 740) დანისპირი, ბრინჯაოსი (?), ყუნწიანი, პირი ბრტყელი, ენისებური, წვერი მრგვალი, ბასრი, სატარე ყუნწი თავისაკენ შევიწროებული და დაბრტყელებულია. სიგრძე — 16, ყუნწის სიგრძე — 4, პირის სიგანე — 3,5 სმ, სისქე — 0,3 სმ (მიცვალებულის ხერხემლის უკან ცენტრალურ ნაწილში).

(01/15—II—217, სურ. 741) სადგისი, ბრინჯაოსი (?), ღერო განივკვეთში ოთხკუთხა, კიდეებისაკენ შევიწროებული, ერთი ბოლო ბრტყელია, ხოლო მეორე — მრგვალი და ბასრი. სიგრძე — 8,8, სისქე — 0,3 სმ (მიცვალებულის ხერხემლის უკან, ცენტრალურ ნაწილში).

**სამარხი 50. სურ. 742 (1977. 17. IX. ნაკვ. II. კვ. 9)**

ქვაყრილიანი, გრძელ, კუთხეებმომრგვალებულ ორმოს წარმოადგენდა (ასიმეტრიული); სიგრძე — 185, სიგანე — 120, შემორჩენილი სიღრმე — 43 სმ (იატაკის დონე 0 ხაზიდან 213 სმ). დაკრძალული იყო სამი მიცვალებული, მარცხენა გვერდზე, ხელფეხმოკეცილი, თავით N-საკენ (პირველზე დაუსვენებიათ მეორე და მესამე მიცვალებული); სამარხში დადასტურდა მსხვილფეხა რქოსანი საქონელი, მარჯვენა გვერდზე, თავით N-საკენ, ოთხი თიხის ჭურჭელი, სამაჯური, რგოლი, სარდიონისა და პასტის მძივები.

(01/15—II—218, სურ. 743) დერგი თიხისა, ზედაპირი — მოყავისფრონაცრისფრად გამომწვარი, ქვედა ნაწილი შავი, ნაპრიალები, პირი — გადაშლილი, ყელი — ცილინდრული, მუცელი — კვერცხისებური, ძირი — ბრტყელი. მხარს ტალღისებური და ფართო ნაღარი ზოლები შემოუყვება. სიმაღლე — 29, დმ პირის — 10,7, მუცლის — 23, ძირის — 9,8 სმ (N კედლის სიახლოვეს, NW მხარეს).

(01/15—II—219, სურ. 744) დოქი თიხისა, ყურიანი, მოყავისფრო-ნაცრისფრად გამომწვარი, ალაგ შავი ლაქებით, ნაპრიალები, პირი — გადაშლილი, ყელი — გამოყვანილი, მუცელი — სფერული, განივკვეთში ოთხკუთხა, ტალღისებური სახეებით შემკული ყურისთავი ბაკოზე, ხოლო ყურისძირი მხარზეა დაძერწილი. მუცელი შემკულია ტეხილი, ტალღისებური, ნაკაწრი ღარებითა და ნატვიფრი ხოლებით შედგენილი პირამიდებით. ყელსა და ტანს ნაპრიალები ზოლები დაუყვება: სიმაღლე — 26,5, დმ პირის — 11, მუცლის — 24, ძირის — 8 სმ (N კედლის სიახლოვეს, № 218 თიხის ჭურჭლის O მხარეს).

(01/15—II—220, სურ. 745) ჯამი თიხისა, პატარა, ასიმეტრიული, ლეგანაცრისფრად გამომწვარი, ნაპრიალები, ბაკო — მრგვალი, ტანი — წიბოიანი, ძირი — ბრტყელი, მხარს ორი ფართო ღარი შემოუყვება. სიმაღლე — 6, დმ პირის — 12, ძირის — 5,5 სმ (№ 219 თიხის ჭურჭელთან, W კედელთან).

(01/15—II—221, სურ. 746) ბადია თიხისა, შავად გამომწვარი, ნაპრიალები, გამოყვანილი მხარის დახრილ კალთასთან წიბოს ქმნის; ძირი ბრტყელი, მხარს კლაკნილი, ფართო, ნაკაწრი ზოლი და ორ რიგად განლაგებული ნაჭდევი ხოლები შემოუყვება; სიმაღლე — 12,7, დმ პირის — 23,7, მუცლის — 24,5, ძირის — 8,5 სმ (პირველ და მეორე მიცვალებულებს შორის, კისრის მალებთან).

(01/15—II—222, სურ. 747) სამაჯური ბრინჯაოსი, ღერო განივკვეთში ოვალური, გადახსნილი თავებისაკენ შევიწროებული. ზედაპირი ირიბი ჭდეებითაა შემკული, დმ რგოლის — 7, ღეროს სისქე — 0,8 სმ (მიცვალებულის მარცხენა წინა მხრის ძვალზე, მაჯასთან).

(01/15—II—223, სურ. 748) სამაჯური ბრინჯაოსი, დეფორმირებული, მავთული განივკვეთში მრგვალი; ერთი თავი გადაკეცილია, ხოლო მეორე შიგ არის გაყრილი. მავთულის სისქე — 0,3 სმ (პირველი მიცვალებულის ნეკნებთან, იატაკის დონეზე).

(01/15—II—224, სურ. 749) მძივი, 9 ცალი, სარდიონის, ექვსი, წითელი, ერთი პატარა, ორი სფერული. დანარჩენი ასიმეტრიული, მრგვალ-ბრტყელი; პასტის სამი, თეთრი, ერთი შედარებით მოზრდილი, ორი პატარა, სიგრძე — 0,5—0,9 სმ (ცენტრალურ ნაწილში).

**სამარხი 47.** **(1977. 11. VII; ნაკვ. III$_7$; NNO—SSW)** ასიმეტრიულ, კუთხეებმომრგვალებულ ორმოს წარმოადგენდა (სურ. 750) 12,25+1,601, რომელსაც SSO მხრიდან „საალაპე" ორმო უკავშირდებოდა (1,05×0,95 მ). სამარხში მიცვალებული არ აღმოჩენილა, როგორც ჩანს, იგი კენოტაფს, მიცვალებულის საპატივცემულოდ გამართულ საკრძალავ ნაგებობას წარმოადგენდა. ძირითადად ორმოში სამი წვრილფეხა საქონელი (ცხვარი) და თიხის 37 ჭურჭელი, ხოლო „საალაპე" ორმოში თიხის 6 ჭურჭელი ჩაუყოლებიათ.

1 (01/15—II—1115; სურ. 751) ქვაბ-ქოთანი თიხისა, ლეგა-ნაცრისფრად გამომწვარი, ოდნავ ასიმეტრიული, პირი — მოყრილი, მუცელი — სფერული, ძირი — ბრტყელი, განივკვეთში ოვალური, ზემოდან დაბრტყელებული შვერილი და ბაკო კლაკნილი და ტეხილი სახეებით არის შემკული, მუცელზე ერთი ფართო ღარი შემოუყვება — სიმაღლე 22, დმ. პირის — 18,5, მუცლის — 31, ძირის — 9 სმ (NN კუთხეში).

2 (01/15—II—1116; სურ. 753) ქვაბ-ქოთანი თიხისა, ოდნავ ასიმეტრიული ლეგა-ნაცრისფრად გამომწვარი, ბაკო — ბრტყელი, პირი — მოყრილი, მუცელი — სფერული, ძირი — ვიწრო და ბრტყელი; ბაკოზე და მხარზე მოზრდილი შვერილი აქვს დაძერწილი, ბაკოს ზემოდან ნაკაწრი კლაკნილი სახეები ამკობს; ხოლო მხარს რამდენიმე კონცენტრული ღარი და მარცვლისებური ნაჭდევებით შედგენილი პირამიდები შემოუყვება სიმაღლე — 24, დმ. პირის — 17,5, მუცლის — 31, ძირის — 10,5 სმ (NN კუთხეში).

3 (01/15—II—1117; სურ. 752) ქოთანი თიხისა, პატარა, მოშავო-მოჩალისფროდ გამომწვარი, ბაკო — მრგვალი, პირი — გადაშლილი, ყელი — დაბალი, შეზნექილი, მუცელი — გამობერილი, ძირი — ბრტყელი, ყელს, მხარსა და ძირს კიდეზე ირიბად დატანილი მარცვლისებური ნაჭდევები ამკობს. ზედაპირი ჩარხისეული ნაკაწრი ზოლებითაა დაფარული, სიმაღლე — 11, დმ პირის — 10, მუცლის — 13, ძირის — 6,5 სმ (№ 1116-ზე იდო).

4 (01/15—II—1118, სურ. 754) ქილა თიხისა, ლეგა-ნაცრისფრად გამომწვარი, ასიმეტრიული, ბაკო — მრგვალი, პირი — გადაშლილი, ყელი — მაღალი, გამოყვანილი, მხართან ოდნავ ამოზნექილი, მუცელი მკვეთრად გამობერილი, ძირი ვიწრო და ბრტყელი, მხარს ორ ნაკაწრ ზოლს შორის მოთავსებული კლაკნილი ღარებისაგან შედგენილი სარტყელი შემოუყვება, სიმაღლე — 28, დმ. პირის — 10, მუცლის — 24, ძირის — 7 სმ (N კედელთან, 1116 გვერდით).

5 (01/15—II—1119, სურ. 755) ქოთანი თიხისა, ლეგა-ნაცრისფერი, არათანაბრად გამომწვარი, ბაკო — ჩაღარული, პირი — გადაშლილი, ყელი — და-

ბალი, მუცელი — მაღალი, გამობერილი, ძირი — ბრტყელი, მხარი და ძირი შემკულია მარცვლისებური ჭდეებითა და ნაკაწრი, კონცენტრიული ზოლებით. სიმაღლე — 15. დმ პირის — 12,8, მუცლის — 18, ძირის — 7 სმ (N კედელთან № 1118 და 1120 ზემოდან ეყრდნობოდა).

6 (01/15—II—1120, სურ. 756) დერგი თიხისა, ლეგა-ნაცრისფრად გამომწვარი, ბაკო — მრგვალი, პირი — გადაშლილი, ყელი — მაღალი, გამოყვანილი, მუცელი — სფერული, ძირი — ვიწრო და ბრტყელი, მხარს რელიეფური, გრეხილი სარტყელი, რამდენიმე ფართო ღარი და მარცვლისებური ჭდეებით შევსებული სამკუთხედების სახეები შემოუყვება. სიმაღლე — 34, დმ პირის — 12,5, მუცლის — 32,5, ძირის — 10 სმ (N კედელთან).

7 (01/15—II—1121; სურ. 757) ქილა თიხისა, ლეგა-ნაცრისფრად გამომწვარი, ალაგ შავი ლაქები ემჩნევა, ბაკო — მრგვალი, პირი — გადაშლილი, ყელი — კონუსური, მუცელი — გამობერილი, ძირი — ბრტყელი, მხარი შემკულია მეჭეჭისებური კოპებით, მარცვლისებური ჭდეებითა და ფართო ღარებს შორის მოთავსებული კლაკნილი ნაკაწრებისაგან შედგენილი სარტყლით, ტანზე ემჩნევა ნაპრიალები ზოლები. სიმაღლე — 26, დმ. პირის — 10,2, მუცლის — 28, ძირის — 8 სმ (N კედელთან, წამოქცეული ეყრდნობოდა N 1120 და 1122).

8 (01/15—II—1122, სურ. 758) დოქი თიხისა, ნაკლული, ლეგა-ნაცრისფერი, გამომწვარი, ზედაპირი — უსწორმასწორო, მუცელი — დაბალი, გამობერილი, ძირი — ბრტყელი, მხარი შემკულია ხორბლისებური ჭდეებით შედგენილი პირამიდებითა და წრიული ნაკაწრი სახეებით. განივკვეთში ოთხკუთხა ყურს, რომელიც მხარზეა დაძერწილი, ზემოდან რამდენიმე ღრმა ასიმეტრიული ღარი დაუყვება, სიმაღლე — 23, მუცლის — 24, ძირის — 8,5 სმ (სამარხის NO კუთხეში).

9 (01/15—II—1123, სურ. 759) ქილა თიხისა, ლეგა-ნაცრისფერი, არათანაბრად გამომწვარი, ნაპრიალები, ბაკო — მრგვალი აქვს, პირი — გადაშლილი, ყელი — გამოყვანილი, მუცელი — დაბალი, გამობერილი, ძირი — ვიწრო და ბრტყელი, მხარს რამდენიმე კონცენტრული ღარი და სოლებით შედგენილი პირამიდები ამკობს, ყელს მკრთალად ეტყობა ქვემოთ დაშვებული ნაპრიალები ზოლები. სიმაღლე — 26,7, დმ პირის — 11, მუცლის — 26, ძირის — 8 სმ (NO კუთხეში).

10 (01/15—II—1124, სურ. 760) ქოთანი თიხისა, ოდნავ ასიმეტრიული, შავად გამომწვარი, ალაგ ნაცრისფერი ლაქები ემჩნევა, ნაპრიალები, ბაკო — მრგვალი, პირი — ფართო, გადაშლილი, ყელი — დაბალი, მუცელი — სფერული, ძირი — ბრტყელი, ყელი და მხარი შემკულია კლაკნილი ღარის, მარცვლისებურიჭდეებისა და ნაკაწრი ზოლებს შორის მოთავსებული ბადისებური სახეებით. მუცელს ვერტიკალური ნაპრიალები ზოლები ეტყობა. სიმაღლე — 19, დმ. პირის — 13, მუცლის — 25, ძირის — 7 სმ. (NO კუთხეში).

11 (01/15—II—1125, სურ. 761) ქილა თიხისა, პატარა, ლეგა-ნაცრისფერი, ბაკო — მრგვალი, პირი — გადაშლილი, ყელი — მაღალი, გამოყვანილი, მუცელი — დაბალი, ბიკონუსური, ძირი — ბრტყელი, მხარზე კლაკნილი და წრიული ნაკაწრი სახეები შემოუყვება. სიმაღლე — 13, დმ. პირის — 7, მუცლის — 11, ძირის — 4,5 სმ (NO კუთხეში. 1124 ეხებოდა).

12 (01/15—II—1126, სურ. 762) ლანგარი თიხისა, სამფეხა, ლეგა-ნაცრისფრად გამომწვარი, ბაკო — ბრტყელი, მხარი — გამოყვანილი, კალთა — დახრილი, ძირი — ბრტყელი, ჰვინტიანი სამი ფეხი კალთაზე, ძირთან სიმეტრიულად არის მიძერწილი, ფსკერზე პატარა მხარწიბოიანი ფიალა არის დაძერწილი, ზედაპირი შემკულია ნაჭდევი წრეებითა და კლაკნილი ნალარი სახეებით. სიმაღლე — 17,5, დმ. პირის — 33 სმ (1122 ეყრდნობოდა).

13 (01/15—II—1127, სურ. 763) დერგი თიხისა, ლეგა-ნაცრისფრად გამომწვარი, ბაკო — მრგვალი, პირი — გადაშლილი, ყელი — მაღალი, გამოყვანილი, მუცელი — სფერული, ძირი — ვიწრო და ბრტყელი, შუაში ოდნავ ამობურცული, მხარს რამდენიმე კონცენტრული ღარი, კლაკნილი ნაკაწრი სახე და ვერტიკალური ნაპრიალები ზოლები ამკობს. სიმაღლე — 28,5, დმ. პირის — 12, მუცლის — 29,5, ძირის — 7,5 სმ (N კედელთან, 1121 და 1126 მას ეყრდნობოდა).

14 (01/15—II—1128, სურ. 764) კოკა თიხისა, ლეგა-ნაცრისფრად გამომწვარი, ბაკო — მრგვალი, პირი — გადაშლილი, ყელი — ცილინდრული, მუცელი — სფერული, კალთა — ბრტყელი, ძირთან მკვეთრად გამოყვანილი. ყელი და მხარი მარცვლისებური ჭდეებით, კლაკნილი ზოლებითა და ორ ღარს შორის მოთავსებული ბადისებური სარტყლით არის შემკული. განივკვეთში ოთხკუთხა, თავთან მკვეთრად გაფართოებული ყური ბაკოზე და მხარზეა დაძერწილი — ყურს ზემოდან ირიბი ნაჭდევები ამკობს. სიმაღლე — 35, დმ. პირის — 12, მუცლის — 31,7, ძირის — 9 სმ (N კედელთან, ცენტრალურ ნაწილში, N 1120 და 1126 ეხებოდა).

15 (01/15—II—1129, სურ. 765) ბადია თიხისა, ლეგა-ნაცრისფერი, ბაკო — მრგვალი, მხარი გამოყვანილი, ტანი ბიკონუსური, ძირი ვიწრო და ბრტყელი, ტანზე ერთი ფართო ღარი შემოუყვება, სიმაღლე 10,5, დმ პირის — 20,5, მუცლის — 21, ძირის — 6 სმ (NN ნაწილში, № 1116 ეხებოდა).

16 (01/15—II—1130, სურ. 766) ქილა თიხისა, ლეგა-ნაცრისფრად გამომწვარი, ოდნავ ასიმეტრიული, ბაკო — მრგვალი, პირი — გადაშლილი, ყელი — მაღალი, გამოყვანილი, მუცელი — კვერცხისებური, ძირი — ბრტყელი, მხარი შემკულია მარცვლისებური ჭდეებით შედგენილი პირამიდებით, კლაკნილი ზოლითა და ორ ღარს შორის მოთავსებული ტალღისებური სახეებით. ზედაპირს ნაპრიალები ზოლები ეტყობა. სიმაღლე — 27,5, დმ პირის — 10, მუცლის — 25,5, ძირის — 9 სმ (NO კუთხეში, № 1128 ეყრდნობოდა).

17 (01/15—II—1131, სურ. 767) ბადია თიხისა, ლეგა-ნაცრისფრად გამომწვარი, ბაკო — მრგვალი, მხარი — გამოყვანილი, კალთა დახრილი, ძირი —

ბრტყელი. ქუსლი ოდნავ გამოყვანილი, შუაში ამობურცული, მხარს კლაკნილი და წრიული ღარი შემოუყვება. სიმაღლე — 11, დმ. პირის — 21, ძირის — 6 სმ (№ 1128-ზე იდგა).

18 (01/15—II—1132, სურ. 768) კოკა თიხისა, ლეგა-ნაცრისფრად გამომწვარი, ბაკო — მრგვალი, პირი — გადმოკეცილი, ყელი — ცილინდრული, მუცელი — მაღალი, გამობერილი, ძირი — ბრტყელი, ზედაპირი — უსწორმასწორო, განივკვეთში ოთხკუთხა, წელში გამოყვანილი ყური ბაკოზე და მხარზეა დაძერწილი. მხარს ორ, წრიულ ღარს შორის მოთავსებული კლაკნილი ზოლების სახეები ამკობს. ყურს ზემოდან რამდენიმე გრძლივი ღარი დაუყვება. სიმაღლე — 27,5, დმ. პირის — 11,5, მუცლის — 27,5, ძირის — 8 სმ. (NN ნაწილში, № 1115-ის NO მხარეს).

19 (01/15—II—1133, სურ. 769) ქილა თიხისა, ლეგა-ნაცრისფრად გამომწვარი, ბაკო — მრგვალი, პირი — გადაშლილი, ყელი — კონუსური, მუცელი — მაღალი, სფერული, ძირი — ვიწრო და ბრტყელი, მხარი შემკულია მოკლე ნაჭდევებითა და მეჭეჭისებური სახეებით შედგენილი პირამიდებით, ქვემოთ მუცელს სამი ღარი შემოუყვება. ტანზე ნაპრიალები ზოლები ემჩნევა. სიმაღლე — 23, დმ. პირის — 11, მუცლის — 23,5, ძირის — 7 სმ. (№ 1132-ის ?ხარეს, ცენტრში).

20 (01/15—II—1134, სურ. 770) ბადია თიხისა, შავად გამომწვარი, ალაგ ნაცრისფერი ლაქები ეტყობა, ბაკო და ტანი — მრგვალი, ძირი — ბრტყელი. მხარს კლაკნილი და წრიული ღარი შემოუყვება, სიმაღლე — 11, დმ. პირის — 22, ძირის — 6 სმ (№ 1128) იდგა).

(01/15—II—343, სურ. 1138) სასმისი ყურიანი, თიხისა, კეცი — ყავისფერი, შავად გამომწვარი, ნაპრიალები, ყელი — ძაბრისებური, მუცელი — სფერული, გოფრირებული, ქუსლი — ღრუ, განივკვეთში — ოვალური, ყური მუ-

ცელზეა დაძერწილი. სიმაღლე — 10, დმ მუცლის — 9,7, ქუსლის სიმაღლე — 1,5, დმ — 5.4 სმ.

(01/15—II—344, 345, სურ. 1139, 1140) ისრის წვერი, ბრინჯაოსი, დაზიანებული, თხელ ფირფიტაზეა დამზადებული, ფორმით ნესტარისებური, წვერთან სამანჭვალე ნახვრეტი გააჩნია. სიგრძე — 3, სიგანე — 1,5 სმ.

В. САДРАДЗЕ

## ЦЕРОВАНСКИЙ МОГИЛЬНИК (КАТАЛОГ)

**Резюме**

В работе дается детальное описание и характеристика погребений и погребальных комплексов могильника позднебронзовой эпохи Церовоани II. В результате анализа инвентаря и привлечения параллельного материала из многочисленных синхронных памятников Закавказья могильник Церовани II датируется XIV в. до н. э.

Работа обильно иллюстрирована (рис. 201—816).

Н. Е. УРУШАДЗЕ

# БРОНЗОВЫЙ ПОЯС ИЗ НАБАГРЕБИ

Археологические изыскания последних десятилетий значительно расширили рамки наших представлений о путях развития древнегрузинского искусства, дав возможность вскрыть его действительные исторические корни. Если долгое время считалось, что формирование характерных национальных черт этого искусства в общем и целом начинается с феодального периода, то сегодня рисуется совершенно иная картина условий зарождения и формирования его традиций, изобразительных систем. В этом отношении ключевое значение приобретают материалы раскопок триалетских курганов, а в дальнейшем не менее новые находки в Мцхета-Самтавро и других районах Грузии, в том числе и в Колхидской низменности. С указанной точки зрения исключительный интерес представляют раскопки Мцхетской постояннодействующей экспедиции (рук. акад. А. М. Апакидзе).

В обнаруженном археологом Ш. Иремашвили[16] могильнике эпохи поздней бронзы и раннего железа в районе с. Набагреби, в 18 км от Мцхета, особое внимание привлекло погребение № 5, с инвентарем состоящим из следующих предметов: железный меч с бронзовыми ножнами, наконечники стрел, один из обсидиана, другой — бронзовый, фибула, две булавки с узорными головками, два гравированных браслета, щипцы, множество бляшек и богато орнаментированный бронзовый пояс.

Обнаруженный пластинчатый бронзовый пояс (98×22,30 см) в хорошей сохранности, слегка покрыт зеленоватой патиной, (рис. 141). На поверхности его выгравирована многофигурная композиция антропоморфных и зооморфных существ. Эта композиция обрамлена четырехрядным спиральным орнаментом, завершаясь по краям уходящими вглубь своими вершинами двумя треугольниками, образующими в общем замыкании пояса ромбовидную фигуру. Внешняя часть каждого из этих треугольников окаймляется заштрихованными полосами, внутренняя же поверхность состоит из последовательного ряда вписанных друг в друга треугольников. Первые четыре из них заполнены перемежающимися спиральными вязями и простым ритмическим рядом кружочков. Помещенный между ними треугольник опять же окаймляется заштрихованными полосами, а внутри себя содержит своеобразную структуру, состоящую из последовательно нарастающего числа маленьких тре-

угольников, вершины которых направлены к краям пояса. Все это, вместе взятое, является обычной и характерной изобразительной структурой, своего рода условным символическим изображением горного ландшафта, водных артерий и террас с хозяйственными угодьями[17]. Как и во всех аналогичных случаях, древним мастером дается, в форме привычной для него образной символики, характеристика естественной среды обитания и хозяйственной жизни своих соплеменников. Основная же часть композиции, мастерски и изобразительно вписанной в орнаментальное обрамление, создает своеобразное переплетение различных фигурных изображений: зверей, птиц, пресмыкающихся, а вместе с ними и человекообразных существ. Если рассматривать всю эту композицию с левого края, то в верхнем и нижнем углах можно увидеть как бы мятущихся то ли собаковидных, то ли воскообразных существ, причем одни из них несут на себе вполне реалистические черты, а другие, помещенные в центре композиции, кажутся фантастическими существами. Здесь же можно увидеть трех оленей с ветвистыми рогами, как бы противоборствующими с этими существами. Человекообразные фигуры доминируют в правой части поясного изображения, но в какой-то особой смысловой связи с окружающим животным миром. Образная структура и приемы изображения, к которым обращается создатель набагребской поясной композиции, во многих отношениях совпадают с принятыми в практике древнегрузинского художественного производства эпохи поздней бронзы и раннего железа исполнительскими традициями. Это относится как к общему характеру орнаментального решения, так и трактовке отдельных персонажей. Прямой параллелью здесь может служить прежде всего группа поясов из Самтаврского некрополя, в частности пояс из 181-го погребения, 1142. Сравнительный их анализ позволяет думать, что и в набагребском поясе выражен тот же круг религиозных представлений, которые воплотились в декоре многих предметов культа и быта грузинских племен указанного времени. Наглядным подтверждением этого служит, во-первых, обращение к традиционному образу волка-собаки, наделяемого не только сверхъестественными способностями, но и тотемному значению[18]. При этом характерно, что в набагребской композиции, в известном смысле, сосуществуют два различных вида этого образа: один — близкий к своему прототипу, а другой — подчеркнуто стилизованный, наделенный условными чертами.

В свое время исследование композиции самтаврского пояса из 181-го погребения установило типологическое различие между волками-собаками, выражающее, с одной стороны, их высокий ранг, с другой — их специальные функции.

При этом было замечено, что среди приданных им атрибутов присутствовали очертания составных частей плуга, а также — сита, серпов и других орудий сельскохозяйственного инвентаря. Эти признаки позволили выделить различные образы волка-собаки, как-то: «пахарь», «сеятель», «собиратель урожая». В подчиненном отношении

к ним были не только малые волки-собаки, но и включенные в композицию различные виды животных, в том числе птицы, рыбы и пресмыкающиеся[19].

Во многом аналогичный пример мы видим и на другом поясе из 121-го погребения Самтавро. Однако здесь образы «пахаря», «сеятеля» и «собирателя урожая» олицетворялись изображением быка (рис. 1143). Надо сказать, что все эти образы нашли свое подтверждение в этнографии, на конкретном примере праздника урожая «Лилашуни», когда испекались подобного рода фигурные хлебцы[22].

В то же время на набагребском поясе есть признаки, отсутствующие на самтаврских поясах. Это, прежде всего, относится к атрибутивным признакам хвостов больших волков-собак, оканчивающихся здесь не стилизованными изображениями сельскохозяйственных орудий, а собачьими головами, а в одном случае — головой утки. Такой изобразительный принцип весьма характерен для азербайджанских поясов[13].

Вариант окончания хвоста волка-собаки головой утки заставляет обратиться к образу этой птицы на многих поясах Самтавро, как правило, всегда сопровождающейся изображением «зерна». В частности, на поясе из 181-го погребения Самтавро летящая утка получает зерно от приблизившейся к ней змеи. Буквально тот же прием повторяется и на набагревском поясе, с исключением, однако, прямого изображения зерна, видимо, подразумевающегося само собой.

Дает о себе знать внутренняя содержательная связь между образом волка-собаки и природными силами, прежде всего «воды» как непременного источника плодородия земли[23]. Что касается хоботкового окончания морды у некоторых набаагяебских больших волков-собак, то прямую параллель этому следует видеть также на азербайджанском поясе, однако там этот признак, характерный для изображения птиц, соотносим с «влагой», «водой», необходимых горно-скотоводческому хозяйству[20] (рис. 1144).

На набагребском поясном изображении, равно как и на всех поясах Закавказского круга, обязательно присутствует образ оленя. Здесь он встречается в трех разных композициях. В одном случае двум оленям противостоят два волка-собаки с хвостами, имеющими на своих окончаниях опять же головы «собаки», в другом случае один олень противостоит двум большим волкам-собакам, имеющим такие же хвосты. Все эти изображения покрыты трехрядным орнаментом, указывающим на них, как на своеобразные «зернохранилища». Примечательно, однако, что между ног оленя, в первой группе, помещена болотная птица, причем в том характерном сочетании, которое становится типичной схемой для ажурных блях типа Геби и его южногрузинских вариантов[21] (рис. 1145—1147).

Кстати сказать, это стало вообще традиционной композицией, сохранившей свое значение в грузинском декоре античного и позднеэллинистического периодов. В этом образе соединилась традиция наивноолицетворяющего объяснения непременного взаимодействия

животных сил природы. Но самое, пожалуй, главное и существенное заключается в том, что изображение оленей на набагребском поясе содержит в себе стилистические черты, связывающие друг с другом пояса, найденные в совершенно различных регионах Грузии, а вместе с этим, и встречающиеся в декоре так называемых колхских топориков, поясных пряжек (рис. 1148, 1149). Если все сказанное выявляет черты, общие для поясной композиции набагребского пояса и вообще всех без исключения Закавказского круга, то, с другой стороны, в нем содержатся изобразительные элементы, имеющие поистине уникальное значение. Речь идет о представленных в его композиции антропоморфных образах. В одном случае древним мастером изображены четко следующие друг за другом фигуры, помещенные между рогами оленя и волком-собакой. Первая фигура как бы держится рукой за ветвистый олений рог, остальные упираются в плечи друг друга. Создается впечатление какого-то ритуального танца, напоминающего бытующий и сегодня то ли хоровод, то ли, точнее говоря, танец перхули. Но еще более примечательны две фигуры, изображенные в нижнем ряду, помещенные между двумя волками-собаками. В их движениях нет той строгой ритмической последовательности, которая отличает верхний ряд фигур. Здесь с какой-то нарочитостью изображена настоящая пляска, явно оргиастрического характера. В первом случае возникает определенная ассоциация с известными уже сюжетами, хотя бы с ритуальной сценой, представленной на фризе серебряного кубка из Триалети[44] (рис. 1150), но второе изображение не имеет аналога, что подчеркивает какой-то особый смысл, вложенный в композицию набагребского поясного изображения. Видимо, именно в нем заключен главный его смысл и значение, состоящие в стремлении воплотить не просто идею магического воздействия на плодородные силы природы, но и праздничное настроение, вызванное благотворными результатами этого воздействия. И что это является не случайным впечатлением, об этом со всей очевидностью свидетельствует та своеобразная динамика и четкий танцевальный ритм, которому подчинил всю композицию в целом создатель этого, поистине единственного в своем роде, произведении древнегрузинской металлопластики. Соединив в одно неразрывное целое все характерные атрибуты раннеземледельческой изобразительной символики, начиная с топографических обозначений земельных участков и питающих их водных артерий (ромбы, треугольники и спиральные вязи) и кончая образами носителей «регулирующего» начала движущих сил природы (большие и малые волки-собаки), а также представителей птичьего царства, он включил в общий круговорот и образы древних земледельцев, выразив тем не только их сокровенные устремления, но и сознание непосредственной причастности к пробуждению к действию плодородийных сил природы. Примечательно, что тот же мотив, правда, в иной трактовке, встречается, к примеру, на чабарухском, тлийских и самтаврских поясах, где

хоровод и пляска набагребского пояса заменены сценами ритуальной трапезы [20, (24—25) рис. 1150].

Применение орнаментальной символики вообще характерно для «сюжетов» древней бронзы, но особенно часто ею декорировали бронзовые пояса. В коллекции Самтавро наибольшее количество поясов орнаментировано различными вариантами спирального орнамента, подобно тому, как это показано на другом поясе из 19-го погребения набагребского могильника. Это пояс, окаймленный четырехрядным спиральным орнаментом, с поверхностью, заполненной горизонтальными спиральными полосами. При этом нельзя не отметить техническую завершенность и тонкость исполнения этого сложного мотива.

Большое мастерство свойственно не только всей набагребской бронзе, им отличается и набагребская керамика, представленная многообразием форм и технических приемов. Найденные утварь и оружие выполнены с большим знанием металлообрабатывающей технологии, с применением столь прочного металла как железо. Хозяйственно-общественный уклад его обитателей говорит о развитии сложного, комбинированного хозяйства, свидетельствующего о развитии скотоводства (кости жертвенных животных).

Все вместе взятое разрешает говорить о заселении Набагреби периода его древней жизни как о времени расцвета культуры, широкого общения с другими регионами Закавказья, поведанное не только высокохудожественными декоративно-прикладными образцами, но и всем богатым комплексом погребений, содержащим разнообразные предметы быта, вооружения и украшений.

კ. მელითაური

# არმაზისხევის გვიანანტიკური ხანის აბანოს რეკონსტრუქცია

არმაზისხევი მტკვართან შერთვისას ტერასას ორად ჰყოფს, რომელთაგან მარჯვენაზე მოთავსებულია გვიანანტიკური ხანის ნაგებობები: აბანო, „ზღურბლიანი ნაგებობა", ასპარუგ პიტიახშის აკლდამა და ერთსენაკიანი ნაგებობა; ამ ნაგებობათაგან აბანოს ტერასის ჩრდილო-აღმოსავლეთი კიდე უჭირავს.

აბანოს ნაშთები „აღმოაჩინა და გათხარა არმაზის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1937—1938 წლებში [21] და რადგანაც „არმაზის ხევის შესართავთან გათხრილ ნაგებობათა შორის რიგიანად შენახული აღმოჩნდა მხოლოდ აბანო და მას კიდევაც მიეძღვნა ამ წიგნის თანაავტორის ალ. კალანდაძის ნაკვლევი, რომელიც აქ მთლიანად ქვეყნდება" [21]. ამიტომ, ქვემოთ განხილული იქნება მხოლოდ არმაზისხევის გვიანანტიკური აბანოს რეკონსტრუქცია და მასთან დაკავშირებული საკითხები[1].

აბანო ქვითკირით არის აგებული და თავდაპირველი შენობის ზომა 18×6,2 მეტრს უდრიდა (სურ. 1). მისი გრძივი ღერძი ეკვატორული მიმართულებისაა და მისი აღმოსავლეთი მხარი ჩრდილოეთისაკენ გეოგრაფიულიდან მხოლოდ 9 გრადუსითაა გადახრილი. ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედელთა სისქე 1,25 მეტრისაა, დანარჩენებისა — 0,9 მეტრიდან — 1,35 მეტრამდეა. კედლების პანცირი — ჯავშანი შესრულებულია ადგილობრივი კლდის ნატეხი, ზომიერი სიდიდის ქვიშაქვით; სივრცე ჯავშნებს შორის შევსებულია ჭყორდულაბით. შენობა გაყოფილია ოთხ ნაწილად, რომელთაგან დასავლეთისა ვიწროა, დანარჩენები კი თითქმის ერთმანეთის ტოლია (2,8—3 მ). ნაგებობის უფრო სრული წარმოდგენისათვის შესრულებულია რამდენიმე გეგმა: I — კალორიფერის დონეზე, II — აბანოებისა და III — სარკმელების დონეზე. I განყოფილება გასათბობს (პროპიგეონს) ეთმობოდა, II — გასაცხელებელ აუზებს, ცხელ აბანოსა (კალდარიუმს) და საოფლეს (სუდატორიუმის ექსედრას), III — თბილ აბანოს (ტეპიდარიუმს), ხოლო IV განყოფილებაში თავდაპირველად ჩრდილო

[1] აბანოს რეკონსტრუქციის შესრულებისას ვსარგებლობდი არქიტექტორ ვ. წილოსანის მიერ 1937 წ. შესრულებულ ანაზომებით, პროფ. ლ. ჩხეულიშვილის ნახაზებით („მცხეთა" I-ში" დაბეჭდილი სურ. 109, 112—113) და აგრეთვე ჩემი ცალკეული დეტალების ჩანაზომებით.

ნახევარში გასახდელი (აპოდიტერიუმი), ხოლო სამხრეთ ნახევარში V — ცივი აუზი (ლავაკრა) იყო მოწყობილი და ცივ აბანოს (ფრიგიდარიუმს) წარმოადგენდა (სურ. 1—5). საფიქრებელია, რომ ცივ აბანოს ასეთი ორმაგი დანიშნულება დიდხანს არ ჰქონია და მალე მას მიაშენეს VI — გასახდელი (აპოდიტერიუმი). ამ გასახდელის მცირე ნაშთებმა მოაღწიეს ჩვენამდე ისე, რომ შესაძლო გახდა გარკვეულიყო: სამხრეთი კედლის სისქე, კარის დაშორება აბანოს აღმოსავლეთი კედლიდან, კარის სიგანე და ზღურბლის დონე, აგრეთვე ჩრდილოეთი კედლის მდებარეობა, რაც აღდგენის გეგმაზეა გათვალისწინებული და გასახდელის ვარაუდი ირიბი ხაზებითაა გამოყოფილი.

გასათბობი განყოფილება, როგორც ითქვა, ყველაზე ვიწროა და 1,9 მ-ს აღწევს, ხოლო სიღრმე, ზომა სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ ყველა განყოფილებისათვის დაახლოებით ერთი სიდიდისაა და 3,65 მ-ს შეადგენს. სამხრეთი კედლის დასავლეთ კუთხესთან 0,8 მ სიგანის სარკმელია დაყოლებული; იგი იატაკიდან 1,35 მ სიმაღლიდან იწყება და ალბათ ჭერამდე აღწევდა; სარკმელი წყალსადენის გაყვანილობის (4, 7, 8) მოსათავსებლად და მასზე მეთვალყურეობა-შეკეთებისთვის იყო განკუთვნილი, ამასთან ერთად, გასათბობში დაგროვილი კვამლის გასასვლელს — საკვამურსაც წარმოადგენდა. გასათბობის დასავლეთი კედლის ჩრდილოეთ ნახევარში კარია გამართული; ამ კარით მეცეცხლური გასათბობში შედიოდა და აქედან შემოჰქონდათ 1,0—1,5 მ მორებად დაჭრილი შეშა, რომელიც გამზადებული იყო საცეცხლურში შესაკეთებლად. აბანოს დასავლეთიდან, როდესაც კიდევ ერთი სათავსი მიაშენეს, ეს კარი ქვითკირით ამოქოლეს. გასათბობის აღმოსავლეთი კედლის სამხრეთი ნახევარი მთლიანად საცეცხლურს (პრეფურნიუმს) ეთმობოდა. მისი ქვედი (1) ერთი საფეხურით შემაღლებულია იატაკის დონეზე, სამაგიეროდ თვით მისი დონე მთელი კალორიფერის — ჰიპოკაუსტის იატაკის დონეზეა (სურ. 2, განაკვეთი). საცეცხლური 0,96 მ-ის სიგანისა, 0,7 მ სიღრმისა და 2 მ სიმაღლის ნახევარწრიული კამარით შეკრულ სივრცეს წარმოადგენს; კამარა განხორციელებულია კირის ხსნარითა და სოლენებით. საცეცხლურის კამარის საჭექიდან 29 სმ უფრო დაბლა, 38 სმ სიგანისა და 45 სმ სიღრმის პატარა კამარა — საალეა (2) გამართული; მასში, საფიქრებელია, შემოდიოდა სპილენძის მილი (4), რომელშიაც წყალი ცხელდებოდა და შედიოდა ცხელი წყლის აუზში (19); მილს ტუჩი გაყოფილი ჰქონდა სპილენძის გახვრეტილ ფირფიტაში (9). სპილენძის მილი ჭედვით და დაკვერვით იქნებოდა მჭიდროდ დაკავშირებული სპილენძის ფირფიტასთან. თვით ფირფიტა (9) საალეზე ნედლი დაზელილი თიხით უნდა ყოფილიყო შეგოზილი. ნედლი დაზელილი თიხის საგოზავი (10) წყლის ჟონვას მოსპობდა. საცეცხლურის ქვედის (1) დონეზე ჩრდილოეთისაკენ მკლავეია (5) გაჭრილი, სიმხურვალე და ცხელი ბოლი დიდი რაოდენობით რომ მისწვდომოდა ცხელი აბანოს ჩრდილო-დასავლეთ კუთხეს, სადაც ჰიპოკაუსტის ჭერთან კერამიკული მილი — საკვამური (31) იყო გამართული; ყოველივე ეს საოფლე-სუდატორიუმის ანუ ლაკონიკის ექსედრაში (21) დიდ სიმხურვალეს განავითარებდა. სა-

ცეცხლურის წინ უნაგირის მსგავსი ლოდი საკმაოდ დიდ სიმაღლეზე იყო დადებული რომ შეშის მორები, თავდაღმა ჩაყუდებული ყოფილიყვნენ საცეცხლურში, სწრაფი წვისა და დიდი აალებისათვის.

ცხელი და თბილი აბანოს კალორიფერები კედლითაა გაყოფილი, მაგრამ ერთმანეთს სამი ხორშით უკავშირდებიან. ცხელი აბანოს გეგმის სწორკუთხედში 6-რიგად და 6-მწკრივად მრგვალი სვეტებია აღმართული, რომელთა სიმაღლე სამხრეთ კედელთან 1,16 მ-ს უდრის და აგებულია მრგვალი — 20 სმ დიამეტრისა და 4 სმ სისქის აგურით (11); ზოგ სვეტს ბაზად მრგვალი 23 სმ დიამეტრისა და 5 სმ სისქის აგური უდევს. სვეტების აგურებით აგება აადვილებდა დაქანებული იატაკის გამართვას. საოფლეს ექსედრის ქვეშ და ჩრდილოეთ კედელზე მიყრდნობით სწორკუთხოვანი სვეტებიცაა დადგმული. ეს უკანასკნელები 10×20×3 სანტიმეტრის აგურებითაა (11) აგებული. ყოველ ოთხ სვეტზე კუთხეებით თითო 55—60×59—63×5 სმ კერამიკული ფილა (43) ეყრდნობოდა; ე. ი. თითოეული თავისუფლად მდგარი სვეტი ოთხ ასეთ ფილას იმაგრებდა. სვეტების მრგვალი აგურებით გამართვა გაპირობებული იყო ცეცხლგამძლეობისა და გარსშემოდენილობის დიდი უნარით. ჰიპოკაუსტის ჰერთან სამხრეთი კედლის კუთხეებშიაც საკვამლე კერამიკული მილებია კედელში ჩაშენებული.

თბილი აბანოს ქვეშ მოქცეული კალორიფერიის ფართობზე სვეტების 7 რიგი და 6 მწკრივია, რომლებიც მრგვალი, სწორკუთხოვანი და კვადრატულია (20×20; 23×23 სმ). აღსანიშნავია, რომ თბილი აბანოს კალორიფერში 1,05 მ სიმაღლისა და უმეტესად ოთხკუთხა სვეტებია გამოყენებული; ეტყობა მშენებლები აქ ცხელი გაზების სწრაფ მოძრაობას აღარ აქცევდნენ ყურადღებას. აღმოსავლეთ კედელთან სამხრეთისა და ჩრდილოეთის კედელში, ჰიპოკაუსტის ჰერთან, თითო საკვამლე კერამიკული მილია ჩაყოლებული. ეს საკვამლე ამომწოვი, მილები ჰიპოკაუსტის ორივე განყოფილებაში ისეა განლაგებული, რომ ცხელი გაზები მის მთელ ჰერს მოსდებოდა და გაეხურებინა იგი.

გასაგებია, რომ ცივი აბანოს ქვეშ კალორიფერი აღარ არის და აქ სამხრეთ ნაწილში 1,68×2,9 მ ღრმა აუზსა (ლავაკრას) და მასში ჩასასვლელ კიბეს ეთმობა ადგილი (V). აუზის აღმოსავლეთ კედელში იატაკთან და კუთხეებთან ორი მილსადენია ჩაშენებული; მათგან სამხრეთისა ადრევე დაუხშვიათ, ჩრდილოეთისა კი აბანოს მოსპობამდე მოქმედებდა. ჩრდილოეთი ნახევარი ღორღით (42) იყო ამოვსებული, რადგანაც მასზე მოთავსებულ კანალიზაციის დრენაჟს წარმოადგენდა; მთელი ნაბანი წყალი თბილისა და ცივ აბანოთა დამაკავშირებელ კარში მოწყობილ შემკრებ ღარში (26) გროვდებოდა და შემდეგ ტრაპში (25) იღვრებოდა; საფიქრებელია, რომ ტრაპის ხვრელის სიგანე 4 სმ და სიგრძე 20 სმ უნდა ყოფილიყო და განხორციელებული იქნებოდა ქვითა და სიგნინით (23). ტრაპის ქვეშ მოთავსებულ, ბრტყელი ქვებით გამართულ შემკრებ ჰაში დაგროვილი წყალი მიედინებოდა კალიპტერებით (13) შექმნილ რუში, რომლიდანაც იგი გადადიოდა მილსადენში (7). რუ ზემოდან დაფარული იყო კეხის კა-

ლიპტერების ნატეხებითა და აგურით, და ყოველივე ეს უნდა დადუღაბული ყოფილიყო სიგნინით (სურ. 4, დეტალი VII, გეგმა და განაკვეთი)[2]. ასე მოწყობილი კანალიზაცია, სადრენაჟე ღორღზე იყო დანდობილი და თუკი მას წყალი გაუჟონავდა, იგი სწრაფად დაიწრიტებოდა. კანალიზაციის მილსადენი დასავლეთი კედლის სისქის ფარგლებში მძაფრად დაბლა ეშვება, ვიდრე კოლექტორამდე (18).

კოლექტორი (18), რომელიც ნაბანი წყლის შემკრებს წარმოადგენდა, შენობის დასავლეთ კედელს გარედან გაჰყვება, ჩრდილოეთით დაბლა ეშვება, ვიდრე ფლატემდე, რის შემდეგ წყალი ხევში ეშვებოდა თავისუფლად. კოლექტორი, კალიპტერებითაა განხორციელებული, გვერდები კი ორივე მხრიდან ყალყზე დადგმული ქვებითა და კირხსნარითაა შექმნილი. მას დიდი გამტარუნარიანობა უნდა ჰქონოდა, რადგანაც ცივი აბანოს აუზის დაცლისას წყლის დიდი ღვარი წამოვიდოდა. ასე განხორციელებულ რუზე ზემოდან ბრტყელი ქვები ლაგდებოდა, რომლებსაც ზემოდან მიწა ჰქონდათ წაყრილი. კოლექტორის დასაწყისში, იქ, სადაც ცივი აუზის საგანგებოდ დახშული მილსადენია გაყვანილი, ჭა (17) იყო ქვებითა და დუღაბით გამართული. საგულისხმოა, რომ მოქმედი მილსადენების ტუჩებს ქვეშ თითო კალიპტერი იყო ამოდებული და ზემოდანაც კეხის, დიდი ღარისებრი კრამიტის ნატეხი ჰქონდათ დაფარებული. ყოველივე ეს იწვევდა წყლის ჭავლის დინამიკის, რაც შეიძლება მეტ შესუსტებას, რათა წყლის დინების ძალებს ადვილად არ დაეზიანებინა დუღაბი და კრამიტის ზედაპირი.

ცხელი აბანოს განყოფილებაში კერამიკული ფილებით იატაკის დაგების შემდეგ პირველად ცხელი გაზების ღარების, ფლევსების (22) ქვედა რიგის დამაგრება უნდა მოეხდინათ ქვითკირის კედლებზე. ამ სამუშაოს შესრულების დროს T-ს მაგვარ რკინის სამაგრებს იყენებდნენ; ერთი ასეთი სამაგრი ორ ფლევსს აკავებდა. ამავე დროს კედლის აგება ხდებოდა ამ კერამიკული ღარე-

---

[2] IV საუკუნეში, არმაზისხევის ანტიკური ხანის ნაგებობის განადგურებისას, აბანოს ფრიგიდარიუმში აგებული კანალიზაცია დალეწეს და ერთი მისი ნაწილი ეტყობა კარში გაიტანეს და ტეპიდარიუმის ჰიპოკაუსტში გადააგდეს. (მცხეთა I, სურ. 103, 110) და ახლა შესაძლებლობა გვაქვს წარმოვიდგინოთ ნაბანი წყლის აბანოდან მოშორება როგორ სრულდებოდა. კანალიზაციის ეს ფრაგმენტი თვით გამთხრელმა (გვ. 154) და ზოგმა ისტორიკოსმა შესაძლებლად სცნო, რომ იგი საკვამლე მილის დასაწყისი ყოფილიყო, რაც სრულიად ეწინააღმდეგება ჰიპოკაუსტით გათბობის მოქმედების აზრს. ზემოთაც აღინიშნა, რომ ტეპიდარიუმისა და კალდარიუმის ქვეშ მოთავსებულ ჰიპოკაუსტს კერამიკული საკვამლე მილები ჰერთან იწყება, კედელშია ჩაშენებული და ისეთ ადგილებშია მოთავსებული, რომ ცხელი ბოლი მის მთელ ჰერს მოედოს და გაახუროს იგი. კანალიზაციის ეს დეტალი საკვამლე მილად რომ მივიჩნიოთ, იგი მთელ ცხელ გაზებს იატაკიდანვე აიტაცებდა და ჰერიც ვერ გაცხელდებოდა; ე. ი. ჰიპოკაუსტის გამართვასაც აზრი დაეკარგებოდა. ისიც აღსანიშნავია, რომ არმაზისხევის მშენებლობისთვის უცხოა კედლის გარეშე საკვამური მილების აგება და მეორეც ეს მილი კარში გაჩხირული გამოვიდოდა. სინამდვილეში ჩვენ საქმე გვაქვს ფრიგიდარიუმში გამართული კანალიზაციის კონსტრუქციის საგულისხმო დეტალთან.

ბის გარეთა პირზე 10 სმ სისქის ბრტყელი ქვებით, აგურებითა და სიგნინით, (27). ამ წესით უნდა აეშენებინათ ფლევსების ქვედა რიგი მთლიანად, რის შემდეგ შეეძლოთ პარალელურად ეწარმოებინათ სამუშაოები იატაკის გამართვაზე. იატაკის გამართვა ღრეჩოებში აგურის ნატეხების ჩაჭედვით უნდა დაწყებულიყო და შემდეგ მთელი იატაკი ისე მოესწორებინათ კირხსნარით, რომ ნაბან წყალს თბილი აბანოს კარისაკენ ედინა. საბოლოოდ იატაკი სიგნინით უნდა კარგად მოლესილიყო. ამავე დროს ხდება სამხრეთ კედლის გაყოლებით ორი, დაახლოებით 2 მ სიმაღლის აუზის შენება, თხელი ქვიშაქვის ფილებითა და სიგნინით (24). რადგანაც აუზების ჩრდილოეთი ტიხარი დიდი ზომისა და სიმძიმის ქვის ფილებით ხორციელდებოდა, მას ქვემოდან დაუდეს 0,6×2,1×0,2 მ სუფთად გათლილი ნარიბანდიანი ქვიშაქვის საფუძველი (3), საიატაკე კერამიკის ფილები რომ არ დაზიანებულიყვნენ. ცხელი აუზი (19) უშუალოდ საცეცხლურს ეკვროდა და დაახლოებით 2850 ლიტრი წყალი უნდა დაეტია, ხოლო თბილი წყლის აუზს (20) 1000 ლიტრი[3].

შემდეგ განყოფილებაში, თბილ აბანოში თვით იატაკის გამართვას შესდგომოდნენ, თანაც დუღაბი ისე გაესწორებინათ, რომ მთელი ნაბანი წყალი ახლა ცივი აბანოს კარისაკენ წასულიყო. რაც შეეხება შემდეგ განყოფილებას, ცივ აბანოს მისი იატაკის გამართვისათვის სულ განსხვავებული სამუშაოები უნდა განეხორციელებინათ. თავდაპირველად განყოფილების ჩრდილო ნახევარი, სადაც კანალიზაციის კონსტრუქცია იყო აგებული, ხრეშით უნდა მოესწორებინათ და მერე სიგნინის ხსნარით იატაკი გაემართათ; ამ განყოფილების დანარჩენი ნაწილები კი მთლიანად უნდა დაეფარათ ჰიდრავლიკური ხსნარით — სიგნინით. ცხადია, ამ სახის შელესვა სხვა განყოფილებებშიაც უნდა შესრულებულიყო, გარდა სათბობი განყოფილებისა.

აბანოს თითოეული განყოფილება ცალკე განივი კამარებით შეეძლოთ გადაეხურათ, რითაც ამ განყოფილებების ინტერიერები ლაზათიანი იქნებოდა, სამაგიეროდ სახურავის გამართვა გართულდებოდა (სურ. 4). უფრო დასაშვებია, რომ მთელ აბანოზე ქვითკირის კამარა გრძივ ღერძზე იყო გადაყვანილი (სურ. 2, განაკვეთი I, სურ. 3, განაკვეთი a). მართალია, ინტერიერი უხერხულ სახეს მიიღებდა, მაგრამ სახურავის გამართვა უფრო გაადვილებული იქნებოდა და საფიქრებელია, რომ სწორედ ასეც მოიქცეოდნენ მშენებლები.

„არმაზისხევის აბანოს თარიღი ექცევა ზოგადად ახ. წ. I—IV საუკუნეებს შორის, მაგრამ პრაქტიკულად კი გაცილებით უფრო ვიწრო, სახელდობრ, II—

---

[3] კალდარიუმიდან ტეპიდარიუმში თბილი წყლის გადასხმა მილით უნდა მომხდარიყო და რადგანაც მისი კვალი დღემდე მოღწეულ მათ გამყოფ კედელს არ შემორჩა (მცხეთა I, სურ. 104), ეს მილი 1,2 მეტრზე უფრო მაღლა უნდა გაემართათ; ამასთან, ძველ საბერძნეთში შხაპით ბანვა ჯერ კიდევ ძვ. წ. V საუკუნიდან სცოდნიათ, ამიტომ არმაზისხევის აბანოშიც შხაპის ქვეშ ბანვა გათვალისწინებული ყოფილა; ამან კი აუზების სიმაღლის გაზრდა, ტიხრის დამძიმება და მის ქვეშ ქვის საფუძვლის გამართვა გამოიწვია.

III სს. ფარგლებში, როდესაც არმაზისხევთან ერისთავ-პიტიახშებში, ამ აბანოს პატრონები ცხოვრობდნენ" [21].

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს არმაზისხევის აბანოს მთელი გასათბობი სისტემის თვალში საცემი ტექნიკური მაღალი ღირსებები, მეცეცხლური პროპიგეიონში საქმიანობდა, რომლის აღმოსავლეთ კედელში აგებულია 1 მ სიგანის, 0,7 მ სიღრმისა და კამარით დაგვირგვინებული 2 მ სიმაღლის საცეცხლური (პრეფერნიუმი). მისი კამარა ბრტყელი კრამიტებითა და სიგნინიანი კირხსნარით არის გულდაგულ აშენებული. კალორიფერიც კარგადაა ჩაფიქრებული და აგებული; მისი სიმაღლე 1 მ-ს აღემატება და მისი გამართვა და განსაკუთრებით ექსპლოატაცია მარჯვე და მოსახერხებელი უნდა ყოფილიყო. ამ სისტემასთან უსუსურად გამოიყურებიან იმ აბანოთა ჰიპოკაუსტები, რომელთა სიმაღლე მხოლოდ 0,5—0,6 მეტრს აღწევს. არმაზისხევის აბანო გამოირჩევა აგრეთვე თავისი მაღალი და გააზრებული თბოტექნიკური გადაწყვეტითაც, მაგალითად: ჰიპოკაუსტის 1,15 მეტრის სიმაღლე, გარდა აღნიშნული უპირატესობისა, აადვილებდა ცხელი გაზების მასში მოძრაობას, ხოლო ამომწოვი მილების განლაგება ფიზიკის თბურ კანონებს ითვალისწინებდა; სპილენძის ქვაბების მაგიერ ქვითკირის აუზების გამოყენება კი უზრუნველყოფდა ცხელი და თბილი წყლის შეუწყვეტელ მიწოდებას ცხელსა და თბილ აბანოში (7).

იმის გამო, რომ არმაზისხევის აბანოს ზედა ნაწილი IV საუკუნეში და მომდევნო ხანებში დაანგრიეს და სასაფლაოდ გამოიყენეს, მისი ხუროთმოძღვრული გადაწყვეტის შესახებ შეიძლება ვიმსჯელოთ მხოლოდ ქვედა გადარჩენილი ნაწილების მიხედვით და ვისარგებლოთ ჩატარებული არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებული შედეგებით.

საგულისხმოა დახვეწილი, სასიამოვნო პროპორციის გეგმა, რომლის გრძივ ღერძს საკმაო სიზუსტით ეკვატორული დამხრობა აქვს და იმ ხანისათვის შემუშავებულ წესს ექვემდებარება; ამის მიხედვით აბანოს შენობის ერთ დასავლეთის კიდეზე საცეცხლური და კალდარიუმი უნდა ყოფილიყო მოთავსებული, ხოლო მეორე — აღმოსავლეთ კიდეზე — აპოდიტერიუმ-ფრიგიდარიუმი. რადგანაც იმ დროს ბანაობის მსურველები წესისამებრ ნაშუადღევს ეშურებოდნენ აბანოში წასვლასა და ბანაობას, ამიტომ მზის სხივები უხვად უნდა მოჰფენოდნენ ცხელი აბანოს კედლებს, რის გამოც მას აბანოს ნაგებობის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში უნდა დასთმობოდა ადგილი[4]. ყოველივე ეს არმაზისხევის აბანოში ზედმიწევნითაა გათვალისწინებული. ამას უნდა დაერთოს გათხრების დროს უხვად მოპოვებული ბრტყელი — გვერდებაკეცილი და ღარისებრი კრამიტების ნატეხები, რომელთა მიხედვით საბურავი კრამიტისა ჰქონია აბანოს,

---

[4] არმაზისხევის აბანოს ფრიგიდარიუმი თავდაპირველად გასახდელიც რომ იყო, პროფ. პ. ზაქარაიამ აღნიშნა პირველად (პ. ზაქარაია, ნაქალაქარ ურბნისის ხუროთმოძღვრება, 1965, გვ. 72).

ხოლო სწორკუთხედი გეგმის მიხედვით, სახურავი ორკალთიანი უნდა ჰქონოდა. აღსანიშნავია მხოლოდ ის, რომ აბანოს მოზაიკური იატაკი არა ჰქონია.

არმაზისხევის აბანოს დახვეწილი და მასში მიმდინარე პროცესების ამსახველი გეგმა, მიუხედავად ნაგებობის უმეტესი ნაწილის დაკარგვისა, მაინც შესაძლებელს ხდის წარმოვიდგინოთ, რომ მისი ნაწილები დაგვირგვინებული იყო კამარით, ხოლო ცალკე ელემენტები: ექსედრები და ნიშები — კონქებითა და თაღებით. თითოეული განყოფილება მობანავეთა მიერ მხატვრულად, სასიამოვნოდ შეიგრძნობოდა, თანაც თანამიმდევრულად განაცდევინებდა ადამიანს თითოეული განყოფილების ინტერიერის ხასიათს, რომელიც ერთმანეთის მსგავსიც იყო და განსხვავებულიც და შეესაბამებოდა ცალკეულ საბანაო პროცედურას: გასახდელსა და ცივში — არაღრმა ნიშა, ცივი წყლის აუზი, აბსიდური ნიშნები; თბილში — კონქიანი ექსედრა და სწორკუთხოვანი თაღიანი ნიშა და აუზიდან გამომდინარე ორთქლი და ცხელი წყლის ჭავლი. თანაც ყველა მათგანს მაღლა მოთავსებულ სარკმელებიდან უხვად უნდა მოჰფენოდა სინათლე. მთელ ამ სიკეთეთა ერთობლიობა და აბანოს სიმცირე მხოლოდ იმისი მაჩვენებელია, რომ არმაზისხევის აბანო კერძო, საოჯახო დანიშნულებისა იყო და ეკუთვნოდა მეფის რანგის პირს და იგი რომაული მცირე აბანოების, მწკრივის ტიპისაა და აღმოსავლურთან საერთო არაფერი გააჩნია.

დასასრულს საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ არმაზისხევის აბანოს ქვედა ნაწილი, რაც IV—V საუკუნეების სასტიკ ნგრევას გადაურჩა, გათხარა, გაწმინდა, შეისწავლა და ბეტონის დამცველ ტალავრის დადგმაზე იზრუნა ქართული არქეოლოგიის თავგადადებულმა მკვლევარმა პროფესორმა ალექსანდრე კალანდაძემ; და თუ მისი ღვაწლი არა, აბანოს გადარჩენილი, ეს ნაშთებიც განადგურებული იქნებოდა.

К. Н. МЕЛИТАУРИ

## РЕКОНСТРУКЦИЯ АРМАЗИСХЕВСКОЙ БАНИ ПОЗДНЕАНТИЧНОЙ ЭПОХИ

Резюме

Рассматриваемая баня представлена с целью восстановить весь ее первоначальный облик; если ее нижний этаж восстановлен на основании сохранившихся частей и деталей, то верхняя часть отвечает лишь соображениям, вытекающим из плана здания и археологических находок. Особое внимание привлекают высокие теплотехнические качества бани: истопник трудится в закрытом отопительном помещении, высота гипокауста превышает 1 метр, что облегчало его строительство и эксплуатацию; вытяжные трубы

установлены с учетом максимального использования тепла горячих газов, а устройство каменных бассейнов для согревания воды обеспечивало бесперебойную подачу горячей и теплой воды в калдарии и тепидарии. Армазисхевская баня по типу — римская, с помещениями в ряд, а малые размеры и высокая добротность указывают на то, что она являлась семейной баней и принадлежала личности царского ранга.

გ. ნარიმანიშვილი, გ. მანჯგალაძე

# მარტაზისხევის ქვევრსამარხი

1974 წლის ივნისში, მარტაზისხევის მარცხენა ნაპირზე, მცხეთა-ძეგვის საავტომობილო გზის ერთი მონაკვეთის გაფართოებისას აღმოჩნდა ქვევრსამარხი*. სამარხი ქვევრი ჰორიზონტულად ჩაუდგამთ. იგი დამზადებული იყო კარგად განლექილი თიხისაგან, თანაბრად გამომწვარი (მოვარდისფროდ). ჰქონდა ფართო, გარეთ გადმოშლილი პირი, მაღალი ყელი, გამობერილი კვერცხისებური ტანი და ბრტყელი ძირი.

მიცვალებული დაუსვენებიათ მარცხენა გვერდზე, ხელფეხმოკეცილი, თავით აღმოსავლეთისაკენ. პირისახის ახლოს ედგა ხელადა და ქუსლიანი ჯამი. სამარხი ქვევრის შუა ნაწილში რკინისა და ბრინჯაოს თითო სამაჯურის რამდენიმე ნატეხი აღმოჩნდა. გულმკერდის არეში მიმობნეული იყო მძივები.

## სამარხეული ინვენტარი:

1. (01/0—6; სურ. 1163). დოქი; კარგად განლექილი თიხისა. მოვარდისფროდ გამომწვარი. განივკვეთში ოვალური ყური აქვს. ყელს ქვემოთ შემოუყვება ნაკაწრი ორნამენტი. მთელ ტანზე მკრთალად ემჩნევა თეთრი ანგობის კონცენტრული სარტყლები. სიმაღლე — 14 სმ; პირის დმ — 8, ძირის დმ — 12 სმ.

2. (01/0—7; სურ. 1164, 1165). ჯამი, კარგად განლექილი თიხისა. მოვარდისფროდ გამომწვარი. მთლიანად დაფარული ყოფილა მუქი წითელი საღებავით. ამჟამად მხოლოდ ნაწილობრივ არის შერჩენილი. შიდა პირზე, გამოწვამდე, შტამპით დატანილია ოთხი პალმეტი. სიმაღლე — 5. პირის დმ — 17, ქუსლის დმ — 9 სმ.

3. (01/0—8; სურ. 1162). სამაჯური რკინისა. განივკვეთში მრგვალი. რამდენიმე ფრაგმენტია შემორჩენილი.

---

* ქვევრსამარხი გათხარეს გ. მანჯგალაძემ და კ. კახიანმა. მასალა ინახება მმაე-ს ფონდში — 01/0—6—10. 01 — მცხეთის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიციის შიფრია, 0 — აღნიშნება შემთხვევითი მონაპოვარი, 6—10 — საინვენტარო ნომერი.

4. (01/0—9; სურ. 1161). სამაჯური ბრინჯაოსი. სადა, განივკვეთში მრგვალი, თავებგახსნილი. ბოლოები შემსხვილებული აქვს.

5. (01/0—10; სურ. 1160). მძივები; მუქი ლურჯი, გამჭვირვალე მინისა, სფერული, 37 ც. დმ — 0,4 სმ; ცისფერი, გაუმჭვირვალე მინისა, სფერული, 74 ც, დმ — 0,4 სმ; იოტები, მუქი ლურჯი, ოდნავ გამჭვირვალე მინისა, მანდარინისებური, 23 ც. დმ — 0,45 სმ; იოტები, მუქი ლურჯი, ოდნავ გამჭვირვალე მინისა, ცილინდრული, 13 ც. დმ — 0,35 სმ; ცისფერი, გაუმჭვირვალე მინისა, კასრისებური, 7 ც. სიგრძე — 0,9 სმ. დმ — 0,4 სმ; მუქი ლურჯი, ოდნავ გამჭვირვალე მინისა, თითისტარისებური, 2 ც. სიგრძე — 1,1, დმ. — 0,5 სმ. მძივები, თეთრი, გაუმჭვირვალე მინისა, სფერული, 6 ც. დმ — 0,4 სმ; ვერცხლის სარჩულიანი, მინისა, სფერული, 3 ც. დმ — 0,55 სმ; მომწვანო-მონაცრისფრო, გამჭვირვალე მინისა, მოგრძო, ოთხწახნაგა, 2 ც. სიგრძე 2,9 სმ. დმ — 0,6 სმ; მუქი ლურჯი, ოდნავ გამჭვირვალე მინისა, გულის ფორმის, დაბრტყელებული, 1 ც; ცისფერი, გაუმჭვირვალე მინისა, ოვალური ფორმისა, დაბრტყელებული, სიგრძე — 1,6 სმ, სიგანე — 2,9 სმ, სიმაღლე — 0,5 სმ; მუქი ლურჯი, ოდნავ გამჭვირვალე მინისა, წაკვეთილ-ბიკონუსური ფორმის, ასიმეტრიულნახვრეტიანი 2 ც. დმ — 1 სმ; ყვითელი, გამჭვირვალე მინისა, სტილიზებული — ამფორისკისებური, სიმაღლე — 2,6 სმ. უდიდესი დმ — 0,6 სმ; პოლიქრომული მინისა, გაუმჭვირვალე, ცილინდრული, შავი ფერის ტანი. შემკულია თეთრი სპირალური ხაზებით, 2 ც. სიგრძე — 2,9 სმ. დმ — 0,6 სმ; მრავალფერი მინისა, ოდნავ გამჭვირვალე, მაღალცილინდრული. მუქი ლურჯი ტანი შემკულია სპირალური ხაზებით, 2 ც. სიგრძე — 1,2 სმ. დმ — 0,7 სმ; მრავალფერი მინისა, თვალებიანი, 2 ც: ა) სფერული, ნაცრისფერი გაუმჭვირვალე, ტანი შემკულია ექვსი ქაოტურად განლაგებული თეთრი და მუქი ლურჯი წრეწერტილებით (თვალით), დმ 1,1 სმ. ბ) კასრისებური მუქი ლურჯი, გაუმჭვირვალე ტანი შემკულია ქაოტურად განლაგებული რვა თეთრი და ყვითელი წრეწერტილებით (თვალით). სიმაღლე — 0,6. დმ — 0,7 სმ; გაუმჭვირვალე მინის, სალათისფერი უნდა ყოფილიყო (ამჟამად მოთეთრო-მოყვითალო ფერისაა). დიდი ზომის, ცილინდრული, წიწვოვანორნამენტიანი. სიგრძე — 3,3 სმ. დმ — 1 სმ; სარდიონის, მანდარინისებური, 1 ც. დმ — 0,6 სმ; მძივსაკიდი, მოწითალო-მოვარდისფრო, გაუმჭვირვალე სარდიონისა, სტილიზებული ამფორისკისებური. სიგრძე — 1,3 სმ. სიგანე — 0,7 სმ.

ზემოაღწერილი დოქის მსგავსი ჭურჭელი მრავლად არის აღმოჩენილი გვიანელინისტური ხანის სამაროვნებზე და ნამოსახლარებზე. მისი დამახასიათებელი ნიშანია თეთრი ანგობის კონცენტრული ხაზებით შემკობა. ასეთი ჭურჭელი პირველად კახეთში აღმოჩნდა. გ. ნიორაძემ ისინი „ჩვენი წელთაღრიცხვის წინა და დასაწყისის პირველი საუკუნეებით“ დაათარიღა [64]. თეთრი ანგობით მოხატული კერამიკა ცნობილია კახეთის სხვა პუნქტებიდანაც (ყოლოთის ხევი, კარდანახი, შრომა, ახალი ულიანოვკა, წინანდალი, შირაქი, საკობო და სხვ. [65].

ქართლში თეთრი ანგობით მოხატული ჭურჭელი აღმოჩენილია უფლისციხეში [47, 57, ტაბ. XXI—3; 3, 53, 78, 117, 142; ტაბ. VIII—3], სამადლოში [66, [59], [18], სურ. 79, 238, 295, 296, 302, 696], ნასტაკისში [67, 52—53], გრძელ მინდორზე [43, 114], აღაიანში [69], ურბნისში [70], მცხეთაში და სხვ.

თეთრი ანგობით მოხატული ჭურჭლის წარმომავლობაზე დღეისათვის აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ი. გაგოშიძის აზრით, ის „კახეთის რომელიღაც სამეურნეო ცენტრიდან არის შემოტანილი" [66]. მათი წარმოება სამადლო, ნასტაკისის მიდამოებშიც ივარაუდება [69]. ამ საკითხს სპეციალურად შეეხო ქ. ფიცხელაური და სათანადო მასალაზე დაყრდნობით ამგვარი ჭურჭელი სამართლიანად დაუკავშირა ჰერულ ტომებს [65].

მარტაზისხევის ჯამი ორიგინალურია თავისი შემკულობით. აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, ჯერჯერობით, პალმეტებით შემკული ჭურჭელი საერთოდ არ აღმოჩენილა.

პალმეტებით შემკული ჭურჭელი ცნობილია დასავლეთ საქართველოდან — ძირითადად ვანიდან. ყველა შემთხვევაში ისინი იმპორტულ ნაწარმზეა გამოსახული.

მარტაზისხევის ქვევრსამარხში აღმოჩენილ ჯამზე გამოსახული პალმეტები დიდ მსგავსებას იჩენენ წითელლაკიან ჭურჭლებზე გამოსახულ ანალოგიურ შემკულობასთან. „ელინისტური ხანის წითელლაკიანი კერამიკა, ე. წ. terra sigilata, მხოლოდ აღმოსავლური პროვინციებისათვისაა დამახასიათებელი". მათ პირობითად „პერგამონულს" უწოდებენ [71].

აღსანიშნავია, რომ პალმეტები ადრეულ, ძვ. წ. V—IV სს. ბერძნულ-ანტიკურ ნაწარმზეც გვხვდება [7, 47, 49].

მარტაზისხევის ჯამი გარკვეულ მსგავსებას იჩენს პერგამონულ ნაწარმთან (ფორმა, წითელი საღებავით დაფარვა, პალმეტები). მაგრამ შეინიშნება არსებითი განსხვავებაც: მარტაზისხევის ჯამს უფრო მაღალი ქუსლი აქვს, წითელი საღებავი იმდენად დაბალი ხარისხისაა, რომ დიდი ნაწილი აყრილია. ბერძნულ-ანტიკურ და პერგამონულ ნაწარმზე პალმეტები ყოველთვის პირისაკენაა მიმართული, ჩვენს შემთხვევაში ისინი შებრუნებულია. ასევე პალმეტები ჯამის ცენტრიდან შედარებით მოშორებითაა დატანილი, ვიდრე იმპორტულზე.

მარტაზისხევის ჯამის მსგავსი (ფორმით) ჯამები ქართლის ტერიტორიაზე ცნობილია ძვ. წ. I ახ. წ. I სს-ით დათარიღებული ძეგლებიდან (მცხეთა, სამთავრო, ბარგიყარია, წიწამური, ნატახტარი, ნასტაკისი, აღაიანი, ციხია-გორა, „საყარაულო სერის" ქვევრსამარხები, უფლისციხე და სხვ.). მიუხედავად იმისა, რომ მარტაზისხევის ჯამი პერგამონული ნაწარმის მიბაძვით პალმეტებითაა შემკული, იგი ადგილობრივ (შიდა ქართლურ) ნაწარმად მიგვაჩნია.

სამარხში აღმოჩენილი მძივები ახლო მსგავსებას იჩენენ საქართველოში [10, 74, 17, 73], სომხეთში [77], აზერბაიჯანში [78] და ჩრდ. შავიზღვისპირეთში [79], ძვ. წ. II—I სს-ით დათარიღებულ მძივებთან, თუმცა ზოგიერთი მათგანი უფრო ადრეულ და მომდევნო საუკუნეებშიც გვხვდება.

თეთრი ანგობით მოხატული დოქი, თავისი ფორმით და ხაოიან ზედაპირზე დატანილი მოხატულობით, ქვევრსამარხს ზოგადად ძვ. წ. II—I სს-ში აქცევს, სამარხში აღმოჩენილი ქუსლიანი ჯამი საშუალებას იძლევა შედარებით დავაკონკრეტოთ ეს თარიღი. თავისი ფორმით ეს ჯამი, როგორც აღნიშნული იყო, დიდ მსგავსებას იჩენს ძვ. წ. I — ახ. წ. I სს-ით დათარიღებულ ძეგლებზე გამოვლენილ ჯამებთან, რაც მარტაზისხევის სამარხს შედარებით ახალგაზრდავებს. რადგან თეთრი ანგობით მოხატული ჭურჭელი ქართლის ტერიტორიაზე ახ. წ. I საუკუნეში და შემდგომ აღარ გვხვდება, ქვევრსამარხი ზოგადად ძვ. წ. I ს-ით უნდა დათარიღდეს.

სამარხის ძვ. წ. I ს-ით დათარიღებას მხარს უჭერს მძივებიც, რომელთა სიუხვე ქართლის ელინისტური ხანის სამაროვნებზე სწორედ აღნიშნული დროიდან იწყება და განსაკუთრებით ფართო ასორტიმენტით არის წარმოდგენილი ახ. წ. I—II საუკუნეებში.

თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ თეთრი ანგობით მოხატული კერამიკა არ გვხვდება შიდა ქართლის ისეთ ძეგლებზე, როგორიცაა სამთავრო (ქვესამარხები), ალაიანი (რიყიანი ველი), საყარაულო ნერის (ქვესამარხები) და სხვ. ამ სამაროვნების ქვედა თარიღად კი ძვ. წ. I საუკუნის II ნახევარი უნდა მივიჩნიოთ.

ამდენად, მარტაზისხევის ქვესამარხი, ჩვენი აზრით, ძვ. წ. I საუკუნის I ნახევრით უნდა დათარიღდეს.

Г. НАРИМАНАШВИЛИ. Г. МАНДЖГАЛАДЗЕ

## КУВШИННОЕ ПОГРЕБЕНИЕ ИЗ МАРТАЗИСХЕВИ

**Резюме**

В 1974 году на левом склоне Мартазисхевского ущелья, во время расширения одного участка трассы Мцхета-Дзегвской автомобильной дороги, было раскопано кувшинное погребение, содержащее интересный инвентарь: кувшин с одной ручкой, миска на высокой ножке, два браслета, бусы (рис. 1164—1173).

На миске, с внутренней стороны, изображен штампованный орнамент — четыре пальметки. Известно, что такие изображения характерны для эллинистической краснолаковой керамики («Пергамская» продукция) II—I вв. до н. э.

Особого внимания заслуживает глиняная миска. Данная миска по форме, составу глины и обжигу идентична синхронной керамике, обнаруженной на территории Картлийского (Иберийского) царства, и видимо, является местным производством.

Погребение датируется I веком до н. ч.

## ლიტერატურა


1. კალანდაძე ა., სამთავრო. წინაანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები. მცხეთა. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. ტ. IV, თბ., 1980.
2. კალანდაძე ა., სამთავრო. წინაანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები. მცხეთა. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. ტ. V, თბ., 1981.
3. კალანდაძე ა., სამთავრო. წინაანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები. მცხეთა. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. ტ. VI, 1982.
4. აბრამიშვილი რ., სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი გვიანი ბრინჯაოს ხანისა და რკინის ფართო ათვისების ხანის ძეგლების დათარიღებისათვის, სსმმ, ტ. XIX — B და XXI — B, თბ., 1955.
5. აბრამიშვილი რ., თრელის შუა და გვიანბრინჯაოს ხანის სამაროვანი. კრებ. თბ., არქეოლოგიური ძეგლები, I, თბ., 1978.
6. ოქროპირიძე ნ., ნარეკვავის სამაროვანი. იიშ. VII, თბ., 1963.
7. ბარამიძე მ., კასპის სამაროვანი. მსკა. IV, თბ., 1965.
8. თუშიშვილი ნ., მადნისქვალის სამაროვანი. თბ., 1972.
9. ფიცხელაური კ., აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები. თბ., 1972.
10. რამიშვილი რ., კამარახევის სამაროვანი. მსკა, II, თბ., 1959.
11. ჯღარკავა თ., კამარახევის სამაროვანი. მცხეთა, არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, ტ. VI, თბ., 1982.
12. აბრამიშვილი რ., და სხვ., ღრმახევისთავის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1980.
13. მენაბდე მ., დავლიანიძე რ., თრიალეთის სამაროვნები. თბ., 1980.
14. აფაქიძე ა., ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, თბ., 1963.
15. ხახუტაიშვილი დ., უფლისციხე. 1963—1969 წწ. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. წინაფეოდალური ხანა. II. თბ., 1970.
16. Цкитишвили Г. Результаты работ на «Цихнагора» (1971—1974 гг.) КСИА, № 151. Москва. 1977.
17. კავთისხევის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1980.
18. Гагошидзе Ю. М. Самадло (Каталог). Тбилиси, 1981.
19. ბოხოჩაძე ა., ნასტაკისის არქეოლოგიური ექსპედიციის 1974 წლის მუშაობის შედეგები. „მაცნე", ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, № 3, 1975.
20. თოლორდავა ვ., მასალები ქართლის სამეფოს ისტორიისათვის ძვ. წ. ალ. პირველი ათასწლეულის ბოლო საუკუნეებში. მსკა. III. თბ., 1963.
21. აფაქიძე ა., გობეჯიშვილი გ., კალანდაძე ალ., ლომთათიძე გ., მცხეთა. არმაზისხევის არქეოლოგიური გათხრები, თბ., 1955.
22. Рамишвили Р. М. Новые открытия на новостройках Арагвского ущелья. КСИА. № 151. Москва, 1977.
23. სურგულაძე თ., ბიბილური მ., ძნელაძე მ., ადრეული ქრისტიანობის სიმბოლო მცხეთიდან. სმამ. ტ. 101. № 3, 1981.

24. აფაქიძე ა. და სხვ., დიდი მცხეთა. 1976—1979 წლების არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. მცხეთა. ტ. VI, თბ., 1982.
25. რამიშვილი რ., ერწოს ველი გვიანარმაზულ ხანაში. თბ., 1979.
26. ჩიტაია გ., ქართული თორნე. მიმომხილველი, II, თბ., 1951.
27. ბიბილური თ., საინტერესო სამარხეული კომპლექსი მცხეთიდან. ძეგლის მეგობარი, 56, თბ., 1982.
28. Иващенко. Самтаврские погребения первых трех веков н. э. Мцхета, III. Результаты археологических исследований. Тб., 1980.
29. ნემსაძე გ., ზღუდერის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1964—1966 წწ. ჩატარებული მუშაობის შედეგები. კრებ.: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, I, თბ., 1969.
30. რამიშვილი რ., არქეოლოგიური კვლევა-ძიება ახალ ჟინვალში. კრებ.: ჟინვალის ექსპედიცია, თბ., 1975.
31. აფხაზავა ნ., ადრეული შუასაუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს ნივთიერი კულტურა. თბ., 1979.
32. უგრელიძე ნ., ადრეულ შუასაუკუნეთა მინის წარმოების ისტორიისათვის, თბ., 1967.
33. შატბერაშვილი ზ., მეტეხში 1966 წელს ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, XXI სამეცნიერო სესია, მოკლე ანგარიშები, თბ., 1967.
34. მენაბდე მ., კილურაძე თ., სიონის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1981.
35. ჯაფარიძე ო., კიკვიძე ი., ავალიშვილი გ., წერეთელი ა., მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები, თბ., 1981.
36. კიკვიძე ი., ხიზანაანთგორის ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარი, თბ., 1972.
37. გობეჯიშვილი გ., თეთრიწყაროს ნასოფლარი, თბ., 1978.
38. ჭორიძე დ., თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1958.
39. დავლიანიძე ც., სოფ. გომარეთში ჩატარებული დაზვერვითი არქეოლოგიური გათხრების მოკლე ანგარიში. სსმაე, V, თბ., 1977.
40. Щелов Д. Б. Некрополь Танаиса. МИА, № 98, 1961.
41. Куфтин Б. Археологические раскопки в Триалети. Тб., 1941.
42. ჯორბენაძე ბ., ჟინვალის „ნაქალაქარის" სამაროვანი 1974-75 წწ. განათხარის მიხედვით. კრებ.: ჟინვალის ექსპედიცია (მეორე სამეცნიერო სესიის მასალები), თბ., 1981.
43. Апакидзе А. М. и др. Мцхета. Результаты археологических исследований. ПАИ в 1977 году. Тбилиси, 1980.
44. Садрадзе В. Г. Раскопки в Церовани и Нареквави. АО 1979 года. Москва, 1980.
45. ფხაკაძე გ., ქვემო ქართლის ენეოლითი, თბ., 1963.
46. გობეჯიშვილი გ., სტალინირის ნაცარგორა. „მიმომხილველი", — II, თბ., 1951.
47. ხახუტაიშვილი დ., უფლისციხე. 1957—1963 წლების არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, თბ., 1964.
48. Иремашвили Ш., Бронзовый пояс из Набегреби. Сообщения Академии наук Грузинской ССР, Тб., № 1, 1981 (на груз. яз.).
49. Рыбаков Б. А., Религия и миропонимание первых земледельцев Ю. Ц. Европы (IV—III вв .до н. э.). VII Международный конгресс доисториков и протоисториков. Доклады и сообщ. археол. изд-во «Наука», М., 1966, 107—108.
50. Аброз А. К., Раннеземледельческий культовый символ («ромб с крючками»). СА, № 3, М., 1965, с. 14; Массон В. М., Средняя Азия и Древний Восток, изд-во «Наука», М., 1964, 431.
51. Бронзовые пояса были обнаружены археологическими экспедициями АН Груз. ССР, проводившими раскопки Мцхета-Самтаврского некрополя в течение со-

роковых и пятидесятых годов, под руководством археолога А. Н. Каландадзе.

52. Урушадзе Н. Е., Бронзовые пояса из некрополя Самтавро (ряд статей, опубликованных в журн. «Сабчота хеловнеба», 1968. — № 3; 1963 — №№ 8, 12; 1970 — № 12) (на груз. яз.).

53. Бардавелидзе В. В., Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен. Тбилиси, 1957, 192.

54. Урушадзе Н. Е., Опыт семантического анализа бронзового пояса из Мцхета-Самтавро, СЭ, 1971, № 6.

55. Урушадзе Н. Е., Бронзовый пояс из некрополя Самтавро...

56. Халилов Дж., Бронзовые пояса, обнаруженные в Азербайджане. Культ. азербайдж., вып. IV, Баку, 1962.

57. Мещанинов И. И., Змея и собака на вещевых памятниках археологии Кавказа. «Зап. коллегия востоковедов при Азиатском музее РАН», I, Л., 1925, с. 251.

58. Урушадзе Н. Е., К семантике прикладного искусства Древнего Кавказа и Закавказья. СА, М., 1973, № 1.

59. Гагошидзе Ю. Самадло, I, Тб., 1979.

60. Хидашели М. Ш., К истории художественной обработки бронзы в античной Грузии, Тб., 1971 (на груз. яз.).

61. Куфтин Б. А., Археологические раскопки в Триалети, Тб., 1941.

